ასტრიდ ლინდგრენი

ლიონებერგელი ემილის თავგადასავალი

ლიონებერგელი ემილი _ ასე ეძახდა ყველა პატარა ბიჭს, რომელიც სოფელ ლიონებერგაში ცხოვრობდა. ძალიან ანცი და ჯიუტი იყო, შენ კი არა გგავდა. თუმც, ერთი შეხედვით, უწყინარი და დამჯერე გეგონებოდა, განსაკუთრებით, როცა ეძინა.

გინდა აგიწერო? ცისფერთვალა, პირმრგვალი, ლოყებდაბრაწული, ოქროსქოჩრიანი _ ერთი სიტყვით, ნამდვილი ანგელოზი იყო, ნამდვილი! მაგრამ, მგონი, უკვე მიხვდი, ასე ფიქრი რომ შეცდომაა!

ხუთი წლისა მოზვერივით ღონიერი და მოსული იყო. როგორც გითხარი, სოფელ ლიონებერგაში ცხოვრობდა, უფრო სწორად, მის გვერდით მდებარე ხუტორ კატხულტში. ეს სოფელი სმოლანდის ოლქს ეკუთვნოდა. ბიჭსაც წმინდა სმოლანდური გამოთქმა ჰქონდა, თუმცა ამაში ბრალი არ ედო. სმოლანდში ხომ ქალაქურად არ ლაპარაკობენ. აი, მაგალითად, თუ უნდა ეთქვა: «ჩემი კეპი მომეცითო!», როგორც შენ ან რომელიმე სხვა ბიჭი იტყოდით, ამის მაგიერ ამბობს: «სადაა ჩემი კეპუკაო?» ერთი მაუდის კეპი ჰქონდა, მამამ ჩამოუტანა ქალაქიდან. რომ იცოდეთ, როგორ გაუხარდა! დასაძინებლად რომ წვებოდა, მაშინაც «სადაა ჩემი კეპუკაო?» _ გაიძახოდა. დედას, რა თქმა უნდა, არ მოსწონდა, ბავშვს ქუდით რომ ეძინა და უმალავდა. მაგრამ, გაგიგონიათ, ემილი ისეთ ყვირილს ატეხდა, «სადაა ჩემი კეპუკაო?», რომლიონებერგის მეორე ბოლოში ისმოდა.

ასე, სამი კვირა მაინც არ მოუხდია თავიდან, არც დღე და არც ღამე და, ხომ წარმოგიდგენია, რას დაამსგავსებდა! სამაგიეროდ, თავისას მიაღწია, რაც უნდოდა, იმას აკეთებდა, და ეს იყო მისთვის მთავარი.

ერთხელ, ახალი წლის წინ, დედამ გადაწყვიტა, როგორმე მოშუშული ცერცვი ეშმია _ ძალიან სასარგებლოა და შიგ ბლომად მწვანილსაც ურევენ. ემილმა სატიკად იუარა.

_ შენ რა, საერთოდ აღარ აპირებ მწვანილის ჭამას? _ გაოცდა დედა.

_ რატომ? თუნდა გინდა, ახლავე შევჭამ, მაგრამ ცოცხალ მწვანილს და არა რაღაც სალაფავს, _ თქვა და პირდაპირ ნაძვის ხისაკენ წავიდა, მოტეხა პატარა ტოტი და დაიწყო ღეჭვა. მაგრამ მალე გამოაგდო პირიდან _ ნაძვის წიწვმა ენა დაუჩხვლიტა.

ახლა ხომ ხვდები, რა ჯიუტი ბიჭი იყო! უნდოდა, ყველას მი ჭკუაზე ევლო _ დედასაც და მამასაც, ხუტორ კატხულტსაც და მთელ ლიონებერგასაც... ლიონებერგელებს კი ეს რატომღაც არ ეპიტნავებოდათ.

_ რა ცოდონი არიან ეს კატხულტელი სვენსონები, _ ამბობდნენ წარამარა. _ იმათი ბიჭი, ბავშვი კი არა ღვთის რისხვაა! პატარა ასეთია, რომ გაიზარდება, რაღა იქნება!

უგუნური ლიონებერგელები! რომ სცოდნოდათ, რა იქნებოდა ემილი, როცა გაიზრდებოდა, ამდენს არ ივიშვიშებდნენ. ემილი ხომ დიდობაში, არც მეტი, არც ნაკლები, სოფლის გამგეობის თავმჯდომარე გახდა. თუ არ იცი, ეს რას ნიშნავს, მე გეტყვი, ესაა ყველაზე პატივცემული ადამიანი მთელ მხარეში და ემილმა ამას მიაღწია. აბა!

მაგრამ ეს გვიან მოხდა. მანამდე კი პატარა ბიჭი იყო და სმოლანდის ოლქში სოფელ ლიონებერგის მახლობლად, ხუტორ კატხულტში ცხოვრობდა.

ემილს ჰყავდა მამა _ ანტონ სვენსონი, დედა _ ალმა სვენსონი და პატარა და _ იდა. სვენსონების გარდა ხუტორში ცხოვრობდნენ მოჯამაგირე ალფრედი და მოახლე ლინა.

იმ წლებში ხუტორთა მეპატრონეებს დამხმარედ მოჯამაგირეები და მოახლეები ეყენათ. მოჯამაგირეები ხნავდნენ მიწას, უვლიდნენ ცხენებს და ხარებს, თიბავდნენ ბალახს და შინ მიჰქონდათ თივა, თესავდნენ და იღებდნენ კარტოფილს. მოახლეები ოჯახში ეხმარებოდნენ: წველიდნენ ძროხებს, რეცხავდნენ ჭურჭელს, ხეხავდნენ ქვაბებს, უვლიდნენ ბავშვებს და მღეროდნენ.

ახლა შენ უკვე იცნობ კატხულტის მცხოვრებლებს. მოდი, ერთად ჩამოვთვალოთ: მამა ანტონი, დედა ალმა, და იდა, მოჯამაგირე ალფრედი და მოახლე ლინა. კიდევ ორი ცხენი, უღელი ხარი, რვა ძროხა, სამი ღორი, ათიოდე ცხვარი, თხუთმეტი ფრთა ქათამი, ერთი მამალი, ერთი კატა, ერთი ძაღლი და, რა თქმა უნდა, ჩვენი ემილი.

კატხულტი ძალიან ლამაზი ხუტორია. ბექობზე, ვაშლის ხეებსა და იასამნის ბუჩქებს შუა, წითლად შეღებილი სახლი დგას. გარშემო ველ-მინდვრები და საძოვრებია გადაჭიმული, შორს ტბა და დიდი ხშირი ტყე მოჩანს. რა წყნარი და მშვიდი ცხოვრება იქნებოდა კატხულტში, ემილი რომ ასეთი ეშმაკის ფეხი არ ყოფილიყო.

_ ცელქია და რა ცელქი! _ ოხრავს ლინა, _ მოსვენება არ არის მისგან. საოცარია პირდაპირ, რომც არ იცელქოს, მაინც რაიმე შეემთხვევა. ასეთი ბავშვი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს!

სამაგიეროდ დედა ყოველთვის იცავს:

_ მოეშვით მაგ ბავშვს! ასეთ საშინელს რას შვრება! დღეს ერთხელ უჩქმიტა იდას და ცოტა ნაღები დაღვარა, მეტი არაფერი დაუშავებია! დიდი საქმე! მართალია, კიდევ კატა არბენინა საქათმის გარშემო... მაგრმ რა მოხდა! მაინც კარგი ბიჭია!

და, მართლაც, ემილი არ იყო ბოროტი ბავშვი. ამას ვერ დააბრალებდი! იდაც ძალიან უყვარდა და კატაც. უბრალოდ იძულებული შეიქნა, ეჩქმიტა დაიკოსათვის, თორემ ისე არაფრით არ მისცემდა მურაბიან ბუტერბროდს. კატას კი იმიტომ დასდევდა, რომ უნდოდა შეემოწმებინა, კარგად თუ ხტება სიმაღლეზეო. ეს იყო და ეს! იმ სულელმა კატამ ვერ გაუგო კეთილი განზრახვა და გულისწამღებად აჩხავლდა.

მაშ ასე, 6 მარტს ემილი მშვენივრად იქცეოდა. ერთადერთხელ უჩქმიტა იდას, ცოტას გაეთამაშა კატას და საუზმის წინ დაღვარა ნაღები. იმ დღეს განსაკუთრებული აღარაფერი მომხდარა.

ახლა კი ემილის ცხოვრეიბს ისეთ დღეებზე გიამბობ, როცა უარესი ამბები ემართებოდა. თუმცა რატომ, მეც არ ვიცი ხეირიანად. ვერ გეტყვი, მართლა ვერ იკავებდა თავს ანცობისაგან, როგორც ლინა იფიცებოდა, თუ შემთხვევით ეხვეოდა ნაირ-ნაირ ფათერაკებში. მაშ ასე, დავიწყოთ...

ორშაბათიდან, 22 მაისიდან,

როცა ემილი თავით საწვნეში გაეჩხირა

იმ დღეს სადილად ხორცის ბულიონი ჰქონდათ. ლინამ წვნიანი ქვაბიდან ყვავილებიან საწვნეში გადაასხა. ყველანი გარს შემოუსხდნენ მაგიდას და გემრიელად შეუდგნენ ჭამას. ემილს ძალიან უყვარდა ბულიონი და თხლაპათხლუპით ხვრეპდა.

_ აუცილებელია ასე ხვრება? _ ჰკითხა დედამ.

_ ჰო, უპასუხა ემილმა, _ აბა, ისე ვინ მიხვდება, რომ წვნიანს ვჭამ.

ბულიონი ძალიან გემრიელი იყო, იმატებდნენ, ვისაც რამდენი უნდოდა, ასე რომ, ბოლოს და ბოლოს საწვნის ძირში ცოტაოდენი ხახვი და სტაფილოღა დარჩა. ჰოდა, ემილმაც გადაწყვიტა პირს ჩავიგემრიელებო. დიდხანს არ უფიქრია, დასწვდა საწვნეს, თავისკენ მიიჩოჩა, ჩაყო შიგ ტავი და ნარჩენი მოხვრიპა და მოხვრიპა. როცა საწვნის ძირი მთლად მოლოკა, ბუნებრივია, თავის ამოღება დააპირა. მაგრამ, ნურას უკაცრავად, საწვნე მჭიდროდ შემოჭდობოდა შუბლზე, საფეთქლებსა და კეფაზე და ძვრა ვეღარ უყო. ემილი

შეშინდა და ფეხზე წამოხტა. საწვნე თავზე რაინდის მუზარადივით ჩამოემხო. თანაც სულ დაბლა-დაბლა მოცოცვდა. ჯერ თვალები დაუმალა, მერე ცხვირი და ბოლოს ნიკაპზეც ჩამოეფხატა. ბიჭი ცდილობდა, როგორმე მოეშორებინა. ამაოდ! საწვნე თითქოს თავზე მიეზარდაო. მაშინ კი აღრიალდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. მას გულგახეთქილი ლინაც აჰყვა. სხვებიც ძალიან შეშინდნენ.

_ ჩვენი ლამაზი საწვნე! _ ვიშვიშებდა ლინა, _ რიღათი ჩამოვდგა წვნიანი კერძი სუფრაზე.

მართალიც იყო, რაკი საწვნეში ემილის თავი გაეჩხირა, წვენს იქ ვეღარ ჩაასხამდნენ. ლინა ამას მაშინვე მიხვდა. რაც შეეხება დედას, ის იმდენად მშვენიერ საწვნეზე არ წუხდა, რამდენადაც ემილის თავზე.

_ ანტონ, ძვირფასო! _ მიუბრუნდა მამას, _ როგორ ამოვაძროთ ბიჭი საწვნიდან, ხომ არ ჯობებს, გავტეხოთ?

_ ეგღა გვაკლია! _ გაჯავრდა ემილის მამა. _ მაგ საწვნეში ოთხი კრონი მაქვს გადახდილი!

_ მოიცათ, მე ვცდი! _ თქვა ალფრედმა.

ალფრედი ღონიერი, ყოჩაღი ყმაწვილი იყო. მოხერხებულად წაავლა ხელი საწვნეს სახელურებში და დაუწყო ნჯღრევა, თან ნელ-ნელა მაღლა-მაღლა სწევდა. არაფერი გამოუვიდა! მარტო ის მოახერხა, რომ ბიწი თავის საწვნიანად ჰაერში აიტაცა. ემილმა რომ იგრძნო, ფეხვეშ იატაკი მეცლებაო, სულ გადაირია, ღრიალებდა და ფართხალებდა.

_ ახლავე დამიშვი დაბლა! _ ყვიროდა გამწარებული. _ გესმის, რას გეუბნებიან?! _ ალფრედსაც მეტი აღარაფერი დარჩენოდა, უნდა დაეჯერებინა.

იატაკზე დაშვებულ ემილს ყველა გარს შემოეხვია, აღარ იცოდნენ, რა ექნათ.

რა ნაღვლიანი სანახაობაა! სამზარეულოს შუაგულში დგას ბიჭი, რომელსაც მხრებზე თავის მაგივრად საწვნე ადგას, გარს დედა, მამა, დაიკო იდა, ალფრედი და ლინა შემოხვევიან და არც ერთმა არ იცის, როგორ უშველოს.

_ შეხედეთ, ტირის! _ წამოიძახა იდამ და ემილის ყელზე ჩამოგორებული ორი მსხვილი წვეთი დაანახა უფროსებს.

_ ვინ ტირის! _ გაისმა საწვნიდან მოგუდული ხმა. _ ცრემლები კი არა, ბულიონის წუწებია!

ახლა ხომ ხვდები, რა კერკეტი ბიჭი იყო. ცხვირ-პირზე საწვნე-ჩამოფხატული კიდევ იმაზე ფიქრობდა, თავი დამოუკიდებლად სჭეროდა, თუმცა შავი დღე ადგა. ერთი შენი

თავი წარმოიდგინე იმ ყოფაში და ყველაფერს მიხვდები. საწყალი ემილი! ნეტავ ოდესმე კიდევ თუ მოიგდებს კინკრიხოზე თავის კეპუკას.

დედამ ისევ გაიმეორა: საწვნე გავტეხოთო, რა ვქნა, შვილი ძალიან ეცოდებოდა.

_ არავითარ შემთხვევაში! _ ჩაიბურტყუნა მამა. _ ჩემი ხელით დავამსხვრიო ოთხკრონიანი ნივთი?! არა, ჯერ არ გავგიჟებულვარ! სჯობია, მარიანელუნდში წავიდეთ ექიმთან. ექიმი თუა, კიდეც უნდა უშველოს! ვიზიტი სამი კრონი ღირს, ასე რომ, ერთ კრონს მაინც გამოვრჩებით.

დედას ეს აზრი ჭკვიანური ეჩვენა. აბა რა, ვინ შოულობს ყოველდღე თითო კრონს. რამდენი კარგი რამის ყიდვა შეიძლება ერთ კრონად, მაგალითად, შეიძლება უყიდო საჩუქარი პატარა იდას, რომელსაც შინ დატოვებენ, როცა ისინი ექიმთან გაემგზავრებიან მარიანელუნდში.

დაფაცურდნენ კატხულტის მცხოვრებლები. ბევრი საქმე ჰქონდათ. ემილისათვის საგარეო კოსტიუმი უნდა ჩაეცმიათ, უნდა დაებანათ ხელები და, მართალი თუ გინდა, ყურებიც. დედა შეეცადა, საწვნეში თითი შეეცურებინა და როგორმე ყურებს მისწვდომოდა, მაგრამ არც არაერი გამოუვიდა და თითიც საწვნეში გაეჩხირა.

გადაირია მამა. თუმცა მისი გაჯავრება იოლი არ იყო.

_ აღარავის მივცემ საწვნეში გაჩხერვის უფლებას! _ თქვა მრისხანედ. _ თორემ მე ვიცი, ასე მთელი კატხულტის ქალაქელ ექიმთან წაყვანა მომიწევს!

დედამ დაუჯერა და რის ვაი-ვაგლახით გამოაძვრინა თითი საწვნედან.

_ ბედმა გაგიღიმა, შვილო, ყურების გამოწმენდა აღარ მოგიწევს, _ უთხრა ემილს, ცოტა გული რომ მოიბრუნა, და გაწითლებულ თითს სული შეუბერა. ემილმა საწვნეში შვებით ამოისუნთქა.

_ ვაშა! გმადლობთ, საწვნევ, შენ გაამარჩინე!

ამასობაში ალფრედმა ცხენი შეაბა და ორთვალა კართანასთან მოაყენა.

შინიდან პირველად ემილი გამოვიდა. ახალ ზოლიან კოსტიუმსა და შავ მბზინავ ფეხსაცმელებში გამოწყობილი, მშვენიერი საწვნით თავზე, ისეთი კოხტა ჩანდა, გაგიხარდებოდა. საწვნე მართლაც მშვენიერი იყო. ცინცხალყვავილებიანი ყველაზე მოდურ შლაპასა ჰგავდა. მარტო ის გაგაკვირვებდა, ემილმა ისე რად ჩამოიფხატა, რომ პირისახე აღარ მოუჩანსო. თუმცა შესაძლოა ასეთია ახლა მოდა.

ორთვალა დაიძრა.

_ იას მიხედეთ! _ გამოსძახა დედამ შინ დარჩენილებს.

დედა მამასთან ერთად კოფოზე იჯდა. უკანა სკამზე თავზე საწვნეჩამოფხატული ემილი მოკალათებულიყო. თავისი ლურჯი კეპუკაც გვერდით ედო. აბა, როგორ! შინ უქუდოდ ხომ არ დაბრუნდებოდა!

აი, როგორი ბიჭია ემილი, ყველაფერზე ფიქრობს.

_ ვახშმად რა მოვამზადო? _ კითხვა დააწიათ ლინამ.

_ რაც გინდა! _ უპასუხა დედამ. _ მოიფიქრე რამე. მაგისი დარდი არა მაქვს!

_ ხორციან წვნიანს მოვხარშავ, _ გადაწყვიტა ლინამ.

მაგრამ ამ დროს ორთვალას თავზე ცინცხალყვავილებიანი ფაიფურის ბურთი დაირწა და შეძრწუნებულ ლინას გაახსენდა, რომ საწვნე აღარ გააჩნდათ. შეწუხებული მოუბრუნდა პატარა იდას და ალფრედს და მღელვარებისაგან ხმაშეცვლილმა უთხრა:

_ დღეს ღორის ხორცითა და პურით მოგვიწევს ვახშმობა.

ემილი უკვე რამდენჯერმე იყო ნამყოფი მარიანელუნდში. ძალიან უყვარდა ასე ორთვალათი მგზავრობა, როცა ნელ-ნელა მიირწეოდა, თან უყურებდა გზის პირას ჩამწკრივებულ ხუტორებს, ეზოებში მოთამაშე ბავშვებს, ყეფით ადევნებულ ძაღლებს, მშვიდად მობალახე ცხენებსა და ძროხებს. მაგრამ დღეს ყველაფერი სხვაგვარი ეჩვენებოდა. ბნელში იჯდა და თავისი ახალი ფეხსაცმელების ჭვინტის მეტს ვერაფერს ხედავდა, ისიც მაშინ, თუ ძალიან მოინდომებდა და თვალებს ლამის ამოტხრამდე გადაბრეცდა. ამიტომ ყოველ წუთს ეკითხებოდა მამას: «ახლა სადა ვართ? ახლა რომელი ხუტორი გავიარეთ?.. მაჭკატების ხუტორია?.. გოჭების ხუტორი ჯერ არ მოჩანს?»

შენ არ გაგიკვირდეს, ეს რა სახელებიაო. ემილმა მეტსახელი შეარქვა ყველა ხუტორს. მაჭკატების ხუტორი იმიტომ დაარქვა, რომ ერთხელ გზადმიმავალმა დაიანხა, ღობის იქით როგორ ყლაპავდა ორი ბავშვი მაჭკატებს. გოჭებისა ერთი სასაცილო გოჭუნას პატივსაცემად შეარქვა, დიდ ქვაზე რომ იქექავდა გვერდს, როცა ხუტორს ჩაუარეს.

ახლა კი ეს სულელური საწვნე ჩამოფხატოდა თავზე და ვეღარაფერს ხედავდა: ვერც ბავშვებს, ვერც გოჭს... ჰოდა, მეტი რა გზა ჰქნდა, წარამარა ეკითხებოდა მამას: «ახლა სადა ვართ? ახლა რას ხედავ?.. შორია კიდევ მარიანელუნდამდე?».

ექიმის მისაღებში უამრავი პაციენტი დახვდათ. მომლოდინეებმა თანაგრძნობით შეხედეს ბიჭს, თავის მაგივრად მხრებზე საწვნე რომ ედგა. მიხვდნენ, რაღაც უბედურება შეემთხვაო. მარტო ერთი გულღრძო ბერიკაცი ქირქილებდა, თითქოს ძალიან სასაცილოა საწვნეში თავის გაკვეხება.

_ ოხო-ხო-ხო, ხა-ხა-ხა! _ არ ცხრებოდა ბერიკაცი. _ ერთი მითხარი, ყურები გეყინება?

_ არა, _ უპასუხა ემილმა, _ ყოველ შემთხვევაში ამ წუთას არა.

_ მაშ, რაღად ჩამოიმხე თავზე ეგ ქოთანი?

_ ყურები რომ არ გამყინვოდა! _ არ დაიბნა ემილი, რომელიც თუმცა პატარა იყო, სიტყვას მაინც ვერ მოუგებდი.

ამ დროს მოჰკიდეს ხელი და შეიყვანეს კაბინეტში. ექიმს არ გაუცინია, მხოლოდ ეს უთხრა:

_ გამარჯობა, ვაჟკაცო! ასე ვის დამალვიხარ?

ემილი ექიმს ვერა ხედავდა, მაგრამ ხმა რომ გაიგონა, მისკენ მიბრუნდა, ფეხი ფეხს ისე მიარტყა, როგორც ასწავლიდნენ და თავაზიანად დახარა საწვნე.

გაისმა ზრიალი და შუაზე გამსკდარი საწვნე იატაკზე გაგორდა.

იკითხავ, რატომო? აი, რატომ! როცა ემილი ექიმს მიესალმა და თავაზიანად დახარა თავი, საწვნე მთელი ძალით დაჰკრა მაგიდის ძგიდეს. ეს იყო და ეს.

_ დაიკარგა ჩემი ოთხი კრონი! _ უჩურჩულა დამწუხრებულმა მამამ დედას.

ექიმმა გაიგონა მისი ნათქვამი:

_ რასა ბრძანებთ, ბატონო, პირიქით, თქვენ კრონი მოიგეთ. როცა ბავშვებს საწვნიდან ვაძრობ, ხუთ კრონს ვახდევინებ. თქვენმა ვაჟკაცმა კი ეს უჩემოდ მოახერხა.

მამა წამსვე გამხიარულდა. უფრო მეტიც, მადლიერი დარჩა ეილისა, საწვნე რომ გატეხა და კრონი იშოვა. მან იატაკიდან აიღო საწვნის ორივე ნახევარი და სამივენი _ მამა, დედა და ემილი კაბინეტიდან გამოვიდნენ.

დედამ ქუჩაში გამოსვლისთანავე ჰკითხა მამას:

_ მართლა, რა ვიყიდოთ ემილის ნაშოვნი კრონით?

_ არაფერი! _ უპასუხა მამა. _ შევინახოთ! ემილს ხუთ ერეს მივცემ და ჩააგდოს თავის ყულაბაში. რას ერჩი, ეკუთვნის! _ თქმა და შესრულება ერთი იყო. მაშინვე ამოიღო საფულე და ემილს მონეტა გაუწოდა. უჰ, როგორ გაახარა!

დრო უქმად აღარ დაიკარგავთ, ჩასხდნენ ორთვალაში და უკან გამობრუნდნენ.

ამჯერად ემილს ყველაფერი ახალისებდა. მართალია, ისევ უკანა სკამზე იჯდა, მაგრამ ხელში ხუთერეიანი მონეტა ჰქონდა ჩაბღუჯული, ხოლო თავის საწვნის მაგიერ თავისი ლურჯი კეპუკა უმშვენებდა. თან რასაც უნდოდა, იმას უყურებდა _ ბავშვებს, ძაღლებს, ძროხებს, გზის პირას ჩამწკრივებულ ხეებს.

ემილი რომ ჩვეულებრივი ბიჭი ყოფილიყო, იმ დღეს აღარაფერი შეემთხვეოდა, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ჩვეულებრივი არ ყო. აბა, მისმინე, რა ჩაიდინა: მონეტა არ დამეკარგოსო და ენის ქვეშ ამოიდო. ჰოდა, იმ დროს, როცა გოჭების ხუტორს ჩაუარეს, დედას და მამას რაღაც უცნაური ხმები მოესმათ _ ემილმა მონეტა ჩაყლაპა.

_ ვაი! _ წამოიძახა ბიჭმა, _ რა უცბად ჩასრიალდა!

ემილის დედას ძალიან შეეშინდა:

_ ძვირფასო, როგორ ამოვაცალოთ ბიჭს მონეტა? ისევ ექიმთან უნდა დავბრუნდეთ!

_ კარგი ანგარიში იცი, მე და ჩემმა ღმერთმა! _ აბუზღუნდა მამა. _ ექიმს იმ ხუთი ერეს ამორებისათვის ხუთი კრონი გადავუხადოთ, არა? რა გქონდა შენ არითმეტიკაში?

ემილს კი წარბიც არ შეუხრია. მუცელზე ხელი დაიტყაპუნა და კმაყოფილმა თქვა:

_ ახლა მე თვითონ ვარ გოჭი-ყულაბა. ჩემს მუცელში ხუთერეიანი მონეტები ყულაბაზე ნაკლებად არ შეინახება. ყულაბიდანაც ხომ ვერაფერს ამოაცოცებ. რამდენჯერ მიცდია. პურის საჭრელი დანაც მიჩხიკინებია... ასე რომ, კარგად ვიცი!

მაგრამ დედა თავისას არ იშლიდა. დაიჟინა, ჩქარა წავიყვანოთ ემილი ექიმთანო.

_ მაშინ ხომ არაფერი მითქვამს, შარვლის ღილები რომ გადაყლაპა, _ არ ეშვებოდა მამას. _ ხუთერეიანი მონეტა I უფრო საშიშია. რამე უბედურება არ დაგვემართოს.

დედა შეშფოთებული უცქეროდა ემილის მამას და ისევ ევედრებოდა, დავბრუნდეთ მარიანელუნდშიო, რომ ბოლოს და ბოლოს დაითანხმა. განა მამა კი არ ღელავდა თავი ბიჭუნაზე!

სულ მალე სამივენი აქოშინებულები შეცვივდნენ ექიმის კაბინეტში.

_ რა მოხდა, რამე დაგრჩათ? _ გაუკვირდა ექიმს.

_ არა ექიმო, ემილმა ხუთერეიანი მონეტა გადაყლაპა და იმიტომ დავბრუნდით, _ აუხსნა მამა. _ პატარა ოპერაციას ხომ არ გაუკეთებთ, ასე ოთხკრონიანს. ხუთერეიანი მონეტაც თქვენ დაგრჩებათ.

ემილმა ზურგში წაუქიმუნჯა მამას და აღრიალდა:

_ არავისაც არ მივცემ! ჩემი მონეტაა!

ექიმს ემილისათვის მონეტის წართმევა, რა თქმა უნდა, არ უფიქრია. დედა და მამა დაამშვიდა, ოპერაცია საჭირო არაა, რამდენიმე დღეში მონეტა თვითონ გამოვა გარეთო.

_ კარგი იქნებოდა, ხუთიოდე ტკბილი ფუნთუშა შეგეჭამა, _ მიუბრუდა ექიმი ემილს. _ მონეტას მარტოკას აღარ მოსწყინდებოდა და კუჭს აღარ გაგიკაწრავდა.

ის ძალიან კეთილი ექიმი იყო და არც რჩევისთვის აუღია ფული. ემილის მამას სიამოვნებისაგან სახე უბრწყინავდა. მაგრამ დედამ მაშინვე ფრეკენ ანდერსონის საფუნთუშეში წასვლა და ემილისათვის ხუთი ფუნთუშის ყიდვა მოინდომა.

_ მეტი საქმე არა მაქვს! _ გაჯავრდა მამა. _ სახლში ფუნთუშების მეტი რაა!

ემილი წუთით ჩაფიქრდა. ძალიან საზრიანი ბიჭი იყო, თანაც ძალიან შიოდა და...

_ მე ხომ მუცელში ხუთერეიანი მონეტა მაქვს. ამორება რომ შემეძლოს, თვითონვე ვიყიდიდი ფუნთუშებს, _ უთხრა მამას. მერე წამით ისევ ჩაფიქრდა და ჰკითხა: _ მამი, არ შეგიძლია რამდენიმე დღით ხუთი ერე მასესხო? აუცილებლად დაგიბრუნებ, ამას წყალი არ გაუვა!

მამა დათანხმდა. წავიდნენ ფრეკენ ანდერსონის საფუნთუშეში და ემილს ხუთი მრგვალი, დაბრაწული, შაქრის პუდრმოყრილი ფუნთუშა უყიდეს. ემილი თან ბუნთუშებს ბუბნიდა, თან იმეორებდა:

_ ასეთი გემრიელი წამალი ჩემს დღეში არ ჩამიყლაპავს.

ემილის მამა უცებ ისე გამხიარულდა, რომ მთლად დაებნა თავგზა.

_ დღეს კარგა ბლომად ფული ვიშოვეთ, ასე რომ, შეგვიძლია, რაღაც-რაღაცეები ვიყიდოთ, _ განაცხადა და, დიდხანს არ უფიქრია, ხუთი ერეს კარამელი უყიდა დაიკო იდას.

ეს ყველაფერი ხდებოდა ძველდ, დიდი ხნის წინათ, მაშინ როცა ბავშვები არ უფრთხილდებოდნენ კბილებს, იმდენად სულელები და წინდაუხედავები იყვნენ. ახლა ლიონებერგელმა ბავშვებმა ისწავლეს ჭკუა და კანფეტს პირს აღარ აკარებენ, ამიტომაც აქვთ ლამაზი და მაგარი კბილები.

შინ დაბრუნდნენ თუ არა, მამას სერთუკიც არ გაუხდია, მაშინვე საწვნის დაწებებას შეუდგა. ეს არც ისე ძნელი საქმე იყო. საწვნე ხომ ზუსტად ორად გაიპო. დაწებებული საწვნის დანახვაზე, ლინა მხიარულად აკუნტრუშდა და ალფრედს, რომელიც ცხენს ხსნიდან ორთვალადა, გასძახა:

_ ახლა კატხულტში ისევ შეიძლება წვნიანის ჭამა!

რა გულუბრვყილო იყო ლინა! ეტყობა, დაავიწყდა ემილის არსებობა.

იმ საღამოს ემილი დიდხანს ეთამაშოებდა დაიკო იდას. მდელოზე ქოხიც აუშენა. იას ძალიან მოეწონა იქაურობა. მართალია, ემილმა ერთი -ორჯერ მაგრად უჩქმიტა, მაგრამ აბა, რა ექნა, იმასაც უნდოდა კარამელი.

როცა ჩამობნელდა, ბავშვები შინ წამოვიდნენ დასაძინებლად. გზას სამზარეულოში შეიხედე: დედა აქ ხომ არ არისო.

დედა იქ არ იყო. არც არავინ ჩანდა. მარტო საწვნე დაინახეს, იდგა მაგიდაზე, ახლად დაწებებული და ძალიან ლამაზი. ემილი და იდა თვალდაჭყეტილი შესცქეროდნენ მთელი დღის ნამოგზაურებ უცნაურ საწვნეს.

_ წარმოგიდგენია, მარიანელუნდშიც კი იყო, _ თქვა დაიკო იდამ და ემილს მიუბრუნდა: _ მითხარი რა, როგორ მოახერხე შიგ თავის ჩაყოფა?

_ მაგას რა უნდა, _ უპასუხა ემილმა. _ მიყურე!

ამ დროს სამზარეულოში დედა შემოვიდა და პირველი, რაც დაინახა, იყო თავზე საწვნეჩამოფხატული ემილი. ემილი საშინლად იგრიხებობდა. საწვნის მოშორებას ცდილობდა. დაიკო იდა ღრიალებდა, ემილიც ტიროდა, წვალობდა, ჯახირობდა, მაგრამ თავს ვერა და ვერ აძრობდა საწვნიდან, სწორედ ისე, პირველად რომ დაემართა.

ამ გასაჭირში რომ იყვნენ, დედამ დაავლო ხელი ცეცხლსაჩხრეკს და ბახ! _ ისე დასცხო საწვნეს, რომ მისი ზრიალი მთელ ლიონებერგას მოედო.

საწვნე დაიმსხვრა და ნამსხვრევები სეტყვასავით დაეყარა ემილს ტანზე.

ემილის მამა ბოსელში იყო, მაგრამ ზრიალის გაგონებისთანავე სამზარეულოში მოვარდა. მოვარდა და კარებშივე გაშეშდა. იდგა და უსიტყვოდ შესცქეროდა ემილს, საწვნის ნამსხვრევებსა და ცეცხლის საჩხრეკს, რომელიც დედას ჯერ კიდევ ხელში ეჭირა.

მამას არაფერი უთქვამს, უხმოდ მიტრიალდა და ბოსლისაკენ წავიდა.

ახლა ცოტათი მაინც ხომ წარმოიდგინე, როგორი ბიჭი იყო ემილი. საწვნის ამბავი სამშაბათს, 22 მაისს მოხდა. ახლა თუ გსურს, გიამბობ:

კვირის, 10 ივნისის ამბავს,

როცა ემილმა დაიკო იდა ფლაგშტოკზე ასწია

კვირას, 10 ივნისს, კატხულტში წვეულების გადახდა გადაწყვიტეს. სტუმრებს ლიონებერგიდანაც ელოდნენ და ხუტორებიდანაც. ემილის დედა რამდენიმე დღეს ამზადებდა სასმელ-საჭმელს.

_ ეს წვეულება კარგა ძვირი დაგვიჯდება, მაგრამ, რას იზამ, თუ ლხინია, ლხინი იყოს, წუწურაქობა აღარ შეიძლება. თუმცა ჯობდა, უფრო პატარა გუფთები გაგეკეთებინა, _ წუწუნებდა მამა.

_ როგორიც საჭიროა, ისეთი გავაკეთე! _ უპასუხა დედამ. _ ზომიერი გუფთებია და თანაც შებრაწული.

დედამ კიდევ საქონლის მკერდის კერძი მოამზადა, ხბოს დაბეგვილი ხორცი, ქაშაყის სალათა, დამუჟუჟებული ქაშაყი, ვაშლიანი ღვეზელი, შებოლილი გველთევზა, მოშუშული ბოსტნეული, ორი უზარმაზარი ყველიანი ღვეზელი, კიდევ სხვანაირი ღვეზელი, ისიც ძალიან გემრიელი. ასე რომ, სტუმრებს ოდნავადაც არ უნანიათ, ღვეზელების საჭმელად ამხელა გზა რომ გამოიარეს.

ემილსაც ძალიან უყვარდა ეს ღვეზელი.

დღეც მშვენიერი გათენდა. მზე ოქროსფრად ჩახჩახებდა, კვირტები აფეთქებოდა ვაშლის ხეებსა და იასამანს, ჰაერი აევსო ჩიტების ჭიკჭიკს. ოცნებასავით მშვენიერი იყო ბექობზე შეფენილი ხუტორი. ბაღი გაწმინდეს, ბილიკებზე მოყრილი ქვიშა ფოცხით მოასწორეს. სახლი სისუფთავით ბრწყინავდა. თითქოს ყველაფერი მზად იყო სტუმრების შესახვედრად.

_ ვაი, ალმის აწევა დაგვავიწყდა! _ წამოიძახა უცებ ემილის დედამ.

ხომ იცით, ხუტორებში წესად ჰქონდათ, სტუმრებს ფლაგშტოკზე აფრიალებული ალმით შეხვედროდნენ.

ეს საქმე მამას ევალებოდა.

ისიც მაშინვე ფლაგშტოკისაკენ გაიქცა, უკან ემილი და იდა მიჰყვნენ. უნდოდათ ენახათ, როგორ ასრილადებოდა ალამი მაღლა.

_ მე მოგნია, ჩვენი დღესასწაული კარგად ჩაივლის, _ უთხრა დედამ ლინას, როცა მარტონი დარჩნენ სამზარეულოში.

_ რა თქმა უნდა, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, ემილი წინასწარ დაგვემწყვდია? _ ნაფიქრი გაანდო ლინამ.

დედამ საყვედურით შეხედა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

ლინამ თავი ჯიუტად გაიქნია და ჩაიბუტბუტა:

_ მე რა მენაღვლება! თქვენ თვითონ ინანებთ, თორემ...

_ ემილი ძალიან კარგი ბიჭია, _ არ შეეპუა დედა.

სამზარეულოს ფანჯრიდან გარკვევით ჩანდა, როგორ დარბოდა ეს კარგი ბიჭი ბაღში, როგორ ეთამაშებოდა თავის დას.

«ნამდვილი ანგელოზები არიან», _ ფიქრობდა დედა და თვალს ვეღარ წყვეტდა ბავშვებს. მართლაც, ზოლიან საკვირაო კოსტიუმში გამოწყობილი ემილი, ქერა ჯიუტ

ქოჩორზე მოგდებული კეპით, და წითელკაბიანი იდა, წელზე თეთრი შარფით, ისეთი სანახავები იყვნენ, რომ დედას პირს ღიმილი გადასდიოდა. მერე მათ თვალი მოსწყვიტა, მიუსვენრად გახედა გზას და ჩაილაპარაკა:

_ მალე მაინც აღმართოს ანტონმა ალამი, თორემ საცაა სტუმრები მოგვადგებიან კარს.

საქმე ჩინებულად მიდიოდა. მაგრამ, წარმოდგიდგენია, რა მოხდა! სწორედ იმ დროს, როცა ემილის მამამ ყველაფერი მოამზადა და ის იყო, ალამი უნდა აღემართა, ბოსლიდან ალფრედმა მოირბინა ყვირილით:

_ ძროხა ხბოს იგებს! ძროხა ხბოს იგებს!

სხვას რას უნდა ელოდე ბრუკისაგან. იმას ხომ მაინცდამაინც მაშინ მოუნდება ხბოს მოგება, როცა სტუმრებს ელიან, ხოლო ალამი ჯერ არ არის აღმართული!

ემილის მამა, რა თქმა უნდა, მაშინვე ბოსლისაკენ გაქანდა, ემილი და იდა კი ფლაგშტოკთან დარჩნენ.

იდამ მაღლა აიხედა და ფლაგშტოკის წვერზე წამოცმულ ოქროსფერ ბურთს დაუწყო ცქერა.

_ რა მაღლაა! _ თქვა მერე. _ იქიდან, ალბათ, მთელი მარიანელუნდი ჩანს.

ემილი წამით ჩაფიქრდა.

_ ეგ ახლავე შეგვიძლია შევამოწმოთ. გინდა მაღლა აგიყვანო?

დაიკო იდა აკისკისდა. რა კარგია, ემილისთანა ძმა რომ ჰყავს. სულ საინტერესო რამეებს იგონებს.

_ აკი მინდა მარიანელუნდის დანახვა! _ უთხრა ძმას.

_ გინდა და დაინახავ! _ დააიმედა ემილმა, აიღო კაუჭი, რომლითაც ალამს ამაგრებენ და იდას თეთრ ქამარს გამოსდო, ხოლო თვითონ ორივე ხელით ჩაეჭიდა ალმის ასაწევ თოკს.

_ აბა, ბედნიერად! _ უთხრა დას.

პასუხად იდამ გულიანად ჩაიკისკისა.

ემილმა მოქაჩა და მოქაჩა თოკი, მაგრამ ალმის ნაცვლად ზევით იდა ასრიალდა. ასე ადიოდა ზევით და ზევით, ფლაგშოტკის წვეროსაკენ. ემილმა თოკი ზუსტად მამასავით დაამაგრა, რომ იდა არ ჩამოვარდნილიყო და არ დაშავებულიყოი.

და აი, ახლა იდა ჰაერში ნამდვილი ალამივით ფრიალებდა.

_ ხედავ მარიანელუნდს? _ ასძახა ემილმა.

_ არა! მარტო ლიონებერგა ჩანს, _ აჭყიპინდა იდა.

_ მარტო ლიონებერგა?.. აბა, ჩამოგიყვანო? _ დაუყვირა ემილმა.

_ არა, ჯერ არა! _ ჩამოსძახა იდამ. _ ლიონებერგის ყურებაც საინტერესოა... ვაი, ემილ, სტუმრები მოდიან!

მართლაც მოაწყდნენ ხუტორს სტუმრები. მალე მთელი ეზო ეტლებითა და ცხენებით გაიჭედა. მგზავრები ეტლებიდან ჩამოვიდნენ და სახლისაკენ გაემართნენ. ყველაზე წინ მედიდურად მოაბიჯებდა ფრუ პეტრელი, რომელმაც დედიკო ალმას ღვეზელის საგემებლად ვიმერბიუდან ჩამოსვლაც კი არ დაიზარა. ტანადი, წარმოსადგეი ფრუ პეტრელი, ფრთებიანი შლაპით თავზე, ნამდვილ დარბაისელ მანდილოსანს ჰგავდა.

იგი სიამოვნებით იცქეირებოდა აქეთ-იქით. მართლა ლამაზი იყო ახლა ხუტორი: მზით გაჩახჩახებულ სახლს გარს აყვავებული ვაშლის ხეები და იასამნის ბუჩქები ერტყა. ყველაფერს საზეიმო იერი დაჰკრავდა. იქნებ ალმის გამო? ფლაგშტოკზე ალამი ფრიალებდა და, თუმცა ფრუ პეტრელი ბეცი იყო, ამას მაინც ხედავდა.

ალამი! ფრუ პეტრელი მოულოდნელობისაგან ადვილზე გაქვავდა. წარმოუდგენელ ამბებს სჩადიან ეს სვენსონები!

ამ დროს ემილის მამა გამოვიდა ბოსლიდან და აღშფოთებულმა ფრუ პეტრელმა დაჰკივლა:

_ ანტონ! რას ნიშნავს ეს? რატომ ჩვენი შვედური ალამი არ აღმართეთ? რა უნდა აქ «დანიელს»?

ემილი იქვე იდგა, მაგრამ არ იცოდა, რა იყო ეს «დანიელი». წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ ასე ერქვა დანიის, დანიელებით დასახლებული ქვეყნის თეთრ-წითელ დროშას. სამაგიეროდ, მშვენივრად იცოდა, ფლაგშტოკის წვერზე თეთრ-წითლად რაც ფრიალებდა.

_ ხა-ხა-ხა! _ გულიანად გაეცინა ემილს. _ ეგ ალამი კი არა, ჩემი და იდაა!

ფლაგშტოკის წვერზე მოქანავე დაიკო იდაც იცინოდა.

_ მე ვარ, მე! _ ჩამოსძახა ქვევით მყოფთ. _ მთელი ლიონებერგას ვხედავ აქედან.

ემილის მამას კი არ გასცინებია, მაშინვე ძირს დაუშვა იდა.

_ ისე მხიარულად, იქ, მაღლა რომ ვიყავი, არასოდეს ვყოფილვარ, _ მიწაზე ფეხის დადგმისთანავე აკისკისდა იდა, _ მარტო მაშინ ვიყავი, ემილმა რომ მორსში მაბანავა.

იდას აი რა გაახსენდა: ერთხელ ისა და ემილი ინდიელობანას თანაშობდნენ და ნამდვილი ინდიელივით წითელკანიანი რომ გაეხადა, ემილმა დაჭყლეტილი მოცვით სავსე როფში ჩააყურყუმელავა.

იდა რომ კმაყოფილი იყო, ამას ემილიც ხედავდა, მაგრამ, გაგიგონია, ამისთვის მადლობა ვინ უთხრა. პირიქით! მამამ უხეშად სტაცა ხელი და იქაურობას გააშორა.

_ რას გეუბნებოდით? _ წამოიძახა ლინამ, როცა დაინახა, როგორ მიათრევდა მამა ემილს ფარდულისაკენ, სადაც უხეირო ცელქობისათვის ამწყვდნენ ხოლმე.

ემილი ყვიროდა, ტიროდა, არ ნებდებოდა.

_ თვითონ უნდოდა მა-რი-ა-ნე-ლუნ-დის და-ნა-ხვა! _ სლუკუნებდა გულამოსკვნილი და იმ წუთში მამა ძალიან უსამართლო ადამიანად მიაჩნდა. აბა, რა იცოდა, მისთვის ხომ არავის უთქვამს, დაიკოსათვის მარიანელუნდის ჩვენება არ შეიძლებაო. რა მისი ბრალია, თუ იდამ ლიონებერგის მეტი ვერაფერი დაინახა.

ემილი მანამ ტიროდა, სანამ მამა კარს გაიკეტავდა. მარტო დარჩენილმა კი ხელად დაიმშვიდა გული. მართალი თუ გინდატ, ფარდულში ჯდომა სულაც არ იყო მოსაწყენი, იქ ბლომად ეყარა ხის პატარ-პატარა ნაპობები და ფიცრები, რისგანაც ათასი რამის გამოთლა შეიძლებოდა. ყოველთვის, როცა ემილს მორიგი ცელქობისათვის ფარდულში ამწყვდევდნენ, ხის შესაფერისი ნაჭრიდან რაიმე სასაცილო ფიგურას თლიდა. ასე დაუგროვდა ორმოცდათოთხმეტი ცალი და, როგორც ეტყობოდა, კიდევ ბევრი მიემატებოდა.

_ სულაც არ მინდა მაგათ სულელურ წვეულებაზე ყოფნა, _ დაიმშვიდა თავი. _ თუ უნდა, თვითონ ასწიოს მამაჩემმა ალამი. მე აგერ ახალ კაცუნას გამოვთლი და ვიჯდები მერე გაბრაზებული.

ასე ამბობდა ემილი, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ გარეთ მალე გამოუშვებდნენ. მას ხომ ფარდულში დიდხანს არასოდეს ამწყვდევდნენ.

«გამოდი, თუ უკვე დაუფიქრდი შენს საქციელს, _ ეტყოდა ხოლმე მამა. _ ოღონდ იცოდე, ასეთი რამ აღარასოდეს გაიმეორო!»

რაც მართალია, მართალია, ემილს ამას ვერ უსაყვედურებდი, ძალზე იშვიათად იმეორებდა სიანცეს, სულ ახალ-ახალ ოინებს იგონებდა.

მაშ ასე, იჯდა ემილი ფარდულში, ნაპობიდან ახალ კაცუნას თლიდა და ფიქრობდა, ალმის მაგივრად როგორ ასწია ფლავშოტკზე იდგა. მაგრამ მალე საქმეც მოსწყინდა და ფიქრიც, იმიტომ, რომ ფიგურებს მარჯვედ და სწრაფად თლიდა, დიდხანს ფიქრი კი არ უყვარდა.

ერთი სიტყვით, ფარდულიდან გამოსვლა მოუნდა. მაგრამ, ეტყობოდა, მშობლებსაც დაავიწყდათ და სტუმრებსაც. ის იცდიდა, იცდიდა და, თანდათან ელეოდა მოთმინება. არავინ მოდიოდა... რა უნდა ექნა? გადაწყვიტა, როგორმე თვითონ გავძვრები აქედანო.

ფანჯრიდან ხომ არ ეცადა?

«არც ისე ძნელი იქნება», _ გაიფიქრა ემილმა. და თუმცა ფანჯარა მაღალზე იყო გამოჭრილი, ძირს დაყრილ ფიცრებზე აბობღდა და იოლად ასწვდა. ჯერ გამოაღო, გადავხტებიო, მერე, დაბლა რომ ჩაიხედა და ფანჯრის ქვეშ მოდებული ჭინჭარი დაინახა, გადაიფიქრა, ჭინჭარში ჩახტომა სულაც არ ეპიტნავებოდა. ერთხელ უვკე სცადა, მაშინ აინტერესებდა, როგორიაო... და ის იყო და ის, ცდის გამეორების სურვილი აღარ გასჩენია.

_ გიჟი კი არა ვარ, _ ჩაილაპარაკა თავისთვის, _ სხვა გზასაც მოვნახავ აქედან გასასვლელად.

შენ რომ ოდესმე გენახა კატხულტისთანა ხუტორი, გაოცდებოდი; ისეა ერთმანეთზე მიჯრილი სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობა. მოკლედ, ეზოში შეხვიდოდი თუ არა, მაშინვე დამალობანას თანაში მოგინდებოდა.

კატხულტში მარტო თავლა, ბოსელი, საღორე, საქათმე და ფარეხი კი არა, ათასნაირი ბეღელი და ფარდული იდგა. მაგალითად, ფარდული, სადაც დედას ძეხვი ბოლში გამოჰყავდა და სამრეცხაო, სადაც სარეცხს რეცხავდა. ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგა ორი ფარდული: შეშისა, ახლა რომ ემილი იყო ჩამწყვდეული, და საკუჭნაო _ პროდუქტებისათვის.

საღამოობით ემილი ამ ნაგებობებს შორის ხშირად ეთამშებოდა თავის დაიკოს, ოღონდ ჭინჭარს ახლოს არ ეკარებოდა.

მაგრამ ახლა ჩაკეტილი იყო და არაფრის თამაში არ შეეძლო, ფანჯრიდან გადახტომას კი ჭინჭრის შიშით ვერ ბედავდა.

ემილი ჩაფიქრდა. ერთი მიიხედ-მოიხედა და უცბად საკუჭნაოს ღიად დარჩენილი ფანჯარა შეამჩნია. შეამჩნია და მაშინვე მშვენიერი რამ მოიფიქრა: ამ ფანჯრებს შუა ფიცარი გაედო, რაც ძნელი არ იყო, და ისე გადამძვრალიყო საკუჭნაოში. მართლა და მართლა მოსწყინდა ამ შეშის ფარდულში ჯდომა, თანაც შიმშილით კუჭი აუწანწალდა.

ემილი იმათ არა ჰგავს, რამეზე დიდხანს რომ ფიქრობენ და ყოყმანობენ. წამში ფიცარი ფანჯრებს შუა გასდო და ზედ გაბობღდა. სიმართლე გითხრათ, გული უკანკალებდა: ფიცარი ძალიან ვიწრო იყო, თვითონ _ ტყვიასავით მძიმე.

_ ოღონდ ნუ ჩავვარდები და, დედას ვფიცავარ, ჩემს კლოუნ თოჯინას იდას ვაჩუქებ, _ წაიჩურჩულა და შეეცადა წონასწორობა შეენარჩუნებინა.

ფიცარი ჭრიალებდა და იზნიქებოდა. ემილმა დაბლა ჩაიხედა და აღერებული ჭინჭარი რომ დაინახა, შეშინებული გვერდზე გადაქანდა.

_ მიშველეთ! _ იყვირა გულგახეთქილმა და წონასწორობადაკარგული ფიცარს ხელებით ჩამოეკიდა, ცოტაც და ჭინჭარში ჩაგორდებოდა, მაგრამ ბოლო წამში იმარჯვა, ფიცარს ფეხები შემოაჭდო და გაჭირვებით ისევ ზემოდან მოექცა. მერე ზედ ნელ-ნელა გაჩოჩდა და უკვე უწვალებლად მიაღწია საკუჭნაოს.

_ რა ადვილი ყოფილა! _ გული დაწყდა ემილს. _ მაგრამ მაინც ვაჩუქებ იდას ჩემს კლოუნს... ჰო, ალბათ, ვაჩუქებ... ოღონდ დღეს არა. მაინც ძალიან გაიქუცა და... ვნახოთ! ამის გადაწყვეტას მერეც მოვასწრებ!

მან ღონივრად ჰკრა ხელი ფიცარს და შეშის ფარდულში დაყრილ დანარჩენ ფიცრებზე მოადენინა გრიალი. მოეწონა თავისი საქციელი. აბა, როგორ, ყველაფერი თავის ადგილზე უნდა იდოს. მერე კარს ეცა. კარი დაკეტილი აღმოჩნდა.

_ ასეც ვიცოდი! _ თქვა ნაღვლიანად. _ მაგრამ არ აუშავს, მალე მოვლენ ძეხვის წასაღებად და მაშინ მიყურონ. ტყვიასავით გავვარდები გარეთ.

ემილამ ნესტოები გამობერა. საკუჭნაოში საამო სუნი ტრიალებდა, მიიხედ-მოიხედა. აი, ეს მესმის! რამდენი და რა ნაირნაირი საჭმელია. ჭერზე შებოლილი ბარკლები ჰკიდია, კუთხეში დაბრაწული პურის კვერებით სავსე კიდობანი დგას, მის გვერდით, მგაიდაზე ყვითელი ყველის თავები და ახლად შედღვებილი კარაქიანი კოჭობები აწყვია. მაგიდის იქით, ხის როფში დამარილებული ღორის ხორცია. იქვე უზარმაზარი კარადაა, სადაც დედა ჟოლოს სიროფს, ქილებით კიტრის მწნილს, მსხლის ხილფაფას და მარწყვის მურაბას ინახავს ხოლმე. ამ კრადის შუა თაროზე შინაური ძეხვი დევს.

რაც მართალია, მართალია, ეს ძეხვი ემილს ძალიან უყვარს.

ხუტორში ლხინი, რომ იტყვიან, ეშხში შევიდა. სტუმრებმა უკვე დალიეს ყავა და მიირთვეს ფუნთუშები. ახლა ისხდნენ და ელოდნენ, ისევ როდის მოშივდებოდათ, რომ ხორცი, ქაშაყის სალათა და მათთვის მომზადებული ნუგბარ-ნუგბარი საჭმელი მიერთვათ.

ასე მშვიდად ისხდნენ, როცა უეცრად ემილის დედამ წამოიძახა:

_ ვაიმე, ემილი დაგვავიწყდა! რა ხანია ჩამწყვდეულია!

აფორიაქებული მამა ფარდულისაკენ გაიქცა იდაც უკან დაედევნა.

_ ემილ, შეიძლება გამოხვიდე! _ დაუძახა მამამ, ფარდულის კარი ფართოდ გამოაღო და სახტად დარჩა: ემილი ფარდულში არ ჩანდა.

_ ფანჯრიდან გაგვეპარა ის სამაგელი! _ დაასკვნა მამამ.

მაგრამ ფანჯრიდან რომ გადაიხედა და აყელყელავებული, გაუთლელი ჭინჭარი დაინახა, გვარიანად შეშინდა.

_ ვერ გამიგია, სად გაქრა! _ წამოიძახა შეწუხებულმა. _ მისი კვალიც არსად ჩანს. აქ კაციშვილს არ გაუვლია.

აღრიალდა დაიკო იდა, ვაიმე, რა დაემართა ემილისო.

ლინა ხშირად მღეროდა ნაღვლიან სიმღერას ერთ გოგონაზე, რომელსაც მოსწყინდა საშინელ ფარდულში ჯდომა, მძიმე ტყვეობიდან თავის დასაღწევად თეთრ მტრედად იქცა და ცაში აფრინდა. ემილიც ხომ იმ გოგონასავით დაამწყვიდეს და, ვაითუ, ისიც რაიმე ფრინველად იქცა და გაფრინდა.

იდამ ყურადღებით მიიხედ-მოიხედა, სადმე მტრედი ხომ არა ზისო, მაგრამ ფარდულის წინ კენკვა-კენკვით მოსეირნე ქათმის გარდა ვერაფერი დაინახა. ახლა უფრო მეტად აღრიალდა და მამას ჭრელი ქათამი დაანახვა...

_ მამა, ეს ხომ არ არის ემილი? _ ჰკითხა აზლუქუნებულმა.

ემილის მამა, რა თქმა უნდა, ასე არ ფიქრობდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, ემილის დედასთან წავიდა საკითხავად _ ემილმა ფრენა ხომ არ იცოდაო?

არ შემიმჩნევიაო, უპასუხა დედამ.

აწრიალდა ხუტორი, აიშალა სუფრა და სტუმრები ეზოში გამოვცვივდნენ ემილის საძებნელად.

_ ბიჭი შეშის ფარდულში უნდა იყოს, _ უთხრა ემილის დედამ მამას და ისევ იქით გაიქცა. და თუმცა გულდაგულ ეძებდნენ, ემილი ფარდულში ვერ იპოვეს. სამაგიეროდ, თაროზე ჩამწკრივებული ხის ორმოცდათხუთმეტი ფიგურა ნახეს. ფრუ პეტრელს არასოდეს ენახა ერთად შეკრებილი ამდენნაირი ფიგურა და, ვინ გააკეთაო, დაინტერესდა.

_ ჩემმა საყვარელმა ბიჭმა, _ ტირი აუვარდა დედას. _ საოცარი ბიჭი იყო.

_ საოცარი ნამდვილად იყო, _ კვერი დაუკრა ლინამ და თავი გადააქნია. _ ერთი საკუჭნაოშიც შევიხედოთ, იქნებ იქაა!

მართალი გითხრათ, ძალიან გასაკვირი იყო, ასეტი ჭკვიანური აზრი ლინას თავში როგორ გაჭაჭანდა.

სტუმარ-მასპინძლები ახლა საკუჭნაოსაკენ გაეშურნენ.

ემილი არც იქ აღმოჩნდა.

დაიკო იდა უნუგეშოდ ტიროდა, ხოლო როცა არავინ უყურებდა, ჭრელ ქათამთან მრიბოდა და ჩურჩულით ეხვეწებოდა:

_ ნუ გაფრინდები, რა, ემილიკო! ბევრ, ბევრ ფეტვს მოგიტან, ოღონდ ნუ დაგვტოვებ, დარჩი ჩვენთან!

ქათამი არაფერს ჰპირდებოდა, კრიახ-კრიახით მიდიოდა ტავის გზაზე.

ემილი ეძებეს, ეძებეს ყველგან, ძებნისგან ქანცი გაუწყდათ, მაგრამ ვერსად იპოვეს. არ იყო არც შეშის ფარდულში, არც სამრეცხაოში, არც თავლაში, არც ბოსელში და არც საღორეში. მერე ფარეხის შეამოწმეს, საქათმეც, შესაბოლი ფარდულიც, ლუდსახდელიც... ემილი არსად ჩანდა, მორჩა და გათავდა! შეშფოთებულებმა ჭაშიც ჩაიხედეს. საბედნიეროდ, არც იქ აღმოჩნდა. ახლა ყველა ატირდა! ლიონებერგელი სტუმრეიბ ჩუმად, დანანებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს:

_ მართლა მშვენიერი ბიჭი იყო, მშვენიერი!

_ იქნებ მდინარეში ჩავარდა? _ შეეჭვდა ლინა.

კატხულტს შმაგი, მორევებიან მდინარე ჩამოუდიოდა და პატარა ბავშვი შიგ ადვილად დაიხრჩობოდა.

_ ხომ იცი, რომ ემილს მდინარეზე სიარული ავუკრძალეთ! _ მკაცრად უთხრა დედამ.

ლინამ თავი გაიქნია:

_ დიახ, და იმიტომაც წავიდოდა.

ახლა მდინარისკენ გაიქცნენ ყველანი. საბედნიეროდ, ვერც იქ იპოვეს. უფრო მწარედ ატირდა ყველა. დედას კი რა იმედი ჰქონდა, ნადიმი სანაქებო გამომივაო!

სადღა უნდა ეძებნათ ემილი!

_ ვაიმე, რა ვქნათ? _ ამოიკვნესა დედამ.

_ უპირველეს ყოვლისა, უნდა დავნაყრდეთ, _ გადაწყვიტა ემილის მამა და მართალიც იყო _ ემილის ძებნაში სტუმრებს გვარიანად მოშივდათ.

ემილის დედამ სუფრა გაშალა. ქაშაყის სალათი რომ შემოჰქონდა, ზედთუმცა ცრემლები აპკურა, მაინც დადო ხბოს დაბეგვილი ხორცის, შებოლილი მკერდის ნაწილის, ყველიანი ღვეზელებისა და სხვა კერძების გვერდით.ფრუ პეტრელს პირი აუწყლიანდა _ ყველაფერი ისეთი გემრიელი ჩანდა, აღარ იცოდა თვალი რომლისთვის დაედგა. ოღონდ

ეს იყო, მისი საყვარელი შინაური ძეხვი არა ჩანდა. გაუფუჭდა გუნება. მაგრამ უცებ ემილის დედამ დაუძახა ლინას:

_ ძეხვი დაგვიწყებია, საკუჭნაოში გაიქეცი და მოიტანე!

ლინაც გაიქცა. სტუმრები მოუთმენლად ელოდნენ მის დაბრუნებს, ფრუ პეტრელი კმაყოფილი აქიცინებდა თავს:

_ კარგი რამეა ძეხვი, კარგი! ასეთი ნერვიულობის შემდეგ კი მთლად მისწრებაა!

საკუჭნაოდან ლინა უძეხვოდ დაბრუნდა.

_ წამომყევით და ისეთ რამეს გაჩვენებთ, რომ... _ თქვა რაღაც უცნაური გამომეტყველებით.

ასეთი რამ ლინას ხშირად ემართებოდა, ამიტომ ყურადღების მიქცევა არა ღირდა.

_ კიდევ რა სისულელე მოიგონე? _ მკაცრად ჰკითხა დედამ.

ლინა ახითხითდა და, წამომყევითო, გაიმეორა.

მართლაც გაჰყვნენ. გაჰყვნენ სტუმრებიც და მასპინძლებიც.

წინ ლინა მიაბიჯებდა, უკან დანარჩენები მისდევდნენ დაწალიკებულნი და საკუჭნაოში მისვლამდე ესმოდათ მისი უცნაური ხითხითი. მერე მძიმე კარი გამოაღო და საკუჭნაოს მაღალ ზღურბლს გადააბიჯა. სხვებიც მიჰყვნენ.

საკუჭნაოში დიდ კარადასთან შეჩერდა, კარი დამცინავი ღიმილით გამოაღო და მიათითა შუა თაროზე, რომელზეც ემილის დედა ჩვეულებრივ ძეხვს ინახავდა ხოლმე.

თაროზე ძეხვი არა და, ემილი კი დაინახეს.

ბიჭს ეძინა. ძეხვის ნაფცქვენების გორაზე იწვა და ეძინა. დედას ისე გაუხარდა გეგონება, კარადაში მძინარე ბიჭი კი არა, ოქროს ზოდი იპოვაო. მერე რა, რომ ემილს მთელი ძეხვი შეეჭამა. დედას რამდენიმე კილოგრამი ძეხვის დანახვას, მილიონჯერ ერჩია მისი დანახვა. ასე ერჩია მამასაც.

_ აგე, ემილი! _ აჭყივლდა დაიკო იდა. _ ქათმად არა ქცეულა. ჯერ არა, ჯერ არა!

წარმოგიდგენია, როგორ შესძლებია ამდენი ხალხის გაბედნიერება ძეხვით გატიკნილ ბიჭს! ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, ნადიმი მაინც სანაქებო გამოვიდა. ემილის დედამ თაროზე, ნაფცქვენების ქვეშ, ძეხვის პატარა ნაჭერი იპოვა რომელიც ემილმა, ეტყობა, ვერ შეამჩნია. ძეხვის ნაჭერი, მისდა სასიხარულოდ, მაშინვე ფრუ პეტრელს მიართვეს. სხვები, თუმცა ძეხვი არ შეხვდათ, მშივრები მაინც არ დარჩენილან. ძღომაზე მიირთვეს საქონლის მკერდის ნაწილი, ხბოს დაბეგვილი ხორცი, დამუჟუჟებული ქაშაყი, ქაშაყის სალათა, მოშუშული ბოსტნეული, პუდინგი და შებოლილი გველთევზა.

მოსაღამოვდა, მაგრამ არ ჩამობნელებულა, ცისფერმა ბინდმა დაბურა ლიონებერგა და მთელი სმოლანდი. ემილის მამამ ალამი დაუშვა ფლაგშტოკიდან. გვერდით ემილი და იდა იდგნენ და უყურებდნენ, როგორ მოსრიალებდა იგი ქვევით.

ნადიმი დასრულდა. ყველანი შინისაკენ გაეშურნენ. ყველაზე ბოლოს ფრუ პეტრელი გაემგზავრა თავისი ორთვალათავი. ემილს და იდას დიდხანს ესმოდათ მისი ცხენის ფლოქვების თქარათქური.

_ მე მგონი, ფრუ პეტრელს ძალიან გაუხარდება ჩემი ვირთხუნიას ნახვა, _ ფიქრიანად თქვა ემილმა.

_ რომელი ვირთხუნიასი? _ გაუკვირდა იდას.

_ იმისი, ჩანთაში რომ ჩავუსვი, _ აუხსნა ემილმა.

_ რატომ ჩაუსვი? _ გაუკვირდა დაიკო იდას.

_ შემეცოდა და... _ უპასუხა ემილმა. _ მთელ ცხოვრების მანძილზე ძეხვით სავსე კარადის მეტი არაფერი უნახავს. ჰოდა, გადავწყვიტე, მისთვის ქვეყანა მეჩვენებინა.

_ მერე გგონია, რომ ფრუ პეტრელს გაუხარდება? _ დაეჭვდა იდა.

_ ეჭვიც არ მეპარება, _ არ გატყდა ემილი.

მაშ ასე, 10 ივნისს ემილმა ფლაგშტოკზე ასწია დაიკო იდა და ერთიანად შესანსლა სტურმებისათვის დამზადებული ძეხვი. იქნებ ისიც, გაინტერესებს, რა მოხდა. . . . . .

კვირას, 8 ივლისს,

როცა ემილმა...

ალფრედს ძალიან უყვარდა ბავშვები, ემილი ხომ მთლად გამორჩეული ჰყავდა, არც მისი სიცელქე აწუხებდა და არც არაფერი. ისეთი მშვენიერი ხის თოფი გამოუთალა, ნამდვილს არ ჩამოუვარდებოდა, ოღონდ, რა თქმა უნდა, არ ისროდა. ემილი მაინც ყველაფერს უმიზნებდა, ყვიროდა, «ბუხ-ბუხო» და ბეღურებს ისე აწიოკებდა, რამდენიმე დღე ხუტორს ახლოს აღარ ეკარებოდნენ. ძალიან უყვარდა ემილს თავისი თოფი, ისე უყვარდა, უიმისოდ ლოგინში არა წვებოდა. «სად არის ჩემი თოფუკაო?» _ ყვიროდა და ჯავრობდა, როცა დედას შეცდომით თოფუკას მაგიერ კუპეკა მოჰქონდა. «კეპუკა კი არა, თოფუკა მინდა, თოფუკა!» _ არ იშლიდა თავისას. _ «თუ არ მომცემთ, არ დავიძინებ», _ დაიჟინებდა და ისრულებდა კიდეც თავისას.

ერთი სიტყვით, ემილს უყვარდა თავისი თოფი, თოფს კი ალფრედი ერჩია, რომელმაც ეს თოფი გამოუთალა. ამიტომ გასაკვირი არაა, გულამოსკვნილი რომ ტიროდა. ალფრედის ხულტსფრედში სამხედრო შეკრებაზე გამგზავრებისას. იქნებ შენ არ იცი, რა არის სამხედრო შეკრება? ეს სპეციალური ვარჯიშია. ამ ვარჯიშზე ჭაბუკებს ბრძოლას ასწავლიან, ლიონებერგისა და მისი ახლომახლო სოფლების ბიჭები ესწრებოდნე ხოლმე ასეთ შეკრებას, რათა მერე, თუ საჭირო იქნებოდა ჯარისკაცები გამხდარიყვნენ.

_ თითქოს ჯიბრზე შეკრება იმ დღეებშია დანიშნული, როცა თავის გადმოზიდვა გვინდოდა. _ ბუზღუნებდა ემილის მამა. ძალზე უკმაყოფილო იყო, ალფრედი თიბვის დროს ხუტორში არ იქნებაო. რას იზამ, სამწუხაროდ, ემილის მამა კი არა, მეფე და ნენერლები წყვეტდნენ, როდის უნდა წასულიყვნენ საჯარისკაცოდ მოსამზადებლად ლიონებერგელი ბიჭები ხულტსფრედში.

რა თქმა უნდა, შეკრების დამთავრებისთანავე, იმ დროს კი ეს შეკრება ხანმოკლე იყო, ალფრედს შინ გამოუშვებდნენ. ასე რომ, თუმცა ემილს დიდი ცრემლის ფრქვევის მიზეზი არ ჰქონდა, ის მაინც ტიროდა. ტიროდა ლინაც. აბა, ალფრედი მარტო ემილს ხომ არ უყვარდა?

სამაგიეროდ, ალფრედი არ ტიროდა, პირიქით, სიხარულით მიემგზავრებოდა ხულტსფრედში, სადაც ყოველთვის მშვენიერ დროს ატარებდა. ჰოდა, როცა როთვალა დაიძრა, ერთი ჩაიცინა და დარჩენილების დასამშვიდებლად ამღერდა. ამღერდა, მაგრამ მისი სიმღერა ვის ესმოდა ლინას ღრიალში! ორთვალა მალე გაუჩინარდა მოსახვევში.

ემილის დედა ლინას დამშვიდებას შეეცადა:

_ ნუ წუხხარ, ლინა, ცოტაც მოითმინე, 8 ივლისს ხულტფრედში დღესასწაული იქნება და ორივე გავემგზავრებით. ალფრედსაც მაშინ ნახავ.

_ მეც მინდა ხულტსფრედში წამოსვლა! _ საუბარში ჩაერთო ემილი. _ გართობაც მინდა და ალფრედის ნახვაც.

_ მეც მინდა! _ აჭყიპინდა დაიკო იდა.

ემილის დედამ თავი გადააქნია:

_ ხულტსფრედში ბავშვებს არაფერი ესაქმებათ. იქ ისეთი ჯგლეთაა ხოლმე, ნამდვილად გაგჭყლეტენ.

_ მე მიყვარს ჯგლეთა! მიყვარს, როცა მჭყლეტენ, _ არ შეპუა ემილი, მაგრამ არაფერმა უშველა.

8 ივლისს დილით ემილის დედა, მამა და ლინა ხულტსფრედში გაემგზავრნენ დღესასწაულზე, ემილი და დაიკო იდა კი არ წაიყვანეს. ოღონდ, ბავშვები მარტო რომ არ ყოფილიყვნენ, მათთან მოხუცი ქალი _ კრიუსე-მაია დატოვეს, რომელიც ხუტორში ხშირად მოდიოდა და მათ საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა.

იდა ბუნჩულა გოგო იყო, კრიუსე-მაიამ მაშინვე კალთაში ჩაისვა და დაიწყო მოყოლა მოჩვენებებზე. იდა სულგანაბული და დიდად კმაყოფილი უსმენდა. ემილზე კი ვერ იტყოდით, კმაყოფილიაო. მაშინვე დაავლო ხელი თავის თოფს და გაბრაზებული სულ ფრუტუნ-ფრუტუნით გაიქცა თავლისაკენ.

_ არა, არა, ასე რა გამაჩერებს, _ დუდუნებდა გაგულისებული. _ მეც მინდა ხულტსფრედში წასვლა და სხვებივით კარგი დროსტარება. მინდა და წავალ კიდეც. აი, ნახავ, იულან! _ უთხრა თავლის უკან მდელოზე მობალახე ბებერ ფაშატს. ხუტორში მეორე ცხენიც ჰყავდათ, ურო ახალგაზრდა _ მარკუსი. სწორედ მარკუსს მიჰყავდა ახლა ემილის დედა, ემილის მამა და ლინა ხულტსფრედში. ჰო, ჰო, გასაგებია, იმათ ემილის გარეშე უნდათ დროსტარება.

_ მაგრამ მე ვიცი, ახლა ვინ დაედევნებათ უკან ქარივით, _ დუდუნებდა ისევ. _ მე და შენ, იულან!

თქვა და შეასრულა კიდეც ნათქვამი, ცხენს აღვირი მოსდო და მინდვრიდან წამოიყვანა.

_ ნუ გეშინია, _ ამშვიდებდა ცხენს. – ალფრედს გაუხარდება ჩემი დანახვა, შენც იპოვი, ალბათ, ბებერ ჯაგლაგს. დადგებით გვერდიგვერდ და გემრიელად იხვიხვინებთ.

ემილმა იულანი კუტიკართან მიაყენა, თვითონ ზედ ამვრა და ისე შეაჯდა ცხენს, სხვანაირად ვერაფრით ვერ შესწვდებოდა.

აი, რა ეშმაკი ბიჭი იყო!

_ აჩუ, ცხენო! _ დასჭყივლა ემილმა. _ კრიუსე-მაიას კი, როცა შინ დავბრუნდებით, მაშინ დავემშვიდობები.

და იულანმაც ზურგზე შემოსკუპული ემილი გზაზე გააჩაქჩაქა. ემილი წელში გამართული და თოფმომარჯვებული იჯდა. ჰო, ჰო, თოფი, რა თქმა უნდა, თან წაიღო, აბა, ხულტსფრედში უიარაღოდ როგორ გამოჩნდებოდა?! თუ ალფრედი ჯარისკაცია, ემილიც ჯარისკაცი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ემილი ასე ფიქრობდა. ალფრედს შაშხანა აქვს, ემილს თოფუკა, მაგრამ ეს თითქმის ერთი და იგივეა, ასე რომ, ორივენი ჯარისკაცეიბ არიან.

ბებერი იყო იულან, მისი გაჭენება სადღა შეიძლებოდა, სიარულითაც ძლივს მიდიოდა, ამიტომ გასამხნევებლად ემილი ამღერდა. ასე იარეს ხან ჩორთით, ხან ნაბიჯით და, ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს ხულტსფრედს.

_ ვაშა! _ დაიყვირა ემილმა. _ ახლა კი გავერთობით!

მაგრამ მიიხედ-მოიხედა და გაშეშდა. რა თქმა უნდა, იცოდა, ამ ქვეყანაზე რომ ბევრი ადამიანი ცხოვრობდა, მაგრამ იამს როგორ წარმოიდგენდა, თუ ყველა აქ, ხულტსფრედში, მოისურვებდა შეყრას. ამდენი ხალხი თავის სიცოცხლეში არ ენახა! იდგნენ უზარმაზარი მინდვრის გარშემო, რომელზეც მარშით დააბიჯებდნენ ჯარისკაცები. მიიდებდნენ ჯარისკაცები შაშხანას მხარზე და ხან მარჯვნივ შეტრალდებოდნენ, ხან _ მარცხნივ. მოკლედ, აკეთებდნენ ყვლაფერს, რასაც ჩვეულებრივი ჯარისკაცები აკეთებენ. ავი გოდორა ბერიკაცი კი ცხენით მათ გარშემო დაჭენაობდა და ყვიროდა, რაღაც ბრძანებებს იძლეოდა. ჯარისკაცები რატომღაც ყვირილის ნებასაც აძლევდნენ და უსიტყვოდაც ასრულებდნენ მის მოთხოვნებს. ემილს ეს ძალიან გაუკვირდა.

_ აქ უფროსი ალფრედი არ არის? _ ჰკითხა იქვე მდგარ სოფლელ ბიჭებს. მათ არაფერი უპასუხნიათ, გაფაციცებით მიჩერებოდნენ ჯარიკაცებს.

ერთხანს ემილიც დაინტერესდა, მაგრამ მალე მობეზრდა. ალფრედის ნახვა მოუნდა, ის ხომ ამისთვის იყო ჩამოსულიყ. რა ექნა, ყველა ჯარისკაცს ლურჯი ფორმა ეცავ და ერთმანეთს ტყუპისცალებივით ჰგავდნენ, მოდი და იპოვე, თუ ბიჭი ხარ!

_ მოიცა, ალფრედი თვითონ დამინახავს, _ ეუბნებოდა ემილი ცხენს, _ დამინახავს და მაშინვე ჩემსკენ გამოიქცევა. ამ ბრაზიანმა ბებერმა კი რამდენიც უნდა, იმდენი იუფროსოს.

ალფრედს რომ ადვილად დაენახა, ცხენზე შემჯდარი ემილი მინდროზე მოვარჯიშე ჯარისკაცებს მიუახლოვდა და აღრიალდა:

_ ალფრედ, სადა ხარ. გამოდი, გავერთოთ! შენ რა, ვერა მხედავ?

ალფრედმა, რა თქმა უნდა, დაინახა ბებერ ჯაგლაგზე ამხედრებული ემილი თავისი კეპუკათი და თოფუკათი, მაგრამ მწყობრში იდგა და მწკრივიდან გამოსვლას ვერა ბედავდა. ეტყობა, იმ ავი ბერიკაცის ეშინოდა, სულ რომ ყვიროდა და მბრძანებლობდა.

სამაგიეროდ, თვითონ ცხენზე ამხედრებული სქელი ბებრუცუნა მივიდა ემილთან და ალერსიანად ჰკითხა:

_ რა მოხდა, ბიჭუნა, დაიკარგე? დედიკოს და მამიკოს ეძებ? ემილს ამაზე სულელური კარგა ხანია არაფერი გაეგონა.

_ არაფერიც არ დავკარგულვარ. აგერა ვარ. თუ ვინმე დაიკარგა, ისევ დედაჩემი და მამაჩემი.

და მართალიც იყო!

დედა ამბობდა, ხულტსფრედში სამხედრო მანევრების დროს ბავშვები შეიძლება დაიკარგონო. მაგრამ ახლა ამ წარმოუდგენელ ჯგლეთაში მამასთან და ლინასთან ერთად მოხვედრილი, თვითონ ვეღარ იძროდა ადგილიდან. დაკარგულები იყვნენ, აბა, რა! თუმცა მაშინვე მიხვდნენ, რომ ბებერ ჯაგლაგზე შემომჯდარი თავკეპუკიანი და ხელთოფუკიანი ბიწი სხვა არავინ იყო, თუ არა მათი ემილი.

ემილის მამამ თქვა:

_ კიდევ მოუწევს მაგ ბიჭს ერთი ხის კაცუნას გამოთლა.

_ რა თქმა უნდა, _ დაეთანხმა დედა. _ მაგრამ ემილთან რომ მივიდეთ, აქედან უნდა გავაღწიოთ.

მართლაც, ეს როგორ უნდა მოეხერხებინათ? შენ თუ ოდესმე ყოფილხარ ხულტსფრედის სამხედრო აღლუმისნაირ დღესასწაულზე, იცი, იქ რა ორომტრიალია. დაამთავრეს თუ არა ჯარისკაცებმა ვარჯიში და მწყობრი ნაბიჯით სადღაც წავიდნენ, ეს უზარმაზარი მინდორი მაშინვე ხალხით აივსო. ისეთი ჭყლეტა იყო, ემილს იპოვიდი კი არა, თვითონ დაიაკრგებოდი. ემილთან მისვლას, დედას და მამას გარდა, ალფრედიც ცდილობდა, რომელიც განთავისუფლდა და ემილთან ერთად მოუნდა დროსტარება. მაგრამ, გაგიგონია! ყველა ამ ბრბოში ბრუნავდა და ვიღცას ეძებდა. ალფრედი ეძებდა ემილს, ემილი _ ალფრედს, ემილის დედა _ ემილს, ლინა _ ალფრედს, ემილის მამა კი მართლა დაკარგულ დედას და ასე იტრიალა მთელი ორი საათი, სანამ სრულიად შემთხვევაში არ გადააწყდა.

ემილი მაინც ვერავინ იპოვა ვერც ის შეხვდა ვერავის, მიხვდა, მარტო მოუწევდა გართობა, თორემ ყველაფერი მის გარეშე ჩაივლიდა.

უპირველეს ყოვლისა, იულანზე უნდა ეფიქრა: რომ დაჰპირდა, ბებერ ჯაგლაგს გიპოვი, რომ გვერდიტვერდ დადგეთ და ერთად იხვიხვინოთო. ემილი რომ გაერთობა, არც იულანმა უნდა მოიწყინოს!

მაგრამ, თუმც ძალიან ცდილობდა, იულანს ბებერი ჯაგლაგი ვერ უპოვა, სამაგიეროდ, უპოვა მარკუსი, ტყის პირას ხეზე მიბმული გემრიელად ღეჭავდა თივას. გვერდით მათი ორთვალა იდგა _ ემილმა მაშინვე იცნო. იულანს, როგორ ეტყობოდა, ძალიან გაუხარდა მარკუსთან შეხვედრა, ამიტომ ემილმა ისიც იმავე ხეს მიაბა და

ორთვალადან ერთი იღლია თივა ამოუღო: ძველ დროში თუ ცხენით სადმე მიემგზავრებოდნენ, თივა აუცილებლად თან მიჰქონდათ. იულანმა მაშინვე თივის ღეჭვა დაიწყო. ემილმა შეხედა და მიხვდა, რომ თვითონაც ძალიან მოშიებოდა. «ოღონდ თივის ჭამა რატომღაც არ მინდა», _ გაუელვა თავში.

არც იყო ამისი გასაჭირი. ირგვლივ უამრავი კარავი და ფარდული იდგა, სადაც რამდენსაც გინდოდა, იმდენ ბუტერბროდს, ძეხვს, ფუნთუშასა და თაფლაკვერს იყიდიდი, რა თქმა უნდა, თუ ფული გქონდა.

გართობის მსურველებს კი ათასგვარი თავშესაქცევი ელოდა: ცირკი, საცეკვაო მოედანი, კარუსელი, ატრაქციონები _ ყველას რას ჩამოთვლი!.. წარმოგიდგენია, იქ დაშნიყლაპიაც იყო, რომელიც ნამდვილ დაშნებს ყლაპავდა. იყო ცეცხლიყლაპიაც, ის კიდევ ცეცხლის ალსა ყლაპავდა. იქვე იჯდა დიდებული მანდილოსანი. ის მხოლოდ ყავასა და ფუნთუშებს ყლაპავდა, რითაც, რა თქმა უნდა, ვერაფერს იშოვიდა, თავისდა საბედნიეროდ, წვერიანი რომ არყოფილიყო. აი, იმ უცნაური წვერის ნახვაში კი ართმევდა ფულს ხალხს, მაგრამ მნახველი არა და არ ელეოდა.

ერთი სიტყვით, ხულტსფრედის მინდორზე ყველაფერს ფული სჭირდებოდა, ფული კი ემილს არ გაცნდა.

სამაგიეროდ, როგორც უკვე გითხარით, ფხიანი ბიჭი იყო და ნახვაც ბევრი რამისა სურდა. გართობა ცირკით დაიწყო. ეს ყველაფზე ადვილი აღმოჩნდა, წაათრია იქვე დაგდებული ცარიელი ყუთი და მიადგა ცირკის ბრეზენტის კედელს. მერე ყუთზე აძვრა და ჭუჭრუტანაში დაიწყო ყურება, უყურებდა და ისე გულიაანდ ხარხარებდა კლოუნის ოინებზე, რომელიც ცირკის არენაზე დარბოდა და აცინებდა მაყურებელს, რომ ყუთიდან გადმოვარდა და თავი ქვას დაჰკრა. აღარ მოუნდა ცირკის ყურება, თანაც უფრო მოშივდა.

«მშიერ კუჭზე გართობა არ გამოდის, _ დაასკვნა ემილმა. _ უფულოდ კი საჭმელს არავინ მოგცემს. რამე უნდა მოვიფიქრო».

მან შეამჩნია, რომ ხულტსფრედის მინდორზე საოცრად ბევრი გზით შეიძლებოდა ფულის შოვნა. მაშასადამე, რამე უნდა მოისაზროს, ცეცხლსა და დაშნებს ის ვერ გადაყლაპავს, წვერიც არა აქვს... რა მოიფიქროს?

იდგა და ფიქრობდა. უეცრად შეამჩნია უსინათლო მოხუცი. იგი ყუთზე იჯდა და ნაღვლიანად მღეროდა. ქუდი პირდაპირ მიწაზე დაედო და კეთილი ადამიანები შიგ ხურდა ფულს უყრიდნენ.

«ეს მეც კი შემიძლია, _ გაიფიქრა ეილმა. _ ჩემდა ბედად, კეპუკაც თანა მაქვს».

მან თავისი კეპი მიწაზე დადო და მთელი ხმით ამღერდა. «გაქუსლა ჩემმა მერანმა...»

მის გარშემო მაშინვე მოგროვდა ხალხი.

_ ოჰ, რა მშვენიერი ბიჭუნაა», _ ეუბნებოდნენ ერთმანეთს.

მაშინ, ძველად, ბევრი იყო ღარიბ-ღატაკი, მშიერ-მწყურვალი ბავშვი, ამიტომაც ჰკითხა ვიღაც გულჩვილმა ქალმა:

_ შვილო, დღე საჭმელი არაფერი გქონდა?

_ მარტო თივა, _ გულწრფელად მიუგო ემილმა.

ყველას შეეცოდა ემილი, ვენიდან ბაზრობაზე ჩამოსულ გლეხს კი ამ უპატრონო, საწყალი ბიჭის დანახვაზე, ხალხის შუაგულში რომ იდგა და მღეროდა, ცრემლი მოადგა თვალზე.

ცვიოდა და ცვიოდა ემილის ქუდში ორერეიანი და ხუთერეიანი მოენტები. ზოგიერთმა ათერეიანიც გაიმეტა. ატირებულმა ვენელმა გლეხმაც ამოიღო შარვლის ჯიბიდან ორი ერე, მაგრამ დროზე მოეგო გონს, ფული ჯიბეში ჩაიბრუნა და ემილს შეეპატიჟა:

_ წამო ჩემს ურემთან და კიდევ მოგცემ თივას.

ემილს არაფერი უპასუხნია, მდიდარი იყო _ კეპი მონეტებით ჰქონდა სავსე. იქვე გაშლილ პირველსავე კარავთან მივიდა და უამრავი ბუტერბროდი, ფუნთუშა და თაფლაკვერი იყიდა. ერთი ჭიქა წვენიც აიღო. ხოლო როცა ეს ყველაფერი მიირთვა, ორმოცდაათჯერ დატრიალდა კარუსელზე. მანამდე კარუსელზე არც მჯდარა და ვერც წარმოედგინა, ასეთი კარგი თუ იყო.

«მოკლედ, დროს ფუჭად არა ვკარგავ», _ გაიფიქრა ხის ცხენზე შემჯდარმა ემილმა. კარუსელი სწრაფად და სწრაფად ტრიალებდა და მისგან ამდგარი ქარი თმას უფრიალებდა. თურმე კარუსელზე ტრიალი ამ ქვეყანაზე ყველაფერზე სასიამოვნო ყოფილა!

მერე დაშნიყლაპია, ცეცხლიყლაპია და წვერებიანი ქალი ნახა, რის შემდეგაც ორი ერეღა დარჩა.

«აქ ისეთი კეთილი ადამიანები ყოფილან, კიდევ შეიძლებოდა მემღერა და ჩემი კეპუკა ისევ ფულით აივსებოდა», _ გაიფიქრა ემილმა. მაგრამ აღარც სიმღერა უნდოდა და აღარც ფული სჭირდებოდა... დარჩენილი ორი ერეც უსინათლო მოხუცს მისცა და ისევ ალფრედის საძებნელად გასწია.

ემილს ყველა ადამიანი კეთილი ეგონა, მაგრამ ცდებოდა. ადამიანებშიც ურევია ავი და ბოროტი და ზოგიერთი იმ დღეს ხულტსფრედის სამხედრო აღლუმზეც კი ჩამოვიდა. იმ წლებში სმოლანდში ერთი საშიში ქურდი დაპარპაშებდა. იმ ქურდს ყორანას ეძახდნენ. თავზარსა სცემდა მთელ ოლქს. მის ოინებზე ხშირად წერდნენ ადგილობრივ გაზეთებში. არც ერთ დღესასწაულს და ბაზრობს, ხალხის არც ერთ თავშეყრას არ გამოტოვებდა, სადაც ფულიანი ხალხი ეგულებოდა, ისიც იქ იყო და იპარავდა ყველაფერს, რასაც მოიხელთებდა. ოღონდ, რომ არ ეცნოთ, ყოველთვის სხვადასხვანაირ წვერ-ულვაშს იწებებდა. «აი, ჩამოვდა ხულტსფრედის ბაზრობაზე და აქეთ-იქით დაძრწოდა, საკბილოს ეძებდა. კიდევ კარგი, შავ წვერსა და ფართოფარფლებიან შლაპაში ვერავინ ცნობდა, თორემ ხალხს შიშით გული გადაუტრიალდებოდა.

ყორანას რომ ცოტა მეტი ჭკუა ჰქონოდა, სადაც თოფუკიანი ლიონებერგელი ემილი აჭენებდა ცხენს, იქ სულ არ გამოჩნდებოდა. აი, მისმინე, რა მოხდა!

ემილი დადიოდა ბალაგანებში და ყურადღებით იცქირებოდა აქეთ-იქით, ეგებ ალფრედი ვიპოვოო. ასე აღმოჩნდა ხელმეორედ ქალის კარვის წინ. შეიხედა შიგ და დაინახა, როგორ ითვლიდა ქალი ფულს. ეტყობა, ვეღარ ითმენდა, ისე აინტერესებდა, რამდენი ფული იშოვა თავის წვერებში იმ ბედნიერ კვირა დღეს. როგორც ჩანდა, ფული ბლომად მოგროვილიყო. კმაყოფილმა ქალმა ჩაიღიმა და სიყვარულით ჩამოისვა ხელი წვერზე. აი, სწორედ ამ დროს დაინახა ემილი და გამოსძახა:

_ შემოდი, შემოდი! კარგი ბიჭი ჩანხარ, დაჯექი აგერ და რამდენიც გინდა, იმდენი მიყურე, გროშს არ გამოგართმევ!

ემილს ნანახი ჰქონდა მისი წვერი, მაგრამ თავაზიანად სურდა მოქცეულიყო, ამიტომ შევიდა კარავში. თავზე განუყრელი კეპუკა ეხურა, ხელში კი თოფუკა ეჭირა. დაჯდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს უყურა მანდილოსნის წვერს. ასე, დაახლოებით, ოცდახუთი ერესი გამოვიდოდა.

_ როგორ უნდა მოუშვა ასეთი ლამაზი წვერი? _ ჰკითხა ბოლოს. წვეროსან ქალს აღარ უპასუხნია. სწორედ იმდ როს გაისმა მოგუდული ხმა:

_ მომეცი ფული, თორემ მოგაჭერი ეგ წვერი!

ეს ყორანა იყო. ვერც შეამჩნიეს, ისე შეპარულიყო კარავში. წვეროსანი მანდილოსანი გაფითრდა, რა თქმა უნდა, გაუფითრდა სახის უწვერო ნაწილი. საცოდავმა ქალმა ის იყო გაუწოდა ყორანას თავისი მონაგები, რომ ემილმა ხელში თავისი თოფუკა ჩასჩარა და დაუყვირა:

_ არ დანებდე!

წვერიანმა ქალმა ხელი სტაცა თოფს. კარვის ბინდ-ბუნდში ძნელი იყო რამის გარჩევა და ეგონა, ემილმა ნამდვილი თოფი მომცაო. რაც ყველაზე საკვირველია, ყორანამაც ასე იფიქრა.

_ ხელები მაღლა, თორემ გესვრი! _ დასჭყივლა ქალმა.

ახლა ყორანას გაფითრების დრო დადგა... და ასწია ყორანამ ხელები. იდგა და ერთიანად კანკალებდა, წვეროსანი მადნილოსანი კი ხმამაღლა უხმობდა პოლიციას, ისე ხმამაღლა, რომ ხულტსფრედის მთელ მინდორზე ისმოდა.

მის ყვირილზე მოცვივდნენ პოლიციელები და იმ დღის მერე ყორანა აღარავის უნახავს, აღარც ქურდობა ყოფილა სმოლანდში. ყორანას დამჭერ წვერიან მანდილოსანზე ბევრს წერდნენ გაზეთები, ემილზე და მის თოფუკაზე კი სიტყვა არავის დაუძრავს. ამიტომ ვფიქრობ, დროა ისე მოვყვეთ ყველაფერი, როგორც იყო-მეთქი.

_ რა კარგი ვქენი, ხულტსფრედში კეპუკა და თოფუკა რომ წამოვიღე! _ თქვა ემილმა, როცა პოლიციელებმა ყორანა საპოლიცო უბანში მიაბრძანეს.

_ ჰო, შენ გულადი ბიჭი ხარ, _ უთხრა წვერიანმა ქალმა. _ სამაგიეროდ, რამდენიც გინდა, იმდენი უყურე ჩემს წვერს.

მაგრამ ემილი დაიღალა. აღარც წვერის ყურება სურდა, აღარც გართობა. მარტო ძილი ენატრებოდა. თანაც უკვე ბნელდებოდა. როგორ გაირბინა დღემ! ალფრედი კი ვერა და ვერ ნახა.

ემილის დედ-მამა და ლინაც დაიღალნენ. ისინი იმდენ ხანს ეძებდნენ ერთმანეთსა და ემილს, ხოლო ლინა ალფრედსაც, რომ ახლა არაფრის თავი აღარ ჰქონდათ.

_ ვაიმე, როგორ მტკივა ფეხები, _ აწუწუნდა ემილის დედა. მამამ თანაგრძნობით დაუქნია თავი.

_ ჰო, სასიამოვნო კია ასეთ დღესასწაულებზე დასწრება, მაგრამ ახლა ყველაფერს შინ გამგზავრება აჯობებს, _ თქვა მამამ და ყველანი ტყის პირისაკენ გაემართნენ, რათა ცხენი ორთვალაში შეებათ და შინ დაბრუნებულიყვნენ. თავიანთ შეგულებულ ადგილს რომ მიუახლოვდნენ, ხეზე მარკუსის გვერდით მიბმული თავიანთი ბებერი ჯაგლაგიც დაინახეს. ცხენები წყნარად იდგნენ და ღეჭავდნენ თივას.

ემილის დედა ატირდა.

_ სადა ხარ, ჩემო ბიჭო, სადა ხარ, ჩემო ემილ! _ მოთქვამდა გულმოკლული.

ლინამ თავი გააქნია:

_ ნუ გეშინიათ, ეგ ბიჭი არ დაიკარგება... დაუდეგარია, მორჩა და გათავდა. ცელქობის გარდა არაფერზე ფიქრობს.

უცებ ფეხის ხმა შემოესმათ, მათკენ ვიღაც კაცი მორბოდა. ალფრედი აღმოჩნდა.

_ ემილი სადაა? _ ძლივს ითქვამდა სულს. _ ყოველი კუთხე-კუნჭული მოვირბინე, მთელი დღეა ვეძებ!

_ სულაც არ მაინტერესებს სადაა, _ თქვა ნაწყენმა ლინამ და ორთვალაზე აძვრა.

მაგრამ კინაღამ ემილს დაადგა ფეხი.

ორთვალაში თივა იდო, ემილი იმ თივაში ჩამხობილიყო და ეძინა. მაშინვე გაიღვიძა და დაინახა ლურჯ, ლამაზ ფორმაში გამოწყობილი სირბილისაგან აქოშინებული ალფრედი. ემილმა ყელზე მოხვია ხელი.

_ შენა ხარ? _ ჩაიბურტყუნა გახარებულმა და ისევ ჩაეძინა. მერე კატხულტელები შინისაკენ გაუდგნენ გზას. მარკუსი ჩორთით ყოჩაღად მირბოდა, უკან კი ეტლზე გამობმული იულანი მისდევდა, როგორც შეეძლო. ემილს ისევ გაეღვიძა, დაიანხა ბნელი ტყე და ზაფხულის ნათელი ზეცა. ხარბად ჩაისუნთქა ცხენისა და თივის სურნელი. ყურს მისწვდა ცხენების ფლოქვების თქარათქური და ბორბლების ჭრიალი. მერე ჩაეძინა და თითქმის მთელი გზა არ გაუღვიძია. სიზმარიც ნახა, ვითომ ალფრედი შინ, კატხულტში, ემილთან დაბრუნდა. ასეც მოხდა.

მაშ, ასე, ემილი ხულტსფრედის მინდორზე 8 ივლისს ერთობოდა. აბა, დაფიქრდი, ვინ დაუწყებდა იმ დღეს ემილს ძებნას თავგადაკლული? თუ ვერ მიხვდი, მაშინ კრიუსე-მაიას ჰკითხე! თუმცა არა, ნუ ჰკითხავ. როცა ამ ამბავს უხსენებენ, საწყალი მთლად აფორაჯდება ხოლმე.

ახლა შენ უკვე იცი, რა ამბები დაატრიალა ემილმა 7 მარტს, 22 მაისს და 8 ივლისს. მაგრამ ცელქობის მოყვარულისათვის სხვა დღეებიცაა კალენდარში. ის ცელქობდა ყოველდღე, მთელი წელი, მაგრამ გამორჩეულად მაინც 9 აგვისოტს, 11 ოქტომბერს და 3 ნოემბერს. ხა-ხა-ხა, სიცილით ვკვდები, როცა მახსენდება მისი 3 ნოემბრის ონავრობა. ოღონდ ვერ მოგიყვები, ემილის დედას დავპირდი, არავისთან გავამხელ-მეთქი, თუმცა სწორედ ამ ამბის მერე დაიწყეს ლიონებერგაში ფულის შეგროვება. იმდენად ეცოდებოდათ თანასოფლელებს კატხულტელი სვენსონები, რომ ორმოცდაათი ერეს გაღებაზე უარი არც ერთს არ უთქვამს. შეგროვებულ იფული ერთად გამოკრეს და ემილის დედას მიუტანეს: «იქნებ საკმარისი იყოს თქვენი ემილის ამერიკაში გასამგზავრებლადო».

კარგი საქმეა! ემილი მაერიკაში გაგზავნეთო! მაშინ ვინღა გახდებოდა სოფლსი გამგეობის თავმჯდომარე! რა თქმა უნდა, ბევრი, ბევრი წლის შემდეგ...

საბედნიეროდ, ემილის დედა არ დათანხმდა ასეთ სულელურ წინადადებაზე. ის კი არა, გაცეცხლებულმა ფული ფანჯრიდან ისე მოისროლა მთელი ლიონებერგაში გაიბნა წკრიალით.

_ ემილი ძალიან კარგი ბიჭია, _ თქვა მტკიცედ, _ და ჩვენც როგორიცაა, ისეთი გვიყვარს!..

მაგრამ დედა დედაა და მასაც გული აუფორიაქდა. ასე მოსდით დედებს, როცა მათ შვილებზე განაწყენებული ადამიანები რამეზე შესჩივლებენ ხოლმე. საღამოს, როცა ემილი დაწვა და თავისი კეპუკა და თოფუკა ჩვეულებისამებრ გვერდით მოიდო, დედა ჩამოუჯდა საწოლზე და საუბარი გაუბა:

_ შვილო, მალე სკოლაში წახვალ და რა გეშველება, ასეთი ცელქი რომა ხარ?! ცელქობის გარდა სულ არაფერზე ფიქრობ...

ემილი იწვა და იღიმებოდა, ეშმაკურად უბრწყინავდა დიდი ცისფერი თვალები.

_ ტრა-ლა-ლა, _ წამოიწყო სიმღერა, რომ ლაპარაკი არ გაეგონა.

_ ემილ, _ მკაცრად გაუმეორა დედამ, _ მითხარი, როგორ მოიქცევი, როცა სკოლაში წახვალ?

_ კარგად, _ დააიმედა ემილმა. _ მე მგონია, როცა სკოლაში ვიქნები, აღარ ვიცელქებ...

ემილის დედამ ამოიოხრა.

_ ჰო, იმედი ვიქონიოთ, რომ ასე იქნება, _ ჩაილაპარაკა და კარისკენ წავიდა.

ემილმა თავი ასწია, საყვარლად გაიღიმა და დაუმატა:

_ მაგრამ ნამდვილად ასე იქნება-მეთქი ვერ დაგპირდები!

მართლა, სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ მარტო დედა კი არა, ლინაც წინააღმდეგი იყო ემილის ამერიკაში გამგზავრებისა, არ იფიქრო, ეს სიყვარულით მოსდიოდა, პირიქით. აი, მისმინე, როგორ იყო საქმე.

ლიონებერგელებმა რომ დედას ემილის ამერიკაში გასაგავნად შეგროვებულ იფული მოუტანეს, გახსოვს, ალბატ, ის როგორ გაბრაზდა.

_ ემილი ძალიან კარგი ბიჭია, _ თქვა მტკიცედ, _ და ჩვენც როგორიცაა, ისეთი გვიყვარს და არავითარ ამერიკაში არ გავგზავნით.

ლინაც დაეთანხმა:

_ აბა, რა! ამერიკელებზეც ხომ უნდა ვიფიქროთ. ჩვენთვის არაფერი დაუშავებიათ და რას ვერჩით!

ემილის დედამ ისე მკაცრად და საყვედურით შეხედა, რომ ლინა მიხვდა, სისულელე წამოვროშეო, და მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადა:

_ გაზეთებში წერდნენ, ამერიკაში საშინელი მიწისძვრა იყოო. ამის შემდეგ იმათთან ემილის გაგზავნა როგორღა შეიძლება. ეს დიდი უგულობა დაუსამართლობა იქნება!

_ ლინა, სჯობს წახვიდე და ძროხები მოწველო! _ უთხრა დედამ.

ლინამ აიღო საწველელი, წავიდა ბოსელში და ისე გაცხარებული შეუდგა წველას, რომ რძის შხეფები აქეთ-იქით იფრქვეოდა. წველიდა ძროხას და თან დუდღუნებდა:

_ ხომ უნდა იყოს სამართალი ამ ქვეყანაზე. როგორ შეიძლება ყველა უბედურება ერთად დაატყდეთ თავს ამერიკელებს. ჩემდა თავად, მე მზადა ვარ გასაცვლელად. სიხარულით მივწერდი: «აჰა, თქვენ ემილი, მიწისძვრა კი ჩვენ გამოგვიგზავნეთ-მეთქი».

ლინა უსინდისოდ ტრაბახობდა. სად შეეძლო ამერიკაში წერილის მიწერა, როცა მის ნაწერს სმოლანდშიც ვერავინ კითხულობდა. თუ ამერიკელებს წერილს ვინმე მისწერდა, ისევ ემილის დედა. მან მშვენიერი წერა იცოდა და ემილის ყველ ნაეშმაკარს იწერდა ლურჯ რვეულში, რომელსაც მაგიდის უჯრაში ინახავდა.

«ნეტა რატომ იწერ? _ ეკითხებოდა ხოლმე მამა, _ ამ ფანქარსაც ტყუილად ხარჯავ!»

მაგრამ დედას ეს არ აწუხებდა. იწერდა ემილის ყოველ ცელქობას, რათა ემილს, როცა გაიზრდებოდა, სცოდნოდა, რას სჩადიოდა პატარა ბიჭობაში. მხოლოდ მაშინ მიხვდებოდა, რატომ გაჭაღარავდა დედამისი ასე ადრე.

ოღონდ არ იფიქრო, ემილი ცუდი ბიჭი იყოო. არა, არა დედა სრულ სიმართლეს ამბობდა, ყველას რომ უმტკიცებდა, ემილი ძალიან კარგი ბიჭიაო.

«გუშინ ემილი სანაქებოდ იქცეოდა, _ წერდა დედა თავის რვეულში 27 ივლისს. _ მთელი დღე ისე გავიდა, არაფერი უეშმაკია. ალბათ, იმიტომ, რომ მაღალი სიცხე ჰქონდა».

28 ივლისს, საღამო ხანს კი ემილს, ეტყობა, სიცხემ დაუწია. მისი იმდღევანდელი ოინების აღწერას რვეულის რამდენიმე გვერდი დასჭირდა. ემილი მოზვერივით ჯანიანი იყო და ცოტას მოიკეთებდა თუ არა, ადრინდელზე მეტად ონავრობდა.

«ასეთი ცელქი ბავშვი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს!» _ თავისას იმეორებდა ლინა.

შენ ალბათ უკვე მიხვდი, რომ ლინას დიდად არ ეხატა გულზე ემილი. მას იდა ერჩია, ემილის უმცროსი დაიკო, წყნარი, დამჯერი გოგონა. სამაგიეროდ ალფრედს, ალბათ, ესეც უკვე იგრძენი, ემილი უყვარდა ყველაზე მეტად. თუმცა რატომ, ამას ვერავინ

ხვდებოდა. ემილსაც ასევე ძალიან უყვარდა ალფრედი. ერთი სიტყვით, ერთად ყოფნას არაფერი ერჩიათ. როცა ალფრედი თავისუფალი იყო, ათას რამეს ასწავლიდა. მაგალითად, ცხენის შებმას, ხიდან ნაირ-ნაირი ფიგურების გამოთლას, თამბაქოს ღეჭვას, თუმცა ეს სასარგებლო არაა და არც ემილი მისჩვევია, მხოლოდ ერთხელ გასინჯა, იმიტომ რომ უნდოდა ალფრედისთვის ყველაფერში მიებაძა. ხის თოფიც ალფრედმა გამოუთალა და, ხომ გახსოვს, როგორ უყვარდა. თოფის მერე კი ყველაფერს, ესეც გემახსოვრება, თავის კეპუკა ერჩია, მამამ ქალაქიდან რომ ჩამოუტანა. თუცმა ბევრჯერ ექცა ეს სანანებლად.

«მიყვარს ჩემი თოფუკა და კეპუკა», _ ამბობდა ხოლმე ემილი ძილის წინ და ლოგინში გვერდიდან არ იშორებდა. ვერა და ვერ მოაშლევინა ეს დედამ.

მე უკვე ჩამოგითვალე ხუტორ კატხულტის ყველა მცხოვრები, კრიუსე-მაია კი კინაღამ დამავიწყდა. და აი, რატომ. კრიუსე-მაია პატარა, კაფანდარა მოხუცი კატხულტში კი არა, ტყეში ცხოვრობდა, პატარა ქოხში, მაგრამ სვენსონებთან ხშირად მოდიოდა, ხან სარეცხზე წაუკრავდა ხელს, ხან შინაური ძეხვის დამზადებაში ეხმარებოდა, თანაც ემილსა და იდას აშინებდა მიცავლებულებზე, სულებსა და მოცვენებებზე საზარელი ისტორიებით, რომელთა მოყოლაც ძალიან უყვარდა.

ახლა, ალბათ, უკვე მოგინდა ემილის ახალი თავგადასავლის მოსმენა. ის ხომ ყოველდღე რაღაცას ოინბაზობდა, თუ, რა თქმა უნდა, ავად არ იყო. ასე რომ, ნებისმიერი დღე შეგიძლია აიღო, თუნდაც, მაგალითად, იგივე 28 ივლისი.

ორშაბათი, 28 ივლისი

როცა ემილმა მამას თავზე თხელი ცომი გადაასხა და მერე იძულებული გახდა, ხის ნაჭრიდან მეასე სასაცილო კაცუნა გამოეთალა.

კატხულტში სამზარეულოში ერთი ლურჯად შეღებილი ხის ძველი დივანი იდგა. ამ დივანზე იძინებდა ხოლმე ღამღამობით ლინა. იმ შორეულ დროში სმოლანდის ოლქის ყველა ხუტორის სამზარეულოებში იდგა ხის ასეთი დივნები, რომლებზედაც მოახლეები იძინებდნენ. კატხულტშიაც ყველაფერი ისე იყო, როგორც სხვაგან. ლინას ძალიან ტკბილად ეძინა დივანზე და არასოდეს ეღვიძებოდა, სანამ მაღვიძარა არ აწკრიალდებოდა. ის კი ზუსტად დილის ხუთის ნახევარზე რეკავდა. ლინა მაშინვე დგებოდა და ბოსელში

მიდიოდა ძროხების მოსაწველად. გამოსული არ იყო სამზარეულოდან, რომ შიგ ემილის მამა შედიოდა, რთა ემილის გაღვიძებამდე მშვიდად და წყნარად დაელია ფინჯანი ყავა.

«რა სასიამოვნოა, _ ფიქრობდა მამა, _ იჯდე მარტოდმარტო დიდ მრგვალ მაგიდასთან და ყურს უგდებდე ფანჯრის მიღმა მოჭიკჭიკე ჩიტებსა და მოკრიახე ქათმებს. იჯდე მშვიდად და შიშით თვალგაფაციცებული არ უთვალთვალებდე ემილს!» მამას უყვარდა ყავის ნება-ნება სმა, სკამზე ნელა რწევა, უყვარდა, როცა შიშველი ფეხისგულებით გრძნობდა ახლად მოხეხილ-მორეცხილი ცალფიცრების სიგრილეს. მამა დილ-დილობით ყოველთვის ფეხშიშველა დადიოდა, მაგრამ მარტო იმიტომ კი არა, რომ ასე მოსწონდა, სხვა მიზანიც ჰქონდა.

_ კარგი იქნებოდა, შენც ცოტა უფრო მოჭირნე ყოფილიყავი, _ უთხრა ერთხელ დედას, რომელიც, ეტყობა, ჯიუტად ამბობდა უარს ფეხშიშველა სიარულზე. _ ისე დაუდევრად ხმარობ ფეხსაცმელს, ათი წლის შემდეგ ნამდვილად ახლის ყიდვა დაგჭირდება.

_ ნამდვილად! _ ისეთი ტონით უპასუხა დედამ, რომ ის დღე იყო და მაამს ამის თაობაზე ლაპარაკი აღარ წამოუწყია.

მე მგონი, უკვე გითხარი, მაღვიძარას აწკრიალებამდე ლინას ჩვეულებრივ მკვდარივით ეძინა-მეთქი. ერთ დილას კი, წარმოიდგინე, მაღვიძარას დარეკვამდე გაეღვიძა. ეს იყო 27 ივლისს, სწორედ იმ დღეს, როცა ემილს მაღალი სიცხე ჰქონდა. აბა, დაფიქრდი, თუა რამე იმაზე საშინელი, მძინარეს თავზე კარგა მოზრდილი ვირთხა რომ გადაგირბენს. ასე დაემართა ლინას. აკივლდა გამწარებული და ცეცხლის საჩხრეკს დაავლო ხელი, მაგრამ ვირთხამ სოროში შეასწრო.

ემილის მამა გაცეცხლდა, ვირთხა განჩნდაო, რომ გაიგო.

_ კაი ამბავია! ეგ ხომ მთელ პურსა და ხორცს დაგვიხრავს.

_ და მეც ზედ მიმაყოლებს! _ დაუმატა ლინამ.

_ მთავარი მაინც პური და ხორცია, _ დაიჟინა მამამ. _ მეზობლებს ერთი კარგი კატა უნდა გამოვართვათ და ღამე სამზარეულოში ჩავკეტოთ.

ემილმა რომ გაიგო, ვირთხა გაჩნდაო, მაშინვე იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ დავიჭიროო. ეშინოდა, აბა რა ვიცი, კატამ რომ ვერ დაიჭიროსო?

ათი საათისთვის ემილს სიცხემ დაუწია, კარგად გახდა და ვეღარ ისვენებდა, ისე უნდოდა რამე სასარგებლო საქმე გაეკთებინა.

მთელ კატხულტს ღრმა ძილით ეძინა. დედას, მამას და დაიკო იდას _ სამზარეულოს გვერდითა საწოლ ოთახში, ლინას _ სამზარეულოში ხის ლურჯ დივანზე, ალფრედს _ თავის პატარა ოთახში, ღორებს _ საღორეში, ქათმებს _ ქანდარაზე, ძროხებს _ ბოსელში, ცხენებს კი თავლაში. არ ეძინა მხოლოდ ემილს. ჯერ ჩუმად იწვა, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოითმინა, წყნარად ადგა ლოგინიდან და ფრთხილად, იატაკი რომ არ აჭრიალებულიყო, თითისწვერებზე შეიპარა სამზარეულოში.

ბნელში უცხო კატას თვალები ბრწყინავდა.

_ უსაქმოდ ზიხარ? _ ჰკითხა ემილმა. _ ტანჯები?

_ მიაუ! _ საცოდავად დაუდასტურა კატამ.

_ მაშ, წადი შინ, _ უთხრა ემილმა. ბიჭს ძალიან უყვარდა ცხოველები და მათი წვალების ნებას არავის აძლევდა. მერე ფრთხილად, სულ ოდნავ გამოაღო კარი და უცხო კატა ტყვიასავით გავარდა გარეთ.

ერთი სიტყვით, კატა შინ გაიქცა, ვირთხა კი სამზარეულოში დარჩა. ასე რომ, უსიკვდილოდ უნდა დაეჭირა. ემილმა ამოიღო ყუთიდან სათაგური, მოჭრა ქონის პატარა ნაჭერი და კაუჭს წამოაცვა. სათაგურის დადგმა ჯერ საკუჭნაოს კართან გადაწყვიტა, მაგრამ გადაიფიქრა. ის ასე სჯიდა: ვირთხამ რომ საკუჭნაოდან გამოიხედოს, მაშინვე დაინახავს ხაფანგს, შეშინდება და ვეღარ დავიჭერ. სჯობს ვაცალო სამზარეულოში მშვდიად სირბილი და ნავარდი, როცა თამაშში გაერთობა, შიში დაავიწყდება და წამში სათაგურში ამოჰყოფს თავსო. პირველად ისიც კი გადასწყვიტა, სათაგურს ლინას დავადგამ თავზე, ხომ ამბობდა, ამ თავხედმა ვირთხამ თავზე გადამირბინაო. მაგრამ ამ გეგმაზეც უარი თქვა _ შეიძლება ლინას გაღვიძებოდა და მთელი ნადირობა ჩაეშალა. ისევ სხვა ადგილის პოვნაა საჭირო. მგონი, ყველაფერს აჯობებს სათაგური სასადილო მაგიდის ქვეშ დავდგაო.

ვირთხამ იცის, რომ მაგიდის ქვეშ ყოველთვის იპოვის პურის ნამცეცებს, ოღონდ, რა თქმა უნდა, მამას სკამქვეშ ვერა, მამა ის კაცი არაა, თუნდაც ნამცეცი დააგდოს იატაკზე..

«ერთიც ვნახოთ, _ გაიფიქრა ემილმა, _ ვირთხა სადილობისას მიიპაროს მამას სკამთან, ჰოდა, პურის ნამცეცებს რომ ვერ იპოვის, მისი ფეხის ცერა თითს დაუწყოს ღრღნა». აა, არა, ამას ემილი ვერ აიტანს.

ადგა ემილი და გაბედულად შედგა სათაგური მაგიდის ქვეშ, ზუსტად იქ, სადაც მამა ფეხებს აწყობდა ხოლმე. ემრე ლოგინში ჩაწვა და თავისი თავით კმაყოფილმა დაიძინა.

უკვე კარგად იყო გათენებული, საშინელმა ყვირილმა რომ გამოაღვიძა.

«ალბათ, ვირთხა დაიჭირეს და გახარებულები ღრიალებენ!» _ გაიფიქრა ემილმა.

ამ დროს ოთახში დედამ შემოირბინა, ემილი ლოინიდან წამოაგდო და ყურში უჩურჩულა:

_ ახლავე ფარდულში წადი და სანამ სათაგურიდან თითს არ გამოაძრობს, ამამს არ დაენახო, თორემ ვერაფერი გიშველის.

ჩაცმის დრო აღარ რჩებდოა. დედამ ხელი სტაცა ემილს და, როგორც იყო _ ღამის პერანგისამარა _ ოთახიდან წაათრია.

_ თოფუკა და კეპუკა მინდა, ისე არ წამოვალ! _ აყვირდა ემილი და პირველადი საჭიროების ნივთების საპოვნელად ოთახში დატრიალდა. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი იპოვეს და ემილმა ისე მოკურცხლა სარდაფისაკენ, რომ პერანგი ქარში აფრიალებული დროშასავით ეტყლაშუნებოდა ზურგზე.

შენ, ვიცი, გახსოვს, როგორ იჯდა ემილი ყოველი ახალი ონავრობის შემდეგ ფარდულში. დედამ ახლაც სწრაფად გაუყარა კარს ურდული, ემილი გარეთ რომ არ გამოვარდნილიყო. ემილიც შიგნიდან ჩაიეკტა, არავინ შემოვიდესო. ასე რომ სიფრთხილე ყოველმხრივ დაცული იყო. დედას აუცილებლად მიაჩნდა მამის რისხვისგან ემილის დაფარვა.

ემილიც ასევე ფიქრობდა. ამიტომ კარი ჩაკეტა, ჩამოჯდა მორზე და ხის პატარა ნაჭრიდან მორიგი სასაცილო კაცუნას გამოთლას შეუდგა. ხომ გახსოვს, ამას აკეთებდა ყოველთვის, როცა დასასჯელად ფარდულში ამწყვდევდნენ. ოთხმოცდაჩვიდმეტი კაცუნა უკვე ფაქიზად ეწყო ფარდულის კედელზე გამართულ თაროზე. ემილი სიამოვნებით ავალიერებდა თავის პატარა ხის სკულპტურებს და ფიქრობდა, ცოტაც და ასი დაგროვდება, ეს კი უკვე რაღაცას ნიშნავს, იუბილესავითააო.

«მაშ მე აქ, ფარდულში, დიდ ნადიმს გავმართავ, ოღონდ მარტო ალფრედს დავპატიჟებ», _ გადაწყვიტა ჯიბის დანით ხელში მორზე ჩამომჯდარმა ბიჭმა.

შორიდან მამის ყვირილი ესმოდა. მალე ისიც მიწყდა და რაღაცნაირ გამკივანი ჭყვირილი გაისმა. ემილს შეეშინდა, იფიქრა, დაიკო იდა ჭყივისო, მაგრამ მაშინვე ისიც გაახსენდა, დღეს ღორი რომ უნდა დაეკლათ. რა თქმა უნდა, ღორი ჭყვიროდა. მისთვის 28 რიცხვი ნავსი აღმოჩნდა. თუმცა არა მარტო მისთვის.

სადილობისას ემილი გაანთავისუფლეს. მაგრამ სამზარეულოში შესვლა ვერ მოასწრო, რომ სახეგაბრწყინებული დაიკო იდა მივარდა.

_ სადილად პალტი ტვექნება! სადილად პალტი გვექნება! _ ყვიროდა გახარებული

დავნაძლევდეთ, რომ არც იცი რა პალტი! გარეგნულად ატრიასა ჰგავს, ოღონდ უფრო დიდია, მოწაბლისფრო და ღორის ქონის ნაჭრებითაა დატენილი. გემოთი კი სისხლიან ძეხვსა ჰგავს, ოღონდ ათასჯერ უფრო გემრიელი. აი, რა არის პალტი!

დედა სამზარეულოს მაგიდასთან იდგა და თიხის ჯამში პალტის ცომსა ზელდა. ღუმელზე შემოდგმულ ქვაბში კი პალტის მოსახარში წყალი დუღდა. მაშ, სადილად მართლა იქნება მოწაბლისფრო პალტი, სისხლიანი ძეხვის მსგავსი, მაგრამ ათასჯერ უფრო გემრიელი.

_ დავნაძლევდეტ, რომ თვრამეტ პალტს შევჭამ, _ ატრაბახდა პატარა იდა, თუმცა მისი შემხედვარე ძნელად წარმოიდგინედი, რომ ნახევარ პალტს მაინც მოერეოდა.

_ ტყუილად რაზე დაგენაძლივო, _ უთხრა ემილმა. _ სულ ერთია, მამა ნებას არ მოგცემს... მართლა, მამა სადაა?

_ ეზოში წევს და ისვენებს, _ უპასუხა იდამ.

ემილმა სამზარეულოს ფანჯარაში გაიხედა და დაინახა, რომ მამა მართლაც ფანჯრის ქვეშ იწვა ბალახზე. ძალიან გაუკვირდა: ჩვეულებრივად ნასადილევს ისვენებდა ხოლმე სავარძელში ჩაფლული.

«როგორც ჩანს, ძალიან დაიღალა, _ გაიფიქრა ემილმა. _ სათაგურში მოყოლილი კაცი, ეტყობა, ძალიან იღლება».

ემილმა ისიც მაშინვე შეამჩნია, რომ მამას ცალ ფეხზე ეცვა. მაგრამ იცოდა, მამა ყაირათიანობით იყო ცნობილი და, იფიქრა, იქნებ გადაწყვიტა, დღეიდან ერთი ფეხსაცმლის ლანჩა გაცვითოს, მეორისას კი მოუფრთხილდესო. მერე კარგად რომ დააკვირდა, ცერა თითზე საშინელი სისხლჩაქცევა დაინახა და ყველაფერს მიხვდა. ის დაწყევლილი სათაგური მამას ისე დაეცა თითზე, რომ ფეხსაცმელს ვეღარ იცმევს. შერცხვა ემილს, ვირთხაზე სულელური ნადირობის გამო მამას ტკივილი რომ მიაყენა, და მოუნდა მისთვის რაიმე ძალიან სასიამოვნო ეთქვა. კარგად ახსოვდა, პალტო მისი საყვარელი კერძი იყო, ამიტომ პალტის ცომიანი ჯამი მაგიდიდან აიტაცა და ფანჯარაში გადაეყუდა.

_ მამი, შეხედე, _ მხიარულად დაუძახა მამას, _ ნახე, დღეს რა გვაქვს სადილად? პალტი, მამი, პალტი!

მამამ აუჩქარებლად გადასწია სახეზე დაფარებული შლაპა და პირქუშად შეხედა შვილს. აშკარა იყო, ჯერ არ დავიწყნოდა სათაგურის ამბავი. ემილს უფრო მეტად მოუნდა რამენაირად გაეხარებინა მამა.

_ ერთი შეხედე, რამდენი ცომია ჯამში! _ ლამის გადმოვარდა, ისე გადმოიწია ფანჯრიდან ემილი და მამას ჯამი დაანახვა...

შენ სწორად მიხვდი! ემილი ვერ მოერია ჯამს, ხელიდან გაუსხლტა, ჰაერსი გადატრიალდა და პალტის მთელი ცომი პირდაპირ თავზე დაეტყლაპა ფანჯრის ქვემოთ ბალახზე დასასვენებლად წამოწოლილ მამას.

_ ღ-ლ-უ-პ! _ ძლვის ამოიყაპყაპა მამამ. მეტს სხვაც ვერაფერს მოახერხებდა, თუ თვალები, პირი და ცხივრი მამასავით პალტის ცხიმიანი ცომით ექნებოდა ამოლესილი. მერე სულმოუთქმელად წამოვარდა ზეზე და, თუმცა პირში ცომის გუნდა ჰქონდა ჩატენილი, ისე აღრიალდა, ალბათ, ლიონბერგის ბოლოში ისმოდა. ჯამი ვიკინგის ჩაფხუტივით ჩამოცმოდა თავზე, ცხვირიდან კი ნელ-ნელა მოწვეთავდა მუქი სქელი ცომი.

იმავ წამს კრიუსე-მაია გამოვიდა სამრეცხაოდან, სადაც ძეხვისთვის ღორის ნაწლავებს რეცხავდა. გამოვიდა და მაშინვე მუქი სისხლიანი მასით სახემოთხუპნილი ემილის მამა დაინახა. აკივლდა თავზარდაცმეულ კრიუსე-მაია და კატხულტში მომხდარი საზარელი ამბის შესატყობინებლად თავქუდმოგლეჯილი გაიქცა სოფლისაკნე. მის კივილზე ლინაც გამოვარდა ბოსლიდან და, ემილის მამა რომ დაინახა, დამთხვეულივით აყვირდა: ვიშველეეთ! ამ ყაჩაღმა მამა მოკლა! ვაი-ვაი, დავიღუპეთ!

ემილის დედამ რომ დაინახა, რაც მოხდა, უპირველეს ყოვლისა, სტაცა ხელი შვილს და უკან, ფარდულში წათრია. ღამის პერანგისამარა ემილი ისევ ჩამოჯდა მორზე და მორიგი სასაცილო ფიგურის გამოთლა დაიწყო, დედამისი კი ამ დროს გულმოდგინედ აცლიდა მამას სახეზე და თავზე მიკრულ პალტის ცომს.

_ მომისმინე, _ უთხრა მამამ, _ სამი-ოთხი პალტის სამყოფი ცომი მაინც ამაფხიკე, ძალიან მენატრება.

ემილის დედამ თავი მწარედ გადააქნია:

_ ააფრინე ალალიო, რაც არ არის, არ არიო! რას ვიზამ, ისევ კარტოფილის მაჭკატები უნდა დავაცხო.

_ ტრა-ლა-ლა! ტრა-ლა-ლა! _ მღეროდა პატარა იდა. _ არც სადილი, არც ვახშამი, არაფერი აღარ არი!

მამამ მკაცრად შეხედა და იდაც მაშინვე გაჩუმდა.

ემილის დედამ სთხოვა ლინას მაჭკატებისათვის კარტოფილი გაეხეხა. შენ, ალბათ, წესიერად არც იცი, როგორია კარტოფილის მაჭკატები. ძალიან გემრიელი საჭმელია!

კვერებსა ჰგავს! მაგრამ ცომისგან კი არა, ახლად გახეხილი უმი კარტოფილისაგან ცხვება. და, დამიჯერე, ეს მაჭკატები ბევრად უფრო გემრიელია, ვიდრე შენა გგონია.

ლინამ ბლომად გახეხა კარტოფილი და სქელი მონაცრისფრო-მოყვითალო მასით გააპიპინა ახლახან პალტის ცომით სავსე ჯამი, რომელიც მერე თავიდან ააძრო დედამ მამას. აბა, მთელი დღე თავზე ხომ არ ექნებოდა, მარტლა ვიკინგი კი არ იყო!

მამა როგორც იქნა გასუფთავდა, დაიბანა და სანამ კარტოფილის მაჭკატები გამზადდებოდა, მინდორში წავიდა ჭვავის სათიბად.

წასვლა ვერ მოასწრო, რომ დედამ ფარდულის კარზე ურდული გადასწია და ემილი გარეთ გამოუშვა.

_ მოდი, «დაუბერე» ვითამაშოთ!» _ შესთავაზა ემილმა დაიკო იდას, ამდენი ჯდომის მერე ცოტა მუხლებში გამართვა უნდოდა.

იდამ სიხარულისაგან ასკინკილა ჩამოუარა.

«დაუბერე» შესანიშნავი თამაში იყო. ემილმა თვითონ მოიგონა, აი, როგორ უნდა გეთამაშა: გარკვეული მარშრუტით ირბენდი ასკინკილა. ეზოდან შემოსასვლელში, შემოსასვლელიდან _ სამზარეულოში, სამზარეულოდან _ საწოლ ოთახში, მერე ისევ სამზარეულოში, სამზარეულოდან _ ისევ შემოსასვლელში, შემოსასვლელიდან _ ეზოში, ეზოდან _ ისევ შემოსასვლელში და ა. შ. თანაც, როცა ემილი და დაიკო იდა ერთმანეთს შეხვდებოდნენ, მუცელში სალოკი თითი უნდა ეტაკებინათ ერთიმეორისათვის და ხმამაღლა დაეყვირათ; «დაუბერე!» ეს იყო მთელი თამაში, მაგრამ ემილსა და იდას ძალიან მოსწონდათ.

ემილმა ხტუნვა-ხტუნვით ოთხმოცდამერვეჯერ რომ შეირბინა სამზარეულოში, მაჭკატების გამოსაცხობად გახეხილი კარტოფილით სავსე ჯამით მომავალ ლინას შეეჩეხა. იფიქრა, ეწყინება, ესეც რომ არ ვათამაშოო, წყენინება კი არავისი სურდა, ამიტომ გაქანებულმა ატაკა თითი მუცელში და დასჭყივლა:

_ შეუბერე!

ეს კი არ უნდა ექნა, კარგად იცოდა, ლინას ამქვეყნად ყველაზე მეტად ღიტინისა ეშინოდა.

_ აა-ა-! _ აწივლდა ლინა და ჭიაყელასავით დაიკლაკნა. ამ დროს, ოი, საშინელებავ, ჯამი ხელიდან გაუსხლტა...

ვერავინ გაიგო, ეს როგორ მოხდა, მაგრამ მამამ, თითქოს ჯიბრზე, სწორედ ამ დროს გამოაღო სამზარეულოს კარი, ეგებ ვისადილოო, და ისევ თასი ჩამოემხო თავზე.

_ ღ-ლ-უ-პ! _ ისევ ძლივს ამოიყაპყაპა ემილის მამამ, უფრო გარკვევით გახეხილი კარტოფილით პირამოვსებული სხვაც ვერავინ ვერაფერს იტყოდა.

ემილს ბედად მოუსწრო დედამ, სტაცა ხელი და პირდაპირ ფარდულისაკენ გააქანა. და ახლა მესამედ მორზე ჩამმჯდარს ესმოდა მამის ღრიალი, მართალია, ამჯერად გახეხილი კარტოფილისგან მოგუდული, მაგრამ მაინც იმდენად ხმამაღალი, რომ ლიონებერგის მეორე ბოლომდე აღწევდა.

ამიტომ, თუმცა მეასე სასაცილო კაცუნა გამოთალა, გუნება ვერა ჰქონდა საიუბილეო. პირიქით, გამძვინვარებული ვეფხვივით წრიალებდა ფარდულში. ბავშვის დღეში სამჯერ ფარდულში ჩაკეტვა აბუჩად აგდებაა და მეტი არაფერი! სადაა სამართალი!

_ ჩემი ბრალია, მამა რომ ყოველთვის რაღაც ხათაბალაში ებმება ხოლმე? _ ღელავდა ემილი. _ სათაგური რომ სათაგურია, იმას ვერ დადგამ, მაშინვე ფეხს ტუცავს შიგ! ანდა სულ იქ რატომ ტრიალებს, სადაც ან პალტის მოხარშვას აპირებენ ან მაჭკატების გამოცხობას?

შენ ერთი წუთითაც არ იფიქრო, ემილს არ უყვარს მამა ანდა ემილის მამას _ თავისი შვილიო. პირიქით, მათ ძალიან უყვართ ერთმანეთი. მაგრამ თუნდაც ვინმე ძალიან გიყვარდეს, მაინც შეიძლება მასზე გაჯავრდე. თუ, მაგალითად, სათაგურის, პალტის ცომის ან გახეხილი კარტოფილის მსგავსა ამბავს შეგამთხვევს.

დრო გადიოდა. ორშაბათი, 28 ივლისი იწურებოდა. ძაღლივით გაავებული ემილი იჯდა ჩაკეტილ ფარდულში. ესეც იუბილეა რა! მეასე კაცუნა უკვე გამოთალა! თანაც დღეს ორშაბათია, ორშაბათობით კი ალფრედს ვერსად დაპატიჟებ _ თავისი საქმე აქვს. ორშაბათობით ზის კართანაზე ლინასთან ერთად, ეკურკურება, მის საამებლად უკრავს ტუჩის გარმონზე და რაც არ უნდა ლხინი და დროსტარება იყოს, ვერსად გაიტყუებ.

ემილმა გვერდზე მოისროლა ჯიბის დანა. მთლად მარტო დარჩა! ალფრედის იმედიც აღარ შეიძლება ჰქონდეს. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ემილი თავის სავალალო მდგომარეობაზე, მით უფრო მეტად ჯავრობდა. ეს ცხოვრებაა, დილიდან საღამომდე ამ დაწყევლილ ფარდულში ზის! თან ღამის პერანგისამარა! ტანსაცმლის ჩაცმის დროც კი არა ჰქონდა. დღეს მისი ფარდულში თრევის მეტი არაფერი უკეთებიათ, ყველა მისი მტერია! ყველანი დღე და ღამე იმაზე ფიქრობენ, ემილი ფარდულიდან არ გამოვუშვათო. კარგი, ეგრე იყოს! ემილმა ისე დასცხო მუშტი დაზგას, რომ, რაც ზედ ელაგა, ყვეალფერი ყირაზე დააყენა. მაინც მიაღწიეს თავისას! ამიერიდან ფარდულიდან აღარ გამოვა! არასოდეს! მთელი

ცხოვრება, სიკვდილამდე აქ დარჩება! ასე ჩაუცმელი, ღამის პერანგისამარა, თავზე განუყრელი კეპუკათი, ყველასაგნ მიტოვებული, სულ მარტოდმარტო...

«მაშინ ხომ იქნებიან კმაყოფილები?! აღარ მოუწევთ მთელი დღე ჩემი აქეთ-იქით თრევა! _ ფიქრობდა ემილი. _ მაგრამ ვერც თქვენ შემოხვალთ აქ... ვერც ერთი თქვენგანი ფეხსაც ვერ შემოდგამს ფარდულში! მამაც კი, თუნდაც დაზგაზე ფიცრის გარანდვა მოუნდეს. იმისთვისაც ასე აჯობებს, თორემ ახლა სატეხი გაუვარდება ხელიდან და მეორე ფეხის თითს დაიშავებს. როგორც ამბობენ, თუ ბედი არა გაქვს ქვა აღმართში მოგეწევა».

ამ ქვეყანაზე ყველაფერსა აქვს დასასრული. ივლისის ეს საღამოც დასრულდა. როცა სულ ჩამობნელდა, მოვიდა დედა და ფარდულის კარიდან ურდული გადასწია. საგდული რომ მოქაჩა, მიხვდა, ემილი შიგნიდან ჩაკეტილიყო.

_ გამოდი, ემილ! მამა დასაძინებლად დაწვა და ნუღარაფრის გეშინია.

პასუხად ფარდულიდან მხოლოდ შემაძრწუნებელი «ჰი» გაისმა.

_ შვილო, ეგრე რატომ ამბობ? _ გაუკვირდა დედას. _ გააღე კარი და გამოდი!

_ მე აქედან არასოდეს გამოვა, _ ყრუ ხმით თქვა ემილმა. _ კარის შემომტვრევა არ იფიქრო, თორემ თოფს ვისვრი!

ახლაღა დაინახა დედამ, რომ მისი ბიჭუნა თოფმომარჯვებული იდგა ფარდულის პატარა ფანჯარასთან. ჯერ იფიქრა, ემილი ხუმრობსო, მერე კი, როცა მიხვდა, როგორ იყო ბიჭი გააფთრებული, ატირდა და მამის გასაღვიძებლად გაიქცა.

_ ემილი ფარდულში ჩაიკეტა და აღარ გამოდის! _ დაუძახა მამას. _ რა ვქნა?

დაიკო იდასაც გაეღვიძა და ასლუკუნდა.

და ყველანი, დედა, მამა და პატარა იდა ფარდულისაკენ გაიქცნენ. თვითონ ალფრედიც კი, კართანაზე რომ იჯდა და ლინას საამებლად ტუჩის გარმონს უკრავდა, მათ გაჰყვა. გული დაწყდა ლინას, მაგრამ რაღას იზამდა, ისიც აედევნათ. დაიწყო ემილის ფარდულიდან გამოყვანის ოპერაცია.

თავდაპირველად მამა მაგრად იდგა.

_ არა უშავს, არა უშავს! _ შესძახა ფანჯარაში. _ მოგშივდება და იმწამსვე გამოხტები!

პასუხად ისევ ის პირქუში «ჰი» გაისმა.

საიდან უნდა სცოდნოდა ემილის მამას, რა ინახებოდა დაზგის ქვეშ შენახული თუნუქის ქილაში. იქ ხომ სანოვაგის მთელი საწყობი იყო.

ემილმა კარგა ხანია თადარიგი დაიჭირა, რომ ფარდულში შიმშილით არ მომკვდარიყო. მას ხომ იქ ყოველთვის მოულოდნელად ამწყვდევდნენ, სულ ერთი იყო _ დილა იქნებოდა, შუადღე თუ საღამო.

აბა, არ უნდა ეზრუნა ლუკმა-პურზე?

ქილაში იდო პურის ნატეხი, ყველის მოზრდილი ნაჭერი, ცოტა ღორის შაშხი ერთი პარკი ალუბლის კერკი და ბლომად ორცხობილა. ძველ დროში ალყაში მომწყვდეული მეომრები საკვების უფრო მცირე მარაგით უძლებდნენ ციხესიმაგრის მრავალთვიან იერიშს. ემილს ფარდული ახლა სწორედ ისეთ ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრედ მიაჩნდა და მტკიცედ გადაწყვიტა, მტერს ცოცხალი არ დანებებოდა. მხედართმთავარივით მტკიცე და უდრეკი, თოფმომარჯვებული ისე იდგა ფანჯარასთან, როგორც სათოფურთან.

_ ვინც მომიახლოვდება, ვესვრი! _ თქვა მკაცრად.

_ ემილ, შვილო, გენაცვალე, ეგრე ნუ ამბობ! _ ქვითინებდა დედა. _ გამოდი, ძალიან გთხოვ, გამოდი!

ემილი არ განძრეულა, მაშინ საუბარში ალფრედი ჩაერია:

_ ემილ, ბიჭო, გამოდი და ტბაზე წავიდეთ საცურაოდ!

_ შენ მიდი, ლინა გაართე, _ გულნაკლულად უთხრა ემილმა. _ მე კი აქ ვიქნები.

მალე ყველა მიხვდა, რომ ემილთან არაფერი გამოუვიდოდათ. ვერც მუქარით, ვერც დაპირებით გულს ვერ მოულბობდნენ. მამამაც თქვა, დავიძინოთ, ხვალ სამუშაო დღეაო, და ასეც მოიქცნენ. ემილის მამა, დედა და დაიკო იდა დასაძინებლად წავიდნენ, ალფრედი და ლინა კი ისევ კართანაზე ჩამოსხდნენ.

ვერ გადმოგცემ, რანაირი ნაღვლიანი საღამო იყო! ემილის დედა და პატარა იდა ისე მწარედ ტიროდნენ, რომ ბალიშები მთლად გალუმპეს. ემილის მამა კი ისე ოხრავდა, გული მოგიკვდებოდა. წარამარა უცქეროდა შვილის ცარიელ საწოლს და იტანჯებოდა, ბალიშზე მის აბურძგნულ თავს და გვერდით დაწყობილ კეპუკასა და თოფუკას რომ ვერ ხედავდა... ერთადერთი ლინა არ ნაღვლობდა. მას არაფრით არ უნდოდა დასაძინებლად წასვლა, პირიქით, ალფრედთან ერთად მთელი ღამე კართნააზე ჯდომა ერჩია ყველაფერს. ამიტომ ძალიან უხაროდა, ემილი რომ ფარდულში ჩაიკეტა.

_ ვინ იცის, ის ონავარი რამდენ ხანს გაძლებს ფარდულში. იქნებ მალე მობეზრდეს, _ ჩაიბურტყუნა ლინა, თითისწვერებზე მიიპარა ფარდულთან და, ყოველი შემთხვევისათვის, კარს ურდული გაუყარა.

ამ დროს ალფრედი ისეთი გატაცებით უკრავდა გარმონზე და მღეროდა, რომ არც შეუმჩნევია, როგორ ჩაკეტა ლინამ ემილი.

ფარდულში დაზგაზე ჩამომჯდარ ემილს ესმოდა მისი სიმღერა და მწარედ ოხრავდა. უკან მობრუნებული ლინა კი მოეხვია ალფრედს და, როგორც იცოდა, დაუწყო ხვეწნა, ცოლად შემირთეო, მაგრამ ალფრედი ძველებურად უმეორებდა:

_ რა თქმა უნდა, რაკი ეგრე იჟინებ, შემიძლია შეგირთო, მაგრამ რა გვეჩქარება?1

_ მომავალ წელს მაინც დავქორწინდებით! _ მტკიცედ თქვა ლინამ. პასუხად ალფრედმა ფარდულში გამომწყვდეულ ემილზე მწარედ ამოიოხრა და «ლომგული ძმების» ბალადა წამოიწყო.

ემილი ისმენდა მის სიმღერას და ნანობდა, უარი რომ უთხრა ტბაზე საბანაოდ წასვლაზე. არადა, რა კარგი იქნებოდა! ემილი მივიდა კართან და ურდული გასწია. კარი არ გაიღო. აბა, ემილმა რა იცოდა, იმ მავნე ლინამ რომ ჩაკეტა გარედან ურდულით. ემილი ახლა მხრითმიაწვა კარს. ამაოდ, ძვრაც ვერ უყო. და უცებ მიხვდა, რაც მოხდა, იმასაც მიხვდა, ვისი ნამოქმედარიც იყო.

_ უჰ, ლინა, სად წამიხვალ! _ წამოიძახა გამწარებულმა. _ მე შენ გაყურებინებ სეირს!

ემილმა მიიხედ-მოიხედა. ფარდულში უკვე ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, ემილი რაღაც ცელქობისათვის ფარდულში ჩაამწყვდიეს, ის კი მაშინვე უკან გამოძვრა ფანჯრიდან. ამ ამბის მერე მამამ ფანჯარას გარდიგარდმო ძელები ააკრა. ეშინოდა, გადაძრომისას ემილი პირდაპირ ფარდულის კედელთან მოდებულ ჭინჭარში არ ჩავარდესო. გასაგებიცაა, მამა ზრუნავდა თავის შვილზე და სრულიადაც არ უნდოდა იგი ჭინჭარს დაესუსხა.

_ ფანჯრიდან ვერ გადავძვრები, _ ხმამაღლა ფიქრობდა ემილი, _ კარი ჩაკეტილი. საშველად არასგზით არავის მოვუხმობ. რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

იგი ჩაფიქრებული უცქეროდა ღუმელს. ფარდულში აგურის ნამდვილი ღუმელი იყო ამოყვანილი, ზაფხულობით ზედ წებოს აცხელებდნენ, ზამთრობით კი გასათბობად ანთებდნენ.

_ მილში მომიწევს გაძრომა, _ გადაწყვიტა ემილმა და, დიდხანს არ უფიქრია, შეძვრა ღუმელში.

ღუმელი ზამთრიდან დარჩენილი ნაცრით იყო სავსე. ემილი, რა თქმა უნდა, მაშინვე შიგ ამოიგანგლა, მაგრამ მაინც ყოჩაღად იწყო მილში ამოძრომა, რომლის ჭრილშიც მრგვალი, ოქროსფერი მთვარე მოჩანდა.

_ გამარჯობა, მთვარევ! _ შესძახა ემილმა. _ შეხედე, ახლა რა მოხდება!

ემილი მიძვრებოდა და მიძვრებოდა მაღლა, ხელებით და ფეხებით აგურის გამჭვარტლულ კედლებს ებჯინებოდა.

თუ ოდესმე ღუმელის ვიწრო მილში გამძვრალხარ, გეცოდინება, რა ძნელი საქმეა. თანაც თავით ფეხებამდე გაიმურები, მაგრამ ემილს ეს არ აშინებდა.

ვერაგი ლინა კი ამ დრო კართანაზე იჯდა, ალფრედს ეხვეოდა და არაფრის ფიქრი არა ჰქონდა. მაგრამ ხომ გახსოვს, ემილმა რომ დაიქადნა, ვაჩვენებ სეირსო. შეასრულა ნათქვამი და მერე როგორ! ის იყო ლინამ გადანაბა თვალები და მთვარეს ახედა, რომ დამდუღრულივით წამოვარდა ფეხზე.

_ მიშველეთ! ჭინკა! ვაი, მილზე ჭინკაა! _ აწივლდა საზარლად.

იქნებ არ იცი, რაა ჭინკა. ჭინკა ზღაპრული არსებაა და ძველად სმოლანდში მათი ძალიან ეშინოდათ. ლინას უთუოდ გაგონილი ჰქონდა კრიუსე-მაიას მოყოლილი ამბები ინკების საშინელ ოინებზე და იმაზე, თუ რა უბედურება ატყდება თავს, ვინც მათ დაინახავს. ამიტომ აკივლდა ასე, ღუმელის მილზე შმეომჯდარი, ნახშირივით შავი ჭინკა რომ დაიანხა. ამაზრზენი იყო ჭინკა. რა ისა და რა ეშმაკი!

ყვირილზე ალფრედმაც აიხედა მაღლა და ახარხარდა.

_ ამ ჭინკას მე კარგად ვიცნობ, _ თქვა სიცილით. _ დაბლა ჩამოდი, ემილ!

გამურულპერანგიანი ემილი გაჯგიმული იდგა სახურავის კიცურაზე, იდგა სახლეოვანი გენერლის ძეგლივით გაუნძრევლად. მერე შავი მომუშტული ხელი ზეცისკენ ასწია და ხმამაღლა, მთელი ლიონებერგის გასაგონად შესძახა:

_ ამაღამ ფარდული დაინგრევა! მორჩა, შიგ აღარასოდეს დავჯდები!

ალფრედი ფარდულთან მივიდა და ხელები ფართოდ გაშალა:

_ გადმოხტი, ემილ, მე დაგიჭერ!

ემილიც გადმოხტა და პირდაპირ ალფრედის ხელებში ჩახტა. მერე ერთად წავიდნენ ტბაზე საბანაოდ. დაბანა კი ემილს მართლა სჭირდებოდა.

_ ასეთი ღვთის პირიდან გადავარდნილი ჩემს დღეში არ მინახავს, _ ღვარძლიანად წაიბურტყუნა ლინამ და სამზარეულოში წავიდა დასაძინებლად.

ტბაზე კი თეთრ დუმფარებს შორის, გრილ წყალში, ცურავდნენ ალფრედი და ემილი და დიდი წითელი მთვარე ფარანივით უნათებდათ ღამეს.

_ როცა მე და შენ ვართ, მეტი არავინ გვჭირდება. ხომ მართალია, ალფრედ? _ ჰკითხა ემილმა.

_ ჰო, ემილ, _ უპასუხა ალფრედმა.

ტბა მთვარის ფართო და ნათელმა ბილიკმა გადაკვეთა, ნაპირები კი ბნელში იყო ჩათქმული. შუაღამე კარგა ხანია გადავიდა და ორშაბათი, 28 ივლისი დასრულდა.

მაგრამ ამ დღეს სხვა დღეები მოჰყვა, ახალ დღეებს _ ახალი ონავრობა და ფათერაკები. ემილის დედამ სასწრაფოდ ახალი რვეული გაიჩინა, იმიტომ, რომ ძველი სულ გაავსო. იმდენი წერა, ხელიც ასტკივდა.

_ მალე ვიმერბიუში ბაზრობა დაიწყება და, იქ რომ წავალ, ახალ რვეულს ვიყიდი, თორემ ეს უკვე გამითავდა, _ თქვა დედამ.

ასეც მოიქცა და ახლა ლურჯ სუფთა რვეულში შეეძლო ეწერა და ეწერა ემილის ახალ-ახალი ოინები.

და მაინც დედა სხვაა, მამა _ სხვა. მას კვლავინდებურად სწამდა შვილისა და, როგორც გითხარი, მართალიც გამოდგა. ემილი გაიზარდა და ჩინებული ყმაწვილი დადგა, მერე სოფლის გამგეობის თავმჯდომარე გახდა _ ლიონებერგის ყველაზე პატივცემული მოქალაქე.

მაგრამ ეს ყველაფერი მერე იყო, ჩვენ კი დავუბრუნდეთ ემილის ბავშვობაში სწორედ იმ ვიმერბიუს ბაზრობაზე. . . . . .

ოთხშაბათს, 31 ოქტომბერს, მომხდარ ამბავს,

როცა ემილმა იშოვა ნამდვილი ცხენი და შიშით გული გაუხეთქა არა მარტო ფრუ პეტრელს, არამედ მთელ ვიმერბიუს.

ყოველ წელს ოქტომბრის ბოლო კვირას ვიმერბიუში ბაზრობა იმართებოდა. ამ დღეს პატარა ქალაქში დილიდან ღამემდე სიცოცხლე დუღდა. ბაზრობაზე ლიონებერგელი და ახლომახლო სოფლების გლეხები ჩამოდიოდნენ. ვინ ხარის გასაყიდად, ვინ ხბოს შესაძენად, ვინ _ ცხენის, ზოგიერთი კი სულაც სასეირნოდ, თვალისთვის წყლის დასალევინებლად. ქალიშვილები საქმროებს ეძებდნენ, ვაჟები _ საცოლეებს. ზოგი კი ვიმერბიუში მხოლოდ კაფეტის სასუსნავად, ცეკვა-თამაშის, მუშტი-კრივის, უბრალოდ დროს გასატარებლად ჩამოდიოდა, ერთი სიტყვით, ზოგი _ რისთვის და ზოგი _ რისთვსი.

ერთხელ ემილის დედამ ჰკითხა ლინას, თუ შეგიძლია, მთელი წლის დღესასწაულები ჩამოთვალეო.

_ როგორ არა, _ უპასუხა ლინამ. _ ახალი წელი, აღდგომა და ვიმერბიუს ბაზრობა. _ ახლა მიხვდი, 31 ოქტომბერს რატომ ჩადიოდა ვიმერბიუში ამდენი ხალხი? დილის ხუთ საათზე, როცა ჯერ კიდევ ისე ბნელოდა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი, ალფრედმა ფარდულიდან დიდი ეტლი გამოიყვანა, შეაბა შიგ ცხენები და კატხულტელები გზას გაუდგნენ. მამაც, დედაც, ალფრედიც, ლინაც, დაიკო იდაც და თვით ემილიც. შინ საქონლის მსიახედად მხოლოდ კრიუსე-მაია დარჩა.

_ საწყალო კრიუსე-მაია, შენც გინდა არა ბაზრობაზე წამოსვლა? _ ჰკითხა ალფრედმა, რომელიც, მოგეხსენებათ, კეთილი ბიჭი იყო.

_ თქვა რა! _ აღშფოთდა მოხუცი, _ ჯერ ჭკუაზე არ შევშლილვარ. ამბობენ, დღეს დედამიწაზე უზარმაზარი კომეტა ჩამოვარდებაო. მე კიდევ სიკვდილი შინ, ლიონებერგაში მინდა და არა სადღაც ეშმაკებში!

შენ, ალბათ, არც იცი კომეტა რა არის. ბევრი მეც არაფერი გამეგება, მაგრამ, მგონია, ეს ყოფილი ვარსკვლავის ნატეხია, რომელიც სადღაც მიფრინავს კოსმოსში. სმოლანდის მცხოვრებლებს უზომოდ ეშინოდათ, ვაითუ, რომელიმე გზააბნეული კომეტა დედამიწაზე ჩამოვარდეს, გააცამტვეროს აქაურობა და დასრულდეს ცხოვრება ქვეყანაზეო. რას აღარ ლაპარაკობდნენ ამაზე. ადგილობრივ გაზეთში ეწერა, მიღებული ცნობების მიხედვით, კომეტას 31 ოქტომბერს ველითო.

_ ეს გვინდოდა? კომეტა მაინცდამაინც ბაზრობის დღეს უნდა მოფრინდეს ვიმერბიუში? _ თქვა გულდაწყვეტილმა ლინამ. _ მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ საღამომდე არ გამოჩნდება, მანამდე კი გართობასაც მოვასწრებთ და საყიდლების შეძენასაც.

ლინა ბედნიერად იღიმებოდა და წარამარა იდაყვს ჰკრავდა მასთან ერთად ეტლის უკანა სკამზე ჩამომჯდარ ალფრედს. ეტყობოდა, ამ დღეზე დიდ იმედებს ამყარებდა.

წინა სკამზე ემილის დედა და მამა ისხდნენ. დედას დაიკო იდა ეჯდა კალთაში, ემილის მამას კი ემილი დაესვა მუხლებზე.

აბა, თუ მიხვდები, ვის ეჭირა სადავე? ჰო, რა თქმა უნდა, ემილს! დამავიწყდა მეთქვა, რომ ემილი ნამდვილი მეეტლესავით მართავდა. ალფრედი ჩინებული მეჯინებენ იყო და გულმოდგინედ ასწავლა ცხენების მოვლა-პატრონობა. ემილიც უნარიანი მოწფე აღმოჩნდა და მალე აჯობა კიდეც მასწავლებელს.

და აი, ახლა მამის მუხლებზე მჯდარი ემილი მარჯვეად მართავდა ეტლში შებმულ წყვილ ცხენს, ეს კი არც ისე იოლი საქმეა! ჰო, ამ ბიჭმა ნამდვილად იცოდა სადავის ხელში ჭერა!

მთელი ღამე წვიმდა. სქელი ბურუსი ჩამოწვა ლიონებერგის თავზე. ლიონებერგა რაა, მთელი სმოლანდის თავზე! ცა ხეებს ზემოთ ჯერ არ განათებულიყო და ტყე ბნელი, ნესტიანი კედლებივით აღმართულიყო იმ გზის ორსავე მხარეს, რომლითაც კატხულტის მცხოვრებლები მიდიოდნენ ბაზრობაზე. მშვენიერ გუნებაზე იყვნენ კატხულტელები და ცხენებიც _ მარკუსი და იულანი _ ისე მიქროდნენ, რომ ბორბლებიდან ავარდნილი წვიმის შხეფები შადრევნებივით იჭრებოდა მაღლა.

თუმცა იულანს დიდად არ უხაროდა ვიმერბიუში წასვლა, ბებერი იყო და უძლური, და უფრო ესიამოვნებოდა ახლა ხუტორის საჯინიბოში დგომა. ემილი კარგა ხანია თავს აბეზრებდა მამას, ახალი ცხენი ვიყიდოთ, მარკუსის შესფერიო. და აი, დღეს შეიძლება ეს სურვილი შესრულებოდა, ისინი ხომ ბაზრობაზე მიდიოდნენ! ყოველ შემთხვევაში, ემილი იმედს არ კარგავდა.

_ ალბათ, გოგნია, ფული ჩეჩქივითა გვაქვს, _ უთხრა მამამ, _ არა, ბებერ იულანს ერთი-ორი წელი კიდევ მოუწევს ჩაქჩაქი. მეტი ჩარა არაა.

და ბებერი იულანი, მართლაც, თავს არ ზოგავდა, მკვირცხლად მიჩაქჩაქებდა ფერდობზე. ემილმა კი, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი ჯაგლაგი, მის გასამხნევებლად, იულანს რომ მოსწონდა, ის სიმღერა წამოიწყო:

პაკ-პუკ! პაკ-პუკ!@ გზაზე ნალებს
სცვივათ ცეცხლის ნაპერწკლები.
ცხენებს ისე მივაქანებთ,
ვეღარავინ დაგვეწევით.[1]

ბოლოს მივიდნენ ვიმერბიუში. ჯერ ადრე იყო და ეტლის დაყენება მოახერხეს თივის ბაზრის ახლოს, სადაც შინაური ფრინველი და საქონელი იყიდებოდა.

მერე ყველანი თავიანთ საქმეზე წავიდ-წამოვიდნენ. ემილის დედამ ხელი ჩაჰკიდა დაიკო იდას და ახლაი ლურჯი რვეულის საყიდლად გაეშურა, თან შინიდან წამოღებული კვერცხისა და მატყლის გაყიდვასაც აპირებდა. ლინას კიდევ მაშინვე ალფრედთან ერთად

[1] ლექსები თარგმნა გივი ჭიჭინაძემ.

საკონდიტროში ყავის დასალევად წასვლა მოუნდა და ალფრედს არაფერი გაუვიდა, წაჰყვა, თუმცა ემილთან და ემილის მამასთან ერთად თივის ბაზარში წასვლა ერჩია.

შენ, ალბათ, არასოდეს ყოფილხარ ვიმერბიუს ბაზრობაზე და არ იცი, როგორია იმ დროს თივის ბაზარი. აქ ყიდიან და ყიდულობენ ხოლმე ცხენებსა და ძროხებს. როცა ემილი და მამამისი თივის ბაზრისაკენ გაემართნენ, შორიდანვე შეამჩნიეს, რომ იქ უკვე გაცხარებული ვაჭრობა იყო. ემილი შუა ბაზრისაკენ იწევდა და მამაც უკან მიჰყვა, თუმცა არაფრის ყიდვას არ პირებდა. უნდოდა მხოლოდ თვალი გადაევლო, ვინ რას ყიდდა, ხოლო თუ რამე მოეწონებოდა, იქნებ შევაჭრებოდა კიდეც.

_ არ დაგავიწყდეთ, რომ ზუსტად შუადღეზე ფრუ პეტრელთან ვართ სადილად დაპატიჟებული! არ დაგავიწყდეთ! _ მიაძახათ ემილის დედამ.

ხუთი წუთიც არ გასულა და ემილმა დაინახა ცხენი, რომელსაც თვალი ვეღარ მოსწყვიტა. აი, ცხენი ის იყო! ემილს სუნთქვა შეეკრა და გული ჩიტივით აურფთხალდა. ჩალისფერი სამწლიანი ფაშატი იდგა კადონთან და ემილს ისე ალერსიანად უყურებდა, თითქოს დღედაღამ იმაზე ოცნებობდა, ემილმა მიყიდოსო. და ემილსაც მოუნდა მსი ყიდვა, ისე მოუნდა, როგორც თავის სიცოცხლეში არაფერი მონდომებია. მან უკან მიიხედა და თვალებით მამას დაუწყო ძებნა. რომ ხელი ჩაეჭიდა, შეხვეწნოდა, ეწუწუნ-ეკრუსუნა, ეღიჯინა, ერთი სიტყვით, რამენაირად ეყიდვინებინა ეს ცხენი.

მაგრამ ბედი არ გინდა! მამა თითქოს მიწამ ჩაყლაპა, თითქოს გაითქვიფა გლეხების ბრობაში, რომლებიც ხმამაღლა დაობდნენ, ყაყანებდნენ, ცდილობდნენ ერთმანეთის დაყოლიებას, გარიგებას, თან ხელს ნელ-ნელა უსვამდნენ ცხენსა და ძროხას. ისინი კი ადგილს ტკეპნიდნენ, ჩლიქებს სცემდნენ მიწას, ჭიხვინებდნენ და ბღაოდნენ.

«ეჰ, სულ ასეა! _ წყენით გაიფიქრა ემილმა. _ რა აზრი აქვს მაგის წამოყვანას! ტვერდზე მიხედვას ვერ მოასწრებ, რომ სადღაც გაქრება».

ცდის დრო აღარ იყო. ჩალსიფერი ფაშატი თვალში მოუვიდა მოლილიდან ჩამოსულ ერთ სოლიდურ ცხენის ვაჭარს.

_ რას აფასებ? _ ჰკითხა ემილმა ცხენის პატრონს _ დაჩაჩულ ტუნელ გლეხს.

_ სამას კრონს, _ უპასუხა გლეხმა.

ამ ფასის გაგონებაზე ემილს გულ-ღვიძლი დაეწვა. მამასთვის სამასი კრონის გამოგლეჯა ყოვლად უიმედო საქმე იყო.

«ცდა ბედის მონახევრეაო!» _ მაინც გაიფიქრა ემილმა. ხომ იცი, როგორი ჯიუტია. მთელი ლიონებერგაში, ლიონებერგა რაა, მთელ სმოლანდში მეორეს ვერ იპოვი

იმისთანას. ჰოდა, აღარც უზოზინია, მამის მოსაძებნად ამ ჭყლეტ-ჯგლეთაში შეძვრა. გამწარებული დაძრწოდა აქეთ-იქით. შორიდან ზურგით ვინმეს მამას მიამსგავსებდა თუ არა, მივარდებოდა, მაგრამ სულ ცდებოდა. გაკვირვებული ყურებდნენ უცხო ადამიანები.

ემილს სასოწარეკვეთა. მაგრამ არ იფიქრო, გული გაუტყდა და ხელი ჩაიქნიაო. სრულიადაც არა! პირიქით!

ბაზრის მოედნის შუაგულში ჩადგმულ მაღალ ანძაზე ალამი ფრიალებდა. ემილი წამში ანძაზე აძვრა, აფრიალებულ ალმის ქვეშ შეჩერდა, ყველას რომ დაენახა და აღრიალდა:

_ ხალხო, შემომხედეთ! მამა დამეკარგა!

ემილმა ზემოდანვე შეამჩნია, რომ გაიგონეს მისი ყვირილი და თითქოს ტალღამ გადაუარა ხალხს. უცებ ვიღაც თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა ანძისაკენ. ეს ემილის მამა იყო!

ანტონ სვენსონმა ბიჭი ანძის წვერიდან, ხიდან რომ ვაშლს ჩამობერტყავენ, ისე ჩამოაგდო და თითებით ყურში ჩააფრინდა.

_ სად დამეკარგე, საძაგელო! _ ყვიროდა გაშმაგებული. _ საით მეწევი, საით?

მაგრამ ემილს ახლა პასუხისათვის არ ეცალა.

_ გავიქცეთ! _ სახელოზე ექაჩებოდა მამას. _ იქ ერთი ცხენია, აუცილებლად უნდა განახო... ჩქარა გავიქცეთ!

ბოლოს და ბოლოს, როცა ემილის მამამ ჩალისფერი ფაშატი ნახა, იგი უკვე გაყიდული აღმოჩნდა. წარმოგიდგენია, რა დაემართებოდათ?! ემილმა და მამამისმა სწორედ მაშინ მიირბინეს ჩალისფერ ფაშატთან, მოლილელმა ცხენის ვაჭარმა საფულე რომ გახსნა, იქიდან სამი ასკრონიანი ამოიღო და ტუნელ გლეხს დაკოჟრილ ხელისგულში ჩასჩარა.

მაშინ კი ატირდა ემილი.

_ თვინიერი ცხენი თუა? _ იკითხა ცხენის ვაჭარმა.

_ თვინიერია, მაშ, _ უპასუხა ტუნელმა გლეხმა, მაგრამ ამის თქმისას ჯიუტად განზე იყურებოდა, თითქოს სხვა რამეზე ფიქრობსო.

_ ისე, მშიერი ჩანს, _ თქვა ცხენის ვაჭარმა. _ საკვები უნდა მივცე, დიდი გზა გვაქვს გასავლელი.

ემილი შორიახლო იდგა და ისე მწარედ ტიროდა, რომ მამას შეეცოდა.

_ კარგი, ემილ, ნუ ტირი! _ უთხრა ბიჭს და თავი გადააქნია. _ ჯანდაბას, რაც არის, არის! წავიდეთ აქედან და კარამელს გიყიდი.

მან ხელი ჩასჭიდა ემილს, წაიყვანა სავაჭრო რიგებისაკენ, სადაც ვიღაც დეიდები შინაურ კანფეტებს ყიდიდნენ, და მთელი ათი ერეს გრძელი ზოლიანი კანფეტები უყიდა. ემრე იქვე ნაცნობ გლეხს შეხვდა, მუსაიფში გაერთო და ემილი სულ გადაავიწყდა. ის კი იდგა თვალცრემლიანი, წუწნიდან ზოლიან კანფეტს და ცხენზე ფიქრობდა. უცებ ალფრედი დაინახა, გვერდით ყელმოღერებული ლინა მოჰყვებოდა. რა უბედური სახე ჰქონდა საწყალ ალფრედს. არც გასაკვირია! ხუმრობა საქმეა, ლინამ ჩვიდმეტჯერ ჩაატარა საიუველირო მაღაზიის წინ და ყოველ ჩავლაზე ეხვეწებოდა, ნიშნობის ბეჭედი მიყიდეო.

_ რომ არ გავჯიქებულიყავი, ნაღდად გამაბამდა, _ ტრაბახობდა თავისი თავით კმაყოფილი ალფრედი.

ახლა როგორ გაუხარდა ემილის დანახვა. მასაც წუთი არ დაუხანებია, მაშინვე მიახალა ჩალისფერი ფაშატის ამბავი. ასე იდგნენ ორივენი ერთად და დარდიანად ოხრავდნენ, ის ცხენი კატხულტში რომ არასოდეს ეყოლებოდათ. მერე ალფრედმა ბაზრობაზე თიხის ნაირ-ნაირი ფიგურებით მოვაჭრე მეთუნისგან თიხის გუგული იყიდა და ემილს გაუწოდა. ეს ჩემგან გქონდეს საჩუქრადო. ემილსაც ცოტა გულზე მოეშვა.

_ კი, ბატონო, ვისაც რა გინდა, ის აჩუქე, _ ცივად უთხრა ლინამ. _ ჰო, მართლა, სადაა ის კომეტა? აღარ უნდა გამოჩნდეს?

მაგრამ კომეტის ხსენებაც არსად იყო. მოედნის საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა. კომეტის ჩამოვარდნის დრო კი, ეტყობოდა, ჯერ არ დამდგარიყო.

ალფრედი და ლინა მარკუსის და იულანის დასახედად წავიდნენ, თანაც წასაუზმებაც უნდოდათ. შინიდან წამოღებული საჭმლით სავსე კალათა ეტლში იდო. ემილიც სიამოვნებით წაჰყვებოდა, მაგრამ გაახსენდა, რომ დედ-მამასთან ერთად ფრუ პეტრელთან იყო მიწვეული სადილად. გაფაციცებულმა მიიხედ-მოიხედა, მამა აღარსად ჩანდა. გინდ დაიჯერე, გინდ არა და მამა ისევ სადღაც გაქრა. იგი თითქოს გაითქვიფა გლეხების, ნამცხვრითა და ტკბილეულით მოვაჭრე ქალების, მეთუნეების, მეთუნუქეების, საჰაერო ბუშტების გამყიდველების, ჯიბგირების და ბაზარში მოყიალე ადამიანების ნაირფერ ბრბოში.

_ ეს რა ჩვევა აქვს, ყოველთვის იკარგება, _ ბუზღუნებდა ემილი. _ ქალაქში მეორედ რომ წამოვალ, შინ დავტოვებ და ისწავლის, როგორ უნდა მოიქცეს.

მაგრამ მარტო დარჩენილი ამჯერად არ დაიბნა. ვიმერბიუში არაერთხელ იყო ნამყოფი, ქალაქს ასე თუ ისე იცნობდა და დაახლოებით ახსოვდა, სად ცხოვრობდა ფრუ პეტრელი. მისი პატარა, თეთრშუშაბანდიანი სახლი დიდი ქუჩის მახლობლად იდგა.

«სახლს უცებ მოვნახავ», _ გაიფიქრა ემილმა.

ფრუ პეტრელი ქალაქის ერთ-ერთ წარჩინებულ ქალად ითვლებოდა და ცოტა გასაკვირი იყო, როგორ გაუყადრა თავი ხუტორ კატხულტის უბრალო ბინადართ. რა ვქნა, არა მგონია, ისინი მარტო იმისთვის დაეპატიჟნოს, რომ ემილის დედას ყოველთვის მიჰქონდა მისთვის გემრიელი შინაური ძეხვი. წარმოუდგენელია, ასე ყოფილიყო ფრუ პეტრელი ძეხვზე გაგიჟებული. საქმე უფრო სხვაგვარად ჩანდა. უბრალოდ, როცა სვენსონები კატხულტში სოფლურ ლხინს მართავდნენ, ამ წარჩინებულ მანდილოსანს აუცილებლად იწვევდნენ ვიმერბიუდან. ისიც ჩადიოდა და გემრიელად მიირთმევდა ძეხვსაც, ლაბასაც, შემწვარ ხბოს ხორცსაც და სხვა სოფლურ კერძებსაც.

«უხერხულია სულ მათთან ვიარო სტუმრად, ჩემთან კი არასოდეს მოვიპატიჟო. არა, ასე არ შეიძლება!» _ ფიქრობდა ფრუ პეტრელი. ამიტომ აირჩია ბაზრობის დღე, როცა სმოლანდელი გლეხები ქალაქში ჩადიოდნენ და სვენსონები თორმეტი საათისათვის სადილად მიიპატიჟა. მათ გამასპინძლებას თევზის პუდინგითა და მოცვის კისელით აპირებდა. თვითონ კი თერთმეტ საათზე სიამოვნებით მიირთვა მოხარშული ხბოს ხორცი და მარციპანის ტორტის მოზრდილი ნაჭერი. ასე რომ, თევზის პუდინგის ჭამა აღარ უნდოდა. ან კი რას ემგვანებოდა დიასახლისი მშიერივით ხარბად დასტაკებოდა სტუმრებისთვის მირთმეულ კერძს. ეს რაღა სტუმართმოყვარეობა იქნებოდა!

ემილის მამა, ემილის დედა და დაიკო იდა უკვე გაშლილ მაგიდას უსხდნენ, ემილი კი არა და არ ჩანდა.

_ რანაირი ბიჭია! ისევ სადღაც დაიკარგა. იამს ისე იპოვი, როგორც ნემსს თივაში.

ემილის დედამ მაინც გადაწყვიტა ემილის მოსაძებნად ბაზრის მოედანზე წასვლა, თუმცა ემილის მამა არწმუნებდა, არ ღირს, ხო ხედავ, ფეხები დამაწყდა მის ძებნაში და ვერსად ვიპოვეო. ფრუ პეტრელმა კი როიევ დააშოშმინა:

_ ნუ ღელავტ, ვინც ცოტათი მაინც იცნობს მაგ თქვენს ემილს, ეჭვიც არ შეეპარება, რომ გზას თავად გამოიგნებს.

ფრუ პეტრელი მართალი გამოდგა. ემილი სწორედ იმ წუთას მიადგა ფრუ პეტრელის სახლს, მაგრამ ერთი ამბის გამო მაინც დააგვიანდა სადილზე.

ფრუ პეტრელის სახლის პირდაპირ ხეხილის ბაღში ბურგომისტრის ლამაზი სახლი იდგა და ამ ბაღში ვაშლის ხეებს შუა მაღალ ოჩოფეხებზე დადიოდა ბიჭი, ბურგომისტრის შვილი _ გოტფრიდი.

გოტფრიდმა დაიანხა ემილი, თვალი ვეღარ მოაშორა, დაკარგა წონაწორობა და თავით გადაეშვა იასამნის ბუჩქში. თუ ერთხელ მაინც გაგივლია ოჩოფეხებზე, გეცოდინება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს წონასწორობის დაცვას. ოჩოფეხები ხომ ძალიან გრძელი ლატნებია, რომლებზედაც მიწიდან საკმაოდ მოშორებით, ფეხების სამაგრად პატარა ფიცრებია მიჭედებული, ამიტომაა ოჩოფეხები ასე ყანყალა.

გოტფრიდი იმწამსვე წამოდგა, ბუჩქიდან თავი გამოჰყო და მოჯადოებულივით მიაჩერდა ემილს. ასეა, როცა ერთმანეთს შემთხვევით ერთნაირი ჭკუის ბიჭები შეხვდებიან, მაშინვე აენთებიან ხოლმე. გოტფრიდი და ემილიც მისჩერებოდნენ ერთმანეთს და უსიტყვოდ იღიმებოდნენ.

_ მშვენიერი კეპია, _ თქვა ბოლოს გოტფრიდმა, _ ცოტა ხანს დამახურავ?

_ კი, _ უპასუხა ემილმა. _ შენც მათხოვებ ცოტა ხანს ოჩოფეხებს?

ეს გაცვლა-გამოცვლა ორივეს ძალიან მოეწონა.

_ გათხოვებ, მაგრამ არა მგონია, გაიარო, ოჩოფეხებზე სიარულს ცოდნა უნდა! _ გააფრთხილა გოტფრიდმა.

_ რა თქვი? _ წამოიძახა ემილმა. _ ახლავე გაჩვენებ!

ასეთი გამბედავი კი აღარ ეგონა გოტფრიდს ემილი. იგი თვალის დახამხამებაში დადგა ოჩოფეხებზე და, წარმოიდგინე, გაიქცა, თან მოხერხებულად უქცევდა გვერდს ხეებს. ის კი, ფრუ პეტრელთან რომ უნდა წასულიყო სადილად, სულ გადაავიწყდა.

ამასობაში ფრუ პეტრელის შუშაბანდში ემილის მშობლებმა და დაიკომ ხელად მოათავეს თევზის პუდინგი. მაგიდაზე ახლა მოცვის კისელით გაპიპინებული თასი გამოჩნდა.

_ მიირთვით, ღმერთმა შეგარგოთ, _ შეეპატიჟა სტურმებს ფრუ პეტრელი. _ ისე, ეტყობა, მადას არ უჩივით!

თვითონ კი, როგორც იცი, ბლომად მიიართვა და არც პუდინგს მიჰკარებია და არც კისელს. სამაგიეროდ, ენა არ გაუჩერებია, ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა და, რა თქმა უნდა, სულ ერთსა და იმავეზე _ კომეტაზე!

_ რა საშინელებაა! მოფრინდება კომეტა და დაიღუპება ქვეყანა! _ ამბობდა შეშფოთებული.

_ ჰო, ვინ იცის, იქნებ ამქვეყანდ უკანასკნელად ამ მოცვის კისელს ვჭამთ, _ კვერი დაუკრა ემილის დედამ.

ემილის მამამ სწრაფად გაუწოდა თეფში.

_ თუ შეიძლება, ცოტა კისელი დამიმატეთ, _ სთხოვა ფრუ პეტრელს. _ ყოველი შემთხვევისათვის, მარაგად.

მაგრამ სანამ ფრუ პეტრელი მისი თხოვნის შესრულებას მოასწრებდა, თავზარდამცემი ამბავი მოხდა. გაისმა ზრიალი, მერე ყვირილი, შუშაბანდში რაღაც უზარმაზარი შემოიჭრა და მაგიდას დაენარცხა. იატაკი ნამსხვრევებით მოიფინა, კედლები კი კისელის შხეფებით მოიწუწა.

_ კომეტა! _ იწივლა ფრუ პეტრელმა და გულწასული სკამიდან გადავარდა.

მაგრამ ეს კომეტა კი არა, ემილი იყო. წონასწორობა დაკარგა ოჩოფეხებზე სირბილისას, ბომბივით შევარდა შუშაბანდში და თავით პირდაპირ კისელის თასში მოადდინა ტყაპანი.

რა ამბავი დატრიალდა! სათქმელადაც ძნელია! ემილის დედა ყვიროდა, ჭარხალივით გაწითლებული მამა გაშეშებული იდგა, დაიკო იდა ქვითინებდა. მხოლო დფრუ პეტრელი ინარჩუნებდა სიმშვიდეს _ იგი უგონოდ იწვა იატაკზე.

_ ჩქარა სამზარეულოდან ცივი წყალი მოიტანე! _ იყვირა ემილის მამა. _ შუბლი უნდა დავუსველოთ.

დედა თავქუდმოგლეჯილი გაიქცა სამზარეულოში, მამა უკან დაედევნა, თან მისძახოდა, ჩქარა, წამის დაკარგვა არ შეიძლებაო.

ისინი რომ ამ დღეში იყვნენ, ემილმა ვაი-ვაგლახით წამოსწია თავი თასიდან _ სახე კისელისაგან მთლად გალურჯებოდა.

_ რატომ იცი ასე ხარბი ჭამა? _ ჰკითხა დაიკო იდამ.

ემილი სხვა რამეზე ფიქრობდა და არაფერი უპასუხია.

_ გოტფრიდი მართალია, _ ამოიხვნეშა ბოლოს. _ ოჩოფეხებით მესერზე ხტომა არ შეიძლება. ეს თვითონ დავამტკიცე.

უეცრად ემილმა იატაკზე უგონოდ გაწოლილი ფრუ პეტრელი დაინახა და შეეცოდა.

_ წყალი რატომ არ მოაქვთ! ჩქარა, წუთის დაკარგვაც არ შეიძლება! _ აღშფოთდა და დიდხანს არ უფიქრია, სტაცა ხელი მაგიდაზე მდგარ თასს და შიგ ჩარჩენილი კისელი ფრუ პეტრელს თავზე გადაათქრიალა. გინდ დაიჯერე, გინდ არა და ამან უშველა!

_ ვაიო, _ წამოიძახა ფრუ პეტრელმა და ფეხზე წამოხტა.

ახა ხომ მაინც გჯერათ, რომ კისელი ბევრი უნდა მოხარშოთ, ვინიცობაა, ვინმეს გული წაუვიდეს.

_ უკვე განვკურნე, _ ამაყად თქვა ემილმა, როცა დედამ და მამამ დოქით ხელში შუშაბანდში შეირბინეს.

მამამ პირქუშად შეხედა.

_ მე მგონია, ერთ ვინმესაც მოუწევს მკურნალობა, შინ რომ დავგრუნდებით, ოღონდ ფარდულში!

ფრუ პეტრელს თავბრუ ეხვეოდა, სახე მოცვის კისელისაგან გალურჯებოდა. არც ემილს ადგა უკეთესი დღე. ემილის დედამ მისთვის დამახასიათებელი სიმტკიცით სწრაფად წამოაწვინა ფრუ პეტრელი დივანზე, ხელი სტაცა ჯაგრისს და საქმეს შეუდგა.

_ ყველაფერი უნდა გაიწმინდოს, _ იმეორებდა ემილის დედა და ჯაგრისით ჯერ ფრუ პეტრელს ასუფთავებდა, მერე _ ემილს და ბოლოს _ შუშაბანდის იატაკს.

მალე მოცვის კისელის კვალიც არსად დარჩა ემილის მარჯვენა ყურის გარდა, იქაც ერთი ბეწო. დედამ შუშის ნამსხვრევები გაგავა, მამა მეშუშესთან გაიქცა და ახალი მინები ჩაასმევინა. ემილს მოხმარება უნდოდა, მაგრამ მამამ მინას ახლოს არ გააკარა.

_ ახლა აქედან დამეკარგე და თვალით აღარ დამენახო, სანამ წასასვლელად არ მოვემზადებით, _ დაუტია შვილს. ამის საწინააღმდეგო ემილსაც არაფერი ჰქონდა. სული მისდიოდა, ისე უნდოდა უკეთ გაეცნო გოტფრიდი. მაგრამ შიოდა. მას ხომ მთელი დღე პირში არაფერი ჩასვლია, თუ იმ ერთ ყლუპ კისელს არ ჩავთვლით, რომლის ჩაყლპავაც მაშინ მოუწია, თავით კისელიან თასში რომ ჩაეყუდა.

_ გაქვთ შინ რამე საჭმელი? _ ჰკითხა გოტფრიდს, რომელიც ისევ იდგა ბურგომისტრის ეზოს მესერთან.

_ გვაქვს რომელია! _ წამოიძახა გოტფრიდმა. – დღეს მამა ორმოცდაათი წლის გახდა და სტუმრები უნდა მოვიდნენ. სამზარეულოში მთელი დღე საჭმელს აკეთებედნენ.

_ რა კარგია! _ გაუხარდა ემილს. _ მაშ, ყველა კერძს გავსინჯავ და გეტყვი, მარილი თუ რომელიმეს აკლია.

გოტფრიდი მაშინვე სამზარეულოში გაქანდა და მალე გემრიელ-გემრიელი რამეებით სავსე თეფშით დაბრუნდა. რა არ მოუტანა: ძეხვი, დაბრაწული გუფთები და პატარ-პატარა ღვეზლები. ბიჭები იდგნენ, ერთი მესერის იქით, მეორე _ აქეთ და ყვეალფერს მადიანად მიირთმევდნენ. ემილი შეჰხაროდა თავის ახალ მეგობარს და ნეტარებდა.

_ საღამოს ფეიერვერკი გვექნება, _ ღვეზლის ღეჭვით თქვა გოტფრიდმა. _ თანაც როგორი! ასეთი დიდი ფეიერვერკი ვიმერბიუში არც არასოდეს ყოფილა.

თავისი ცხოვრების მანძილზე ემილს არასოდეს ენახა ფეიერვერკი, ასეთ სისულელის ნებას ლიონებერგაში თავს არავინ აძლევდა, ამიტომ ძალიან დანაღვლიანდა, ის ვერასოდეს ნახავდა გიგანტურ ფეიერვერკს _ მისი მშობლები ხომ დაბინდებამდე გაემგზავრებიან შინისაკენ.

ემილმა ამოიოხრა. არა, ბაზრობა მისთვის ძალზე უიღბლო გამოდგა. ცხენი ვერ იყიდეს, ვერც ფეიერვერკს ნახავს, წყენი სმეტი არაფერი შეხვდა. შინ დაბრუნდება და ფარდული ელის. კარგ ფეხზე იარა, მე და ჩემმა რმერთმა!

ემილი შუბლშეკრული დაემშვიდობა გოტფრიდს და თავისი ერთადერთი მეგობრისა და მანუგეშებლის _ ალფრედის საძებნელად გასწია.

მაგრამ სად ნახავდა ალფრედს? მინდორზე ხალხის ტევა არ იყო, ერთმანეთში ირეოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები და ბაზრობაზე ჩამოსული გლეხები. ძნელი იყო ამ ჯგლეთაში კაცის პოვნა, მაგრამ ემილი რისი ემილი იყო, ფარ-ხმალი დაეყარა. ამიტომ დადიოდა და დადიოდა, თან შიგადაშიგ არც ცელქობაზე ამბობდა უარს. თუმცა ლურჯ რვეულში ეს შემთხვევები არასოდეს მოხვედრილა _ ისნი სხვას არ გაუგია და ვერც ჩვენ შევიტყობთ. ასე იყო თუ ისე, ემილმა აფლრედი ვერ იპოვა.

ოქტომბერში ადრე ბნელდება. ამიტომ ბაზრობაზე ჩამოსული გლეხები ნელ-ნელა დაიშალნენ, თითქოს დრო იყო ვიმერბიუელებიც სახლში შეყუჟულიყვნენ. მაგრამ გაგიგონია! როგორ ეტყობოდა, ყვეალს გართობა სწყუროდა: სიცილი, ყვირილი, დროსტარება. გასაგებიცაა! რა დღე იყო! ბაზრობის დღე, ბურგომისტრის დაბადეის დღე და იქნებ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის უკანასკნელი დღეც, თუ კომეტა მართლა გამოჩნდებოდა. ხომ წარმოგიდგენია, ვიმერბიუელები იმ ბინდბუნდში რა სიამოვნებით დახეტიალობდნენ ქუჩებში და ელოდნენ, თუმც თვითონაც არ იცოდნენ რას: დიდ დღესასწაულს თუ კატასტროფას. ხალხი მხიარულობდა და თან შიშით კრთოდა, ჩვეულებრივზე მეტად ჟრიამულობდა და ფუსფუსებდა. ყველანი ქუჩებში გამოეფინენ, სახლები დადუმდა და გამოცარიელდა, შინ მხოლოდ კატები და აქა-იქ თოთო ბავშვებთან დარჩენილი მოხუცები-ღა იყვნენ.

თუ შენ ოდესმე გიყიალია ვიმერბიუსთანა პატარა ქალაქში, თანაც ბაზრობის დღეს, გეცოდინება, რომ არაფერი სჯობს ვიწრო, რიყის ქვით მოკირწყლულ შუკებში ხეტიალს და სახლების ფანჯრებში ბებიების, შვილიშვილებისა და კატების ცქერას, ოდნავ გამოღებულ

ჭიშკრებში გაძრომას და უცხო ბნელ ეზოებში შეპარვას, სადაც გლეხებს მთელი დღე ეყენათ თავიანთი საზიდრები და ახლა, სანამ ცხენებს შეაბამდნენ და შინისაკენ გზას დაადგებოდნენ, ფაციფუცით, პირდაპირი ბოთლებიდან ყლურწავდნენ ლუდს.

ემილს ძალიან მოსწონდა ასე ხეტიალი, ამიტომ ხელად გაუარა უგუნებობამ, თანაც იცოდა, რომ ალფრედს ადრე თუ გვიან სულ ერთია, იპოვიდა. და თუმც ეძებდა და ეძებდა, პირველად მაინც სულ სხვა რამ ნახა...

ბნელ შესახვევში რომ მიაბიჯებდა, მაღალმესერშემოვლებული ეზოდან უცნაური ხმაური, შემზარავი ყვირილი და ცხენის ჭიხვინი მოესმა. ემილი მაშინვე ჭიშკარში შეძვრა. ვნახო, რა ამბავიაო. ჰოდა, იმან, რაც დაინახა, გამოუცნობი იმედით აავსო. ეზოში სამჭედლო იყო და იმის ცეცხლის ათინათზე «თავისი» ცხენი იცნო. ჰო, ჰო, სწორედ ის ჩალისფერი ფაშატი, დილით რომ ასე გულში ჩაუვარდა. ახლა კი ცხენს ახალგაზრდები შემოხვეოდნენ და ყვირილითა და ლანძღვა-გინებით იკლებდნენ იქაურობას. და იცი, რატომ ბრაზობდნენ? იმიტომ, რომ ცხენი არაფრით არ აკვრევინებდა ნალს. როგორც კი მჭედელი ფეხს წაეტანებოდა, ისე გაშმაგებული ჭიხვინებდა და ყრიდა ტლინკებს, რომ მისახმარებლად მისეული ბიჭები მაშინვე განზე ხტებოდნენ. ნალბანდი დაბნეული იქექავდა კეფას.

_ ბევრი ცხენი დამინალავს ცხოვრებაში, მაგრამ ასეთი არაფერი შემხვედრია, _ ამბობდა გაოცებული.

იქნებ არც იცი, ნალბანდი რა არის. ეს ის კაცია, ცხენებს ფეხებზე ნალებს რომ აკრავს. რადგან ცხენებსაც, შენი არ იყოს, წაღები სჭირდება, თორემ ფლოქვები თუ დაუზიანდათ, ბორძიკ-ბორძიკითა და კოჭლობით ივლიან. რა თქმა უნდა, ცხენების წაღები სხვანაირია, შენსას არა ჰგავს. ესაა საგანგებოდ მოხრილი რკინა, რომელსაც პირდაპირ ფლოქვებზე აჭედებენ. ამ მოხრილ რკინას ნალი ჰქვია. აბა, მოიგონე, იქნებ ოდესმე გინახავს კიდეც.

ჩალისფერ ფაშატს კი აშკარად ეტყობოდა, რომ სრულიად ზედმეტად მიაჩნდა ნალები, სანამ მის უკანა ფეხს არავინ ეხებოდა, იდგა წყნარად და მშვიდად, მაგრამ როგორც კი ნალბანდი მივიდოდა და ხელს მოჰკიდებდა, ისევ წიხლებს ისროდა. და თუმცა მის დაკავებას რამდენიმე მაგარი ბიჭი ცდილობდა, წამში ითავისუფლებდა ფეხს და შეშინებული ბიჭები აქეთ-იქით იფანტებოდნენ. ვაჭარსკი, ცხენის ახლანდელ პატრონს, სულ უფრო და უფრო ერეოდა ბრაზი.

_ მე მოვუვლი მაგას! _ წამოიძახა გაცოფებულმა და თავისი უზარმაზარი ხელებით ცხენის უკანა ფეხს ჩააფრინდა. პასუხად ფაშატმა ისეთი წიხლი უთავაზა, რომ ეს თავისი პატრონი წვიმის წყლით სავსე როფში ჩააყუდა.

_ აი, სულ ასე იქნება! _ თქვა ერთმა ახალგაზრდამ. _ დამიჯერეთ, ამ ცხენს ვერავინ დაჭედავს. ჩვენთან, ტუნაში, ბარე ოცჯერ სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

ახლა კი მიხვდა ვაჭარი, რომ გააცურეს და სულ გადაირია.

_ ვისაც უნდა, იმან წაიყვანოს, ეს სამგლე, ოღონდ მე მომაშოროს! _ წამოიძახა გაცეცხლებულმა.

და, რა გგონიათ, ამ დროს ვინ გამოეცხადათ? რა თქმა უნდა, ემილი!

_ მე წავიყვან, _ უთხრა ვაჭარს.

ვაჭარმა გადაიხარხარა:

_ შენა, ბუთხუზ?

ის მართლა კი არ აპირებდა ცხენის მიცემას, გაბრაზებულ გულზე წამოსცდა, მაგრამ მისი სიტყვები იმდენმა კაცმა გაიგონა, რომ ახლა ღირსეულად უნდა დაეძვრინა თავი. ამიტომ ემილს ასეთი პირობა დაუდო:

_ კარგი, ცხენი შენი იქნება, თუ მანამ გააკავებ, სანამ ჩვენ ნალებს დავაკრავთ.

ახარხარდა ხალხი ამ ხუმრობაზე. მათ ხომ თვითონ სცადეს ყველაფერი და დარწმუნდნენ, ამ ცხენის დანალვა შეუძლებელიაო.

მაგრამ ემილი სულელი არ გეგონოს! მან ბევრი რამ იცოდა ცხენებზე. ამ ფაშატის შემხედვარეს კი, რომელიც ხელს დააკარებდნენ თუ არა, ტლინკების სროლასა და ჭიხვინს იწყებდა, ლინა გაახსენდა: ისიც ზუსტად ასე ირევა, როცა ეღიტინება.

ეს ნამდვილად ასე იყო, მაგრამ ემილის გარდა ვერავინ მიხვდა, რომ ეს ცხენი ღიტინს ვერ იტანდა. ამიტომ ისროდა წიხლებს და ჭიხვინებდა ხელის დაკარებისთანავე. ლინასაც ხომ ასე ემართებდოა, თითის დაკარება და იმის ჩაბჟირება ერთი იყო. შენც იცი, რა ძნელია, ღიტინისა რომ გეშინია.

ემილი გაბედულად მივიდა ცხენთან და თავზე მოხვია პატარა ღონიერი ხელები.

_ მომისმინე, _ უთხრა ცხენს, _ შენი დანალვა მინდა, ოღონდ ტლიკებს ნუ ისვრი. პირობას გაძლევ, არ შეგეღიტინება.

და მერე, იცი, რა ქნა? ყოჩაღად სტაცა ხელი ცხენს ფლოქვში და უკანა ფეხი აუწია. ცხენი ისე იდგა, ვითომც არაფერიო. ოღონდ თავი მოაბრუნა ბიჭისკენ, თითქოს უნდოდა შეეხედა, ჩემს ფეხს რას უპირებსო.

ახლა გეტყვი, აქ რა ოინია: ცხენის ფლოქვი ისევე უგრძნობელია ღიტინისადმი, როგორც, მაგალითად, ფრჩხილები, ამიტომაც აღარ დაუწყია ფაშატს წიხლების სროლა და ჭიხვინი.

_ თუ შეიძლება, დააკარით ნალი, ფეხი მე მიჭირავს, _ მიუბრუნდა ემილი ნალბანდს.

ატყდა ერთი ღრიანცელი. ემილი კი თითქოს ვერ ამჩნევდა მათ აღტაცებას, ოთხივე ფეხი სდაჭედვაში შეეშველა ნალბანდს.

როცა ნალბანდი და ემილი საქმეს მორჩნენ, ვაჭარმა ცხვირი ჩამოუშვა.

ახსოვდა დაპირება, მაგრამ შესრულებას სულაც არ ფიქრობდა. მან ჯიბიდან საფულე ამოაძვრინა, ამოიღო ხუთკრონიანი, ემილს გაუწოდა და ჰკითხა:

_ გეყოფა?

აღშფოთდნენ გარს შემოხვეული გლეხები, აბა, სიტყვის გატეხვა როგორ შეიძლებაო!

_ ასე იოლად ვერ გადარჩები, ტყუილად გაქვს მაგისი იმედი! _ უყვიროდნენ ვაჭარს. _ როგორც დაჰპირდი, ისე მიეცი ბიჭს ცხენი!

ვაჭარმა დათმობა გადაყვიტა. მდიდარი კაცი იყო, ეს ყველამ იცოდა, და ამდენი ხალხის წინ სიტყვის გატეხვისა შერცხვა.

_ ეგრე იყოს, არ გამაღარიბებს ეს სამასი კრონი, _ თქვა და ხელი ჩაიქნია. _ წაიყვანე ეგ ოხერი და ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახონ!

როგორ გაუხარდა ემილს! მოახტა თავის ცხენს და ჭიშკრიდან გენერალივით გაჭიმული გამოვიდა. ულოცავდნენ და ულოცავდნენ აქეთ-იქიდან, ნალბანდმა კი ჩაიბუტბუტა:

_ აი, როგორი ამბები ხდება ვიმერბიუს ბაზრობაზე!

ბედნიერებითა და სიამაყით სახეგაბრწყინებული ემილი ცხენს მიაჭენებდა, ხალხიც გზას უთმობდა. დიდ ქუჩაზე რომ გავიდა, სადაც ყველაზე მეტი ხალხი ირეოდა, ალფრედსაც შეხვდა.

ემილი რომ დაინახა, ალფრედი ადგილზე გაშეშდა, თვალებს არ დაუჯერა.

_ ეგ რა არის, ვისი ცხენია? _ წამოიძახა გაკვირვებულმა.

_ ჩემი ცხენია, ლუკასი ჰქვია, _ ვითომც არაფერიაო, ისე უპასუხა ემილმა. _ იცი, ღიტინის ამასაც ლინასავით ეშინია.

ამ დროს აფლრედთან ლინამ მიირბინა და ხელი წაავლო.

_ უნდა წავიდეთ, _ უთხრა ალფრედს. _ ბატონი სვენსონი ცხენს აბამს ეტლში.

ჰო, დღესასწაული დამთავრდა, დრო იყო კატხულტის მცხოვრებლები შინ დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ ემილს უეჭველად უნდოდა გოტფრიდისათვის თავისი ცხენის ჩვენება.

_ მამას უთხარით, ხუთ წუთში მოვა-თქო! _ მიაძახა ლინას და ალფრედს და ცხენი მოაბრუნა. ცხენი ფლოქვების თქარათქურით გაჭენდა ბურგომისტრის სახლისაკენ.

ოქტომბრის წყვდიადს დაებურა ბურგომისტრის ბაღი და სახლი, მაგრამ ფანჯრები ჩახჩახებდა და იქიდან სტუმრების ლაპარაკი და სიცილი ისმოდა. შუა ლხინი იყო.

გოტფრიდი ბაღში თამაშობდა. წვეულებები არ უყვარდა, იმას ოჩოფეხებით სიარული ერჩია. მაგრამ ემილი რომ ცხენზე შმეომჯდარი დაინახა, ისიც იასამნის ბუჩქში გადავარდა.

_ ეგ ცხენი ვისია? _ წამსვე გამოყო თავი ბუჩქიდან.

_ ჩემია, _ უპასუხა ემილმა. _ ჩემი ცხენია!

გოტფრიდი ჯერ არ იჯერებდა, მაგრამ როცა მიხვდა, მართალს მებუნებაო, პირდაპირ გადაირია. განა ის არ სთხოვდა მამას ცხენს? ყოველდღე არ ეხვეწებოდა?! მამა კი სულ იმას პასუხობდა: ჯერ პატარა ხარ, არც ერთ შენხელა ბიჭს ცხენი არა ჰყავსო!

თურემ ტყუილი ყოფილა! ტყუილი! აი, ნახავს მამა ემილს და თვითონ დარწმუნდება. თუ, რა თქმა უნდა, თვალები აქვს, თანაც თუ დათანხმდა და ცხენის სანახავად გარეთ გამოვიდა.

ახლა კი, თითქოს ჯიბრზე, სუფრასთან ზის და ქეიფობს, ზის სულელებში, რომლებიც ჭამის, სმის და ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკის მეტს არაფერს აკეთებენ.

_ არა, არაფრით არ ადგება მამა სუფრიდან, _ მოიღუშა გოტფრიდი და თვალები ცრემლით აევსო.

ემილს შეებრალა გოტფრიდი _ მისი მეგობარი ლამის ატირებულიყო. რა ვუყოთ, თუ ბურგომისტრს არ შეუძლია ცხენის სანახავად გამოსვლა, ცხენი თვითონ მივა ბურგომისტრთან. ამაზე ადვილი რა არის _ ჯერ პარმაღის კიბეზე ავა, გააღებს კარს, გაივლის შემოსასვლელს და სასადილოში შეაბიჯებს.

თუ ოდესმე ყოფილხარ ისეთ წვეულებაში, სადაც უეცრად ცხენი შემოსულა, გეცოდინება, რომ ამ დროს სტუმრები ისეთ ამბავს ტეხენ, თითქოს ცხენი მანამდე არასოდეს ენახოთ.

ასე მოიქცნენ ბურგომისტრის სტუმრებიც. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ბურგომისტრი იყო გაოცებული. ცხენი რომ დაინახა, მოულოდნელობისაგან ისე შეხტა ხორცი ყელში გაეჩხირა. ამიტომ არაფერი უპასუხია, გოტფრიდმა რომ დაუძახა:

_ აბა, ახლა რას იტყვი? შენ არ ამბობდი, ამ ქვეყანაზე არც ერთ შენხელა ბიჭს არა ჰაყვს საკუთარი ცხენიო?

სტუმრები მალე გამოფხიზლდნენ პირველი ელდისაგან და ძალიან გაუხარდათ, ნადიმზე ცხენი გვეწვიაო. ეს გასაგებიცაა _ ცხენები ხომ საოცარი ცხოველებია. ყველა ცდილობდა მიალერსებოდა ლუკასს. ემილი კი ზედ იჯდა და ბედნიერი იღიმებოდა. ვისაც უნდა, ეფეროს მის ცხენს, რა ენაღვლება!

უცებ სუფრიდან ბებერი მაიორი წამოდგა. მას ცხენების დიდ მცოდნედ მიაჩნდა თავი და ამისი ჩვენება მოინდომა, იფიქრა, ლუკასს უკანა ფეხზე ვუჩქმეტო. აბა, რა იცოდა, იმას ღიტინისა რომ ეშინოდა!

ბურგომისტრმა, როგორც იქნა, ჩაყლაპა ხორცის ნაჭერი და ის იყო, გოტფრიდისათვის უნდა ეპასუხნა, რომ მაიორმა ლუკასს უჩქმიტა. ცხენის ფლოვებმა ჰაერში გაიელვა და დაეშვა პატარა მაგიდაზე, რომელზეც უაზარმაზარი ტორტი იდო. მაგიდა აყირავდა, ტორტი მაღლა ავარდა და ოთახის მეორე კუთხეში მდგარ ბურგომისტრს მიეტყეპა სახეზე.

_ ბყ-ბყ... _ მოისმა კრემის ქვემოდან.

ახარხარდნენ სტუმრები. ეტყობა, უბრალოდ არ იცოდნენ, სხვაგვარად როგორ მოქცეულიყვნენ. მარტო ბურგოსმიტრის ცოლი არ იცინოდა. ალბათ, იმის შიშით, ვაითუ ამ ჩემმა საწყალმა ქმარმა ვეღარ დაინახოს, რა ხდება მისი დაბადების დღის აღსანიშნავად გამართულ ნადიმზეო.

უეცრად ემილს გაახსენდა, რომ შინ, ლიონებერგაში დაბრუნების დრო იყო და ცხენი ეზოში გამოაჭენა. გოტფრიდი უკან გამოენთო. სულ ერთია ტორტის კრემით მოთხუპნილ მამას ვერ მოელაპარაკებოდა, თან არც ლუკასთან განშორების ძალა შეწევდა. ემილი კუტიკართან ელოდა გამოსამშვიდობებლად.

_ რა ბედნიერი ხარ! – უთხრა გოტფრიდმა და ლუკასს უკანასკნელად მოუთათუნა ხელი კისერზე.

_ ეგ კი სწორია, _ კვერი დაუკრა ემილმა.

გოტფრიდმა ამოიოხრა.

_ სამაგიეროდ, ჩვენ ფეიერვერკი გვექნება, _ დაუმატა მაშინვე, რომ თავი ცოტა ენუგეშებინა... _ აგე!

მან ემილს იასამნის ფანჩატური დაანახვა, სადაც ყველაფერი მზად იყო ფეიერვერკისთვის. ემილს გული ჩაწყდა. ჰო, უნდა იჩქაროს, მაგრამ ფეიერვერკი ხომ თავის სიცოცხლეში არ უნახავს!

_ მოდი რა, შუშხუნა მაინც გავუშვათ! _ შესთავაზა გოფრიდს. _ შევამოწმებ, დენთი თუ ჰყოფნის.

გოტფრიდმა გაუბედავად აიღო მაგიდიდან ერთი პაკეტი.

_ ოღონდ აი, ეს გავუშვათ, ყველაზე პატარა.

ემილმა თავი დაუქნია და ცხენიდან ჩამოხტა.

_ ჰო, მარტო ეს გავუშვათ. მოიტა ასანთი!

გოტფრიდმა მიაწოდა. უეცრად ბუჰ-ბუჰო! _ და პატარა კაშკაშა დისკო ჰაერში გაფრინდა, დატრიალდა და დაბზრიალდა. საეჭვო აღარ იყო, დენთი საკმაოდ ჰქონდა. დისკომ ტრიალით რომ გული იჯერა, უკან ბაღში, პატარა მაგიდაზე გადმოხტა დანარჩენი შუშხუნებთან. ალბათ, მარტო დარჩენა არ უნდოდა. მაგრამ ეს არც ემილს შეუმჩნევია, არც გოტფრიდს. მათ გაიგონეს, რომ ვიღაც ხმამაღლა ეძახდათ. ეს ბურგომისტრი იყო, იგი კართანაზე გამოვიდა, რომ ბიჭებს მოლაპარაკებოდა. სახიდან კრემი თითქმის მოეწმინდა, ოქტომბრის ბინდში მარტო ყურები უქათქათებდა თეთრად.

ვიმერბიუს ქუჩებში კი ხალხი ისევ მიდი-მოდიოდა, იცინოდა, ლაყბობდა, ყვიროდა და ისევ არ იცოდა, რას ელოდა _ დღესასწაულს თუ უბედურებას.

და აი, მაშინ დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! დაიწყო რაღაც საშინელება, ის, რასაც ფარული შიშით კარგა ხანია ელოდა ყველა. ცაზე, სწორედ ბურგომისტრის სახლის სახურავს ზემოთ, აბრიალდა და ატკაცუნდა ნარიფერი ცეცხლის ენები: ჰაერი გაკაშკაშდა და გავარვარდა, როგორც ნაკვერცხალი ღუმელში, და ალი გუგუნით მოედო ცის კამარას. გაისმა გამაყრუებელი ზათქი. ვიმერბიუელები ადგილზე გააქვავა კატასტროფის წინათგრძნობამ.

_ კომეტა! _ გაისმა გამწარებული ყვირილი. _ დავიღუპეთ!

ატყდა ერთი ტირილი და ვაი-უშველებელი. მოქალაქეები ფიქრობდნენ, დადგა ჩვენი აღსასრულის ჟამიო. ვერც გაამტყუნებ! ისინი შეშინებულები მოთქვამდნენ, ქუჩა-ქუჩა დარბოდნენ, ხოლო უფრო სუსტნერვებიანებს გული უღონდებოდათ. მხოლო ფრუ

პეტრელი იჯდა უშფოტველად თავის შუშაბანდში და ინტერესით უცქეროდა აგიზგიზებულ ზეცას.

_ მე კომეტის არსებობა აღარ მჯერა, _ უთხრა თავის კატას. _ სანაძლეოს ვდებ, ყველაფერი ემილის ნაეშმაკარია.

შენც იცი, ფრუ პეტრელი მართალი იყო. რა თქმა უნდა, ეს ემილმა გაუშვა პატარა პეტარდა და ზეცა ათასფერი ცეცხლოვანი ზოლებით ააფერადა. კიდევ კარგი, ბურგომისტრი შემთხვევით სწორედ ამ დროს გამოვარდა სახლიდან, თორემ მის პატივსაცემად გამართულ ფეიერვერკს ვერცა ნახავდა. ირგვლივ ყველაფერი ბრწყინავდა და ტკაცუნებდა, ის კი იდგა თავაღერილი და შიშით გული უსკდებოდა, საცაა რომელიმე მოგიზგიზე ვარსკვლავი ჩამოვარდება და თმას შემიტრუსავსო. თანაც ისეთ ამბავში იყო, ემილმა და გოტფრიდმა იფიქრეს, ნამდვილად ახარებს ეს სანახაობაო. პეტარდის აბოლებული გარსი რომ უბეში ჩაუვარდა, მაშინ კი, იცოცხლე, შეეტყო გაჯავრება. აბა, ისე რატომ აღრიალდებოდა, რატომ გაიქცეოდა წყლიანი კასრისაკენ ანდა იმ კასრში ხელს რატომ ჩაყოფდა?

ბურგომისტრმა, ეტყობა, არ იცოდა პეტარდას როგორ უნდა მოქცეოდა. არ იცოდა, რომ მისი წყალში ჩაშვება და ჩაქრობა ერთი იქნებოდა და გულს ვეღარავის გაუხარებდა. აფსუს, რომ ვერ მიხვდა ამას!

_ სამაგიეროდ, მე ნამდვილი ფეიერვერკი ვნახე, _ თქვა შეშის ფარდულის უკან გოტფრიდის გვერდით გაწოლილმა ემილმა.

ბიჭებმა კარგად იცოდნენ, რომ ჯერჯერობით სჯობდა თვალით არავის დანახვებოდნენ.

_ ეგ სწორია, _ დაეთანხმა გოტფრიდი. _ ფეიერვერკი ნამდვილად ნახე.

ისინი ჩუმად იწვნენ და ელოდნენ. თუმცა რას უნდა დალოდებოდნენ? უბრალოდ უნდა გალურსულიყვნენ, სანამ ბურგომისტრი, გაგიჯებული ბზიკივით რომ აწყდებოდა ბაღის კედელ-ყურეს, ცოტათი მაინც არ დამშვიდდებოდა.

ნახევარი საათის შემდეგ, როცა კატხულტელები უკვე შინ ბრუნდებოდნენ, ცაზე ცეცხლი სენებიც ჩამქრალიყო, გავარვარებული ბურთებიც და ზედ ნამდვილი წყნარი ვარსკვალვები ციმციმებდნენ, მუქი ზოლივით მიიკლაკნებოდა წინ გზა, გზის აქეთ-იქით კი შავად მოჩანდა ტყე. ემილი ყველაზე წინ მიაჭენებდა თავის ცხენს, ბედნიერზე ბედნიერად მიაჩნდა თავი და გახარებული მღეროდა:

სწრაფად, როგორც ნიავ-ქარი,

შინისაკენ მივიჩქარით,

გასწი, რაშო _ რაშოვრელა,

მოვიტოვოთ უკან ყველა.

მამა კი იჯდა ეტლის კოფოზე და მართავდა. ძალიან კმაყოფილი იყო თავისი ბიჭისა. მართალია, ემილმა ოინებით ცოტა დააკლდა, კინაღამ ჭკუაზე შეშალა ფრუ პეტრელი, მერე კი მთელი ვიმერბიუ, მაგრამ ჩალისფერი ცხენი მაინც მათ ერგოთ და არა სხვას _ აი, ეს იყო მთავარი!

«მეორე ასეთ ბიჭს მთელ სმოლანდში ვერ იპოვი. _ ფიქრობდა მამა. _ დღეს ფარდულში აღარ ჩავკეტავ!»

მამა ასეთ მხიარულ გუნებაზე იმიტომაც იყო, რომ ვიმერბიუდან წამოსვლისას ძმაკაცი შეხვდა, რომელიც ერთი თუ ორი კათხა ლუდით გაუმასპინძლდა. არა, სმა არ უყვარდა, ასეთი კაცი არ გახლდათ, მაგრამ როცა სულითა და გულით გიმასპინძლდებიან, სხვა საქმეა, უარს ვერ ეტყვი!

ახლა კი იჯდა კოფოზე, ხალისიანად ატყლაშუნებდა შოლტს და მღეროდა:

_ მოვდივარ, მოვდივარ კატხულტში... მივდივარ, მივდივარ...

_ აი, მესმის სიმღერა! კიდევ აკრგი, რომ ბაზრობა ყოველდღე არაა, _ თქვა დედამ. _ რა სასიამოვნოა შინ დაბრუნება.

მის კალთაში პატარა იდას ეძინა და ძილშიც არ უშვებდა ხელიდან ვარდებიან ფაიფურის კალათას წარწერით: ვიმერბიუს მოსაგონებლად.

თუ გგონია, ემილმა ცხენი იშოვა და დაწყნარდაო, ძალიან ცდები. ორი დღე დილიდან დაღამებამდე აჭენა ლუკასი, სხვა არაფერი უკეთებია, მესამე დღეს კი, ესე იგი, 3 ნოემბერს, ისევ ძველებური ამბები დაიწყო. რაც იმას იმ დღეს ჩაიდინა... ხა-ხა-ხა-ხა! სიცილს ვერ ვიკავებ, როცა მახსენდება! მაშინ ემილმა... მაგრამ არა, არა, ვერ გიამბობ! მე ხომ ემილის დედას დავპირდი, 3 ნოემბრის ანცობას არავის მოვუყვები-მეთქი, იმიტომ, რომ თვითონაც გეხსომება, ლიონებერგელებმა სწორედ იმის მერე შეაგროვეს ფული ემილის ამერიკაში გასაგზავნად. ემილის დედას იმ დღის გახსენებაც აღარ სურს, ლურჯ რვეულშიც არაფერი ჩაუწერია და მე რაღაზე გავთქვა. სამაგიეროდ, შეგიძლია გაიგო, რა ჩაიდინა ემილმა დეკემბრის ბოლოს, ახალი წლის წინა დღეებში.

ორშაბათი, 26 დეკემბერი,

როცა ემილმა კატხულტში ბევრი რამ წაახდინა, ხოლო თავშესაფრის ქალი მგლის ორმოში ჩავარდა

დეკემბერი, სამწუხაროდ, ყოველთვის ღრუბლიან-წვიმიანი შემოდგომის მერე დგება. იგი არსად არაა მხიარული და ხალისიანი. ასევეა კატხულტშიც. აი, ახლაც წვიმდა და წვიმდა კოკისპირულად, მაგრამ ალფრედს მაინც გამოჰყავდა ხარები ბოსლიდან და ხნავდა ქვიან მინდროს, უკან, ნახნავში კი ემილი მიკუნტრუშებდა, ეხმარებოდა ალფრედს, ომახიანად შეუძახებდა ხოლმე ზანტ და ოჩან ხარებს, რომელთაც გუთნის გაწევა ეზარებოდათ. ბედად ადრე ბნელდებოდა, ალფრედიც ხარებს უღლიდან უშვებდა და ყველანი _ ალფრედი, ემილი და ხარები ერთად მიდიოდნენ შინ. ალფრედი და ემილი ტალახში ამოთხვრილი ჩექმებით სამზარეულოში რომ შეცვივდებოდნენ და ახლად მორეცხილ იატაკს აჭუჭყიანებდნენ, ლინა ორივეს ისე ლანძღავდა, არაფერს აკლებდა.

_ ნამდვილი ცოფიანია! _ ამოიხვნეშა ერთხელ ალფრედმა. _ ვინც მაგას შეირთავს, წუთით მოსვენება არ ექნება.

_ ის უბედური შენ იქნეი, ალფრედ, _ ჩაურთო ემილმა.

ალფრედს მაშინვე არ უპსუხნია, ჩაფიქრდა ცოტა ხანს.

_ არა, კაცო! _ თქვა ბოლოს. _ მე არა! მეშინია: ოღონდ თქმას ვერა ვბედავ!

_ თუ გინდა, მე ვეტყვი, _ შესთავაზა ემილმა. ის ხომ ძალიან ყოჩაღი და გაბედული ბიჭი იყო. მაგრამ ალფრედმა უარი თქვა დახმარებაზე.

_ ეს ისეთი რამეა, ძალიან ფრთხილად უნდა გითხრა, რომ არ ეწყინოს, _ აუხსნა ემილს...

ალფრედმა ბევრი იფიქრა, თავაზიანად როგორ ეთქვა ლინასთვის, შენი შერთვა არ მინდაო, მოფიქრებით კი ვერაფერი მოიფიქრა.

ხუტორი ახლა ადრიანად ეხვეოდა წყვდიადში. ლამის სამი საათიდან ანთებდნენ სამზარეულოში ნავთის ლამპას და ყველა იქ აკეთებდა თავის საქმეს. ემილის დედა ჯარას უჯდა და ემილისა და იდას წინდებისათვის თეთრ ნაზ მატყლს ართავდა, ლინა მატყლს ჩეჩავდა, ასევე კრიუსე-მაიაც, როცა ხუტორში ამოვიდოდა ხოლმე. ემილის მამა ფეხსაცმელებს აკერებდა, რომ ხარაზისთვის ფულის გადახდას გადარჩენილიყო. არც ალფრედს ჰქონდა პატარა საქმე: თავის წინდებს კემსავდა. აქამდეც უნდა დაეკემსა, ისე

ჰქონდა ქუსლები გამოხეული და ცერა თითები გარეთ გამოყოფილი, მაგრამ ვერ მოიცალა, ახლა კი იჯდა და მოთმინებით, გულმოდგინედ კემსავდა უზარმაზარ ნახვრეტებს. ლინამ რომ მოხმარება დააპირა, სასტიკად იუარა.

_ ხედავ, რა მაგრად დავდექი, _ თავი მოიწონა ემილთან. _ თორემ მერე რაც არ უნდა ფრთხილად მეთქვა, აღარაფერი გამოვიდოდა.

ემილი და იდა კი მაგიდის ქვეშ ისხდნენ და კატას ეთამაშებოდნენ.

ემილი არწმუნებდა, კატას სად ხედავ, ეს მგელიაო, მაგრამ იდა არა და არ უჯერებდა. ემილიც ადგა და მგელივით აყმუვლდა. ისე ზუსტად მიბაძა, რომ სამზარეულოში მსხდომებიც კი შეაკრთო. დედამ რა ყმუილიაო, რომ იკითხა, ემილმა უპასუხა:

_ მაგიდის ქვეშ მგელი გვყავსო.

ბოლო დროს კრიუსე-მაია სულ მგლებზე ლაპარაკობდა. ემილმა და იდამ ყველაფერს თავი მიანებეს და მის გვერდით მოკალათდნენ, თუმცა წინასწარ შიშით კანკალებდნენ. კრიუსე-მაიამ ხომ საშინელი ამბების მოყოლა იცოდა. ან მკვლელობაზე, ქურდობაზე, მოჩვენებებსა და ჭინკებზე უნდა ეამბნა რამე, ანდა სიკვდილით დასჯაზე, ხანძარზე, რაღაც წარმოუდგენელ უბედურებაზე, უკურნებელ სენზე და მტაცებელ ცხოველებზე, მაგალითად, მგლებზე.

_ როცა პატარა ვიყავი, _ დაიწყო კრიუსე-მაიამ, _ აქაურობა, მთელი სმოლანდი, მგლებით იყო სავსე.

_ მაგრამ მოვიდა მეფე კარლოს XII და ერთიანად ამოხოცა, _ ჩაურთო ლინამ.

გაჯავრდა კრიუსე-მაია. მართლა და მართლა, მოხუცი კი იყო, მაგრამ არც იმდენად.

_ ლაპარაკობ რა, თითქოს რამე გესმის, _ უთხრა ლინას ნაწყენმა და გაჩუმდა.

მაგრამ ემილი არ მოეშვა, იმდენი ეხვეწა, ბოლოს და ბოლოს, კრიუსე-მაიამ ისევ განაგრძო მოყოლა. ბევრი საზარელი ამბავი გაიხსენა მგლებზე, მოაგონდა, როგორ თხრიდნენ მის ბავშვობაში ორმოებს, რომ მგლები შიგ ჩაცვენილიყვნენ.

_ ასე რომ, კარლოს XII ჩამოსვლა სულ არ იყო საჭირო, _ ისევ გაკენწლა ლინამ და, თუმც მაშინვე გაჩუმდა, კრიუსე-მაია მაინც განაწყენდა.

არცაა გასაკვირი! კარლოს XII, შენც გეცოდინება, ორას წელზე მეტი ხნის წინათ ცხოვრობდა. გაბრაზდებოდა კრიუსე-მაია ლინაზე, აბა რას იზამდა!

ემილმა ისევ დაუწყო ხვეწნა და კრიუსე-მაიამაც ყველაზე ვერაგ _ მამალ მგლებზე გააგრძელა სიტყვა. ეს მგლები მხოლოდ მთვარი სავსების ჟამს გამოდიოდნენ

ბუნაგებიდანდა, როგორც კრიუსე-მაია ირწმუნებოდა, ლაპარაკიც იცოდნენ, იმიტომ, რომ უბრალო მგლები კი არა, მაქციები იყვნენ, ე. ი. ხან ადამიანები და ხან მგლები.

_ ასეთი მგელი მთვარიან ღამეს თუ შეგხვდა, გათავებულია შენი საქმე, იმაზე დაუნდობელი ნადირი ქვეყანაზე არაა. ატმიომაც იმ წლებში მთვარიან ღამეს გარეთ გამოსვლას ერიდებოდნენ, _ ყვებოდა კრიუსე-მაია და დროდადრო ლინასკენ აპარებდა თვალს.

_ თუმცა კარლოს XII... _ არ ცხრებოდა ლინა.

ამის გამგონე კრიუსე-მაიამ გვერდზე ისროლა საჩეჩელი, რომელზეც მატყლს ჩეჩავდა და... _ შინ უნდა წავიდე, რა დროს ჩემი ხნის ქალის ამდენ ხანს სტუმრად ყოფნაო, _ ჩაიბუტბუტა.

საღამოს, როცა ემილი და იდა თავ-თავიანთ ლოგინებში იწვნენ, ისევ მგლებზე ჩამოაგდეს სიტყვა.

_ რა კარგია, მგლები რომ აღარაა, _ თქვა იდამ.

_ «მგლები რომ აღარაა!» _ გამოაჯავრა ემილმა. _ შენ საიდან იცი? მათ დასაჭერად ორმოებს ხომ აღარავინ თხრის.

იგი დიდხანს იწვა ძილგამფრთხალი და ფიქრობდა. რაც მეტს ფიქრობდა, მით უფრო რწმუნდებოდა, ეზოში ორმოს ამოთხრა და მგლის შიგ ჩავარდნა ერთი იქნებაო. ბევრი აღარ უყოყმანია, გადაწყვიტა, ხვალვე დავიწყებ საკუჭნაოსა და ფარდულს შორის ორმოს თხრასო. ზაფხულობით იქ ჭინჭარი იყო მოდებული, ახლა კი დაჭკნა, გაშავდა და სველ მიწაზე გაერთხა.

სამგლე ორმოს ამოტხრა ადვილი საქმე არ არის, ღრმა უნდა იყოს და დიდხანს სჭირდება თხრა. აბა, სიღრმე თუ არ ექნა, მგელი მაშინვე უკან ამობობღდება. ემილს ალფრედიც ეხმარებოდა. თავისუფალი დრო გამოუჩნდებოდა თუ არა, მაშინვე ნიჩაბს სტაცებდა ხელს, მაგრამ საქმე საახალწლოდაც ძლივს მოათავეს.

_ ორმოს ამოთხრა კი დაგვიგვიანდა, მაგრამ არა უშავს, _ თქვა ალფრედმა, _ სულ ერთია, მგლები მაგარი ყინვების დადგომამდე არ გამოდიან ტყიდან, მათ იქიდან მხოლოდ სიცივე და შიმშილი დევნის.

პატარა იდა შიშით კანკალებდა იმ კუჭაწანწალებული მგლების წარმოდგენაზე, ზამთრის ცივ ღამეს ტყიდან უჩუმრად გამოძუნძულებულები ფანჯრის ქვეშ ყმუილს რომ გააბამდნენ. ემილი კი არც შიშით კანკალებდა და არც არაფერი. თვალებანთებული

შესცქეროდა ალფრედს და სიხარულით აღარ იყო, ის მგლები მათ ორმოში რომ უნდა ჩაცვენილიყვნენ.

_ ოღონდ ორმოს ტოტები და ფიჩხი უნდა წავაფაროთ, რომ მგლებმა ვერ შეამჩნიონ, _ მხიარულად უთხრა ალფრედს. ისიც მაშინვე დაეთანხმა.

_ სწორია, კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს, როგორც ამბობდა ხოლმე სტულე იოკე, როცა თავის ჭკუაში სარფიანად გაარიგებდა საქმეს.

სოფელში იმდენად ხშირად ახსენებდნენ სტულე იოკეს, რომ ეს სახელი რაღაც თავისებურ ნართაულად იქცა.

ყველა, ყველა, მაგრამ ალფრედს არ უნდა ეთქვა ასე, სტულე იოკე ხომ მისი პაპის მამა იყო. იგი ღარიბთა სახლში ცხოვრობდა. ასე ეძახდნენ მაშინ დავრდომილთა თავშესაფარს, ჰოდა, განა შეიძლებოდა დიდი პაპისთვის დაეცინა?! თუმცა ალფრედს ასეთი რამ არც უფიქრია, უბრალოდ იმას იმეორებდა, რასაც სხვები ამბობდნენ.

ორმო მზად იყო, ახლა მგლის მოსვლას უნდა დალოდებოდნენ. როგროც ახლავე დარწმუნდები, ცდამ დიდხანს არ მოუწიათ.

ახალი წლის წინ აცივდა და ისე მოთოვა, მის ნახვას არაფერი სჯობდა. მთელი ხუტორი, ხუტორი კი არა, თავად ლიონებერგა და მთელი სმოლანდი თოვლმა დაფარა. საითაც გაიხედავდი, ყველგან ნამქერი იდგა. ბოძების მიხედვით თუღა მიხვდებოდა, გზა სად გადიოდა. ასე რომ, საკუჭნაოსა და ფარდულებს შუა ამოტხრილ მგლის ორმოს ძალიან ფხიზელი თვალიც ვერ შეამჩნევდა. თეთრი ფუმფულა თოვლი ხალიჩასავით გადაეფარა ყველაფერს, ემილი ყოველ საღამოს მარტო იმას ფიქრობდა, თოვლის სიმძიმემ ორმოს წაფარებული ტოტები მანამ არ ჩაამტვრიოს, სანამ მგელი შიგ არ ჩავარდებაო.

კატხულტში ყველა თავაუღებლად მუშაობდა, რომ ახალ წელს, როგორც წესი და რიგია, ისე შეხვედროდნენ. უპირველეს ყოვლისა, უამრავი სარეცხი უნდა დაერეცხათ. ლინა და კრიუსე-მაია საათობით იდგნენ ტბის ყინულმოდებულ წანწალაზე და თეთრეულს წყალში ავლებდნენ. ლინა სულს იბერავდა გათოშილ, დახეთქილ თითებზე და ტკივილისაგან ტიროდა.

სარეცხის რეცხვა რომ მოათავეს, საახალწლოდ ნასუქი ღორი დაკლეს. სამზარეულოში აღარ ეტეოდა ნაირ-ნაირი შინაური ძეხვი და ღორის ბარკლები, ხის დიდ როფში ლუდი დუღდა, აცხობდნენ ბორბალა პურს, ფუნთუშებს, სურნელოვან ჭვავი სპურს, თავლაკვერებს. ემილის დედას და ლინას, თითქმის მთელ ღამეს არ უძინიათ, სანთლებს ქნიდნენ _ დიდებს და პატარებს, საგანგებო სანთლებს ნაძვის ხისათვის.

თითქოს ყველაფერი მზად იყო ახალი წლის შესახვედრად. ალფრედმა და ემილმა ლუკასი შეკაზმეს და ტყეში წავიდნენ ნაძვის ხის ჩამოსატანად. ემილის მამა კი კალოზე წავიდა და ბელურებისთვის გადანახული შვრიის რამდენიმე ძნა წამოიღო.

_ მარცვლის ასე განიავება ნამდვილად სისულელეა, _ თქვა მამამ, _ მაგრამ რას იზამ, ბელურებმაც ხომ უნდა იგრძნონ ახალი წელი რომ მოდის.

მარტო ბელურებზე ფიქრი არა კმარყოდა, ახალი წლის მოსვლა მარტო ბელურებს კი არა, იმათაც უნდა ეგრძნოთ, ვინც ღარიბთა სახლში ცხოვრობდა. შენ, ალბათ, არც იცი, რას ჰქვია ღარიბთა სახლი, ანუ დავრდომილთა თავშესაფარი. ასეთი თავშესაფრები ძველად იყო და რომ გიამბო, როგორ ცხოვრობდნენ იქ ღარიბ-ღატაკები, უფრო საშინელი იქნება, ვიდრე ის მაბები კრიუსე-მარია რომ ყვებოდა მკვლელებზე, მოჩვენებებსა და გარეულ მხეცებზე. წარმოიდგინე ერთი უბადრუკი ორ-სამოთახიანი სახლი, სავსე უილაჯო მოხუცებით, რომლებიც ერთად ცხოვრობენ ჭუჭყსა და სიღარიბეში და შიმშილს, სიცივეს და ათასგვარ ავადმყოფობას იტანენ. ხომ მიხვდი, რაა ღატაკთა სახლი? დამიჯერე, საშინელებაა სიბერეში ასეთ თავშესაფარში მოხვედრა, მაშინ, როცა ძალა აღარ შეგწევს, შენი შრომით ლუკმა-პური იშოვო.

«საწყალი პაპაჩემი, _ ამბობდა ხოლმე ალფრედი, _ მწარე ცხოვრება აქვს. ახლა იმ «უფროსს» აღარ იტყვი, მისგანაც საშველი არაა».

«უფროსი» ერთ მოხუც ქალს შეარქვეს, ღარიბთა სახლში ყველაფერს რომ განაგებდა. იგი ჯანმრთელობითაც სჯობდა სხვებს და ძალ-ღონეც მეტი ჰქონდა. სიბოროტესა და სისასტიკესი კი, ზღაპარში რომ დედინაცვალია, იმას არ ჩამოუვარდებოდა, ამიტომ, რაც თვითონ სურდა, ყველას იმას აკეთებინებდა. ემილი რომ უკვე სოფლის გამგეობის თავმჯდომარე ყოფილიყო, არ მისცემდა ამის ნებას. ახლა კი რა ექნა, პატარა ბიჭი იყო და არ შეეძლო, მისთვის ჭკუა ესწავლებინა, ალფრედის დიდპაპაც ძალიან ჯავრობდა «უფროსზე», დანარჩენი მოხუცებიც, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო.

_ ისე დაძრწის ჩვენს შორის, როგროც მგელი ფარეხში და სულ ღრინავს, _ ჩიოდა სტულე იოკე.

უცნაური კაცი ჩანდა სტულე იოკე, ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი იცოდა, მაგრამ კეთილი გული ჰქონდა და ალფრედს ძალიან უყვარდა. თავშესაფრის მცხოვრებლები სანახევროდ მშიერ-მწყურვალები იყვნენ და ემილის დედას ისინი ძალიან ებრალებოდა.

_ საცოდავები! საახალწლოდ აუცილებლად გავუგზავნი მოსაკითხს, _ თქვა დედამ.

და მართლაც, ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე ემილი და იდა ღატაკთა თავშესაფრისაკენ მიმავალ დათოვლილ გზას დაადგნენ, თან ძლვის მიათრევდნენ საჭმლით სავსე დიდ კალათას. რა აღარ ეწყო ამ კალათაში! ძეხვეული და ლაბა, ღორის ბარკალი და ფუნთუშები, თაფლაკვერები და სანთლები და ბურნუთით სავსე პატარა სათუთუნე სტულე იოკესათვის.

ვისაც შიმშილი გამოუცდია, მიხვდება, როგორ გაუხარდათ მოხუცებს საჭმლით გატენილი კალათით დატვირთული ემილი და იდა რომ დაინახეს. მაგრამ ის იყო. სტულე იოკემ, კალე სპანდერმა, იოჰან ეტმა და დანარჩენებმა მორთმეული ძღვენის ჭამა დააპირეს, რომ «უფროსმა» გამოუცხადათ:

_ ახალ წლამდე ამ საჭმელს პირს ვერავინ დააკარებს!

შედავება, რა თქმა უნდა, ვერც ერთმა ვერ გაბედა.

ემილი და იდა შინ დაბრუნდნენ. ხუტორ კატხულტში იმ დღეს სადღესასწაულო გუნებაზე იყო ყველა, ასევე გაგრძელდა მეორე დღესაც. ემილი და იდა ტკაცუნათი ერთობოდნენ და კატხულტში სიმშვიდე და მხიარულება სუფევდა. მერე ემილი დედა და მამა ტყის მიღმა ხუტორში _ სკორპხულტში წასასვლელად გაემზადნენ. ლიონებერგაში ყველამ იცოდა, რა ეშმაის ფეხიც იყო ემილი, ამიტომ სვენსონები უბავშვებოდ დაპატიჟეს.

_ აი, დარდი, _ წყენით თქვა ემილმა... _ მე რა, ბრალი მაგათი, რომ შეიძლება ვერც ვერასოდეს გამიცნონ...

_ ვერც მე, _ აჰყვა იდა.

ბავშვების მისახედად ჯერ ლინას შინ დატოვება გადაწყვიტეს, მაგრამ ლინა დილიდან ეღიჯინებოდათ, დედა მყავს სანახავი, რომელიც სკორპხულტის ახლოს ცხოვრობსო. ეტყობა, იფიქრა, რადგან იმ მხარეს მიდიან, მეც ვისარგებლებ და მარხილით გავისეირნებო.

_ წამოვიდეს, _ თქვა ლფრედმა. _ ბავშვებს მე მივხედავ. სასმელ-საჭმელი ბლომადაა და თვალ-ყურს დავიჭერ, რომ ასანთით არ ითამაშონ. ასე რომ, მშვიდად ბრძანდებოდეთ, სისულელის ჩადენის ნებას არ მივცემ.

_ მაგრამ, ხომ იცი, ემილი რა კვიმატია, წამით თვალის მოცილება არ შეიძლება, _ მოიღუშა მამა.

დედა მაშინვე შეედავა:

_ აბა, რას ამბობ, ემილი მშვენიერი ბიჭია! ყოველ შემთხვევაში, დღეს არ იცელქებს, იმიტომ, რომ დღესასწაულია. ნუ წუწუნებ, ლინა, შენ ჩვენთან ერთად წამოხვა.

ასეც გადაწყვიტეს.

ალფრედი, ემილი და იდა სამზარეულოს ფანჯარასთან იდგნენ და გზას გასცქეროდნენ, სანამ მარხილი მოსახვევში არ გაუჩიანრდა. აი, მაშინ კი აკუნტრუშდა ემილი სიხარულისაგან და აყვირდა:

_ ვაშა! ახლა გემოზე გავერთობით!

ამ დროს იდამ გზისკენ გაიშვირა ხელი:

_ შეხედეთ, სტულე იოკე მოდის!

_ ვაი, მართლა! _ გაუკვირდა ალფრედს. _ ნეტა რა მოხდა?!

სტულე იოკეს დანახვა იმიტომ გაუკვირდათ, რომ «უფროსი» მას თავშესაფრიდან გამოსვლის ნებას არ აძლევდა. ყველას არწმუნებდა, სიბერისგან გამოტვინდა და მისი მარტო სიარული საშიშიაო.

_ გზა აებნევა, ამას წყალი არ გაუვა, _ ამბობდა «უფროსი». _ მე კი მისი დევნისა და ძებნის თავი არა მაქვს.

მაგრამ კატხულტისაკენ სტულე იოკემ კარგად გამოიგნო გზა და ახლა ისე ცოცხლად მოცუხცუხებდა, რომ ჭაღარა თმას ფრიალ-ფრიალი გაუდიოდა. რამდენიმე წუთი და იგი უკვე სამზარეულოს ზღურბლზე იდგა აქოშინებული.

_ ბარკლის ნაჭერიც არ შეგვახვედრა, _ სულის მოთქმისთანავე მიახალა სტულე იოკემ. _ ძეხვი გემოთიც არ გაგვასინჯა, ყველაფერი თვითონ მიითვისა!

მეტი ვეღარაფრის თქმა ვეღარ შეძლო _ მწარედ ატირდა.

გაბრაზდა ემილი, მაგრამ რა გაბრაზდა, ალფრედი და იდა შეხედვასაც ვერ ბედავდნენ. თვალებიდან სულ ნაპერწკლები წამოსცვივდა.

_ აქ მომიყვანეთ ის «უფროსი»! _ იყვირა გაცეცხლებულმა. _ ჩემი თოფუკა სადაა?

ალფრედი სერიოზულად შეშინდა.

_ ჯერ გული დაიმშვიდე! _ უთხრა ემილს. _ ასეთი გაბრაზება სახიფათოა.

მერე თავის დიდპაპას მიუბრუნდა, მხარზე ხელს უთათუნებდა, ამშვიდებდა და ეკითხებოდა, რატომ მოიქცა «უფროსი» ასე საძაგლად. მაგრამ სტულე იოკე ისე იყო აღელვებული, რომ ვერა და ვერ წყნარდებოდა და სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა.

_ ბარკლის ნაჭერიც არ შეგვახვედრა. ძეხვი გემოთიც არ გაგვასინჯა. არც ჩემი ბურნუთი მომცა, _ სლუკუნებდა გულამომჯდარი.

იდამ ისევ გზისკენ გაახედა ყველა.

_ შეხედეთ, გვაჯა მოდის!

_ ჩემს წასაყვანად მოდის, _ თქვა სტულე იოკემ და მთელი სხეულით აკანკალდა.

გვაჯას პატარა მკვირცხლ მოხუც ქალს ეძახდნენ. «უფროსი» იმას აგზავნიდან კატხულტში, როცა სტულე იოკე უეცრად გაუჩინარდებოდა ხოლმე. ის ხომ ხანდახან უკითხავად მიდიოდა ხუტორში, სადაც მისი ბადიში ალფრედი ცხოვრობდა. ემილის დედა კეთილი ქალი იყო და მოხუცებულს ყოველთვის ალერსიანად ხვდებოდა.

გვაჯამ ყვეალფერი უამბოთ: «უფროსმა» ძღვენიანი კალათა სხვენზე, კარადაში შეინახა იქ ცივა და არ გაფუჭდებაო. მაგრამ საღამოს ვახშმისთვის პროდუქტების ჩამოსატანად როცა ავიდა, შეამჩნია, რომ მოსაკითხს ერთი პატარა ძეხვი აკლდა და კინაღამ გაგიჟდა.

_ ისე დაძრწოდა ჩვენს შორის, როგორც მგელი ფარეხში და სულ ღრინავდა, _ გაიმეორა სტულე იოკემ.

გვაჯამ დაადასტურა, მართალია, ეგრე იყოო და თხრობა განაგრძო:

_ «უფროსმა» მოითხოვა, ვინც ძეხვი მოიპარა, ურჩევნაი, თვითონვე გამოტყდეს ამ საშინელ ცოდვაშიო, და დაგვემუქრა: «იცოდეთ, თუ არავინ აღიარა დანაშაული, ისეთ სადღესასწაულო ვახშამს მოგიწყობთ, თავბედს გაწყევლინებთო». ასეც მოხდა, _ განაგრძობდა გვაჯა. _ «უფროსმა» ბევრი იყვირა, მაგრამ მაიცნ არავინ აღიარა, მე ავიღეო. ზოგიერთი მოხუცი იმასაც იფქრობს, «უფროსმა» მოიგონა ყველაფერი, რომ მოსაკითხი მთლიანად თავისთვის დაეტოვებინაო. ხოლო როცა გაიგო, სტულე იოკე საჩივლელად ხუტორში წავიდაო, სულ გაშმაგდა დამიბრძანა, ახლავე უკანდ ააბრუნეო. ასე რომ, სჯობს წავიდეთ, იოკე, _ დაასრულა გვაჯამ.

_ ჰო, ბაბუა, _ კვერი დაუკრა ალფრედმა, _ ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რა ვქნათ? უნდა დაბრუნდე.

ემილი ხმას არ იღებდა, ზანდუკზე იჯდა და კბილებს აკრაჭუნებდა. იოკეს და გვაჯას წასვლის შემდეგ კიდევ დიდხანს არ განძრეულა. თითქოს რაღაცაზე ფიქრობდა. ბოლოს კი ზანდუკს გამეტებით დასცხო მუშტი.

_ მე ვიცი ერთი კაცი, რომელიც ლხინის გადახდას აპირბს. დიდი ლხინის გადახდას.

_ ვინაა ის კაცი? _ დაინტერესდა იდა.

ემილმა ისევ დაჰკრა მუშტი ზანდუკს.

_ ვინ და მე! ისეთი ნადიმის გადახდას ვაპირებ, ლიონებერგას დიდხანს არ დაავიწყდება, იმიტომ, რომ ნადიმზე ვყეალს დავპატიჟებ, ვინც ღარიბთა თავშესაფარში ცხოვრობს... დედას გაუხარდება კიდეც, _ დაამატა ბოლოს წყნარად.

_ მამას? _ ჰკითხა იდამ.

_ ჰმ, _ ჩაიდუდუნა ემილმა. _ მაგრამ სულ ერთია, ეს ცელქობა არ არის.

იგი გაჩუმდა და ჩაფიქრდა.

_ ოღონდ ესაა, როგორ წამოვიყვანო სახლიდან მოხუცები, _ ფიქრობდა ხმამაღლა. _ აქ ეშმაკობაა საჭირო, აბა, წაივდეთ, ვცადოთ!

ამასობაში «უფროსმა» ბარკალიც შესანსლა, ძეხვიც, მთელი ლაბაც და ზედ თაფლაკვერებიც დააყოლა. სტულე იოკესათვის გაგზავნილი ბურნუთის მწიკვიც კი აღარ დატოვა. ახლა იჯდა სხვენზე მარტოდმარტო ცხვირჩამოშვებული. ასეა ყოველთვის, როცა იცი, რომ ცუდად მოიქეცი და თანაც ზომაზე მეტად გაივსე კუჭი. ქვევით, მოხუცებთან ჩასვლა არაფრით არ უნდოდა. ისინი, მართალია, ხმას არ იღებდნენ, მაგრამ არც ოხვრა-კვნესას გაათავებდნენ და არც საყვედურით სავსე თვალებს მოაცილებდნენ. არადა, რა ექნა, მთელ დღეს სხვენზე ხომ არ გაატარებდა?

უცებ დაბლა, შემოსასვლელ კარზე, კაკუნი გაიგონა და, ნეტა ვინ მოვიდაო, სწრაფად დაეშვა კიბეზე.

წინკარში ემილი იდგა, კატხულტელი ემილი. «უფროსი» ,რა თქმა უნდა, შეშინდა, იფიქრა სტულე იოკემ და გვაჯამ მიჩივლეს და ემილი იმის გასაგებად მოვიდა, რა მოხდაო, მაგრამ ემილი თავაზიანად მიესალმა და ჰკითხა:

_ უკაცრავად, ამას წინათ რომ ვიყავი, ჩემი ჯაყვა ხომ არ დამრჩენია?

წარმოგიდგენია, რა ეშმაკი ბიჭი იყო! თავისი ჯაყვა ჯიბეში ედო და ეს თვითონაც მშვენივრად იცოდა, უბრალოდ მოსვლის საბაბი სჭრიდებოდა და ჯაყვაც იმიტომ მოიკითხა.

«უფროსმა» ფიცილი დაიწყო, არავითარი ჯაყვა არ მინახავსო. მაშინ ემილმა ჰკითხა:

_ ძეხვი თუ იყო გემრიელი? ან ლაბა? ანდა თაფლაკვერები?

უფროსმა თვალები დახარა და რატომღაც თავისი ფეხსაცმლის ჭვინტის თვალიერება დაიწყო.

_ რა თქმა უნდა, გემრიელი იყო, რა თქმა უნდა! _ თქვა აჩქარებით. _ შენს ძვირფას დედიკოს საწყალი ხალხიც არ ვავიწყდებით. დიდი მადლობა გადაეცი ამისათვის!

ემილმაც ბოლოს და ბოლოს თქვა ის, რისთვისაც მოვიდა, თქვა ისე, თითქოს სიტყვამ მოიტანა:

_ დედა და მამა სკორპხულტში წავიდნენ სტუმრად.

«უფროს» ერთიანად აენთო.

_ როგორ, სკორპხულტში დღეს სტუმრები ჰყავთ? მე კი არც ივცოდი!

«გცოდნოდა, კარგა ხანია იქ იქნებოდი», _ გაიფიქრა ემილმა.

თუ რომელიმე ხუტორში დღესასწაული იყო, «უფროსი» დილაუთენია სამზარეულოს კარებში აიტუზებოდა ხოლმე და სანამ რამეს არ მისცემდნენ, არაფრით არ მოშორდებოდა იქაურობას. განსაკუთრებით ყველიანი ღვეზელები უყვარდა, ეს ყველამ იცოდა.

_ თურმე უამრავი ყველიანი ღვეზელი იქნება. ასე თქვეს, ჩვიდმეტი ცალიო! აი, ეს მესმის! _ თქვა ემილმა. _ ჭამე, რამდენიც გინდა!

აბა, ემილს საიდან უნდა სცოდნოდა, რამდენი ყველიანი ღვეზელი იქნებოდა სკორპხულტში? ტყუილის თქმაც არ უნდოდა და ისე, მიახლოებით ივარაუდა.

თქვა და წავიდა. თავისი საქმე გააკეთა. იცოდა, რომ ნახევარი საათის შემდეგ «უფროსი» უკვე სკორპხულტის გზას დაადგებოდა.

არც შემცდარა. ალფრედთან და დაიკო იდასთან ერთად შეშის ზვინს ამოეფარა და დაინახა თავის ყველაზე სქელ თავშალში გამოხვეული, ჩანთაამოღლიავებული «უფროსი» როგორ გამოვიდა სახლიდან და დაადგა სკორპხულტის გზას. მაგრამ წასვლამდე ისეთი რამ გააკეთა, არავინ რომ არ ელოდა. ჩაკეტა სახლის კარი და გასაღები ჯიბეში ჩაიდო, წარმოგიდგენიათ? აი, რა ქნა! ახლა ის საცოდავი მოხუცები, როგორც ციხეში, ისე იყვნენ გამომწყვდეულები. «უფროსი» კი, ეტყობა თვლიდა, დიახაც, ასე უნდა იყოსო. აბა, სტულე იოკე, კიდევ გაბედავ ხმის ამოღებას? ხომ გაიგე, ვინაა აქაურობსი ბატონ-პატრონი. «უფროსთან» ხუმრობა არ გარგებს!

«უფროსი» სწრაფად მიაბიჯებდა და მალე მოეფარა მოსახვევს. ემილიც გამოვიდა სამალავიდან და კარი მაგრად მოქაჩა. ამაოდ. დარწმუნდა, ჩაუკეტავსო. მერე ალფრედმა და დაიკო იდამაც მოსინჯეს. საეჭვო არაფერი იყო _ «უფროსს» კარი ნამდვილად ჩაეკეტა.

მოხუცები, ყველა ერთიანად, ფანჯარასთან შექუჩდნენ და თვალს არ აშორედნენ ალფრედსა და ბავშვებს, რომელთაც მათთან შესვლა უნდოდათ და ვერ ახერხებდნენ.

_ თქვენც წახვალთ დღესასწაულზე! _ აღრიალდა ემილი. _ ჩვენთან, კატხულტში. ოღონდ არ ვიცით, აქედან როგორ გამოგიყვანოთ!

სახლი სკასავით აზუზუნდა. რამხელა სიხარული ეწვიათ, მაგრამ ბედი არ გინდა! ისინი ჩაკეტილები იყვნენ და გარეთ გამოსვლის იმედი გადაწურული ჰქონდათ.

ალბათ, გიკვირის, რა მოხდა მერე, რა ძნელი ეგაა, სულაც ფანჯრიდან გადმომძვრალიყვნენო. თუ ასე ფიქრობ, ეს იმას ნიშნავს, რომ ორმაგი ჩარჩოების არსებობა არ გაგიგია. ზამთრობით ფანჯარას ვერ გააღებდი _ ორმაგი ჩარჩოები იყო ჩასმული. ჩარჩოებს ლურსმნებით აჭედებდნენ, მერე კი ზოლა-ზოლა აკრავდნენ ქაღალდს, ქარმა ღრიჭოებში არ დაუბეროსო.

იკითხავ, მაშ ოთახს როგორ ანიავებდნენო? აბა, ასეთი სასაცილო კითხვის მოცემა შეიძლება?! ვინა თქვა ღატაკთა თავშესაფარში ოთახს განიავება სჭირდებაო. ეს არც არავის უფიქრია. სუფთა ჰაერი საკვამლე მილიდან შემოდიოდა სახლში, ასევე კედლებისა და იატაკის ჭუჭრუტანებიდან იპარებოდა და მოხუცებისთვის ესეც საკმარისად მიაჩნდათ.

არა, ფანჯრიდან გადმოძვრომაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. თუმცა, ამ სახლში მაინც იღებოდა ერთი ფანჯარა _ სხვენის სარკმელი.

მართალია, ამ მოხუც ქალებსა და ბერიკაებს შიმშილი ტანჯავდათ, მაგრამ ოთხი მეტრის სიმარლიდან გადმოხტომას ლხინში წასასვლელადაც ვერა ბედავდნენ. ამ ნახტომის მერე ხომ ლხინში კი არა, პირდაპირ სამოთხეში მოხვდებოდნენ.

მაგრამ ემილი ისეთი ბიჭი არ იყო, ადვილად აეღო ხელი ჩანაფიქრიდან. მან ფარდულის გვერდით კიბე დაინახა, აიღო და სხვენს მიაყუდა, გვაჯამაც მაშინვე სარკმელი გამოაღო. ალფრედი მაღლა აძვრა. ის ზორბა და ღონიერი იყო და ამ ჩხირადქცეული მოხუცების ხელში ატატება და კიბეზე ჩამოყვანა არ გაძნელებია. მალე ყველანი სახლის წინ ჩამწკრივდნენ. ყველანი, სალია ამალიას გარდა, მან ვერაფრით ვერ გაბედა ფანჯარაში გადაძრომა. გულდაწყვეტილს მეორე მოხუცი ქალი _ ვეიბეტგსკანი დაპირდა, ბევრ საჭმელს მოგიტანო, და ისიც ნელ-ნელა დამშვიდდა.

იმ დღეს ვინმეს რომ კატხულტისაკენ მიმავალ გზაზე გაევლო, იფიქრებდა, მოჩვენებების გუნდი შემომხდაო, რომელიც კოჭლობ-კოჭლობით, ხვნეშა-ხვნეშით მიირწეოდა ფერდობზე, კატხულტისაკენ. ეს კონკაძველაში გახვეული მოხუცები მართლაც წააგავდნენ მოჩვენებებს, ოღონდ ბავშვებივით იყვნენ გახარებულები. ისინი ხომ ბევრი, ბევრი წელია დღესასწაულზე არავის დაუპატიჟნია, თან იმისი ფიქრიც სიამოვნებადათ, შინ დაბრუნებულ «უფროსს» ამალიას მეტი არავინ დახვდებაო.

_ ხა-ხა-ხა! ჰოდა, ახია იმაზე, _ თქვა სიცილით ცალყურა იუხანმა. _ ხა-ხა-ხა! იჯდეს მარტოკა მოწყენილი, იჯდეს. იქნებ მიხვდეს რამეს! _ გულიანად ახითხითდნენ მოხუცები.

მაგრამ როცა საზეიმოდ მორთულ სამზარეულოში შევიდნენ და ემილმა ხუთ დიდ შანდალში სანთლები აანთო, როცა სანთლის ალი კედლებზე ჩამოკიდებულ გალაპლაპებულ სპილენძის ჭურჭელში აირეკლა, ყველა დადუმდა, სტულე იოკემ კი იფიქრა, პირდაპირ სამოთხეში მოვხვდიო.

_ შეხედეთ, რა სინათლეა, რა მადლი აფენია აქაურობას! _ თქვა ჩურჩულით და ატიდა. სტულე იოკეს ახლა მწუხარებაც და სიხარულიც ერთნაირად უჩუყებდა გულს.

უცებ ემილმა მოხუცებს განუცხადა:

_ ახლა კი ვიქეიფებთ!

და მართლაც, სანაქებო ნადიმი გაიმართა. ემილი, ალფრედი და დაიკო იდა საკუჭნაოდან საჭმლის მოტანას ძლივს ასწრებდნენ. ყველა კერძს არ ჩამოგითვლი, გეტყვი მხოლოდ, რომ ყველაფერი, რაც ემილის დედამ, ლინამ და კრიუსე-მაიამ სადღესასწაულოდ მთელი კვირისათვის დაამზადეს, ახლა მაგიდაზე ეწყო. ცენტრში ლანგარზე შემწვარი გოჭი იდო.

წარმოიდგინე, როგორ სხედან ეს საცოდავი ბოგანო მოხუცი ქალები და ბერიკაები მაგიდის გარშემო და თვალს ვერ წყვეტენ ნაირ-ნაირ ხორაგს, მაგრამ მოთმინებით იცდიან, თითს არაფერს აკარებენ.

_ გთხოვთ, მიირთვათ, ნუ მოგერიდებათ, _ ეუბნება ემილი.

აი, მაშინ კი იწყებენ გემოზე ჭამას.

ალფრედი, ემილი და დაიკო იდაც ისხდნენ მაგიდასთან სხვებთან ერთად. იდა მეორე გუფთას რომ ჭამდა, უცებ ჩაფიქრდა, გაახსენდა, ხვალ ხუტრო ინგატორპიდან სტუმრები უნდა სწვეოდათ! მოხუცები შეჭამენ, რაც დედამ დაამზადა და სტუმრებისათვის აღარაფერი დარჩება. მან ემილს სახელო მოქაჩა და, სხვას რომ არ გაეგო, ყურში ჩუმად, ჩუმად უჩურჩულა:

_ დარწმუნებული ხარ, რომ არ მოგხვდება? ხვალ ხომ ინგატორპელი სტუმრები უნდა გვეწვიონ!

_ ისინი ისედაც მსუქნები არიან, _ მშვიდად უპასუხა ემილმა. _ სჯობს იმათ ვაჭამოთ, ვინც მშიერია.

მაგრამ ცოტათი მაინც შეშფოთდა: ცხადი იყო, ამ დღესასწაულის დამთავრების მერე სახლში ნამცეცი არაფერი დარჩებდოა. ისიც, რასაც ვერ ერეოდნენ, მათ ჯიბეებსა და პარკებში იჩინარდებოდა, ამიტომ ყოველი ახალი თავი საჭმელი წამში ქრებოდა.

_ პაშტეტი უნდა გავსინჯო, _ ჩაიჩიფჩიფა კალე სპადერმა და ლანგარზე დარჩენილი პაშტეტი მთლიანად გადმოიღო.

_ ქაშაყის სალათი არ მიჭამია, ერთი უნდა გავსინჯო, _ ნადიმის დასასრულს თქვა რაკარე გიამ და სალათიანი თეფში მოასუფთავა.

_ ახლა უკვე ყველაფერი დავაჭაშნიკეთ, _ თქვა ბოლოს ტუკ ნიკლასმა. უფრო ზუსტად თქმა ნამდვილად შეუძლებელიც იყო.

სწორედ ამიტომ დაარქვეს ამ ნადისმ «დიდი ჭაშნიკი კატხულტში» და, უნდა გითხრა, რომ მასზე მარტო ლიონებერგაში კი არა, მთელ სმოლანდშიც ბევრი ილაპარაკეს.

მოხუცებს ერთი რამ მაინც დარჩათ შეუჭმელი _ შემწვარი გოჭი. იგი ხელუხლებელი იდო ლანგარზე მაგიდის შუაგულში.

თურმე არც ერთ სტუმარს არათუ არ ეჭამა, თვალითაც არასოდეს ენახა ემწვარი გოჭი, ამიტომ ხელის მიკარებაც ვერავინ გაბედა.

_ ნუთუ ძეხვი აღარ დარჩა? _ იკითხა კალე სპადერმა, როცა გოჭის გარდა ყველფერი შესანსლეს. ემილმა უპასუხა, ხუტორში ახლა ძეხვის ნაგლეჯსაც ვერსად იპოვი. მართალია, ორმოსთან წვერწამახულ სარზე მგლის მოსატყუებლად პატარა ნაჭერი წამოვაცვი, მაგრამ თავადაც იცი, იქ რომაა საჭირო, სხვა საჭმელი კი აღარ გაგვაჩნიაო.

უეცრად ვიბერგსკანმა წამოიძახა:

_ სალია ამალია დაგვავიწყდა! _ და ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი მაგიდას, რომელზეც შემწვარი გოჭის გარდა კვლავ ვერაფერი დაინახა.

_ აი, ამას წავუღებთ სალია ამალიას, თუმცა, მართალი გითხცრათ, რომ ვუყურებ, მეშინია. შენ რას იტყვი, ემილ?

_ ეგრე იყოს! სალია ამალიას ერგოს ეს გოჭი, _ დაეთანხმა ემილი.

დამთავრდა ნადიმი და საოცარი დაღლილობა იგრძნო ყველამ, განძრევის თავი აღარც ერთს არა ჰქონდა. ზედმეტი იყო იმაზე ლაპარაკი, რომ თავისი ფეხით მიეღწიათ თავშესაფრამდე.

_ მოდით, მარხილით წავიდეთ! _ შესთავაზა ემილმა.

ასეც მოიქცნენ. კატხულტში ერთი უზარმაზარი სასწაული მარხილი ჰქონდათ. ზედ თავისუფლად დაეტეოდნენ ეს საწყალი გაჩხიკული მოხუცები, თუმცა ამ საღამოს საკმაოდ შემრგვალდნენ.

ჩამობნელდა. ცაზე ვარსკვლავები აკიაფდა. ნელა ამოცურდა მთვარე და ახლად დადებული ფაშარი თოვლი გაანათა. აბა, რა შეედრება წყნარ, უქრო საღამოს მარხილით სრიალს!

ემილმა და ალფრედმა მოხერხებულად დასვეს სტუმრები. წინ ვიბერგსკანი იჯდა ხელში შემწვარი გოჭით. მის უკან დანარჩენები დასხდნენ. ყველზე ბოლოს კი დაიკო იდა, ემილი და ალფრედი მოკალათდნენ.

_ წავედით! _ დასჭყივლა ემილმა.

მარხილი გორაკიდან დაეშვა. ისე სწრაფად დაეშვა, ქარი უწიოდათ ყურებში. მოხუცები სიხარულისაგან აჭყლოპინდნენ. ვინ იცის, რამდენი წელია, მარხილით არ უსრიალიატ. როგორ გაიხარეს! როგორ ხარხარებდნენ! მარტო გოჭი იყო წყნარად და ჩუმად.

ამ დროს «უფროსი» რაღას აკეთებდაო, _ იკითხავ, ალბათ. ახლავე გეტყვი! ოჰ, ნეტა შემეძლოს, ცალი თვალით მაინც დაგანახო!

აი, თავმომწონედ მოდის სკორპხულტიდან ნაცრისფერ თავშალში გახვეული, ყველიანი ღვეზელით ხელში.

რა ჩაკურატებულია, რა კმაყოფილი! აი, ამოიღო ჯიბიდან გასაღები და ჭუჭრუტანაში შეაცურა. გესმის, რა ბოროტად ქირქილებს!

«რა წყნარები და თვინიერები არიან, _ ფიქრობს გულში. _ იქნებ მშიერ კუჭზე დასაძინებლად დაწვნენ». მთვარის შუქი ეფინება ცარიელ ოთახს.

მაგრამ ეს რა არის, ოთახში არავინ ჩანს! ნეტავ რატომ? იმიტომ, რომ კაცი სულიერი არ ჭაჭანებს. დიახ, ბოროტო «უფროსო», აქ კაციშვილი არაა!

ახლა ხომ ხვდები, რატომ აძიგძიგდა ასე «უფროსი»? ჰო, რა თქმა უნდა, ბრაზისაგან. ოჰ, როგორ გადაირია! ასე, ალბათ, თავის სიცოცხლეში არასოდეს გაბრაზებულა. ვის შეუძლია დაკეტილ კარებში გასვლა? უთუოდ ანგელოზებმა წაიყვანეს მოხუცები. ის კი, საცოდავი, თავშესაფარში მარტოდმარტო, სიღარიბესა და მწუხარების ამარა დატოვეს... ვაი, ვაი! ვუი, ვუი! _ შეჰყმუვლა «უფროსმა» ისე, როგორც მგელი შეჰყმუის ხოლმე მთვარეს.

ამ დროს საწოლი აჭრიალდა. «უფროსი» დააკვირდა და საბანში გახვეული გამხდარი ბებრუცუნა დაინახა.

_ რა ხმამაღლა მოთქვამ? _ გაისმა სალია ამალიას ხმა.

«უფროსი» მაშინვე გონს მოეგო, დამშვიდდა და სალია ამალიას გამოკითხვა დაუწყო, რა მოხდაო. რაც სურდა, უმალ შეიტყო. ტყუილად კი არ იყო «უფროსი». მერე დიდხანს არ უფიქრია, კატხულტში გაქანდა, რომ გაქცეულები უკან მოელალა. თუ ამას მოახერხებდა, ყველაფერი დაიმალებოდა, არადა ლიონებერგელები გაიგებდნენ და მითქმა-მოთქმა არ გათავდებოდა.

ვერაფერი შეედრებოდა კატხულტს იმ მთვარიან ღამეს! სახლში მარტო ერთი ფანჯარა _ სამზარეულოს ფანჯარა იყო განათებული და იქიდან ისეთი ბდღვრიალა შუქი იღვრებოდა, იფიქრებდი, ათასი სანთელი აუნთიათო. და უცებ, წარმოიდგინე, «უფროსს» შერცხვა. მართლა, მართლა, ვერაფრით აიძულა თავი, გამოეღო სახლის კარი, და გადაწყვიტრა, ჯერ ფანაჯრაში შეეჭყიტა, დარწმუნებულიყო, რომ იქ მხოლოდ მისი სამეურვეოები იყვნენ. ფანჯარაში შესაჭყიტად ყუთზე ან კუნძზე უნდა ამძვრალიყო, თორემ ვერ შესწვდებოდა. «უფროსი» ფარდულისაკენ წავიდა, იფიქრა, რაიმე შესაფერისს ვიპოვიო. მართლაც, იპოვა რაღაც-რაღაცეები, მაგრამ ყუთი და კუნძი კი არა, შინაური ძეხვი. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ფარდულთან, მთვარის შუქით განათებულ თოვლზე წამახულ პალოზე წამოცმული პატარა ძეხვი დაინახა. მართალი, «უფროსი» მაძღარი იყო, ლამის გასკდა, იმდენი ყველიანი ღვეზელი ჭამა, მაგრამ ისევ მალე რომ მოშივდეს? ასეთი ლუკმა ვიპოვე და ცოდვაა გვერდი ავუაროო, იფიქრა, ამიტომ, თუმცა თოვლში ეფლობოდა, შეუპოვრად დაიძრა ძეხვის ნაჭერწამოცმული პალოსაკენ. გაისმა ლაწანი...

ძველად სმოლანდში ასე იჭერდნენ მგლებს.

სწორედ იმ მომენტში, როცა «უფროსი» მგლის ორმოში ჩავარდა, დღესასწაულიც დასრულდა კატხულტში. სტუმრები მხიარული ჟრიამულით გამოცვივდნენ ეზოში. შემოესიენ მარხილს, რომ შიგ ჩამსხდარიყვნენ და შინ, თავშესაფარში გამგზავრებულიყვნენ. მგლის ორმოდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. «უფროსი» ხმას არ იღებდა, გადაწყვიტა, ჩემით, დაუხმარებლად ავძვრები მაღლაო.

მოხუცებმა სიცილ-ხარხარით ჩაიქროლეს გორაკიდან და ხელად ღატაკთა თავშესაფრის კარებთან ჩასრიალდენნ.

კარი რატომღაც ღია აღმოჩნდა. უზომო ჭამისაგან მოთენთილები და დაღლილები ძლივს მიბარბაცდნენ თავ-თავიანთ საწოლებამდე და დაწვნენ. ვინ იცის, რამდენი ხანია ასეთი ბედნიერი დღე არ გასთენებიათ!

ემილმა და ალფრედმა მარხილი კვლავ კატხულტისაკენ წაათრიეს. მთვარე და ვარსკვლავები უნათებდათ დამრეც ფერდობზე გაკვალულ გზას. ისინი თოკით მიათრევდნენ მარხილს, რომელშიც პატარა იდა იჯდა. ასე მიჰყავდათ გორაკზე ზევით და ზევით და ციცაბო აღმართზეც არ გადმოუსვამთ მარხილიდან.

შენ რომ ლიონებერგადან კატხულტისაკენ მიმავალ გზაზე ზამთრის მთვარიან ღამეს გაგევლო, გაგაოცებდა იქ გამეფებული უკაცურობა და სიჩუმე, იფიქრებდი, მთელ ქვეყანას მშვიდად, გულისძილით სძინავსო და უეცრად ყვირილმა, ყვირილმა კი არა, ყმუილმა შესძრა მთელი ოლქი.

ემილი და ალფრედი ნელ-ნელა მოათრევდნენ მარხილს და ის იყო მშვიდობიანად შედგნენ უკანასკნელ ბექზე, რომ ეს გამყივანი ყმუილი გაისმა. პატარა იდა გაფითრდა და, დედა მინდაო, ჩუმად აწუწუნდა. ემილს კი არც შეშინებია და არც არაფერი, პირიქით, სიხარულით აკუნტრუშდა.

_ მგელია, მგელი! _ წამოიძახა მხიარულად. _ მგლის ორმოში მგელი ჩავარდა! ვაი, სადაა ჩემი თოფუკა.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ორმოს, ყმუილი მით უფრო საზარელი ხდებოდა. ექო ყოველი მხრიდან ისე იმეორებდა ამ ზარდამცემ ბგერებს, გეგონებოდა, ერთი რაა, მშიერი მტაცებლის მთელი ხროვა დაძრწის კატხულტზე შემორტყმულ ტყეებშიო.

ალფრედმა უსმინა, უსმინა ამ ყმუილს და თქვა:

_ რაღაც უცნაური ხმაა, მგლები აეს არა ყმუიან...

ემილი, ალფრედი და იდა მთვარის შუქით განათებულნი იდგნენ გორაკზე და დაძაბულნი უგდებდნენ ყურს.

_ მიშველეთ! _ გაისმა გარკვევით. _ მიშველეთ!.. მიშველეთ!..

_ მაქციაა! _ აღრიალდა სიხარულისგან გადარეული ემილი. _ ბედი გვეწვია, მაქცია დავიჭირეთ, მაქცია! _ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა ორმოსაკენ.

მაქცია და მერე რა მაქცია დახვდათ! ორმოში მოკრუნჩხული «უფროსი» იჯდა და გამწარებული კიოდა.

ახლა კი მართლა გაბრაზდა ემილი. რას ჩამჯდარა ეს საძაგელი ქალი მგლის ორმოში. იქ რას აკეთებს? მას ხომ ნამდვილი მგლის დაჭერა უნდოდა! მაგრამ მერე ნელ-ნელა დამშვიდდა, იფიქრა, კარგიცაა «უფროსი» რომ მგლის ორმოში ჩავარდა. კაი ხანია, დროა გულახდილად ველაპარაკო, ცოტა შევაშინო და ვაიძულო, კეთილად მოექცეს

საწყალ მოხუცებსო. მოკლედ, ბოლოს და ბოლოს, მიეცა შემთხვევაა, ჭკუა ესწავლებინა «უფროსისათვის».

_ ეი, ალფრედ, იდა, აქეთ მოდით! _ გასძახა ემილმა. _ გინდათ ყველაზე სასტიკი მხეცი გიჩვენოთ. უჰ, რა ბანჯგვლიანია!

და აი, უკვე სამივენი დგანან მგლის ორმოს თავზე და დაჰყურებენ «უფროსს».

ნაცრისფერ მატყლის თავშალში გახვეული, მართლაც, ნამდვილ მგელსა ჰგავდა.

_ ემილ, ემილ! _ ჩუმად დაუძახა დაიკო იდამ. _ მართლა არ არის მაქცია?

_ მაქციაა, აბა! _ უპასუხა ემილმა. _ ბოროტი ბებერი ძუ მგელი-მაქცია. ასეთები ყველა მგელზე უარესები არიან...

_ სწორია! _ კვერი დაუკრა ალფრედმა. _ ბოროტებიც არიან და ღორმუცელებიც.

_ ერთი შეხედეთ, როგორ დამრგვალდა! _ განაგრძო ემილმა. _ რაც იხეირა, ეყოფა! ალფრედ, მომიტანე ჩემი თოფუკა!

_ რას ამბობს, ჩემო ემილ! _ აღმუვლდა «უფროსი». _ მე ვარ, ნუთუ ვერა მცნობ?

ემილმა რომ თოფი მოითხოვა, «უფროსს» შიშით კინაღამ გული გაუსკდა. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ალფრედის გამოთლილი სათამაშო თოფი იყო.

_ ალფრედ, იქნებ შენ გესმის მაქციების ენა? მე ვერაფერს ვიგებ.

ალფრედმა თავი გააქნია.

_ არც მე მესმის.

_ თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, რას დუდღუნებს, _ წამოიძახა ემილმა. _ ერთი ის ჩემი თოფი მომიტანე.

ისევ აღრიალდა «უფროსი»:

_ მე ვარ, მე! თქვენ რა, ვერა ხედავთ, რომ მე ვარ?!

_ არაფერი მესმის!.. იქნებ იმას გვეკითხება, დეიდაჩემი ხომ არ გინახავთო?

_ დეიდა არ გინახავს, _ თქვა ალფრედმა.

_ სწორია! _ დაეთანხმა ემილი. _ არც დსიწული გივნახავს. იცი რა, დეიდაც რომ გვენახა და დისწულიც, ჩვენი ორმო მაქციებით იქნებოდა გატენილი... ალფრედ, მოიტა თოფი! გესმის, თოფი მომიტანე-მეთქი!

აბღავლდა, მაგრამ რა აბღავლდა «უფროსი».

_ ბოროტებო, შეუბრალებლებო! _ ყვიროდა გულამომჯდარი.

_ ნელ-ნელა მესმის მისი ლაპარაკი! _ მიუბრუნდა ემილი ალფრედს. _ ღორის ძეხვი მიყვარსო, ამბობს.

_ ღორის ძეხვი ვის არ უყვარს! _ წამოიძახა ალფრედმა. _ მაგრამ სად უნდა იშოვო?

_ ვერსადაც ვერ იშოვი! მარტო აქ კი არა, მთელი სმოლანდი რომ დაიარო, მაინც ვერ იშოვი! _ აჰყვა ემილი. _ სულ «უფროსმა» შეხეთქა.

«უფროსი» ღრიალებდა და ღრიალებდა. მიხვდა, ემილმა იცის, როგორ მოვექეცი სტულე იოკეს და დანარჩენებსო. ისე მწარედ ქვითინებდა, რომ ემილს წამით შეეცოდა კიდეც. ის ხომ კეთილი ბიჭი იყო! მაგრამ იმასაც გრძნობდა, ამ ამბავს იოლად თუ დაასრულებდა, «უფროსს» ჭკუაზე ვერ მოიყვანდა.

_ წესიერად შეხედე, ერთი, ალფრედ! რას იტყვი, ეს მაქცია რაღაცით არ წააგავს თავშესაფრის «უფროსს»?

_ ცოტათი წააგავს, _ დაეთანხმა ალფრედი. _ ოღონდ «უფროსი», მთელი სმოლანდის მაქციები რომ ერთად შეკრიბო, იმაზე უარესიც კია.

_ სწორია! _ წამოიძახა ემილმა. _ იმასთან შედარებით სხვა მაქციები ცხვრებია! დედა, რა ხარბია! ლუკმა რომ ვინმეს მისცეს, მოკვდება. მარცვალი რომ მარცვალია, იმასაც არავის გაატანს. რა ვქნა, ნეტავი გამაგებინა, ვინ წაიღო მაშინ ძეხვი კარადიდან.

_ მე, მე! _ აყვირდა «უფროსი», _ მე მოვიპარე!.. ამომიყვანეთ აქედან და ყველაფერს ვაღიარებ!

ალფრედმა და ემილმა მხიარულად გადახედეს ერთმანეთს.

_ ეი, ალფრედ, შენ რა, თვალები არა გაქვს? _ ჰკითხა ემილმა. _ ვერა ხედავ, მაქცია კი არა, ნამდვილად «უფროსი» რომაა?

_ მართალია! _ ტაში შემოკრა ალფრედმა. _ მაგრამ, ეშმაკმა წაიღოს, მაინც როგორ შეგვეშალა?

_ რა ვიცი, ვერაფერი გამიგია, _ გაიკვირვა ემილმა. _ ისე ორი წვეთი წყალივით ჰგვანან ერთმანეთს! ოღონდ «უფროსს» ნაცრისფერი თავშალი აქვს, მაქციას _ არა. ხომ მართალია?

_ მართალია, _ დაეთანხმა ალფრედი. _ თავშლები მაქციებს არა აქვთ! სამაგიეროდ, ულვაშები ვეფხვისას მიუგავთ.

_ გეყოფა, ალფრედ! _ უთხრა ემილმა საყვედურით. _ «უფროსს» თავაზიანად მოექეცი... წამო, კიბე მოვიტანოთ!

ემილმა და ალფრედმა მოიტანეს კიბე და ორმოში ჩააყუდეს. «უფროსი» ბღავილით ამოძვრა ზევით და დამთხვეულივიტ გავარდა კატხულტიდან. მორჩა, ფეხს აღარ დაადგამს ამ ხუტორში. ბორცვზე რომ აირბინა, მოტრიალდა და დაიყვირა:

_ მე ავიღე ის საზიზღარი ძეხვი, მე! ღმერთმა შემინდოს! მერე კი დამავიწყდა... გეფიცებით, დამავიწყდა.

_ ჰოდა, ეგრე! _ დასჭყივლა ემილმა. _ გულმავიწყებს რგებთ ორმოში ჯდომა _ ხელად ახსენდებათ ყველაფერი! სამგლე ორმოების ამოთხრა სულ არაა უაზრო საქმე!

«უფროსმა» თავშესაფრამდე შეუცერებლად იძუნძულა. სახლში რომ შევიდა, დაღლილობისაგან სულს ვეღარ ითქვამდა. მის სამეურვეოებს კარგა ხანია ეძინათ თავინთ ღარიბულ საწოლებზე. «უფროსს» ახლა ყველაზე მეტად ისა სწადდდა, რომელიმეს არ გაეღვიძა. ამიტომ ოთახში ჩუმად, ფეხაკრეფით შევიდა. თავის სიცოცხლეში ასე უხმაუროდ არ უვლია.

მოხუცები, ქალიცა და კაციც, უვნებლად დახვდნენ. «უფროსმა» ყოველი შემთხვევისათვის მაინც გადაითვალა. _ ჰო, ყველა ადგილზეა. ამ დროს უეცრად თვალი ჰკიდა ამალიას საწოლთან მდგარ მაგიდას და ადგილზე გახევდა. ოი, საშინელებავ, მან ნამდვილად მოჩენება დაინახა, მოჩვენება, რომელიც ძალიან ჰგავდა გოჭს... ოჰ, რა საზარელი ჩანდა მთვარის შუქზე...

ამდენი რამე ერთ საღამოს რომ გადაეტანა, ამისი ძალა კი აღარ ეყო «უფროსს», ერთი ღრმად ამოიოხრა და მოცელილივით დავარდა იატაკზე. ასე ეგდო უგრძნობლად, უსიცოცხლოდ, სანამ მზე არ ამოვიდა და ღატაკთა და დავრდომილთა თავშესაფრის ფანჯარაში არ შეიჭვრიტა.

იმ დღეს ხუტორ კატხულტში ინგატორპიდან ნათესავებს ელოდნენ სტუმრად. მაგრამ რით უნდა გამასპინძლებოდნენ სვენსონები სტუმრებს, იმ ლხინის შემდეგ, ემილმა რომ თავშესაფრის დედაბრებს და ბერიკაცებს მოუწყო? სახლში ნამცეცი აღარაფერი იყო! თუმცა ღორის ხორცი კარტოფილით, თანაც ხახვიანი საწებლით, ისეთი რამეა, მეფისთვის მირთმევა არ შეგრცხვება.

მიუხედავად ამისა, ნათესავების წასვლის შემდეგ, დედამ მაინც ჩაწერა თავის რვეულში: «საწყალი ჩემი ბიჭი, მთელი დღე ფარდულში გაატარა! რა თქმა უნდა, ძალიან კეთილია, მაგრამ ვაითუ, მარტლა ცოტა შერეკილია».

ფურცელს ლაქები აჩნდა, თითქოს ცრემლები იყო ზედ დაპკურებული.

მაშ ასე, ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა ხუტორ კატხულტში. გავიდა ზამთარი, დადგა გაზაფხული. ემილი კი ჩვეულებისამებრ წარამარა ფარდულში იჯდა, თუ არადა ეთამაშებოდა დაიკო იდას, დააჭენებდა ლუკასს, მიჰქონდა რძე ქალაქში, აბრაზებდა ლინას, ქაქანებდა ალფრედთან და დილიდან საღამომდე ცელქობდა და ცელქობდა. ამ

საქმეში ისე იყოჩაღა, რომ მაისში ფარდულის თაროზე უკვე ას ოცდახუთი ხის სასაცილო კაცუნა იდგა.

ალფრედი თუმცა არ ცელქობდა. სადარდელი მაინც არ აკლდა: ვერა და ვერ გაბედა მოლაპარაკებოდა ლინას და გადაჭრით ეთქვა, შენი შერთვა არ შემიძლიაო.

_ მე მგონია, მომიწევს შენი დახმარება, _ უთხრა ერთხელ ემილმა, მაგრამ ალფრედს ამისი გაგონებაც არ უნდოდა.

_ არა, ძალიან ფრთხილად უნდა ვუთხრა, რომ გული არ ვატკინო, _ უთხრა ემილს.

ალფრედი იმისთანა კაცი იყო, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამდა, ამიტომ ცდილობდა რამენაირად ზრდილობიანად ეთქვა ლინასთვის, რაც გულში უტრიალებდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ორშაბათს, მაისის თვის დამდეგს, როცა ლინა კართანაზე იჯდა და, როგორც ყოველთვის, მას ელოდა, ალფრედმა იფიქრა, ეს არის, დადგა სათქმელის თქმის დროო, გამოიხედა თავის პატარა ოთახიდან და დაიღრიალა:

_ ეი, ლინა! დიდი ხანია შენთვის ერთი რამის თქმა მინდა!

ლინამ დარცხვენით გაიღიმა. ეგონა, ალფრედმა, როგორც იქნა, გაბედა და მეუბნება, რისი თქმასაც ამდენი ხანი ველოდიო.

_ რა იყო, ჩემო ალფრედ, რისი თქმა გინდა? _ ჰკითხა ნაზად.

_ აი, მე და შენ რომ დაქორწინებაზე ვლაპარაკობდით... ხო გესმის, რას გეუბნები! ჰოდა, ასე... მიმიფურთხებია, ამ საქმისათვის...

დიახ, ზუსტად ასე უთხრა ლინას საწყალმა ალფრედმა, საშინელებაა, ამ სიტყვებს რომ გიმეორებ, არ მინდა უხეში სიტყვები გასწავლო, ისინი უჩემოდაც ბლომად იცი. მაგრამ გაითვალისწინე, რომ ალფრედი უბირი ლიონებერგელი ყმაწვილია და მეტი არ მოეთხოვება. იმან იფიქრა, იფიქრა, მაგრამ უფრო თავაზიანი ვერაფერი მოიფიქრა. მორჩა და გათავდა!

ლინა კი თურმე ერთი ბეწოთიც არ გაბრაზდა.

_ ოი, შე საცოდავო, მიფურთხება მოგინდა? მაშ, მიდი, რაღას უცდი!

ახლა კი მიხვდა ალფრედი, რომ ლინასგან თავს ვერ დაიხსნიდა. მაგრამ ამ საღამოს მაინც უნდოდა თავისუფალი და ბედნიერი ყოფილიყო და ამიტომ ემილთან ერთად ტბაზე წავიდა სათევზაოდ.

მშვენიერი საღამო იყო, ისეთი, როგორიც მხოლოდ სმოლანდში იცის გაზაფხულობით, ყვაოდა შოთხვი, გალობდნენ შაშვები, წუოდნენ კოღოები, ანკესზე ეგებოდნე ქორჭილები. ემილი და ალფრედი გვერდიგვერდ ისხდნენ და თვალს არ

აცილებდნენ თავთავიანთ ტივტივებს, რომლებიც ნელ-ნელა ირწეოდნენ წყლის მბრწყინავ ზედაპირზე. ისინი თითქმის არ იღებდნენ ხმას _ ისედაც კარგად გრძნობდნენ თავს.

ასე ისხდნენ ანკესით ხელში, სანამ მზე არ ჩავიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ დილამდე ისხდნენ. თეთრი ღამეების ჟამი იდგა და დილა მზის ჩასვლისთანავე დგებოდა. მერე ორივენი შინისაკენ გამოემართნენ.

ალფრედს პატარა ვედროთი ტბაში დაჭერილი ქორჭილები მოჰქონდა, ემილი კი ლერწმისაგან ალფრედის გამოთლილ სტვირზე უსტვენდა. მოდიოდნენ მდელოზე, ბილიკი მიიკლაკნებოდა მქარქალმწვანე ფოთლებით შემოსილ არყის ხეებს შუა. ემილი ისე ხმამაღლა უკრავდა, რომ მძინარე შაშვები ტოტებზე შიშით შეფრთხილადებოდნენ ხოლმე. უეცრად გაჩერდა და სტვირს ტუჩი მოაშორა.

_ იცი, ხვალ რას ვიზამ? _ მიუბრუნდა ალფრედს.

_ შენი ამბავი რომ ვიცი, რაღაცას მოიგონებდი, _ უთხრა ალფრედმა.

ემილმა ისევ ტუჩებთან მიიტანა სტვირი და ყურთასმენის წამღებად დაუსტვინა, ასე სტვენა-სტვენით მიდიოდა და დაძაბული რაღაცაზე ფიქრობდა.

_ მე თვითონაც არ ვიცი... _ თქვა უცებ. _ წინასწარ არასოდეს არ ვიცი, რას ვიზამ მერე...

* * *

შენ უკვე დარწმუნდი, რომ ლიონებერგაში, ის კი არა, მთელ სმოლანდში... თუმცა სმოლანდი რაა, მთელ შვედეთში... და, ვინ ციის, იქნებ მთელ მსოფლიოშიც არაა ემილზე უფრო ცელქი და მოუსვენარი ბიჭი. თუმცა როცა გაიზარდა, ესეც იცი, არც მეტი, არც ნაკლები, სოფლსი გამგეობის თავმჯდომარე გახდა. ამ ქვეყანაზე სასწაულებს რა დალევს, თუმცა ამას მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა.

გეფიცებით, ნამდვილად სოფლის გამგეობის თავმჯდომარე გახდა დალიონებერგას ყველაზე პატივცემული პიროვნება, ასე რომ, მთლად წყალწაღებული ბიჭებიც შეიძლება დიდობაში ნამდვილი ადამიანები დადგნენ. სასიამოვნოა ხომ ასე ფიქრი? შენ, რა თქმა უნდა, დამეთანხები. ალბათ, თვითონაც ბევრს ცელქობ. არა? თუ მე ვცდები? ემილის დედას, რომელიც მის ოინებს ლურჯ სასკოლო რვეულებში იწერდა და კამოდის უჯრაში მალავდა, ბოლოს და ბოლოს იმდენი დაუგროვდა, რომ უჯრას ვეღარც აღებდა. ბევრი რვეული დაიჭმუჭნა, დაიხა, გადარჩენით კი ყველა გადარჩა, იმ სამის გარდა, ემილი რომ შეეცადა მასწავლებლისათვის მიეცა. მან სასტიკად იუარა. ემილიც ადგა, რვეულები

ფურცელ-ფურცელ დაშალა, გააკეთა ქაღლდის გემები და მთელი ეს ფლოტილია ნაკადულში გაუშვა. ამის მერე ისინი თვალით აღარავის უნახავს.

მასწავლებელი ვერარით ვერ მიხვდა, რატომ უნდა გამოერთმია ემილისათვის დაწერილი რვეულები.

_ რაში მჭირდება, ერთი ამიხსენი! _ არ ეშვებოდა ემილს.

_ რაში გჭირდებათ და ბავშვებს რომ ასწავლოთ, მე როორ არ უნდა დამემსგავსონ, _ არც დაიფქრებულა, ისე უპასუხა ემილმა.

დიახ, ემილი მშვენივრად ხვდებოდა, რომ საძაგელი ბიჭი იყო, ხოლო თუ როდისმე დაავიწყდებოდა, ლინა იქ არ იყო?! შემთხვევას არ გაუშვებდა, არ მოეგონებინა.

ლინას აზრით, ჯობდა შორს დაეჭირა თავი ემილისაგან. ჰოდა, შუადღისას საძოვარზე ძროხების მოსაწველად რომ მიდიოდა, თან მარტო დაიკო იდა მიჰყავდა. იდა დადიოდა მინდორში და კრეფდა მარწყვს, მერე მწიფე-მწიფე მარცვლებს ბალახის გრძელ ღეროებზე ასხამდა და შინ მიჰქონდა, თუ შინ ხუთ ასხმულას მიიტანდა, ათასნაირი ეშმაკობით ორს ემილი დასცინცლავდა, თუმცა შეეძლო ხუთივე იოლად გამოეტყუა.

არ გეგონოს, ემილს გულზე ეხატა ლინასთან და იდასთან ერთად საძოვარზე ძროხებთან სიარული. შენც არ მომიკვდე! ეგ რა ბიჭის საქმეა. არა! ის მოიცლიდა თუ არა, დასტაცებდა ხელს თავის კეპუკას და თოფუკას და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა მინდორში, სადაც ცხენები ბალახობდნენ. მარდად მოახტებოდა თავის ლუკასს და ისე ფიცხლად დააჭენებდა ბუჩქებს შორის, რომ ბალახი ძლიერი ქარისაგან მოცელილივით ეკვროდა მიწას. ემილი «იერიშზე გადასულ სმოლანდელ ჰუსარებს» თამაშობდა. ასეთი სურათი ნახა ერთხელ ჟურნალში და ზუსტად იცოდა, როგორ უნდა ეთამაშა.

ლუკასი, კეპუკა და თოფუკა ემილს ამქვეყნად ყველაფერს ერჩია, როგორ იშოვა ლუკასი ვიმერბიუს ბაზრობაზე, შენ, რა თქმა უნდა, გახსოვს. თოფუკა ალფრედმა გამოუთალა, იმიტომ რომ ძალიან უყვარდა ბიჭი, თორემ ისე ემილი თვითონაც მოახერხებდა თოფის გამოთლას. სხვებისა რ ვიცი და, მას კი ხიდან ნამდვილად ათასი რამის გამოთლა შეეძლო. თანაც ეს საქმე იმაზე ხშირად უწევდა, ვიდრე სურდა. გასაგებიცაა! აბა, დაჯექი ემილივით წარამარა ფარდულში და ნახავ, თუ არ დაიწყებ ხის ნაპობიდან სასაცილო ფიგურების გამოთლას, მოწყენილობამ რომ არ გადაგრიოს. ერთი სიტყვით, წლის განმავლობაში, არც მეტი, არც ნაკლები, 365 ხის ფიგურა გამოთალა. ესე იგი, იმდენი, რამდენი დღეცაა წელიწადში. ეს თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ემილი მთელი წელი განუწყვეტლივ ცელქობდა და ეშმაკობდა. წამით არ ისვენებდა, არც

ზამთარში და არც ზაფხულში, არც შემოდგომაზე და არც გაზაფხულზე. მე უკლებლად წავიკითხე ემილის დედის ხელით დაწერილი ლურჯი რვეულები და ზუსტად შემიძლია ვთქვა, რას აკეთებდა ამა თუ იმ დღეს, ხოლო როცა ყველაფერს გიამბობ, დარწმუნდები, რომ ემილი მარტო ლაზღანდარობასა და ცელქობაში არ ატარებდა დროს. თუ მოყოლაა, პატიოსნად უნდა მოვიქცეთ და მის კეთილ საქციელზეც ვთქვათ სათქმელი. მარტო კვიმატობებსა და ოინებზე კი არ ვილაპარაკოთ. თუმც, სიმართლე უნდა ითქვას, არც ეს ოინები იყო ყოველთვის ისეთი საშინელი, როგორიც ერთი შეხედვით ჩანდა, პრიქით, ზოგჯერ სავსებით უწყინარიც გახლდათ. მართალია, რაც სამ ნოემბერს მოხდა, იმისი წარმოდგენაც კი შეუძლებელია... მაგრამ არა, ტყუილად ნუ მთხოვ, სულერტია არ გეტყვი, რა ჩაიდინა იმ დღეს. დედამისს დავპირდი, არსად გავამხელ-მეთქი. ამიტომ უკეთესია, გავიხსენოთ ის დღე, როცა ემილი სრულიად წესიერად იქცეოდა, თუმცა მამამისი სხვა აზრისა იყო. იკითხავ, რა დღე იყოო? რა დღე და

შაბათი, 12 ივნისი

როცა ემილმა ბაკჰორვის ბაზრობაზე რამდენიმე უაზრო, მაგრამ, როგორც მერე აღმოჩნდა, სარფიანი გარიგება მოახერხა

ბაკჰორვაში ბაზრობა ივნისის ერთ შაბათ დღეს დანიშნეს და ახლომახლო მცხოვრები გლეხებიც იქითკენ დაიძრნენ. საჯარო ვაჭრობა ხომ აქაურების საყვარელი გასართობი იყო. ემილის მამა, ანტონ სვენსონიც, გაემზადა წასასვლელად, მას ალფრედი და ლინა და, რა თქმა უნდა, ემილიც აედევნა.

თუ შენ არასოდეს ყოფილხარ ასეთ საჯარო ვაჭრობაზე, ვერ წარმოიდგენ, ეს რაა. ძველად ასე იყო: თუ სოფელში ვინმეს თავისი ქონების გაყიდვა უნდოდა, დათქმულ საათზე მთელ ტავის ხაბაკ-ხუბაკს ეზოში გამოიტანდა, საქონელსაც გარეთ გამორეკავდა და მოდიოდა და მოდიოდა ხალხი ყოველი მხრიდან, რათა ყველაფერი ენახა და ფასზეც ეჯანჯლა. ბოლოს და ბოლოს კი, ვინც მეტს აძლევდა, ნავაჭრიც იმას რჩებოდა.

ბაკჰორვის მეპატრონეებმა ყველაფრის გაყიდვა გადაწყვეტეს. ისინი, როგორც ამას მაშინ ბევრი შვედური ოჯახი აკეთებდა, აიყარნენ და ამერიკაში მიემგზავრებოდნენ. რა თქმა უნდა, ამ საწოლებსა და ტაფებს, ქათმებსა და გოჭებს ოკეანის გაღმა მიმავალები თან ხომ არ წაიღებდნენ. სწორედ ამიტომ მოაწყვეს საჯარო ვაჭრობა.

ემილის მამას იმედი ჰქონდა საჯარო ვაჭრობაზე იაფად ვიყიდი ძროხასო, შეიძლება გოჭიც შეხვედროდა, ხოლო თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, არც ქათმებბზე იტყოდა უარს. აი, ამისათვის მიდიოდა ბაკჰორვაში და სიამოვნებით მიჰყავდა თან ალფრედი და ლინა, ფიქრობდა, თუ რამე ვიყიდე, მომეხმარებიან და ნაყიდ საქონელს შინ გამოლალავენო.

_ ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ემილს იქ რა უნდა, ეს ვერ გამიგია, _ თქვა მამა.

_ ემილის გარეშეც ბევრი გვექნება სადავიდარაბო, _ კვერი დაუკრა ლინამ.

ლინამ იცოდა, რა ამბავი იყო ხოლმე საჯარო ვაჭრობაზე ლიონებერგაში, და საერთოდ, მთელ სმოლანდში, ამიტომ ამას რომ ამბობდა, ალბათ, მარალი იყო, მაგრამ ემილის დედამ ერთი გადახედა და მკაცრად უთხრა:

_ თუ ემილს საჯარო ვაჭრობაზე წამოსვლა უნდა, წამოვიდეს, იმის დარდი ნუ გაქვს. შენ საკუთარ თავზე იფიქრე, იქ დინჯად მოიქეცი და შენებურად გამვლელ-გამომვლელის გაცნობ-გამოცნობა არ დაიწყო.

ყოველთვის ასე იყო, იტყოდა თუ არა ლინა ემილზე რამეს, დედა მაშინვე მის დაცვასა და გამართლებას იწყებდა.

ემილი წამში გაემზადა _ ჩამოიფხატა თავისი კეპუკა და მორჩა!

_ იქ მეც მიყიდე რამე, _ სთხოვა იდამ და თავი ღიმილით დახარა.

იდამ ეს ისე თქვა, სიტყვაზე, მაგრამ მამამ მაშინვე წარბი შეიკრა:

_ «მიყიდე, მიყიდეს» მეტი არაფერი მესმის! ხომ გიყიდე ამას წინებზე ათი ერეს შაქარყინული! შენი დაბადების დღეზე, იანვარში, ნუთუ უკვე დაგავიწყდა?

ემილი ის იყო მამასთვის ხურდა ფულის თხოვნას აპირებდა, აბა, ჯიბეში ერთი ერეც თუ არ გიგდია, საჯარო ვაჭრობაზე რა გინდა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. მიხვდა, ახლა არაფერი გამოვაო. არა, ახლა არა, ყველა ჩქარობს, მამაც უკვე ფორანში ზის და გზას ადგას.

«სულ ერთია, მაინც ვიშოვი», _ გაიფიქრა ემილმა. ცოტა ხანს შეყოვნდა და წამსვლელებს გასძახა:

_ მე ნუ დამელოდებით, იარეთ, მალე დაგეწევით.

მამაისს ძალიან გაუკვირდა, ოღონდ არ შეკამათებია, წასვლას ეშურებოდა.

_ სჯობდა, შინ დარჩენილიყავი, _ უთხრა ემილს, შოლტი მაგრად გაატყლაშუნა და ფორანი ეზოდან გააგრიალა.

ალფრდმა გამოსამშვიდობებლად ემილს დაუქნია ხელი, ლინამ _ პატარა იდას, ხოლო ემილის დედამ ემილის მამას მიაძახა:

_ ფხიზლად იყავი, იმ ჭყლეტაში არ მიგასრისონ სადმე!

ემილის დედამ კარგად იცოდა, რა ორომტრიალი იყო ხოლმე საჯარო ვაჭრობაზე. ფორანი უკვე მოსახვევში გაუჩინარდა, ემილი კი ისევ იდგა მტვრის კორიანტელში გახვეული და ჩაფიქრებული გასცქეროდა გზას. წუთიც არ იყო გასული, უკვე მოიფიქრა, როგორ ეშოვა ფული. მომისმინე, გეტყვი, რას აპირებდა.

შენ რომ სმოლანდში ემილის ბავშვობაში გეცხოვრა, გეცოდინებოდა, რომ გზებს ხშირად ჭიშკრიანი ემსერი კვეთდა. ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ ძროხებს, ხარებს და ცხვრებს თავ-თავიანთი პატრონების საძოვრებზე ებალახათ და მეზობლებთან არ გადასულიყვნენ. იქნებ იმიტომაც, რომ სმოლანდელ ბიჭებს, როცა ზარმაც გლეხებს ჭიშკრის გასაღებად ფორნიდან ჩამოსვლა შეეზარებოდათ, მათთვის ჭიშკარი გაეხსნათ და ხუთერეიანი მონეტები ეშოვათ.

ერთი ასეთი ჭიშკრიანი მესერი კატხულტზე გამავალ გზაზეც იყო, მაგრამ ემილს აქამდე ერთი ერეც არ უშოვია _ კატხულტისთანა მიყრუებულ ადგიალს კაციშვილს არ ჰქონდა საქმე. კატხულტის შემდეგ ერთადერთი ხუტორი იყო, სწორედ ის ბაკჰორვა, სადაც საჯარო ვაჭრობა ეწყობოდა.

«მაშასადამე, იქით მიმავლებმა აუცილებლად ჩვენი ჭიშკარი უნდა გაიარონ», _ გაიფიქრა ეშმაკისფეხმა ემილმა.

იმ ერთი საათის განმავლობაში, ჭიშკართან რომ იდგა, ემილმა არც მეტი, არც ნაკლები, ხუთი კრონი და სამოცდათოთხმეტი ერე იშოვა. წარმოგიდგენია, ფორნები მოდიოდა და მოდიოდა, ემილი ძლივს ასწრებდა ჭიშკრის მიხურვას, რომ ისევ გაღება იყო საჭირო. იმ დღეს გლეხები მშვენიერ ხასიათზე იყვნენ, თანაც ეჩქარებოდათ და უხაროდატ, რომ გზაში დროს დაკარგვა აღარ უწევდათ. სამაგიეროდ, მადლობის ნიშნად კეპში ხურდა ფულს უყრიდნენ _ ვინ ორ, ვინ ხუთ ერეს. ზოგიერთებმა ბრჭყვიალა ათერეიანი მონეტებიც გაიმეტეს, თუმცა მერე, ალბათ, ვეღარ ინელებდნენ თავიანთ ხელგაშლილობას.

ერთადერთი ხუტორ კროკსტორნის მეპატრონე გაბრაზდა, ემილმა მის წაბლას ცხივრწინ რომ მიუხურა ჭიშკარი.

_ ეი, ბიჭო, რატომ კეტავ! _ უყვირა გაჯავრებულმა.

_ მაშ, როგორ გაგიღო, თუ ჯერ არ დავკეტე? _ გაუკვირდა ემილს.

_ ასეთ დროს ჭიშკარი ღია უნდა იყოს! _ კიდევ უფრო გაშმაგდა მეფორნე.

_ სულელები სხვაგან მონახე! _ არ შეეპუა ემილი. _ ამ გამხმარმა წრიალამ ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამიწიოს სამსახური.

კროკსტორნის მეპატრონემ შოლტი მოუქნია, მიცემით კი ერთი ერეც არ მისცა.

როცა საჯარო ვაჭრობაზე მიმავალმა უკანასკნელმა კაცმაც ჩაიარა და ჭიშკართან დგომას აზრი აღარ ჰქონდა, ემილი მოახტა ლუკასს და ხუტორ ბაკჰორვისაკენ ისე გაქუსლა, რომ ჯიბეში ჩაყრილ მონეტებს სულ ზრიალ-ჩხრილა-წკრიალი აუყენა.

ბაკჰორვაში ვაჭრობა დუღდა. ხალხი ირეოდა სახლიდან გამოტანილი და გარეთ გაშლილი ქონების გარშემო. დღის შუქზე ნივთები ბევრად უკეთესი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. ხალხით გარშემორტყმულ კასრზე კაცი იდგა და რიგრიგობით სწევდა მაღლა ხან ფინჯანს, ხან _ ტაფას, ხან _ ჩაწყვეტილ მოწნულ სკამს, ანდა რაიმე ხარახურას. საჯარო ვაჭრობაზე ხომ ასეა წამოიძახებ ფასს, რომელიც მზადა ხარ გადაიხადო ამა თუ იმ ნივთში და, თუ მეტს არავინ შეაძლევს, მაშინ, ვთქვათ, დივანია თუ სარწეველა სკამი, შენ დაგრჩება.

ემილმა რომ გაქაფული ლუკასი ხუტორის ეზოში შეაჭენა, ერთი ამბავი ატყდა.

_ შეხედეთ, ეს ხომ კატხულტელი ემილია, _ შეშფოთდა ხალხი. _ რახან ეგ მოვიდა, ჩვენ უნდა ავიბარგოთ!

მაგრამ ემილი იქ თავშესაქცევად არ მისულა, საქმეები უნდოდა გაეჩარხა, ფული იმდენი ჰქონდა, თავგზა ებნეოდა. ამიტომ ლუკასიდან ჩამოხტარი არ იყო, რომ სამი კრონი შესთავაზა რკინის ფეხმომტვრეულ საწოლში. ბედად ვიღაც დედაბერმა ოთხი კრონი გაიმეტა და ემილი გადარჩა. მაგრამ არა სცხრებოდა, გაშმაგებული ყვიროდა და ყვიროდა თავის ფასს და მალე სამი ნივთი შეიძინა: პირველი იყო გამოხუნებულხავერდგადაკრული პატარა ზარდახშა, რომლის სახურავიც ცისფერი ნიჟარებით იყო მოოჭვილი; მეორე _ ღუმელში პურის ჩასასმელი ხის დიდი ნიჩაბი და მესამე _ ძველი დაჟანგული ტუმბო. მართალი გითხრათ, მთელ ლიონებერგაში მასში ათ ერესაც არავინ გაიმეტებდა, მაგრამ ემილმა წამოიძახა: «ოცდახუთი!» _ და ბუმბოც მას მიაჩეჩეს.

_ მიშველეთ! _ აყვირდა გულგახეთქილი ემილი. _ რად მინდა ეს ტუმბო!

მაგრამ უკვე გიან იყო. უნდოდა, თუ არ უნდოდა, ის ბედუკუღმართი ტუმბო ახლა მისი იყო.

ემილთან ალფრედი მივიდა, შლანგს ხელი მოჰკიდა და ახარხარდა:

_ ტუმბოს პატრონი ემილ სვენსონი! მომილოცავს! ოღონდ გამაგებინე, რა ჭირად გინდა!

_ უცებ რომ ჭექა-ქუხილი ატყდეს, მეხი დაგვეცეს და ხანძარი გაჩნდეს? _ მიუგო ემილმა.

ამ დროს მართლა იქუხა, იელვა და მეხი დაეცა, ყოველ შემთხვევაში, პირველად ასე ეგონა ემილს. მაგრამ მეხი კი არა, მამა დააცხრა თავზე, სტაცა ხელი საყელოში და ისე შეაჯანჯღარა, თმა სულ ყალყზე დაუდგა.

_ აი, შე საძაგელო! სულ ხელიდან წახვედი! _ უყვიროდა მამა.

ემილის მამა ბოსელთან ტრიალებდა, ძროხა უნდოდა შეეთვალიერებინა, როცა მასთან აქოშინებული ლინა მივარდა.

_ ბატონო, ბატონო! _ სულს ძლივს ითქვამდა ლინა. _ ემილი მოსულა და ტუმბო უყიდია!.. თქვენ მიეცით ნება?

აბა, რა იცოდა ემილის მამა, რომ ბიჭმა ფული იშოვა. ფიქრობდა, ნავაჭრისათვის ფულის გადახდა მე მომიწევსო და, რაღა გასაკვირია, რომ ფერფური წაუვიდა და ციებინივით აკანკალდა.

_ გამიშვი, გამიშვი! ფული უკვე გადავიხადე! _ ყვიროდა ემილი.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გააგებინა მამას, ხუტორის გზაზე ჭიშკრის გაღებაში ნაშოვნი ფულით გავმდიდრდიო.

გაუხარდა მამას ემილის ასეთი გერგილიანობა, მაგრამ უაზროდ ფულის ხარჯვას მაინც ვერ ურიგდებოდა.

_ ფულის ფანტვის უფლებას ვერ მოგცემ, _ უთხრა მკაცრად და ნავაჭრის ჩვენება მოსთხოვა.

მაგრამ ემილის ნაყიდი ნივთები რომ ნახა, ერთი გადარევა კიდევ გადაირია: სრულიად გამოუსადეგარი ხავერდის ზარდახშა, ღუმელში პურის ჩასასმელი ხის ნიჩაბი, ზუსტად ისეთი, როგორიც შინ ჰქონდათ. იპოვა რა საყიდელი! მაგრამ ყველაზე დიდი უაზრობა, ცხადია, ჟანგიანი ტუმბოს ყიდვა იყო.

_ ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ კაცმა ის უნდა იყიდოს, რაც აუცილებლად სჭირდება, _ გაუწყრა მამა.

მამა უთუოდ სიმართლეს ამბობდა, მაგრამ როგორ უნდა გაეგო ემილს, რა სჭირდებოდა. აი, თუნდაც ლიმონათი. საჭიროა მისთვის თუ არა? ემილმა, ყოველ შემთხვევაში, ასე გადაწყვიტა: სხვა არ ვიცი და ლიმონათი კი აუცილებლად მჭირდებაო. მამამ რომ გაჯორა, ერთხანს ნაღვლიანად დაეხეტებოდა ეზოში და სწორედ მაშინ დაინახა ისამნის ბუჩქის ქვეშ გაშლილ მაგიდაზე გასაყიდად გამოტანილი ლუდი და ლიმონათი. საერთოდ, ბაკჰორვის მეპატრონეები განთქმულნი იყვნენ თავიანთი საზრიანობითა და

ფხიანობით. ახლაც, საჯარო ვაჭრობაზე, ვიმერბიუდან რამდენიმე ყუთი ყოველნაირი სასმელი ჩამოიტანეს და ვისაც სურდა, ყიდულობდა.

ემილს ლიმონათის გემო თავის სიცოცხლეში ერთადერთხელ ჰქონდა გასინჯული, ამიტომ ძალიან გაუხარდა, რომ დაიანხა, ყიდიანო. თანაც მაშინ, როცა ჯიბე წკრიალა მონეტებით ჰქონდა სავსე. რა ბედნიერი დამთხვევაა!

ემილმა სულმოუთქმელად გადაკრა სამი ჭიქა.

და უცებ კვლავ ატყდა ჭექა-ქუხილი და დაეცა თავზე მეხი. მამამისი, თითქოს ჯიბრზე, იქვე აღმოჩნდა, სტაცა ხელი საყელოში და ისევ ლაზათიანად შეაჯანჯღარა.

_ როგორ ბედავ, როგორ! _ უყვიროდა მამა. _ ძლივს რამდენიმე ერე იშოვე და მაშინვე ლიმონათის დასალევად გაიქეცი, არა!

ახლა კი გამწარდა ემილი!

_ ვეღარ გავიგე, რა ვქნა! _ აყვირდა გააფთრებული. – როცა ფული არა მაქვს, ლიმონათს ვერა ვსვამ, იმიტომ, რომ უფულოდ არავინ მომართევს, ფული მაქვს და მეუბნებით, არ დალიოო, გამიჭირეთ რა საქმე!

მამამ შუბლი შეიკრა.

_ შინ რომ დაბრუნდები, პირდაპირ ფარდულში მიბრძანდი! _ უთხრა ემილს, მაშინვე შებრუნდა და ბოსლისაკენ გაემართა.

ემილი იჯდა დარცხვენილი, თვითონაც მიხვდა, ცუდად რომ მოიქცა. მარტო იმიტომ კი არა, რომ მამას არ დაუჯერა. ამაზე უარესი ის იყო, «გამიჭირეთ რა საქმეო», რომ თქვა. ამისი თქმა უხეშობაა, ასეთი რამ კი ხუტორ კატხულტში აკრძალულია.

ემილი რამდენიმე წუთი სირცხვილით იწვოდა, მერე კი ისევ იყიდა ლიმონათი და ალფრედს გაუმასპინძლდა. ორივენიგზის პირას ჩამოსხდნენ დასასვენებლად. ალფრედი ფიცულობდა, ლიმონათზე გემრიელი ჩემს სიცოცხლეში არაფერი დამილევიაო.

_ ლინა ხომ არ იცი სადაა? _ ჰკითხა უცებ ემილმა.

_ მიბრუნდი და დაინახავ, _ უპასუხა ალფრედმა.

მართლაც, ლინა ბალახზე იჯდა, ზურგით მესერს მიყრდნობოდა, ხოლო გვერდით ის კრიკსტორნის მეპატრონე ეჯდა, ემილს შოლტი რომ მოუქნია. ემილი ხელად მიხვდა, ლიანს დედაჩემის დარიგება დავიწყნიაო, ისე ხმამაღლა და არაბუნებრივად იცინოდა, თუმცა რა იყო გასაკვირი, ხალხში ყოველთვის ასე არ იქცეოდა?! ემილი იმასაც მიხვდა, ლინა კროკსტორნელ გლეხს მოეწონაო, და ძალიან გაუხარდა.

_ წარმოგიდგენია, ალფრედ, რა იქნება, ლინა რომ მაგ კაცს გავატანო! _ იმედი აუჭიატდა გულში. _ მაშინ შენ ერთხელ და სამუდამოდ გადაურჩები!

ალბათ, გემახსოვრება, რომ ლინა ალფრედს თავის საქმროდ თვლიდა და ცოლად გაყოლასაც აპირებდა. ალფრედი კი ცდილობდა როგორმე თავიდან მოეცილებინა. კარგა ხანია, ემილი და ალფრედი თავს იტეხდნენ იმაზე ფიქრით, როგორ მოეშორებინა ალფრედს ლინა, ამიტომ ახლა უნდა გენახათ იმათი სიხარული, იქნებ როგორმე შევაჩეჩოთ ლინა იმ კროკსტორნელსო. მართალია, კროკსტორნის მეპატრონე ცოტათი წაიბებრებდა, თანაც მელოტი იყო, მაგრამ სამაგიეროდ საკუთარი ხუტორი ჰქონდა და ლინა აუცილებლად მოისურვებდა მის დიასახლისობას.

_ მოდი, ვუდარაჯოთ, რომ ხელი არავინ შეუშალოს, _ შესთავაზა ემილმა. იგი მიხვდა, ლინას დრო სჭირდება, თავისი თაყვანისმცემლი რომ ანკესზე წამოაგოსო.

ამ დროს ბოსლის წინ გორაკზე საქონლის გაყიდვა დაიწყეს. ალფრედსა და ემილს ლინა აღარ გახსენებიათ, თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ, ეს სანახაობა რომ არ გამორჩენოდათ.

ემილის მამამ იოლად იყიდა დიდი მაკე ღორი, რომელსაც აგერ-აგერ უნდა დაეყარა გოჭები, ძროხებზე კი ვაი-უშველებელი ატყდა. ბასტეფალელი გლეხი არა თმობდა და ემილის მამას ოთხმოცი კრონის გადახდა მოუწია, შეთვალთვალებული ძროხა რომ შერჩენოდა. ძროხა კი შერჩა, მაგრამ ამ საარაკო თანხას რომ იხდიდა, ლამის ტიროდა კაცი. ასე რომ, ქათმების საყიდლად ფული აღარ ეყო და ისინი ბასტეფალელ გლეხს დარჩა, გარდა ერთისა, რომელიც უბრალოდ არ მოეწონა.

_ კოჭლი ქათამი რად მინდა, დაკალით და ეგ იქნება, _ ურჩია პატრონს.

ბასტეფალელი გლეხისგან გაწირულმა ქათამმა ოდესღაც ფეხი მოიტეხა, ძვალიც არასწორად შეეზარდა და საცოდავი ძალიან დაკოჭლდა. ეს ლაპარაკი რომ ატყდა, ხუტროის მეპატრონეების პატარა ბიჭმა ემილს გადაულაპარაკა:

_ აი, სულელი, კოჭლ ლოტაზე ამბობს უარს. ის ჩვნეი რეკორდსმენია, ყველაზე მსხვილ კვერცხებსა დებს.

ემილმა ეს რომ გაიგონა, ხმამაღლა წამოიძახა:

_ ოცდახუთ ერეს გაძლევთ კოჭლ ლოტაში!

ყველა ახარხარდა, ყველა, გარდა ემილის მამისა. ის მივარდა ემილს და ისევ საყელოში ჩააფრინდა:

_ რამდენი სისულელე უნდა ჩაიდინო ერთ დღეში! ორჯერ მეტხანს იჯდები სარდაფში!

სიტყვა ჩიტივითაა, თუ გაგიფრინდა, ვეღარ დაიჭერ. ემილმა პატრონს ოცდახუთი ერე შესთავაზა და მეტი ჩარა აღარ იყო, უნდა გადაეხადა. კოჭლი ლოტა ამიერიდან ემილს ეკუთვნოდა, იმისდა მიუხედავად, უნდოდა თუ არა ეს.

_ ახლა უკვე მთელი მეურნეობა მაქვს, _ უთხრა ემილმა ალფრედს. _ ცხენიც მყავს და ქათამიც.

_ ჰო, ცხენი და კოჭლი ქათამი, _ სიცილით დაუკრა კვერი ალფრედმა.

ემილმა კოჭლი ლოტა ყუთში ჩასვა და ნაყიდ ნივთებთან წაიღო. შეშის ფარდულთან უვკე ეწყო ტუმბო, ხის ნიჩაბი და ხავერდგადაკრული ზრდახშა. აქვე იდგა ბოძზე მიბმული ლუკასი. ემილამ თვალი გადაავლო თავის ქონებას და ძალიან კმაყოფილი დარჩა.

ოღონდ ლინა დაეკარგა თვალთაგან. ნეტა როგორ მიდის მისი საქმეები? ემილი და ალფრედი უკან, მესერისაკენ გაიქცნენ და ლინა და მისი თაყვანისმცემელი ისევ ერთდ მიყუჟული რომ დაიანხეს, შვებით ამოისუნთქეს. კროკსტორნელ გლეხს ლინასთვის წელზე მოხვია ხელი. ლინაც უფრო მეტად ხითხითებდა და კეკლუცობდა, თან დროდადრო თავის კროკსტორნელს გვერდში ისე წაუქიმუნჯებდა, რომ პირდაპირ ბალახში წააყუდებდა ხოლმე.

_ მე მგონი, უკვე წაბმულია, _ თქვა ემილმა.

ძალიან გაუხარდათ ემილს და ალფრედს ლინას გამარჯვება. მაგრამ აღმოჩნდა კაცი, რომელიც მათ სიხარულს არ იზიარებდა. ეს იყო სოფელ ბუს მკვიდრი ბულტენი.

ბულტენი ლიონებერგის პირველი ჩხუბისთავი და ლოთბაზარა იყო და თუ საჯარო ვაჭრობაზე სადმე მაგარი მუშტი-კრივი იმართებოდა, უმეტესად მისი წყალობით, იმიტომ, რომ სულ მუშტებზე იყურებოდა. ოღონდ ესეც უნდა გაივთვალისწინო: იმ შორეულ დროში სოფელში მცხოვრები ყმაწვილკაცი დღედაღამ თავაუღებლად მუშაობდა, გასართობი კი არ გააჩნდა. მისი ერთადერთი გასართობი, გასართობი კი არა, ნამდვილი დღესასწაული, საჯარო ვაჭრობა იყო, დადიოდა ისიც ყველგან და, თუ ოდნავ საბაი მიეცემოდა, მაშინვე მკლავის ძალას სინჯავდა. რა უნდა ექნა, სხვაგვარად ვერაფერს უხერხებდა იმ უცნაურ სიშმაგეს, ხალხში გარეულს რომ ეუფლებოდა. თანაც, სამწუხაროდ, ყველა, ხომ მარტო ლიმონათს არა სვამს. ყოველ შემთხვევაში, ბულტენი არ იყო ასეთი.

ჰოდა, ეს ბულტენი მესერთან რომ მივიდა და დაინახა როგორ ხითხითებდა და უნაბავდა თვალებს ლინა მის გვერდით მჯდარ კროკსტორნის მეპატრონეს, ძალიან გაწყრა:

_ როგორ არა გრცხვენია, ლინა! რა ჭირად გინდა ეგ ქაჩალი? ვერ ხედავ, რა ბებერია!

ასე ატყდა ამჯრად დაკადაკა.

ემილი და ალფრედი იქვე იდგნენ და დაინახეს, როგორ გაცეცხლდა კროკსტორნის მეპატრონე. მან მაშინვე მოაცილა ხელი ლინას წელს. ეს წარმოუდგენელი საშინელება იყო: მივიდა ბულტენი და წამში გააქრო იმედი, რომელსაც ემილი და ალრედი ასე ელოლიავებოდნენ.

_ იჯექი, იჯექი, არ ადგე! ძალიან გეხვეწები, ოღონდ ნუ ადგები და! _ შიშით შეჰყვირა გულგახეთქილმა ემილმა კროკსტორნის მეპატრონეს. _ ბულტენს მე მოვუვლი!

და ბევრი აღარ უფიქრია, სტაცა ხელი თავის ხის ნიჩაბს, მთელი ძალით მოიქნია და ბულტენს ზურგში სდრუზა. ტყუილად. ბულტენი წამში შემობრუნდა და ემილს დაეტაკა. ისე იყო გააფთრებული, ცალი თვალი აცაბაცა მიუდიოდა. ემილი მწეოდ ფართხალებდა მის უზარმაზარ ხელებში და ფიქრობდა, მორჩა, ჩემი უკანასკნელი წუთი დადგაო. შეხედა ალფრედმა და აღრიალდა:

_ ბიჭს ახლავე ხელი გაუშვი, თორემ ისე დაგლეწავ, სახლში ფორთხვა-ფორთხვით მოგიწევს დაბრუნება.

ალფრედი, ბულტენისა არ იყოს, უღონობას არ უჩიოდა და ჩხუბიც არანაკლებ უყვარდა. წამსაც არ გაუვლია, რომ ალფრედი და ბულტენი უკვე ერთმანეთს ჩეჩქვავდნენ.

ამას ელოდნენ დანარჩენებიც.

_ ეს ჩხუბი ჩვენ არ დაგვიწყია! _ ყვიროდნენ ბიჭები, რომლებიც ყოველი მხრიდან მორბოდნენ და მოჩხუბრებს უერთდებოდნენ. ამ ბიჭებს კარგა ხანია ხელები ექავებოდათ, მაგრამ ჩუხბის დაწყებას ვერა ბედავდნენ. ჰოდა, შემთხვევა მიეცათ და ვიღა გააჩერებდათ!

ეს ამბავი ტრიალებს და უცებ ლინა აღრიალდა:

_ ეგენი ჩემი გულისთვის ჩხუბობენ! ვაიმე, ვაიმე, რა მეშველება!

_ ახლა კი გამომადგება ჩემი ნიჩაბი. _ მხიარულად წამოიძახა ემილმა და ლინას მიუბრუნდა: _ ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება! ჩემი ნიჩაბი გვიშველის!

ამასობაში ბიჭებმა ერთი ზედახორა გამართეს, ერთმანეთს მუშტებს უხათქუნებდნენ, იგინებოდნენ, ყვიროდნენ, ყველაზე დაბლა ალფრედი, ბულტენი და კროკსტორნის მეპატრონე გორაობდნენ.

ემილს მართლა შეეშინდა, ალფრედი არ გაჭყლიტონო და მის გამოსახსნელად ამ ერთმანეთს გადახლართული სხეულების გროვას ისე ესროლა ნიჩაბი, როგორც ქალაქობანას თამაშისას ესვრიან ტაფელას აკოკოლავებულ ფიგურებს.

არაფერი გამოუვიდა: ბიჭები ადგილიდანაც არ დაძრულან, პირიქით, ემილი რომ მიუახლოვდათ, კინაღამ ისიც წააქციეს და ჩაითრიეს გახურებულ მუშტი-კრივში. ემილი არც ახლა დაბნეულა, ხელიდან სწრაფად დაუსხლტატ, მოახტა ლუკასს და მოჩხუბრების გარშემო დაუწყო ჭენება. ქარი უფრიალებდა ჩამოშლილ თმას, გააფთრებული იქნევდა ნიჩაბს და ამ წუთას ძალიან წააგავდა ბრძოლის ველზე გაჭრილ შუბშემართულ რაინდს.

ერთი სიტყვით, ემილი მოჩხუბრების გარშემო დაჭენაობდა და დროდადრო ნიჩაბს სთავაზობდათ. ჭენების დროს დარტყმა უფრო ძლიერი გამოდიოდა, ასე რომ ეილმა მალე მოახერხა, ვინც ზემოდან იყო, იმათი გაფანტვა. მაგრამ მათი ადგილი უმალ ახალმოსულებმა დაიკავეს და, თუმცა ნიჩაბს გულმოდგინედ ატრიალებდა, ალფრედი ვერა და ვერ გამოიხსნა.

მოჩხუბრების ირგვლივ შემოკრებილი ქალები და ბავშვები, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, ღრიალებდნენ. ემილის მამა და სხვა ხნიერი გლეხები, რომელთა ჩხუბიც ასაკის გამო უკვე უხერხული იყო, დაბნეული დარბოდნენ წინ და უკან და უმწეოდ იქნევდნენ ხელებს. ვერაფრით მოეფიქრებინათ, როგორ შეეწყვიტათ ეს ცემა-ტყეპა.

_ კარგით, ბიჭებო, გეყოფათ! _ აშოშმინებდნენ ჩხუბისთავებს, მაგრამ ამაოდ. _ მალე კიდევ იქნება საჯარო ვაჭრობა და თავი შემოინახეთ!

გაგიონია, ვის ესმოდა მათი ლაპარაკი! ყმაწვილებს მხოლოდ ჩხუბი სწყუროდათ, ჩხუბი და მეტი არაფერი!

ემილმა წყენით მოიქნია ნიჩაბი.

_ მაგ ღრიალს გირჩევნია, მე მომეხმარო, _ უთხრა ლინას. _ ნუ დაგავიწყდება, რომ იქ, ყველაზე დაბლა, შენი საქმრო ფართხალებს.

უკვე გითხარი, ემილი ძალიან საზრიანი და მოხერხებული ბიჭი იყო-მეთქი. მისმინე, ამჯერად რა მოიფიქრა! გახსოვს, ალბათ, ტუმბო რომ ჰქონდა, ხოლო წყალი ბლომად იდგა ჭაში. ამიტომ ლინას წყლის ამოტუმბვა დაავალა, თვითონ კი შლანგს დაავლო ხელი. ჰოდა, უცებ შლანგიდან წყლის ისეთი მძლავრი ნაკადი გამოვარდა, შენი მოწონებული. ეს ცივი ნაკადი მთელი ძალით სხეულების გუნდას რომ დაეტაკა, მოჩხუბრები უმალ გაშეშდნენ. და, წარმოიდგინე, წუთიც არ გასულა, ჩხუბი შეწყდა. ნელ-ნელა იშლებოდა გუნდა. სიცილს ვერ შეიკავებდი ყმაწვილების შეცბუნებული, სველი

პირი-სახის დანახვაზე. მძიმედ დგებოდნენ ისინი ფეხზე და ბარბაც-ბარბაცით მიდიოდნენ სხვადასხვა მხარეს.

თუ ოდესმე თავადაც მოხვდი ასეთ ჩხუბში და მოგინდა მისი შეწყვეტა, გახსოვდეს, რომ ცივი წყლის ნაკადი ათასჯერ სჯობს ხის ნიჩაბს. ეს კარგად დაიმახსოვრე!

ემილზე ბიჭები არ გაბრაზებულან. ჩხუბის ჟინმა გაუარათ და თვითონაც იგრძნეს, ჩხუბი კმარაო.

_ მართლაც, იმ კვირაში კნასხულტშია საჯარო ვაჭრობა, _ თქვა ბულტენმა და სისხლის დენის შესაჩერებლად ცხვირში ხავსი შეიტენა.

ეს რომ ემილმა გაიგონა, ხუტრო კნასხულტის მეპატრონესთან მივიდა და თავის ტუმბო შესთავაზა. გლეხმაც მაშინვე სიამოვნებით გამოართვა _ ახლა ყველამ იცოდა, რაში გამოადგებოდათ.

საჯარო ვაჭრობა დამთავრდა, გლეხებმა თავ-თავიანთ ნაყიდებს დაავლეს ხელი და შინისაკენ გაუდგნენ გზას. ემილის მამაც გაემზადა წასასვლელად. ღორი ფორანში ჩასვეს, იქვე ყუთში ჩაბუდებული კოწლი ლოტასთვისაც გამოინახა ადგილი, თუმცა ემილის მამა ამრეზით უყურებდა. ხოლო რულა, ასე ერქვა ძროხას, ხუტორში თავისი ფეხით უნდა წასულიყო. ასეთი იყო საერთო აზრი. რულა რას ფიქრობდა, იმით კი არავინ დაინტერესებულა.

ალბათ, ბევრი რამ გსმენია გარეულ მხეცებზე. გარეულ ძროხაზეც თუ გაგიგია რამე? თუ არა, მაშინ შემიძლია გითხრა, რომ გარეულ ძროხაზე საშინელი არაფერია, იმის დანახვაზე მტაცებელი ნადირიც შიშით თრთის და უკან მოუხედავად გარბის.

რულა მთელი სიცოცხლე წყნარი და თვინიერი ცხოველი იყო, მაგრამ როცა ლინა და ალფრდი მიუახლოვდნენ და ფორანზე გამობმა მოუნდომეს, ხელიდან გაუსხლტათ და ისე აბღავლდა, ყველა შიშით დაიზაფრა. შეიძლება დაინახა, როგორ ჩხუბობდნენ ბიჭები და იფიქრა, საჯარო ვაჭრობაზე ყველაფერი ნებადართულიაო. ასე იყო თუ ისე, რულა თითქოს გაცოფდა, მასთან მიახლოებაც ძალზე სახიფათო იყო. ჯერ ალფრედმა მიბედა მისვლა, მერე ემილის მამა, მაგრამ თავდაღუნული რულა ისეთი გულისწამღები ბღავილით გამოენთოთ უკან, თითქოს ორვეი რქებზე უნდა წამოაგოსო, და ალფრედი და მამა, თავი რომ გადაერჩინათ, ხან მარჯვნივ გახტებოდნენ, ხან _ მარცხნივ.

ვინ აღარ შეეცადა დახმარებას, სულ ამაოდ. ძროხა ახლოს არვის იკარებდა.

_ რა საშინელებაა! _ ტუტუნებდა ლინა, უკან ცხვირ-პირის მტვრევით გამოქცეულ ახალგაზრდებს რომ უყურებდა.

ბოლოს და ბოლოს, ემილის მამაც გადაირია.

_ დამეკარგა ოთხმოცი კრონი! _ წამოიძახა გაგულისებულმა. _ ჯანდაბას! მომეცით თოფი, უნდა მოვკლა.

ამას რომ ამბობდა, ბოღმით ლამის ღმუოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, ცოფიანი ძროხის ცოცხლად დატოვება არ შეიძლებოდა. ეს მასაც ესმოდა და დანარჩენებსაც, ამიტომ ბაკჰორვის მეპატრონემ უსიტყვოდ მოიტანა თოფი და ემილის მამას ხელში ჩასჩარა.

_ ამის გაკეთება თვითონ მოწევს! _ უთხრა წყნარად.

უცებ ემილის ხმა გაისმა:

_ მოიცა, მამა!

ხომ გეუბნებოდი, ემილი ძალიან საზრიანი და მოხერხებული ბიჭი იყო-მეთქი. აი, ახლაც მივიდა მამასთან და ეუბნება:

_ თუ სასიკვდილოდ გაიმეტე, ესე იგი, ჩემთვის ჩუქებაც არ დაგენანება, ხომ?

_ მერე რად გინდა ცოფიანი ძროხა? _ გაუკვირდა მამას. _ ლომებზე ნადირობას ხომ არ აპირებ?

მაგრამ ემილის მამამ იცოდა, ემილს რომ ბედნიერი ხელი ჰქონდა და დაპირდა, რულას კატხულტში თუ ჩაიყვან, გაჩუქებ, თუნდაც სამგიზს ცოფიანი იყოსო.

მაშინ ემილი მივიდა ბასტეფალელ გლეხთან, სწორედ იმასთან, ექვსი ძროხა რომ იყიდა და არც რულას უთმობდა ემილის მამას, და უთხრა:

_ გინდა შენი ძროხები გავრეკო კატხულტამდე?

ხუტორი ბასტეფალი ოლქის მეორე ბოლოში იყო და იმ სიშორეზე ექვსი ძროხის გარეკვა ხუმრობა საქმე არ გახლდათ. ეს გლეხმაც კარგად იცოდა.

_ მოდი, გარეკე! _ გაუხარდა და ჯიბიდან ოცდახუთერეიანი მონეტა ამოიღო. _ აჰა, ესეც შენი გასამრჯელო!

აბა, მიხვდი, რა ქნა ემილმა. ის გაიქცა ბოსელში, გამოიყვანა ძროხები და რულასთან მირეკა. როგორც კი რულა ნახირში მოხვდა, მაშინვე დაშოშმინდა და თვალები დახარა, ცხადი იყო, რცხვენოდა თავისი უსაქციელობისა... მაგრამ სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყო საწყალი, როცა მშობლიური ბოსლიდან გამოიყვანეს, მოაშორეს თანშეზრდილ მეგობრებს და მარტოდმარტო მოუნდომეს სხვაგან გადენა. რაღა გასაკვირია, რომ გაცხარდა, თუმცა ემილის მეტი ამას ვერავინ მიხვდა.

ახლა კი, ისევ თავის მეგობრებში გარეული, მორჩილად გაძუნძულდა ფორნის უკან. ახარხარდნენ იქ მყოფნი და ერთხმად დაასკვნეს:

_ ვერა ხედავთ, ეს კატხულტელი ბიჭი რა ჭკუის კოლფოია!

ალფრედიც იცინოდა.

_ მესაქონლე ემილ სვენსონო, _ აბრაზებდა ემილს. – ახლა შენა გყავს ცხენი, კოჭლი ქათამი და ცოფიანი ძროხა. კიდევ რის შეძენას აპირებ?

_ ცოტა მაცალე და ნახავ! _ ნირშეუცვლელად უპასუხა ემილმა.

ემილის დედა სამზარეულოს ფანჯარასთან იდგა და თავისიანებს ელოდა. უცებ გზაზე მომავალი ქარავანი დაინახა და კინაღამ თვალები გადმოსცვივდა. წინ ფორანი მოდიოდა, რომელსაც ემილის მამა მართავდა, შიგ ალფრედი და ლინა ისხდნენ, იქვე იყო ფეხებგაკოჭილი უზარმაზარი ღორი და კოჭლი ქათამი, კვერცხი დავდეო, მხიარული კაკანით რომ იკლებდა იქაურობას. ფორანს უკან შვიდი ძროხა მისდევდა. სულ ბოლოში კი ლუკასზე ამხედრებული ემილი მოდიოდა და ხის ნიჩაბს სახრესავით უქნევდა საქონელს.

ემილის დედა შურდულივით გამოვარდა შინიდან, დაიკო იდაც ფეხდაფეხ აედევნა.

_ შვიდი ძროხა მოგყავს? _ ყვირილით მივარდა მამას ემილის დედა. _ მითხარი, ვინ გაგიჟდა, შენ თუ მე?

_ არც შენ გაგიჟებულხარ და არც მე, ძროხა გაგიჟდა, _ ჩაიბურტყუნა მამა. მაგრამ ასე იოლად ვინ მოეშვა. დიდხანს, დიდხანს უხსნიდა დედას ყველაფერს, სანამ კარგად არ გააგებინა საჯარო ვაჭრობაზე მომხდარი ამბავი.

მაშინ კი სიყვარულით შეხედა დედამ ემილს.

_ მე ვამაყობ შენით, ემილ, ოღონდ, თუ ღმერთი გწამს, ამიხსენი, როგორ მიხვდი, დღეს ღუმელში პურის გუნდის ჩასმისას ხის ნიჩაბი რომ გამიტყდა?

უცებ დედამ ალფრედს შეავლო თვალი და შეჰყვირა. ალფრედს სახე ბზიკის ნაკბენივით გასიებოდა.

_ ასე სად შეგალამაზეს? _ შეძრწუნდა დედა.

_ ბაკჰორვაში, საჯარო ვაჭრობაზე, _ უპასუხა აფლრედმა. _ ორშაბათს კიდე კნასხულტშია ბაზრობა.

ლინა შულბშეკრული გადმოვიდა ფორნიდან _ გვერდით ისეთი აღარავინ ჰყავდა, იმის ხათრით ეხითხით-ეკეკლუცა.

_ რატომ აფხორილხარ, რა მოხდა? _ ჰკითხა ემილის დედამ.

_ კბილი მტკივა, _ ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა ლინამ.

აბა რა მოუვიდოდა! კროკსტორნის მეპატრონესთან ერთად მესერის ძირას მიმჯდარი ცუცნიდა და ცუცნიდა წარამარა შემოთავაზებულ კარამელს და ატკივდა კიდეც კბილი, ისე ატკივდა, სიმწრით თავი უსკდებდოა.

მაგრამ როგორც არ უნდა სტკიებოდა, ძროხებს მოუწველავს ვერ დატოვებდა და ლინა საძოვარზე გაიქცა, ისედაც ბევრი ვალოდინეო.

რულა და მისი მეგობრებიც ვეღარ ითმენდნენ, ხმამაღლა ბღაოდნენ, მოგვეწველეთო, მოითხოვდნენ.

_ პატრონი აქ არა ჰყავთ და ისევ ჩვენ უნდა ვუშველოთ ამ ძროხებს. _ თქვა ემილმა, დაბალ სკამზე ჩამოჯდა და დაიწყო წველა. ხედავ, ამ ბიჭმა ყველაფერი იცოდა! ჯერ რულა მოწველა, მერე _ დანარჩენები. რძე ოცდაათი ლიტრი გამოვიდა. დედამ სარდაფში ჩაიტანა ყველის ამოსაყვანად. დიდი თავი ყველი ამოვიდა, ძალიან გემრიელი, რამაც ემილს უზომო სიხარული მოჰგვარა.

კოჭლმა ლოტამ რომ გზაზე კვერცხი დადო, ემილმა მოსვლისთანავე მოხარშა და მამას დაუდო წინ, მოღუშული რომ ელოდა ვახშამს.

_ ეს შენ კოჭლი ლოტასაგან, _ უთხრა მამას.

მერე ჭიქით ახალმოწველილი რძე გაუწოდა და დაუმატა:

_ ეს რულამ მოგართვა!

მამა უჩუმრად ჭამდა და სვამდა, ხოლო დედა ემილის ნაყიდი ხის ნიჩბით პურის გუნდას გუნდაზე სვამდა ღუმელში.

ლინამ ამასობაში მტკივან კბილზე ცხელი კარტოფილი მიიდო და კბილი უფრო მეტად აიტკივა, თუმცა ლინას არცა ჰქონდა დაამების იმედი.

_ ვიცი, რაცა ხარ, _ ეუბნებოდა თავის კბილს. _ ოღონდ იცოდე, შენ თუ ჯიბრიანი ხარ, არც მე ვარ შენზე ნაკლები!

_ სამაგიეროდ, კროკსტორნის პატრონი მოგექცა კარგად, არ დაენანა კარამელი, _ დასცინოდა ალფრედი. _ იცი, რას გეტყვი, ლინა, მიდი, გაყევი ცოლად.

ლინა აპილპილდა:

_ იმ ბებერს გავყვე? მეტი საქმე არა მაქვს! ის ორმოცდაათი წლისაა, მე _ ოცდახუთისა. რა ჭირად მინდა ჩემზე ორჯერ უფროსი ქმარი.

_ მაგას რა მნიშვნელობა აქვს, _ ფიცხად ჩაერია ემილი. _ დამიჯერე, რომ არავითარი!

_ შენთვის ადვილია მაგისი თქმა, მაგრამ ერთი მეცა მკითხე, _ მოუჭრა ლინამ. _ ახლა იქნებ არცა აქვს მნიშვნელობა, მერე კი მე რომ ორმოცდაათი წლისა გავხდები, იმას ასი მიუკაკუნებს, ხომ გავგიჟდი!

_ ყველა თავისი ჭკუით ზომავს, ლინა! _ უთხრა ემილის დედამ, ნიჩბით უკანასკნელი პურის გუნდა ჩასვა ღუმელში და საფარი მიადო... _ რა კარგი ნიჩაბი მომიტანე, შვილო, _ მიუბრუნდა ემილის.

როცა მამამ კვერცხიც შეჭამა და რძეც დალია, ემილმა უთხრა:

_ ახლა წავედი ფარდულში.

ემილის მამა აბურტყუნდა, მთელი დღის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისეთი არაფერი ჩაგიდენია, ფარდულში დაჯდეო. ემილი მაინც თავისაზე იდგა:

_ არა, რადგან მითხარი, დაჯექიო, უნდა დავჯდე.

და ემილი წყნარად, ამაყად გაეშურა ფარდულისაკენ, შევიდა შიგ და თავისი ას ოცდამეცხრე ფიგურის თლას შეუდგა.

კოჭლ ლოტას უკვე საქათმეში ეძინა ქანდარაზე, ხოლო რულა დანარჩენ ძროხებთან ერთად მშვიდად ბალახობდა საძოვარზე, როცა ხუტორს ბასტეფალელი გლეხი მოადგა. ის დიდანს ემუსაიფებოდა ემილის მამას საჯარო ვაჭრობაზე და იქ მომხდარ ამბებზე. ასე რომ, კარგა ბევრი დრო გავიდა, სანამ მამას ემილი მოაგონდებოდა. ჰოდა, ბასტეფალელი გლეხი თავის ექვს ძროხასთან ერთად შინისაკენ გაისტუმრა თუ არა, მაშინვე ფარულისაკენ გაქანდა. მან შორიდანვე დაინახა ფარდულის ფანაჯრასთან მერხზე დაცუცქული იდა. ხელში ხავერდის ძველი ზარდახშა ეჭირა, ისე სათუთად, თითქოს ამქვეყანაზე ყველაზე მშვენიერი ნივთი ყოფილიყო, რომლის შესადარიც თვითონ არასოდეს არაფერი ჰქონოდა. თუმცა ემილის მამა სხვასა ფიქრობბდა.

_ რა ტუტუცური რამეა! ნეტა ვის რაში სჭირდება ხავერდის გაქუცული ზარდახშა!

იას მამა არ შეუმჩნევია და არც გაჩუმებულა, მორჩილად, სიტყვასიტყვით იმეორებდა, რასაც ეიმილი კარნახობდა ჩაბნელებული ფარდულიდან. მამა მიტკალივით გაფითრდა თავისი გოგონას ნათქვამი სიტყვები რომ გაიგონა. კატხულტში ხომ უხეშ სიტყვებს არავინ ამბობდა, იმ სიტყვებს კი იმით რა გააკარგებდა, იდა ნაზი, წვრილი ხმით რომ წარმოსთქვამდა.

_ იდა, გაჩუმდი! _ უყვირა მამა.

მერე კი ხელი ფარდულის სარკმელში შეყო და ემილს ექჩოში ჩააფრინდა.

_ ემილ! როგორ არა გრცხვენია! დას ლანძღვა-გინეაბს ასწავლი!

_ არაფერსაც არ ვასწავლი! _ აღშფოთდა ემილი. _ უბრალოდ ჩავაგონებდი, რომ «ეშმაკმა წაიღოს» თქმა არ გაებედა. და რამდენიმე სხვა სიტყვაც ვასწავლე, რომლებიც არასოდეს არ უნდა თქვას.

მაშ ასე, შენ უკვე იცი, როგორ გაატარა ემილმა 12 ივნისი. თუ ყველაფერი, რაც ჩაიდინა, ქების ღირსი არაა, ის მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ იმ დღეს დიდი საზრიანობა და სიყოჩაღე გამოიჩინა.

ემილის ნაყიდი ნივთებიდან მამას შეიძლებოდა მხოლოდ ხავერდის ზარდახშა არ მოსწონებოდა და იმაზე ებუზღუნა. ზარდახშა მართლაც გამოუსადეგარი იყო, თუმცა დაიკო იდას ძალიან მოეწონა. მან ზარდახშიდან პირდაპირ იატაკზე გადმოაგდო წერილების მთელი დასტა და, სამაგიეროდ, შიგ სათითე, მაკრატელი, ლამაზი ლურჯი შუშის ნატეხი და თმაზე გადასაჭერი წითელი ლენტი ჩაალაგა. ემილი ფარდულიდან საღამო ხანს გამოვიდა. სამზარეულოში შესვლისთანავე მისი ყურადღება კუთხეში მიგდებულმა შეკრულამ მიიპყრო და მაშინვე ალფრედს აჩვენა, ბუზსახოცით ხელში აქეთ-იქით რომ დადიოდა და ხოცავდა ბუზებს.

_ ესეც გამომადგება, _ უთხრა ემილმა. _ თუ ოდესმე ვინმესთვის წერილების მიწერა დამჭირდა, მზა ნიმუშები ბლომად მექნება.

ყველაზე ზევით ამერიკიდან გამოგზავნილი წერილი იდო. ემილმა გაკვირვებისაგან დაუსტვინა.

_ შეხედე, ალფრედ, ერთი შეხედე, ადრიანის წერილია.

ადრიანი ბაკჰორვის მფლობელების უფროსი შვილი იყო. იგი დიდი ხნის წინ გაემგზავრა ამერიკაში და მთელი ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გამოგზავნა შინ წერილი. ეს იცოდნენ ლიონებერგელებმა, ბრაზობდნენ ადრიანზე და ეცოდებოდათ მისი საწყალი მშობლები. ოღონდ რა ეწერა იმ ერთადერთი წერილში, დანამდვილებით არავინ იცოდა, მშობლები არავის არაფერს ეუბნებოდნენ.

_ აი, ახლა გავიგებთ ყველაფერს, _ თქვა ემილმა. მან ხომ თვითონ ისწავლა კითხვა და მარტო ბეჭდურ ასოებს კი არა, ხელნაწერებსაც კითხულობდა.

ემილმა ამოიღო კონვერტიდან წერილი და ხმამაღლა წაუკითხა ალფრედს. წამში მოასწრო, ისეთი მოკლე წერილი იყო.

«მე დათვი მოვკალი, გუდ ბაი».

_ ეს წერილი, ალბათ, არ გამომადგება, _ ხელი ჩაიქნია ემილმა.

მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ სასტიკად ცდებოდა.

12 ივნისი ილეოდა. ღამე ეწვია კატხულტს და მყუდროება და სიმშვიდე მოუტანა მის ბინადართ: ადამიანებსაც, ცხოველებსაც, ყველას, ლინას გარდა, რომელსაც კბილი სტკიოდა. იგი იწვა სამზარეულოში თავის ლურჯ დივანზე, საცოდავად ოხრავდა და სიმწრით თვალს ვერა ხუჭავდა.

ამასობაში გაირბინა ივნისის მოკლე ღამემ და მოვიდა ახალი დღე.

ახალი დღე ემილის ცხოვრებაშიც.

კვირა, 13 ივნისი,

როცა ემილმა სამჯერ სცადა ლინასათვის უკანა კბილის ამოღება, მერე კი ლურჯად შეღება დაიკო იდა...

ძროხები არ სცნობენ დღესასწაულებს, ისინი კვირა დღესაც ისევე უნდა მოწველო, როგორც სხვა ნებისმიერ დღეს. დილის ხუთ საათზე სამზარეულოში მაღვიძარა აწკრიალდა და ლინას თუმცა კბილი ძალიან სტკიოდა, ადგომა მოუხდა. მან კედელზე ჩამოკიდებულ სარკეში ჩაიხედა და «ვაი-ვაიო!» აღრიალდა. საწყალი რასა ჰგავდა! ლოყა ფუნთუშასავით გამობერვოდა. რა საშინელება იყო! ლინა მწარედ ატირდა.

მართლაც, უნდა შეგცოდებოდა _ ზუსტად კვირა დღეს სვენსონებს მეზობლები ჰყავდათ დაპატიჯებული ფინჯან ყავაზე.

_ მე კი, ამ სხვადასხვანაირი ლოყების პატრონი, თვალითაც ვერავის დავენახვები, _ ტირილით ჩაიბუტბუტა ლინამ და ოხვრა-ოხვრით წავიდა ძროხების მოსაწველად.

მაგრამ ამაზე დიდხანს დარდი არ მოუწია, საძოვარზე ბზიკმა უკბინა და, წარმოიდგინე, ისევ ლოყაზე, ოღონდ მარცხენაზე. ახლა მარცხენა ლოყა აღარაფრით განსხვავდებოდა მარჯვენისაგან. ლინა რატომღაც მაინც ვერ დამშვიდდა, პირიქით, წინანდელზე მეტად ტიროდა.

სამზარეულოში რომ დაბრუნდა, მთელი ოჯახი მაგიდას უჯდა და საუზმობდა. კარებში უცბად გამოცენილი ბუშტებივით ლოყებდაბერილი და ტირილისაგან თვალებდაწითლებული უცნაური არსების დანახვაზე ყველა ადგილს დააცივდა. ძნელი საცნობი გამხდარიყო ლინა. მის გარეგნობას მხოლოდ ცრემლი სმოგვარა შეეძლო და ემილს არ უნდა გაეცინა. ლინა რომ კარში გამოჩნდა, ემილს რძიანი ჭიქა ჰქონდა პირთან მიტანილი და უცებ წასკდა სიცილი. რძის შხეფები მაგიდის იქით გაიფანტა და პირდაპირ

მაამს საკვირაო სერთუკს მიეშხეფა. სიცილი ვერც ალფრედმა შეიკავა. არადა, ლინა ნამდვილად შესაცოდი იყო. ემილის დედამ მკაცრად შეხედა ემილს და ალფრედს და, ეს რა სასაცილოა, უთხრა, მაგრამ სანამ მამას სერთუკს რძის წვეთებს აშორებდა, ერთხელ კიდევ შეხედა ლინას და ტუჩები ისე აუთრთოლდა, უთუოდ თვითონაც მიხვდა, წეღან რატომ აფრუტუნდნენ ემილი და ალფრედი. თუმცა ლინა, რა თქმა უნდა, ძალიან ეცოდებოდა.

_ შე საწყალო, აბა ასეთი სახით უცხო ხლხს როგორ დაენახვები! _ უთხრა ლინას. _ თითქოს ჯიბრზე სწორედ დღესა გვყავს სტუმრები. ემილ, გაიქეცი კრიუსე-მაიასთან და სთხოვე დასახმარებალდ მოვიდეს.

ლიონებერგაში ყველას უყვარდა კვირა დღეს ყავის სმა, ამიტომ მეზობელ ხუტორებში უზომოდ გაუხარდათ ემილის დედის წერილი, სადაც ეწერა:

«ძვირფასო მეზობლებო! კვირას გეპატიჟებით ფინჯან ყავაზე.
გთხოვთ, გვეწვიოთ.

ალმა და ანტონ სვენსონები
კატხულტი, ლიონებერგა.»

ნასაუზმევს დედა და მამა ეკლესიაში წავიდნენ, რათა ემრე შინ სტუმრებთან ერთად დაბრუნებულიყვნენ, ხოლო ემილი უსიტყვოდ გაეშურა კრიუსე-მაიასთან დედის თხოვნის გადასაცემად. ნათელი დილა იყო. მხიარული სტვენით მიაბიჯებდა იგი ბილიკზე კრიუსე-მაიას სახლისაკენ, რომელიც შიგ ტყეში იდგა.

თუ შენ ოდესმე ყოფილხარ სმოლანდის ტყეში ივნისის ადრიან დილას, უთუოდ გემახსოვრება, როგორ იძახის გუგუს გუგული, როგორ გალობს ტოროლა, როგორ გაცხუნებს მზე კეფაზე და რა რბილად მიდიხარ ფეხშიშველა წიწვით მოფენილ ბილიკზე. მიდიხარ და ისუნთქავ ფისით გაჟღენთილ ჰაერს, უყურებ როგორ ყავვის მარწყვი მდელოზე. ემილი ნელა მიდიოდა, არა ჩქარობდა, ბოლოს მაინც მიაღწია კრიუსე-მაიას ძველ ქოხს, ისე პატარასა და დრო-ჟამისაგან ჩაშავებულს, რომ ძლივს ჩანდა გაფოთლილ ხეებში.

კრიუსე-მაია პატარა სკამზე იჯდა და გაზეთს კითხულობდა. ეტყობოდა, ახლად გაგებული ამბავი კიდეც აშინებდა და კიდეც ახარებდა.

_ იუნჩეპინგში ტიფის ეპიდემიამ იფეთქა, _ მისალმებისთანავე მიახალა ეილს და «სმოლანდის გაზეთი» მიაჩეჩა, რათა იგი თვითონ დარწმუნებლიყო.

მართლაც, გაზეთში ეწერა, იუნჩეპინგის ორ მცხოვრებს ტიფი შეეყარაო. კრიუსე-მაიამ მხიარულად დააქნია თავი და თქვა:

_ ტიფი საჭინელი ავადმყოფობაა და მალე ლიონებერგამდეც მოაღწევს. დამიჯერე მე!

_ როგორ შეიძლება ეს ტიფი ჩვენთან მოხვდეს? _ ჰკითხა ემილმა.

_ სანამ შენ აქა დგაარ, იგი ბაბუაწვერასავით დაფრინავს სმოლანდის თავზე, მისი კილოგრამობით თესლი თავს დაგვტრიალებს, _ უპასუხა კრიუსე-მაიამ, _ და, თუ ჩვენთან ფესვები გაიდგა, უბედურება დატრიალდება.

_ როგორი ავადმყოფობაა? ჭირის მაგვარი? _ ჩაეკითხა ემილი.

ჭირზე კრიუსე-მაიას უკვე ბევრი რამ ჰქონდა მოყოლილი, საერთოდ ავადმყოფობაზე და ეპიდემიებზე ლაპარაკს არაფერი ერჩია. კრიუსე-მაია ირწმუნებოდა, ჭირ იყველა ავადმყფობაზე უარესიაო. თურმე მისგან ოდესღაც მთელი სმონადი დაღუპულა. ჰოდა, ტიფი თუ ჭირსა ჰგავს, მაშინ...

კრიუსე-მაია ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

_ ჰო, ჭირს წააგავს. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, მგონი, ავადყოფს ჯერ სახე ულურჯდება, მერე კვდება... ოჰ, ტიფი საშინელი ავადყოფობაა, საშინელი!

ემილმა ისიც უთხრა, რისთვის იყო მისული. ასე და ასეაო, ლინას კბილი სტკივა, ლოყები საჰაერო ბუშტებივით დაუმრგვალდა და სტურმებს ვეღარ დაენახვება. ჩვენ კი, თითქოს ჯიბრზე, სწორედ დღეს გვყავს სტუმრები დაპატიჟებულიო. ეს რომ კრიუსე-მაიამ გაიგო, ტიფი აღარც გახსენებია, მალე მოვალო, შეპირდა.

შინ დაბრუნებულ ეილს ლინა ატირებული დახვდა. სამზარეულოს კართან იჯდა და ტკივლისაგან კვნესოდა. ალფრედი და დაიკო იდა გვერდიდან არ შორდებოდნენ, თუმცა შველით ვერა შველოდნენ.

_ ნამდვილად სმე-პელესთან მოგიწევს წასვლა, _ უთხრა ალფრედმა.

სმე-პელე, მართალია, მჭედელი იყო, მაგრამ როცა საჭირო ხდებოდა, უზარმაზარი გაზით კბილებსაც აძრობდა ადგილობრივ მცხოვრებლებს.

_ რამდენს რთმევს კბილის ამოღებაში? _ კვნესა-კვნესით იკითხა ლინამ.

_ თხუთმეტ ერეს საათში, _ უპასუხა ალფრედმა.

ლინას შეაძაგძაგა: რა ძვირი ღირს და, რაც მთავარია, რა დიდხანს გრძელდება.

_ მჭედელზე სწრაფად და უკეთესად ამოგიღებ მაგ კბილს, _ დაამშვიდა ემილმა. _ მოვიფიქრე კიდეც, როგორ უნდა მოვიქცე. _ და ემილმა ივე გადმოულაგა თავისი ნაფიქრი:

_ ამისთვის მხოლოდ ჩემი ლუკასი და გრძელი მაგარი ძაფი დამჭირდება. ძაფის ერთ ბოლოს შენს მტკივან კბილს მოვდებ და შემოვუჭერ, მეორე ბოლოს კი ქამარზე გამოვიბამ, მოვახტები ლუკასს და გავაჭენებ. ძაფი გაიჭიმება, გაიჭიმება, ემრე ტკაც! _ და მორჩა, კბილი თითქოს არცა გქონია.

_ რა ადვილად ამბობ! ტკაც და მორჩა. ნურას უკაცრავად, _ აღშფოთდა ლინა. _ შენი ჭენაობა მე არ გამომადგება.

მაგრამ კბილი წინანდელზე მეტად ასტკივდა და ისიც ოხვრა-ოხვრით დამორჩილდა ბედს.

_ კარგი, ვცადოთ, აბა, რა ვქნა, მე საწყალმა. იქნებ რამე გამოვიდეს, _ შეწუწუნა ემილს და ძაფის მოსატანად გაქანდა.

ემილმა როგორც აგდაწყვიტა, ისე მოიქცა. მოიყვანა ლუკასი და, როცა ძფის ორივე ბოლო მაგრად გამოაბა _ ერთი კბილს, მეორე _ ქამარს, ცხენს მოახტა. საწყალი ლინა კვნესოდა და ტიროდა, დაიკო იდა იცრემლებოდა, ხოლო ალფრედი იდგა და ორივეს ამშვიდებდა:

_ ყველაფერი რიგზე იქნება! ნუ გეშინია, ლოდინი არ მოგიწევს, ტკაც! და გათავდება!

ემილმა დასჭყივლა ცხენს და გააჭენა.

_ ოი, ახლა ტკაცს დაიძახებს! _ მხიარულად აჭყივლდა იდა.

მაგრამ არაფერიც არ მომხდარა. ან რა მოხდებოდა, როცა მარტო ცხენი კი არა, ლინაც გაჭენდა. საწყალი ისე დააფეთა იმ «ტკაცმა», რომ გულგახეთქილი ლუკასზე ნაკლებად არ გაკუნტრუშდა და რამდენი არ ეძახა ემილმა, გაჩერდიო, ვერაფერი შეასმინა. ირბინა და ირბინა დამთხვეულივით, ჰოდა, აღარც თოკი დაიჭიმა და აღარც «ტკაცი» გამოვიდა.

ემილი მაინც ცდილობდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დახმარებოდა ლინას მტკივანი კბილის მოძრობაში. ისეთი ბიჭი არ იყო, პირველი მარცხისთანავე ხელი აეღო განზრახვაზე. ამიტომ დაუფიქრებლად გადაევლო ბაღის მესერს.

«რას იზამს, თხასავით ხომ არ გადმოხტება?» _ გაიფიქრა ემილმა, მაგრამ, წარმოიდგინე, შეცდა. შეშინებული ლინა ახტა და გადაევლო მესერს. დაიკო იდას არასოდეს დაავიწყდება ეს სცენა. ჰო, ჰო, სიკვდილამდე ემახსოვრება, როგორ გადახტრა ლოყებდაბერილი, კბილზე ძაფგამობმული ლინა მესერზე და აყვირდა:

_ გაჩერდი, გაჩერდი! «ტკაც» არ მინდა!

მერე კი რცხვენოდა, მაგრამ გვიან იყო. იგი უბედური სახით იჯდა პარმაღის საფეხურზე და კვნესოდა. ემილს იმედი არ დაუკარგავს.

_ სხვა საშუალება მოვნახე, _ უთხრა ლინას.

_ ასეთი საშინელი ნუღარ ინქება რა, _ შეეხვეწა ლინა, _ როგორმე იმ «ტკაცს» ნუ გამაგონებ. კბილის ამოღება უიმისოდაც კარგად შეიძლება.

რაკი ემილმა სხვა გზა შესთავაზა, მაშასადამე, ისიც იცოდა, რა უნდა მოემოქმედა.

მან ლინა ტოტებგაბარჯღული მსხლის ძირას პირდაპირ მიწაზე დასვა. ალფრედი და დაიკო იდა გაფაციცებულები უყურებდნენ, როგორ აიღო ემილმა გრძელი თოკი და როგორ მიაბა ლინა ხეზე.

_ აი, ასე, ახლა ვეღარ მოახერხებ გაქცევას, _ უთხრა მილმა, მერე აიღო მაგარი ძაფი, ლინას რომ ისევ პირიდან დასთრევდა და სალესის სახელურს გამოაბა. ამ სალესზე ალფრედი ცელს პირავდა ხოლმე, ემილის მამა კი ნაჯახსა და დანებს.

ყველაფერი მზად იყო სახელურის დატრიალებაღა აკლდა.

_ მორჩა, «ტკაცს» ვეღარ გაიგონებ, მარტო «ღრრრ» და მორჩა. ისა, როგორც გინდოდა, _ ახარა ლინას.

დაიკო იდა ციებიანივით კანკალებდა, ლინა ოხრავდა და კვნესოდა. ემილი უშფოთველი სახით მივიდა სალესთან და დაატრიალა სახელური. მაგარი ძაფი, მიწაზე რომ ეგდო მობოშებული, ნელ-ნელა იჭიმებოდა. რამდენადაც იჭიმებოდა ძაფი, იმდენად ემატებოდა შიში ლინას, მაგრამ გაქცევა აღარ შეეძლო.

_ ვაი, საცაა, «ღრრ» იქნება! _ წამოიძახა დაიკო იდამ.

_ შეჩერდი! არ მინდა! არ მინდა! _ აკივლდა ლინა. და სანამ ვინმე გონს მოეგებოდა, წინსაფრის ჯიბიდან პატარა მაკრატელი ამოაძრო და დაჭიმული ძაფი გადაჭრა.

მერე ისევ რცხვენოდა და ჯავრობდა, ეს რა მომივიდაო, იმიტომ რომ მართლა სურდა მტკივანი კბილის მოშორება, მაგრამ რა ექნა, თავს ვერ ერეოდა. ემილი, ალფრედი და დაიკო იდა უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ.

_ არ გინდა და გქონდეს ეგ კბილი! ყველაფერი შენს თავს დააბრალე! მე რაც შემეძლო, გავაკეთე! _ გაუწყრა ემილი.

შეწუხდა ლინა და შეევედრა, უკანასკნელადაც სცადე, გეფიცები, სისულელეს აღარ ჩავიდენო.

_ ოღონდ ეს კბილი მომაშორე და, რასაც მეტყვი, შევასრულებ, _ უმეორებდა ლინა. _ აჰა, გამომართვი ძაფი.

დათანხმდა ლინა ბოლო ცდაზე, გაიხარეს ალფრედმა და დაიკო იდამ.

_ შენ მხოლოდ ელვისებური საშუალება გამოგადგება, _ უხსნიდა ემილი ლინას, _ ისეთი, რომ თუნდაც შეშინდე, ხელის შეშEლა ვეღარ მოასწრო.

ჰოდა, ემილის საზრიანობის ამბავი ხომ იცი, სწრაფად მოიფიქრა, რა უნდა ექნა.

_ აი, რას გეტყვი, _ უთხრა ლინას. _ აძვერი ბოსლის სახურავზე და ჩახტი თივის ზვინში. გონს მოსვლასაც ვერ მოასწრებ, რომ კბილი აღარ გექნება.

_ ემილ, მარტო შენ შეიძლება მოგივიდეს თავში ასეთი სისულელე, _ ამოიკნავლა ლინამ, ადგილიდან კი არ დაძრულა.

მაგრამ კბილის ტკივილი არა და არ უყუჩდებოდა და, რაღას იზმდა, ოხვრით წამოდგა.

_ კარგი, ვცადოთ... თუმცა ვგრძნობ, ამისი გადამტანი არა ვარ.

ალფრედმა მაშინვე მოიტანა კიბე და ბოსლის კედელზე მიაყუდა. ემილი აძვრა სახურავზე. ხელში მაგრად ეჭირა ლინას მტკივან კბილზე გამობმული ძაფი და ლინა სადავეჩაბმული ძაღლივით მიჰყავდა მაღლა. ისიც მორჩილად, კვნესით და წუწუნით მისდევდა უკან.

ემილმა სახურავზე ჩაქუჩი და დიდი ლურსმანი აიტანა. ლურსმანი საყრდენ კოჭში ჩაარჭო, ზედ ძაფი დაახვია და ყველაფერი მზად იყო.

_ აბა, გადახტი! _ უყვირა ლინას.

საწყალი ლინა სახურავის კეხზე გადამჯდარიყო, ძირს თავზარდაცემული იყურებოდა და ხმამაღლა კვნესოდა.

იქ, ქვემოთ, ალფრედს და დაიკო იდას თავები მაღლა აეღირათ და ლინას მისჩერებოდნენ. ელოდნენ, საცაა ცაზე კომეტასავით გაიქროლებს და თივის ზვინში ამოყოფს თავსო. გაგიონია, ლინა გაუნძრევლად იჯდა და უმატებდა და უმატებდა კვნესას.

_ არა, ვერ გავბედავ, ვერ გავბედავ, არ შემიძლია!

_ მტკივან კბილს ვერ იმეტებ? ვერ იმეტებ და გქონდეს! მე რა! _ აფეთქდა ემილი.

აღრიალდა ლინა, ისე აღრიალდა, ალბათ, ლიონებერგის ბოლოში ისმოდა. ადგომით მაინც ადგა და, თუმც შიშით მუხლები ეკეცებოდა, კანკალ-კანკალით სახურავის კიდესთან მივიდა. დაიკო იდამ, რომ არ ეყურებინა, სახეზე ხელები აიფარა.

_ ვაიმე, ვაიმე! _ კვნესოდა ლინა. _ ვაიმე, ვაიმე!

ეტყობა, მართლა ძალიან ძნელია სახურავიდან გადოხტომა, განსაკუთრებით, თუ კბილი მაგარი ძაფით გაქვს ლურსმანზე მიბმული. თან იმასაც თუ წარმოიდგენ, რომ გადმოხტომისას «ტკაც» უნდა გაისმას და კბილი მოგძვრეს, მიხვდები, რომ ამისი გაბედვა ადამიანურ ძალას აღემატება.

_ გადმოხტი, ლინა! _ უყვირა ალფრედმა, _ ჩქარა გადმოხტი!

ლინა შიშით ძაგძაგებდა და კვნესოდა.

_ მოიცა, მოგეხმარები! _ უთხრა მუდამ დასახმარებლად შემართულმა ემილმა და საჩვენებელი თითი ოდნავ ატაკა ზურგში. ლინა საზარელი ყვირილით გადაეშვა სახურავიდან.

გაისმა «ტკაც», მაგრამ კბილს ძვრაც არ უქნია, ლურსმანი ამოვარდა კოჭიდან.

ლინა თივაში ჩამხობილი იწვა. ძაფშემოხვეული კბილი თავის ადგილას იყო, სამაგიეროდ, ძაფის მეორე ბოლოზე ვეება ლურსმანი ქანაობდა.

გადაირია ლინა და ეცა ემილს:

_ ცელქობა როცა გინდა, ათას სისულელეს მოიგონებ, მტკივანი კბილი როგორ ამოიღო, ეს კი ვერ მოგიფიქრებია!

ჰო, გაჯავრდა ლინა და ძალიან დროულადაც. გამწარებული პირდაპირ მჭედელ სმე-პელესთან გაიქცა. იმანაც დაავლო ხელი თავის უზარმაზარ გაზს და _ ტკაც! _ წამში ამოაძრო კბილი.

არ იფიქრო, ამ ხნის განმავლობაში ემილი გულხედაკრეფილი იჯდაო. ალფრედი მსხლის ძირას მიწვა, ცოტას წავიძინებო, ასე რომ, მისი იმედი არ უნდა ჰქონოდა. ადგა და დაიკო იდასთან წავიდა, ჩვენ მაინც ვითამაშებთ, სანამ დედა და მამა სტუმრებთან ერთად დაბრუნდებიანო.

_ მოდი, ექიმობანა ვითამაშოთ, _ შესთავაზა დაიკო იდას. _ შენ ავადმყოფი იქნები, მე _ ექიმი.

გაუხარდა დაიკო იდას. ხელად ტანთ გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. ემილმა ჩახვდა ყელში, მოუსმინა გულს, ერთი სიტყვით, ნამდვილ ექიმივით გასინჯა.

_ რა მჭირს? _ ჰკითხა იდამ.

ემილი ჯერ ჩაფიქრდა.

_ ტიფი გაქვს, _ უთხრა მერე სერიოზულად. _ ძალიან საშიში დაავადებაა.

ამას რომ ამბობდა, გაახსენდა, რას ეუბნებოდა კრიუსე-მაია, ტიფის დროს ავადმყოფს სახე ლურჯდებაო. ჰოდა, რადგან ემილი ყველაფერს, როგორც წესი და რიგია,

ისე აკეთებდა, თვალების აქეთ-იქით ცეცება დაიწყო, იქნებ რამე ვიპოვო და იდა შესაფერისად შევღებოო, უეცრად თვალი საწერ მაგიდაზე დადებულ სამელნეს ჰკიდა, რომელსაც დედა ხშირად ხმარობდა. ხან ბარათს სწერდა ვინმეს, ხანაც ემილის ახალ-ახალ ოინებს იწერდა თავის ლურჯ რვეულში. სამელნის გვერდით, დედამ რომ მეზობლებს ფინჯან ყავაზე მიპატიჯების ბარათი გაუგზავნა, იმისი შავი პირი იდო. ემილმა წაიკითხა და სიხარულმა მოიცვა _ რა დედა ჰყავს, რა კარგად წერს ბარათებს, ადრიანს კი არ ჰგავს! «მე დათვი მოვკალი!» _ ამის მეტი რომ ვერაფერი მოახერხა.

ეს ბარათი უკვე საჭირო აღარ იყო, ამიტომ ემილმა დაჭმუჭნა, დააგორგოლა და მელანში ჩააწო. როცა ბურთულა გაიჟღინთა, ამოიღო და იდასთან გაარბენინა.

_ მოდი, ისე შეგღებავ, ყველას ტიფიანი ეგონო, _ უთხრა იდას. ისიც გულიანად აკისკისდა. _ აბა, თვალები დახუჭე, თორემ მელანი ჩაგივა! _ გააფრთხილა ემილმა და ბურთულა სახეზე აუსვ-დაუსვა. ძალიან ნელა უსვამდა, თვალებს არიდებდა, ამიტომ მათ გარშემო დიდი წრეები დარჩა. _ ეს თეთრი წრეები ჩალურჯებულ სახეზე ისეთ საშინელ შესახედავს ხდიდა იდას, რომ ემილი თვითონაც დაფეთდა: იდა საოცრად ჰგავდა მოჩვენებას, რომელიც ემილმა ერთხელ პასტორის წინგში ნახა სურათზე.

_ კრიუსე-მაია მართალია, ტიფი ნამდვილად სასინელი ავადმყოფობაა! _ დაასკვნა ემილმა.

ამ დროს კრიუსე-მაია კატხულტისაკენ მოიჩქაროდა. ჭიშკართან მჭედელ სმე-პელესაგან დაბრუნებული ლინა შეხვდა.

_ როგორაა საქმე? კბილი ისევ გტკივა? _ დაინტერესდა კრიუსე-მაია.

_ არ ვიცი, _ მიუგო ლინამ.

_ არ იცი? როგორ არ იცი? _ გაოცდა კრიუსე-მაია.

_ საიდან უნდა ვიცოდე? კბილი ხომ სანაგვეზე გადავაგდე, მაგრამ, იმედია, მტკივა. ახია, გამწარდეს ის ოხერი!

ლინა მშვენიერ გუნებაზე იყო, ლოყებიც აღარ მიუგავდა საჰაერო ბუშტებს. იგი მაშინვე მსხლის ხისაკენ გაქანდა, ალფრედს ნაკბილარს ვაჩვენებო, კრიუსე-მაია კი ყავის მოსადუღებლად წავიდა სამზარეულოში. უცებ ოთახიდან ბავშვების ლაპარაკი მოესმა და იფიქრა, ერთი შევალ, ჩემს პატარა იდას მოვესიყვარულებიო. მართლაც, შეტუსტუსდა ბავშვებთან და ლოგინს გაკრული სახედალურჯებული და თვალებამოთეთრებული იდა რომ დაინახა, ჯერ ენა ჩაუვარდა, მერე კი აკანკალებულმა იკითხა:

_ ღმერთო ჩემო, რა დაემართა?

_ ტიფი, _ უპასუხა ემილმა და ახითხითდა.

ამის თქმა და ეზოს ახმაურება ერთი იყო _ ეკლესიიდან დაბრუნდნენ დედა და მამა, თან სტუმრებიც მოიყვანეს პასტორის თავკაცობით. ეზოში შემოვიდნენ თუ არა, მაშინვე სახლისაკენ გაემართნენ, ძალიან შიოდათ და ერთი სული ჰქონდათ სანამ სუფრას მიუსხდებოდნე. მაგრამ პარმაღზე კრიუსე-მაია გადმომდგარიყო და გამწარებული ყვიროდა:

_ უკან დაბრუნდით! უკან დაბრუნდით! ოჯახში ტიფია! _ ნირწამხდარი შეჩერდნენ შეშინებული სტუმრები. ერთადრთი ემილის დედა არ დაიბნა:

_ შენ რაებს ლაპარაკობს! ვისა აქვს აქ ტიფი! _ გაუწყრა კრიუსე-მაიას.

ამ ლაპარაკში კრიუსე-მაიას ზურგს უკან ღამის პერანგისამარა, გალურჯებული, თვალებამოთეთრებული დაიკო იდა გამოჩნდა.

_ მე მჭირს ტიფი, მე! _ აყვირდა და მხიარულად აკისკისდა.

ყველას სიცილი აუტდა, ემილის მამის გარდა. მან უცნაური ხმით იკითხა:

_ ემილი სადაა?

ემილი სადღაც გამქრალიყო და სანამ სტუმრები ყავას სვამდნენ, არც გამოჩენილა.

სტუმრები რომ სუფრიდან წამოიშალნენ, პასტორი მაშინვე სამზარეულოში წავიდა კრიუსე-მაიას დასამშვიდებლად, რომელიც გულმოკლული იჯდა, ტიფი ნამდვილ ტიფი რომ არ გამოდგა. და როცა პასტორმა მოხუცი შეძლებისდაგვარად გაამხნევა, მისი ყურადღება იმ წერტილების დასტამ მიიპყრო, იდამ რომ ზარდახშიდან ამოიღო და იაკტაზე დააგდო. ახლა ეს შეკრულა ბუფეტზე იდო. პასტორმა შეკრულა აიღო და ადრიანის ამერიკიდან გამოგზავნილი წერილი გამოაძრო.

_ შეუძლებელია! _ წამოიძახა გახარებულმა. _ თვალს ვერ ვუჯერებ! სწორედ ის მარკა გქონიატ, მე რომ ამდენი ხანია ვეძებ! ძალიან იშვიათი მარკაა. ორმოც კრონზე ნაკლები არ ღირს!

პასტორი მარკებს აგროვებდა და კარგი მცოდნეც იყო მარკებისა.

გაშტერდა ემილის მამა, რას არ გაიგონებს კაცი, ქაღალდის ასეთი პაწაწა ნაგლეჯი ღირს ორმოცი კრონიო? _ თავიც კი გადააქნია სინანულით.

_ ორმოც კრონად ნახევარ ძროხას იყიდის კაცი, _ საყვედურით შეხედა პასტორს.

მეტი კი ვეღარ მოითმინა ემილმა, თავით ასწია ზანდუკის სახურავი, რომელშიც დამალულიყო, და იკითხა:

_ მამი, თუ ნახევარ ძროხას იყიდი, რომელ ნაწილს აირჩევ _ წინას, რომ ბღაოდეს, თუ უკანას, კუდს რომ იქნევდეს.

_ ახლავე წადი ფარდულში! _ მკაცრად უთხრა მამა.

ემილიც წავიდა. პასტრომა წასვლისას აიღო მარკა და სანაცვლოდ ოთხი ათკრონიანი დატოვა. მეორე დღეს ემილმა ხუტორ ბაკჰორვაში გააჭენა ცხენი. წერილებიც პატრონებს გადასცა და პასტორის დატოვებული ფულიც, ხოლო მათ მადლობის ნიშნად ფარანი აჩუქეს, ზუსტად ისეთი, როგორზეც დიდი ხანია ოცნებობდა.

სამშაბათი, 10 აგვისტო,

როცა ემილმა საუზმით სავსე კალათში ბაყაყი ჩასვა, მერე კი ისე საშინლად მოიქცა, რომ უმჯობესია არ გიამბოთ...

ამ შემთხვევაში ემილის მამა ცოტა ცოდოც იყო. მისმა ვაჟმა უკანასკნელ საჯარო ვაჭრობაზე იმდენი ბრწყინვალე საქმე გააკეთა, მან კი ერთადერთი ღორი შეიძინა და, წარმოიდგინე, იმაშიც არ გაუმართლა: ღორმა ღამით დაყარა გოჭები, როცა ამას არავინ ელოდა. თერთმეტი გოჭი. დააგდო და მათგან ათი შეჭამა _ ზოგჯერ ასეთი რამ ხდება ხოლმე. მეთერთმეტესაც ის ბედი ეწეოდა, ემილს რომ არ ეშველა, რომელიც საღორეში ატეხილმა ჭყვიტინმა გამოაღვიძა. მაშინვე იქით გაიქცა და თვალწინ საშინელი სურათი გადაეშალა. ერთადერთი ცოცხალი გოჭი სულ ბოლო წამს ძლივს გამოგლიჯა პირიდან დედას. ერთი სიტყვით, ღორი კი არა, ნამდვილი ურჩხული იყო. ამიტომაც გახდა ამის ემრე ავად და სამ დღესაც აღარ უცოცხლია. საწყალი ემილის მამა! საჯარო ვაჭრობაზე შეძენილი ერთი ციცქნა გოჭიღა შერჩა, ისიც ცოცხალ-მკვდარი. უგუნებოდ იქნებოდა, აბა, რა!

_ ხუტორ ბაკჰორვაში ყველაფერი უკუღმართულია, _ უთხრა ემილის მამამ ემილის დედას, როცა დასაძინებლად წვებოდნენ. _ იმათი პირუტყვიც დაწყევლილია, ამას ლაპარაკი არ უნდა! მარტო იმ გოჭს შეხედე!

ემილი უკვე ლოგინში იწვა, ეს საუბარი რომ გაიგონა, მაგრამ მაშინვე თავი წამოსწია.

_ მომეცით ეგ გოჭი და მე მოვახედებ, _ უთხრა მამას.

არ მოეწონა მამას ემილის ნათქვამი.

_ შენგან «მომეცი», «მომეცის» მეტი არაფერი მესმის, _ უთხრა მწარედ. _ ნეტა მე ვინ რას მაძლევს?

ემილს ხმა არ ამოუღია. ერთხანს გოჭს ზედაც აღარ უყურებდა და საწყლი ისე გახდა და გალურჯდა, რომ დიდხანს არ გააწევდა.

«ალბათ, იმიტომ სუსტდება და სუსტდება, რომ დაწყევლილია», _ ფიქრობდა ემილი. მართალია, კარგად არ ესმოდა, ეს რას ნიშნავდა, მაგრამ დიდ უსამართლობად მიაჩნდა _ გოჭს ხომ არაფერი დაუშავებია!

ემილის დედაც ამ აზრისა ჩანდა, გოჭს სულ «საწყალ ნამცეცას» ეძახდა _ ასე მიმართავენ სმოლანდში პატარა ბაშვებს, რომლებიც ეცოდებათ.

ლინას საერთოდ უყვარდა ცხოველები, ამ საცოდავ გოჭზე ხომ მოთვამდა და მოთქვამდა: «საწყალო ნამცეცა! ჩვენო საყვარელო! მალე მოკვდები, ვაი, რა მალე!»

ასე იქნებოდა, ერთ მშვენიერ დღეს ემილს სამზარეულოში რომ არ მიეყვანა, არ ჩაესვა კალათში, არ ჩაეთბუნა საბანში და საწოვარათი რძე არ ესმია. ერთი სიტყვით, მშობელ დედად არ გახდომოდა.

სამზარეულოში ალფრედი შევიდა, უცქირა, როგორ წვალობდა ემილი, რომ გოჭისთვის რძე როგორმე დაელევინებინა, და ჰკითხა:

_ რა დაემართა?

_ მამა ამბობს, დაწყევლილია და იმიტომ არ ჭამსო, _ უპასუხა ემილმა, _ მაგრამ მე ეგ არ ვიცი, მე ის ვიცი, რომ უნდა ვუშველო და, ყველაფერს ვფიცავ, ვუშველი კიდეც!

გავიდა რამდენიმე დღე. გოჭი გამხიარულდა, გავარდისფრდა და ჩამრგვალდა, ერთი სიტყვით, ნამდვილ გოჭს დაემსგავსა.

_ შეხედე, მგონი, მოიხედა ჩვენმა გოჭუნამ! _ თქვა ლინამ და ეს სახელი სამუდამოდ შეერქვა გოჭს.

_ მართალია, ნამდვილად მოიხედა, _ გაუხარდა მამას. _ ყოჩაღ, ემილ!

გოჭუნა მთელი დღე ძაღლივით დასდევდა კუდში ემილს და იმასაც გული ჰქონდა აჩუყებული.

_ თავისი დედა ჰგონიხარ, _ უთხრა ერთხელ დაიკო იდამ.

შეიძლება მართლა ასე ფიქრობდა გოჭუნა იმიტომ, რომ ემილს დაინახავდა თუ არა, გადარეულივით ჭყვიტინითა და მხიარული ღრუტუნით მივარდებოდა და გვერდიდან აღარ შორდებოდა. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ზურგს რომ ფხანდნენ, ის უყვარდა.

ემილსაც არასოდეს დაზარებია. ბევრჯერ უთქვამს: ღორების ფხანა ჩემზე უკეთ არავინ იცისო.

ჩაჯდებოდა ხოლმე ალუბლის ძირას საქანელაში და დიდხანს გულმოდგინედ ფხანდა გოჭუნას: ისიც იდგა თვალდახუჭული და მხოლოდ წყნარად ჭყვიროდა, რათა ყველა მიმხვდარიყო, ნეტარების მწვერვალზე რომ იყო.

გადიოდა დღეები. ზაფხული ილეოდა, სანამ გოჭუნა ხის ქვეშ იდგა და ზურგის ფხანით ტკბებოდა, ხეზე მწიფდა ალუბალი. დროდადრო ემილი კრეფდა თითო მუჭას და გოჭუნას უმასპინძლდებოდა, რომელსაც, ემილისა არ იყოს, ალუბალი ძალიან უყვარდა. და ემილიც სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რა მშვენიერი შეიძლება იყოს გოჭის ცხოვრება, თუ ბედი გაუღიმებს და მისნაირ ბიჭს შეხვდება.

ემილი თვითონაც მიეჩვია გოჭს და ყოველდღიურად მეტად და მეტად უყვარდებოდა. ჰოდა, ერთხელ, როცა საანელაში იჯდა და თავდაუზოგავად ფხანდა, მიხვდა, რა ძლიერ უყვარდა გოჭუნა, მერე იმაზე დაიწყო ფიქრი, საერთოდ ვინ მიყვარსო.

«უპირველეს ყოვლისა, ალფრედი, მერე ლუკასი, დაიკო იდა, გოჭუნა... ვაი, დედა დამავიწყდა... რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად დედა მიყვარს _ ეს ცხადია... თუ მას არ ჩავთვლით, მაშინ ალფრედი, ლუკასი, დაიკო იდა, გოჭუნა. _ უცებ შუბლი შეიკრა და ჩაფიქრდა: _ კიდევ მამა და ლინაც ხომ არიან. მამა ხანდახან მიყვარს, ხანდახან _ ისე რა! ლინა კი არ ვიცი, მიყვარს თუ არა...»

ამ ხნის განმავლობაში ემილი ყოველდღე ცელქობდა და ყოველდღე ფარდულში იჯდა, რასაც ლურჯ რვეულში დედამისის ჩანაწერები ადასტურებენ. მაგრამ ვინაიდან ცხარე დღეები იყო, მკის ალო, დედას არ ეცალა და რვეულში მოკლედ წერდა: «ემილი ისევ ფარდულში იჯდა», რატომ და რისთვის, ამას კი აღარ განმარტავდა.

ემილმა ფარდულში ახლა გოჭუნა წაყვანაც დაიწყო _ მის სასიამოვნო საზოგადოებაში უფრო ადვილად გადიოდა დრო, თორემ მთელი დღე ხიდან კაცუნების თლა არ გინდოდა! საქმე რომ არ ჰქონდა, ემილმა გოჭუნას წვრთნას მიჰყო ხელი. ლიონებერგაში ვერავინ წარმოიდგენდა სმოლანდური გოჭის ასე განსწავლა თუ შეიძლებოდა. ემილი მას მალულად წვრთნიდა. გოჭუნაც უნარიანი გამოდგა და ხალისით აკეთებდა, რასაც ავალებდნენ, მით უმეტეს, რომ ყოველი ახალი ოინის დასწავლის მერე ემილი ჯილდოდ სასუსნავს აძლევდა. მე მგონი, არ დაგვიწყებია, ემილს ფარდულში მუდამ რომ ჰქონდა ორცხობილა, თაფლაკვერი, ალუბლის კერკი და გემრიელ-გემრიელი რამეები. ამას ყველაფერს დაზგის უკან ყუთში ინახავდა. მაშ, რა ექნა! ყოველ წუთში

შეიძლებოდა ფარდულში ამოეყო თავი და დიდხანსაც მოეწია ჯდომას. ჰოდა, შიმშილისგანაც ხომ არ უნდა გატანჯულიყო!

«თუ თავი გაბია და ალუბლის კერკიც ბლომადა გაქვს გოჭს რასაც გინდა, იმას ასწავლი», _ ეუბნებოდა ემილი ალფრედსა და იდას ორშაბათ საღამოს, როცა მათ პირველად უჩვენა თავისი მოწაფის ფარული ტალანტი.

ყველანი ფანჩატურში ისხდნენ. სწორედ აქ იზეიმეს ემილმა და მისმა გოჭუნამ თავიანთი პირველი ტრიუმფი. ალფრედი და იდა გოჭუნას ოინებს რომ უყურებდნენ, გაკვირვებისაგან თვალებს აფახულებდნენ. რა არ შეეძლო ამ გოჭს: «დაჯექი!» უბრძანებდა ემილი და იჯდა ძაღლივით წყნარად. უბრძანებდა: «დაწექიო», _ და იწვა გაუნძრევლად, ხოლო თუ ერთ მუჭა ალუბლის კერკს შეაჭმევდი, ჩლიქსაც გამოგიწოდებდა და თავსაც დაგიკრავდა.

დაიკო იდამ აღტაცებისაგან ტაშიც კი შემოჰკრა.

_ კიდევ რა შეუძლია? _ ჰკითხა ემილს.

ემილმა დასჭყივლა: «სირბილით!» და გაკუნტრუშდა გოჭი ფანჩატურის გარშემო. «ჰოპ!» დაუძახა ემილმა და გოჭუნა ადგილზე შეხტა, მერე ისევ ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა, თავისი თავით აშკარად კმაყოფილი.

_ ოი, რა კარგი ხარ, გოჭუნა! _ წამოიძახა დაიკო იდამ.

მართლაც გაგეცინებოდა, მის კუნტრუშს რომ შეხედავდი.

_ ნამდვილი სასწაულია! _ ხარობდა ალფრედი.

ამაყი და ბედნიერი იყო ემილი _ მეორე ასეთ გოჭს ლიონებერგაში კი არ, მთელ სმოლანდშიაც ვერ ნახავ, ამას ლაპარაკი არ უნდა!

მალე ემილმა გოჭუნას თოკზე ხტუნვაც ასწავლა. გინახავს ოდესმე ასეთი რამ? ნამდვილად ვერ ნახავდი. არც ემილის მამას უნახავს. ჰოდა, აი, ერთხელ ბოსლის გვერდით ჩაიარა, ხედავს ემილი და იდა ტყავის თასმას ატრიალებენ და ზედ გოჭუნა ისე მარდად ხტუნავს, ჰაერში გაელვებულ მის ჩლიქებს თვალს ვერ შეასწრებ.

_ გოჭუნა ხტუნვა ძალიან უყვარს! _ უთხრა იდამ მამას. _ უყურე, რა მხიარულ გუნებაზეა!

მაგრამ მამა გოჭუნას რატომღაც არ აღუფრთოვანებია.

_ გოჭს მხიარულება არ სჭირდება, _ თქვა მკაცრად. _ მისი ვალია საშობაოდ კარგად გასუქდეს. მაგას კი, თუ ეგრე იხტუნა, მწევარივით ჩაუცვივდება ფერდები. არა, მაგის ნებას ვერავის მივცემ!

ემილს გული გადაუბრუნდა. გოჭუნა საშობაოდ უნდა დაკლან! ასეთი რამ აზრად არასოდეს მოსვლია. ახლა ჩაფიქრდა... მე მგონია, ეს იმ დღეთაგანი არ იყო, როცა ემილს თავისი მამა მხურვალედ უყვარდა.

ამრიგად, სამშაბათი, ათი აგვისტო იმ დღეთაგანი არ იყო, როცა ემილს მამა მხურვალედ უყვარდა. თბილი, მზიანი დილა იდგა და გოჭუნა მხიარულად ხტოდა თასმაზე ბოსლის უკან. მამამ კი თქვა, საშობაოდ უნდა დავკლათო. თქვა და უმალ წავიდა, კატხულტში მის ალო იდგა და დილიდან საღამომდე მინდორში მუშაობდა.

_ მაშ, ასე, ჩემო გოჭუნა, _ მამა თვალს მიეფარა თუ არა, გოჭს მიუბრუნდა ემილი, _ მწევარივით უნდა ჩაგიცვივდეს ფერდები, თორემ დაიღუპები! თუ გიშველის, ეგ გიშველის!..

დაეკარგა ემილს მოსვენება. მთელი დღე დაყიალობდა, ხელს ვერაფერს ჰკიდებდა და თავისი გოჭუნას ბედზე ისე ღელავდა, რომ ცელქობის ყოველგვარი ხალისი დაეკარგა. განსაკუთრებულიც არაფერი ჩაუდენია, მარტო იდა ჩასვა საქონლის ბაგაში. იდა გემი იყო, ბაგა _ ზღვა, მერე ბაგაში წყალი ჩატუმბა, ვითომ გემი შტორმში მოხვდა. ყურყუმალაობდა იდა წყალში თავის ტანსაცმლიანად და ძალიან მოსწონდა. კიდევ შურდული ესროლა რევანდის კისელით სავსე ჯამს, რომელიც გასაციებლად დედამ საკუჭნაოს ფანჯარაზე შემოდგა. ჯამის გატეხვა ემილს არც უფიქრია, უბრალოდ უნდოდა შეემოწმებინა, მიზანში თუ მოვახვედრებო, ჯამი კი რატომღაც ნამსხვრევებად იქცა. გაუხარდებოდა ემილს, აბა რა, მამა რომ მთელი დღით იყო წასული მინდორში. მართალია, დედამაც მიაბრძანა ფარდულში, მაგრამ ცოტა ხნით. მარტო იმიტომ კი არა, რომ ეცოდებოდა, არა, მომკალთათვის საუზმე უნდა წაეღო. ასე ჰქონდათ წესად ლიონებერგასა და, საერთოდ, მთელ სმოლანდში _ მოსავლის აღებისას ბავშვებს საჭმელი და ყავა კალათებით პირდაპირ მინდორში უნდა მიეტანათ.

მახარობლებივით მიაბიჯებდნენ სმოლანდელი გოგო-ბიჭები კალათებით ხელში მინდვრებსა და საძოვრებში, ვიწრო დაკლაკნილ ბილიკებზე, რომლებითაც ბოლოს და ბოლოს მიადგებოდნენ ხოლმე სახნავი მიწის უბადრუკ ნაკვეთებს, რიყის ქვით ისე სავსეს, ტირილი მოგინდებოდა. მაგრამ სმოლანდელი გოგონები და ბიჭები არა ტიროდნენ, რატომაა ამდენი ქვაო, პირიქით, უხაროდათ კიდეც _ ქვებს შუა ხომ მარწყვი ხარობდა, მარწყვი კი ყველას ძალიან უყვარდა.

ერთი სიტყვით, ემილი და დაიკო იდაც გაგზავნეს მინდორში ისეთი კალათით და მამასთვის და მისი დამხმარეებისთვის საჭმელი გაატანეს. ისინი დროულად გამოვიდნენ

შინიდან და ცოცხლად დაადგნენ გზას, რომ საუზმემდე მომკელებთან მისულიყვნენ. მაგრამ, რას იზამ, ემილი ისეთი ბიჭი არ იყო, ვერ ახერხებდა სწორ გზაზე სიარულს. სადაც რაიმე სანახავს შეამჩნევდა, იქ გადაუხვევდა. არც დაიკო იდა ჩამორჩებოდა. ამჯერად ემილმა ცოტათი შემოუარა გზას, რომ ერთ ბაყაყებით სავსე ჭანჭრობთან მისულიყო. მივიდა და მაშინვე დაიჭირა ბაყაყი. ახლა მისი უკეთ შესწავლა მოინდომა და გადაწყვიტა, ძალიან არგებს გარემოს გამოცვლა, რად უნდა იჯდეს მთელი დღე ჭანჭრობშიო. აიღო და საჭმელებიან კალათში ჩასვა. მაგრამ ზევით რომ არ ამომხტარიყო, კალათს სახურავი დააფარა.

_ აბა, სად წავიყვანო? _ უთხრა იდას, რომელიც შეეჭვდა, შეიძლება ბაყაყის საჭმელებიან კალათში ჩასმაო? _ კარგად იცი, შარვლის ჯიბეები გამოხვრეტილი მაქვს. ან რაა ამაში ცუდი! ცოტა ხანს იჯდება, მერე კი გავუშვებ და ისევ თავის მშობლიურ ჭანჭრობს დაუბრუნდება.

ასე გადაწყვიტა ემილმა _ ის ხომ ძალიან საზრიანი ბიჭი იყო.

მინდორში ემილის მამა და ალფრედი პურსა მკიდნენ, მათ ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ლინა და კრიუსე-მაია, თავთავებს აგროვებდნენ და ძნებად კრავდნენ. ასე იღებდნენ ძველად პურს.

როცა ბოლოს და ბოლოს, ემილი და იდა გამოჩნდნენ, მამა არა თუ მიესალმა, როგორც მახარობლებს ესალმებიან, პირიქით, გაუჯავრდათ, რატო დაიგვიანეთო! თუმცა ისინი საუზმის დროს მივიდნენ.

_ რა სასიამოვნო იქნება ერთი ყლუპი ცხელი ყავა, _ თქვა ალფრედმა, რათა როგორმე განემუხტა მდგომარეობა და ემილის მამა გუნებაზე მოეყვანა.

და მართლაც, თუ აგვისტოს თბილ დღეს მინდვრის სამუშაოზე ყოფილხარ, იოლად წარმოიდგენ, რა სასიამოვნოა შუადღეზე ერთი საათით დასვენება, სხვებთან ერთად ბექობზე ჩამოჯდომა, ამ მთისაზე და იმ მთისაზე მასლაათი, თან კარქიანი პურის წამა და ზედ ყავის დაყოლება. მაგრამ ემილის მამა ისედაც ვერ იყო ხასიათზე, ხოლო როცა კალათი თავისკენ მიიჩოჩა და თავსახური ახადა, მთლად შემზარავი ამბავი მოხდა: ბაყაყი კალათიდან ამოხტა და პირდაპირ მკერდზე მიასკა _ მუშაობაში გახურებულს პერანგი წელამდე გაღეღილი ჰქონდა. ბაყაყს საშინლად ცივი თათები ავს, რაც რატომღაც არ მოეწონა ემილის მამას. მოულოდნელობისა და ზიზღისაგან ხელები აიქნია და... საყავე გადააბრუნა. ემილმა მარდად სტაცა ხელი და ყავა მთლად არ დაღვრილა. შიშნაჭამი ბაყაყი კი მამას შარვალში ჩაძვრა. ეს რომ მამამ იგრძნო, სულ გაგიჟდა და ხელ-ფეხის ქნევას

მოჰყვა, იქნებ როგორმე შარვლის ტოტიდან გამოვბერტყოო. ამ დროს, თითქოს ჯინაზე, საყავე ისევ მის ფეხებთან აღმოჩნდა. ჰკრა ფეხი და, რა თქმა უნდა, ისევ გადააყირავა. ჰოდა, ემილს მეორედაც ყოჩაღად რომ არ დაეჭირა, ყვლას ხმელა პურის ლოღნა მოუწევდათ, ეს კი ვერ იყო კაი საქმე.

ბაყაყი სულაც არ აპირებდა ერთ ადგილას ჯდომას. ამ ვაი-ვაგლახში შარვლის ტოტიდან გამოძვრა, მაგრამ ემილმაც მაშინვე სტაცა ხელი. მამა კვლავ ჯავრობდა. ისევ ვერ გაუგო ემილს. ემილს ხომ ეგონა, კალათს თავსახურს ლინა გადახდის და უზომოდ გაუხარდება, პაწაწინა საყვარელ ბაყაყს რომ დაინახავსო. ამ ამბავს დაწვრილებით იმიტომ გიყვები, რომ იცოდე, დიდად არც ემილს ულხინდა და ხშირად ისეთი ამბებისთვისაც სჯიდნენ, რომელბიც თუ კარგად დავუკვირდებოდით, სულაც არ იყო ცელქობა. აბა, თვითონ მითხარი, რა უნდა ექნა ემილს იმ ბაყაყისათვის, თუ ორივე ჯიბე გამოხეული ჰქონდა?! პირდაპირ გასაოცარია, რატომ არ სურდა მამას ამაზე დაფიქრება.

ასეა, ემილმა რაც არ უნდა მოიმოქმედოს, მაინც ხვდება. ოქროს სიტყვებია. ეს იმავე დღეს დამტკიცდა. ისე მაგრა მოხვდა, რომ ვერც მოყვები. ლიონებერგაში კიდევ დიდხანს წუხდნენ მასზე და ებრალებოდათ. ყველაფერი კი შეიძლება იმან გამოიწვია, რომ ემილის დედა ჩინებული დიასახლისი იყო, ხოლო კატხულტში სწორედ იმ წელს ალუბალს ბლომად ესხა. ასეა თუ ისე, ემილს მართლა მაგრა მოხვდა.

ემილის დედას ვერავინ შეედრებოდა მურაბების მოხარშვაში, სიროფის მოდუღებასა და, საერთოდ, იმის საზამთროდ შენახვაშიმ, რაც ბაღსა და ტყეში ხარობს. იგი უზარმაზარი კალათებით აგროვებდა წითელ მოცვსა და ჟოლოს, ხარშავდა ვაშლის მარმელადს. ხურტკმლის ხილფაფას, მსხლის ჯემს ჯანჯაფილით, მოცხარის სიროფს. ჩირავდა მთელი ზამთრის სამყოფ საკომპოტე ხილს. ვაშლს, მსახალსა და ალუბალს სამზარეულოს დიდ ღუმელში ახმობდა, მერე კი თეთრ ტილოს პარკებში ყრიდა და საკუჭნაოში ჭერზე ჰკიდებდა. მართლაც სასიამოვნო სანახავი იყო ასეთი საკუჭნაო.

გაცხარებულ ალუბლის კრეფაში რომ იყვნენ, ხუტრო კატხულტს სტუმრად ვიმერბიუელი ფრუ პეტრელი ეწვია. ემილის დედამ შესჩივლა, არნახული მოსავალია და აღარ ვიცი, ამდენ ალუბალს რა ვუყოო...

_ ჩემი აზრით, ურიგო არ იქნება, თუ ალუბლის ნაყენს გააკეთებთ, _ ურჩია ფრუ პეტრელმა.

_ არა, მაგას ვერ ვიზამ, _ იტკიცა ემილის დედამ, რომელსაც ნაყენის სახელის გაგონებაც არ სურდა. ხუტორ კატხულტში სმა არავის უყვარდა. ემილის მამა სასმელს არ

ეტანებოდა, ლუდი რომ ლუდია, იმასაც პირს არ აკარებდა, იმ შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით, როცა ბაზრობაზე ან საჯარო ვაჭრობაზე ვინმე გაუმასპინძლდებოდა. მაშინ რაღას იზამდა! განა შეეძლო უარი ეთქვა, თუ ვინმეს მასთან ერთად ერთი-ორი ბოთლი ლუდის დალევა მოეპრიანებოდა. ის უცბად იანგარიშებდა, ორი ბოთლი ლუდი ოცდაათი ერე ღირს, ცოდვაა მისი ტყუილუბრალოდ დაკარგვაო და, მეტი რა ჩარა ჰქონდა, უნდოდა თუ არ უნდოდა, იჯდა და სვამდა. აი, ნაყენს კი პირს არ აკარებდა. ეს ემილის დედამაც მშვენივრად იცოდა და თავისი სტუმარიც დააჯერა. ფრუ პეტრელი მაინც შეედავა: კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თუ კატხულტში სასმელს მართლა არავინ სვამს, ამ ქვეყანაზე ცოტა როდია ასეთი ადამიანი, რომელიც, თუ შემთხვევა მიეცემა, უარს არ იტყვის ჭიქა სასმელზე. აი, თუნდაც მე, სიამოვნებით შევიძენდი ორ-სამ ბოთლს ალუბლის ნაყენს. ამიტომ ვერ გამიგია, რატომ არ გინდა სარდაფის მოფარებულ კუთხეში, ყველასგან მალულად, დასადუღებლად ალუბლით სავსე როფი დადგა. როცა ნაყენი გამზადდება, ისევ ჩამოვალ და გასამრჯელოსაც რიგიანს გადაგიხდიო.

ემილის დედა თხოვნაზე უარს ვერავის ეუბნებოდა. თანაც მართლაც ჩინებული დიასახლისი იყო. ასეთი დიასახლისები ვერ ურიგდებიან პროდუქტები ტყუილუბრალოდ რომ ფუჭდება. ზამთრისათვის მან უკვე სამყოფზე მეტი ალუბალი გაახმო. მოკლედ ემილი სდედა ფრუ პეტრელს დაპირდა, ალუბლის ნაყენს დაგიმზადებო. მაგრამ რადგან მალულად ხუტორ კატხულტში არასოდეს არაფერს აკეთებდნენ, ფრუ პეტრელის სათხოვარი მაშინვე გაანდო ემილის მამას. ის ჯერ აბუზღუნდა, მერე კი ჰკითხა:

_ როგორც გინდა, ისე მოიქცეი. ოღონდ ეს მითხარი, რამდენის გადახდას აპირებს?

სწორედ ეს არ უკითხავს დედას. ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, ჩაყარა როფში ალუბალი და დასადუღებლად სარდაფში დადგა. გავიდა რამდენიმე კვირა, ემილის დედის ვარაუდით, ნაყენი უკვე მზად იქნებოდა და დრო იყო ბოთლებში გადაესხათ. ამისთვის დღეც მშვენიერი შეარჩია _ მამა სისხამ დილიდან მინდორში მუშაობდა. ამიტომ ვეღარ დაინახავდა, როგორ უტრიალებდა დედა მისთვის საძულველ ნაყენს, ვეღარც იმაზე დაიწყებდა ჯიჯღინს, ჩემს სახლში ალკოჰოლიანი სასმელების დამზადება დაიწყეს, აქამდე როგორ მივედით, როგორ დავრთე ამის ნებაო...

დედამ ფაქიზად გაწურა ნაყენი, გადაასხა ბოთლებში, დაუცო თავები, ჩააწყო კალათში და სარდაფში ჩაიტანა, იდგეს ეს ათი ბოთლი ნაყენი მოფარებულ კუთხეში ფრუ პეტრელის ჩამოსვლამდეო.

ალუბლის მარკცვლები კი ვედროში ჩაყარა და სამზარეულოში კარს უკან დადგა.

ემილი და იდა მინდვრიდან რომ დაბრუნდნენ, დედამ ემილს უთხრა:

_ გაიტანე ვედრო, ალუბლის მარცვლები ორმოში ჩაყარე და მიწა წააფარეო.

ემილი, შენც კარგად იცი, მეორედ არაფერს გათხოვნილებდა, ახლაც სტაცა ვედროს ხელი და ეზოში გავიდა. სანარცხე ორმო საღორის უკან იყო. საღორეში კი გოჭუნა იტანჯებოდა, აღარ იცოდა, მოწყენილობისაგან რა ექნა. უცებ ჭუჭრუტანაში ემილი დაიანხა და მხიარულად აჭყვირდა, რათა მიეხვედრებინა, გარეთ გამოსვლა და შენთან ერთად სეირნობა მინდაო.

_ რატომაც არა, ეგ შეიძლება! _ უთხრა ემილმა და ალუბლიანი ვედრო მიწაზე დადგა.

მერე გამოაღო საღორის კარი და გოჭუნა მხიარული ღრუტუნით გამოვარდა გარეთ. გამოვარდა და მაშინვე ალუბლიან ვედროში ტუცა დინგი, იფიქრა, ემილმა სასუსნავი მომიტანაო. მხოლოდ მაშინ ჩაფიქრდა ემილი, ეს რა უცნაური დავალება მომცა დედამ: ალუბალი სანარცხე ორმოში ჩაფალიო. მართლაც, საოცარი იყო. კატხულტში ხომ არასოდეს ყრიდნენ იმას, რაც საქონლის საკვებად გამოდგებოდა. ეს ალუბალი კი მადის აღმძვრელად გამოიყურებოდა. გოჭუნამ უკვე გემოც გაუსინჯა და აშკარად კმაყოფილი ჩანდა. ემილმა იფიქრა და ესღა მოიფიქრა, ალბათ, იმიტომ მითხრა ორმოში ჩაყარეო, რომ არ უნდოდა მინდვრიდან მოსულ მამას ენახა.

«მაშინ ჯობია გოჭუნამ შეჭამოს, _ გადაწყვიტა ემილმა. _ თანაც როგორ უყვარს ალუბალი».

გოჭი ისე ხარბად თქვლეფდა ალუბალს, რომა შკარა იყო, ძალიან ეგემრიელა. გაცხარებული იქნევდა ყბას და ყურებამდე ამოითხვარა. გოჭს რომ ჭამა გაადვილებოდა, ემილმა ალუბლის ნარჩენი პირდაპირ მიწაზე დაუყარა. დაინახა მამამლა და მოირბინა, თვითონაც წაქეიფება მოუნდა, გოჭუნამ ჯერ ბრაზიანად გადახედა, მერე, ეტყობა, გადაწყვიტა არ ეწუწკა და მიუშვა მამალი ნებაზე, ჭამე რამდენიც გინდაო. ახლა კოჭლი ლოტას მეთაურობით დედლები მოცვივდნენ, ვნახოთ, რითი იგემრიელებს პირს მამალიო. გაგიგონია, ვინ გაასინჯა ალუბლის გემო. გოჭუნამ და მამალმა მაშინვე დაიფრინეს ყველანი. მიხვდნენ დედლები, რომ იმ მშვენიერ საჭმელს მათ არავინ გაუყოფდა.

ემილი გადაბრუნებულ ვედროზე ჩამოჯდა. პირში ბალახის ღეროს აწვალებდა ა იყო გარინდული. უცებ დაინახა, რომ მამალი მოცელილივით დაეცა, მართალია, რამდენჯერმე სცადა წამოდგომა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ოდნავ, სულ ოდნავ წამოიწევდა თუ არა, მაშინვე თავით მიდიოდა მიწისკენ და იწვა ემრე ერთხანს

გაუნძრევლად. ერთად შექუჩებული დედლები იდგნენ შორიახლო, შიშით უყურებდნენ მამმლის უცნაურ საქციელს და შეშფოთებულები კაკანებდნენ. ამაზე კი გიჟდებოდა მამალი და თვალებს ბრაზით უბრიალებდა: როგორ, ამხელა მამალი ვარ და არა მაქვს ბალახში კოტრიალის ანდა გვერდიდან გვერდზე გადაბრუნების უფლებაო?

ემილი ვერ მიხვდა, რა დაემართა მამალს. ამიტომ მივიდა და წამოაყენა. მამალი ბარბაცებდა, ერთხანს უაზროდ ქანაობდა წინ და უკან, მერე კი გამწარებულმა მოიქნია ფრთები, აყივლდა და დამთხვეულივით მივარდა ქათმების გუნდს. შეშინებული ქათმები კრიახით გაიფანტნენ აქეთ-იქით. საეჭვო აღარაფერი იყო _ მამალი გაგიჟდა! ემილი უყურებდა მამლის გიჟურ საქციელს და თვალი ვეღარ მიადევნა გოჭუნას. იმას კი, მამლისა არ იყოს, ქათმების დაწიოკება მოუნდა. ერთი ყურისწამღებად დაიჭყივლად ა მამალს გაედევნა. ემილი ვეღარაფერს ხვდებოდა. გოჭუნა უმატებდა და უმატებდა ჭყივილს, უფრო და უფრო მარდად დარბოდა. შორიდან გეგონებოდა, გულით მხიარულობსო, თუმცა ფეხები რაღაცნაირად ებლანდებოდა ერთმანეთში. ის ხან ერთ მხარე გავარდებოდა, ხან _ მეორე მხარეს. სხეულს წესიერად ვეღარ იმაგრებდა, ლამის წაქცეულიყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ახერხებდა თავის შეკავებას.

ქათმები პირდაპირ შეგეცოდებოდა. ასე ერთპირად გოწუნას და მამალს ისინი არასოდეს დაუფრენიათ. შიშით გულგახეთქილები გარბოდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. საწყალი ქათმები! ვითომ არ კმარყოდა, მამალი რომ გაუგიჟდათ, გაცოფებული გოჭიც უცნაური კუნტრუშით დაედევნათ და გულგადატრიალებული ქათმები ისე განწირული კრიახობდნენ, მათი საცოდაობით დაიწვებოდი.

ეს მართლაც მეტისმეტი იყო! ემილმა იცოდა, შიშით სიკვდილი რომ შეიძლებოდა, ახლა კი თავისი თვალით დაინახა, ერთმანეთის მიყოლებით როგორ ცვიოდნენ ქათმები მიწაზე და იწვნენ მერე ბალახში უხმოდ და უსულოდ. წარმოიდგინე ეს საშინელი სანახაობა _ ბალახში მიმოფანტული გაშეშებული თეთრი ქათმები! შეძრწუნებული ემილი ატირდა. რას იტყვის დედა მკვდარ ქათმებს რომ ნახავს? კოჭლი ლოტაც უსულოდ ეგდო. ემილმა სათუთად აიყვანა ხელში. საწყალს სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა. ერთადერთი, რისი გაკეთებაც ემილს მისთვის შეეძლო, ღირსეულად დასაფლავება იყო. ჰოდა, მანაც მაშინვე გადაწყვიტა, რა უნდა დაეწერა ლოტას საფლავის ქვაზე: «აქ განისვენებს კოჭლი ლოტა, რომელსაც შიშით გული გაუხეთქა გოჭუნამ». გაბრაზებული იყო ემილი გოჭუნაზე. ნამდვილი ყაჩაღია! უნდა ჩაკეტო საღორეში და გარეთ ცხვირი აღარ

გამოაყოფინო. მან ციმციმ წაიყვანა კოჭლი ლოტა ფარდულში და შეშის საპობ კუნძზე დადო. იწვეს აქ, ეს საწყალი, თავის დამარხვამდეო.

ემილი რომ ფარდულიდან გამოვიდა, დაინახა: მამალი და გოჭუნა ისევ ალუბალს მისდგომოდნენ. რა კარგი ვინმეები არიან! ჯერ დედლებს შიშით გულს უხეთქავენ, მერე კი, ვითომც არაფერიაო, ქეიფს განაგრძობენ. ნუთუ მამალს სინდისის ნატამალი არ გააჩნია? ნუთუ სულ არ ედარდება, რომ ერთად დაკარგა ამდენი მეგობარი? გაგიგონია! მამალი მათკენ არ იყურებოდა.

ოღონდ ამჯერად ქეიფი დიდხანს არ გაგრძელებულა. მამალი ისევ მალე წაყირავდა და გოჭუნაც ზედ მიჰყვა. ემილი ისე იყო მათზე გაჯავრებული, რომ არც დაინტერესებულა, მოკვდნენ თუ ცოცხლები არიანო. თუმცა ამას დიდი გამოცნობა არ უნდოდა. მამალი ძლივს გასაგონად ყიოდა და უღონოდ იქნევდა ფეხებს, გოჭუნას კი ეძინა, ძილში ღრუტუნებდა და დროდადრო თვალის გამოხელასაც ლამობდა, მაგრამ ამაოდ.

იქვე, ბალახში, ალუბლის მარცვლები ეყარა და ემილს გემოს გასინჯვა მოუნდა. აიღო და ჩაიდო პირში ჯერ ერთი, მერე _ მეორე, მესამე... ალუბალი გემოთი ჩვეულებრივს არა ჰგავდა, მაგრამ ემილს მოეწონა. «როგორ შეიძლება ასეთი გემრიელი რამეების გადაყრა!.. თუმცა რა მექნა, დედამ მითხრა და...»

მართლა, დედასთან უნდა წავიდეს და უამბოს, რა უბედურება დაემართა ქათმებს. ემილი წამოიწია, რაღაც იდად არ მოუნდა წასვლა. დიდად ვინ ჩივის, სულ არ მოუნდა, ჩაფიქრებულმა კიდევ რამდენიმე ალუბალი შეჭმაა... არა, არ ეხალისება წასვლა.

სამზარეულოში ემილის დედა ვახშამს ამზადებდა. როგორც იქნა მოვიდნენ მინდვრიდან ემილის მამა, ალფრედი, ლინა და კრიუსე-მაია. ძალიან დაღლილები და მშივრები იყვნენ. მთელი დღის ნამუშევრები მაშინვე მაგიდას მიუსხდნენ. ემილის ადგილი ცარიელი იყო და დედას მაშინღა მოაგონდა, რომ თავისი ბიჭი კარგა ხანია აღარ დაუნახავს.

_ ლინა, წადი, ემილს დაუძახე, ალბატ, გომურის წინ გოწუნასთან ერთად თამაშობს, _ უთხრა დედამ.

ლინა დიდხანს არ დაბრუნებულა, ხოლო როცა დაბრუნდა, სამზარეულოში კი არ შევიდა, კარებში გაშეშდა. აშკარად ეტყბოდა, ყურადღების მიქცევა სურდა.

_ რა დაგემართა? რას გაშეშებულხარ? მოხდა რამე? _ ჰკითხა ემილის დედამ.

ლინამ ჩაიფხუკუნა:

_ არ ვიცი, რა ვთქვა... ქათმები დედაბუდიანად დაიხოცა. მამალი მთვრალია. გოჭუნა მთვრალია. ემილი...

_ ემილს რა დაემართა? _ შეჰყვირა დედამ.

_ ემილი... _ განაგრძო ლინამ და ღრმად ამოიოხრა. _ ემილიც მთვრალია.

რა ამბავი იყო იმ საღამოს კატხულტში! გაუგონარი და ენით აუწერელი!

ემილის მამა ილანძღებოდა და ყვიროდა, დედა ტიროდა, დაიკო იდა ტიროდა, ლინა ტიროდა, კრიუსე-მაია ვიშვიშებდა და ვიშვიშებდა. მერე კი ისე აჩქარდა, ვახშამზეც უარი თქვა. ვეღარ ითმენდა, ისე ეჩქარებოდა ლიონებერგაში წასვლა, რათა გამვლელ-გამომვლელისთვის ჩაეკაკლა ეს ამბავი: «ვაი, ვაი! საწყალი კატხულტელი სვენსონები. იმათი ბიჭი, ემილი, ის საძაგელი, გამოტყვრა და ქათმები დედაბუდიანად ამოხოცა. ვაი, ვაი!».

მხოლოდ ალფრედს შერჩა მცირეოდენი კეთილგონიერება. გამოვარდა სხვებთან ერთად სამზარეულოდან და დარწმუნდა, რომ ემილი მართლა მამალთან და გოჭუნასთან ერთად ეგდო ბალახებში. ჰო, ყველაფერი ნათელია. ლინამ მართალი თქვა. ემილი იწვა, ზურგით გოჭუნას მიყრდნობოდა, თვალები გადაეტრიალებინა და, როგორც ჩანდა, ძალიან ცუდად იყო. ეს რომ ემილის დედამ დაინახა, უფრო მეტად აქვითინდა და ემილის ოთახში შეყვანა განიზრახა, მაგრამ ალფრედმა იცოდა, ასეთ დროს როგორ უნდა მოქცეულიყო, და ოთახში შეყვანა არ დაანება.

_ ახლა სუფთა ჰაერზე დატოვება სჯობს! _ ურჩია დედას და მთელი საღამო ემილთან ერთად თავის ოთახის წინ კართანაზე ჩამომჯდარმა გაატარა. თვითონ ეჭირა, როცა ემილს თავბრუ ეხვეოდა და გული ერეოდა; ანუგეშებდა, როცა ტიროდა. ემილი ისე ცუდად იყო, რომ წარამარა იღვიძებდა და, შენ წარმოიდგინე, ტიროდა კიდეც. ესმოდა, რომ ამბოდნენ, მთვრალიაო, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რა დაათრობდა, მან ხომ არ იცოდა, რომ თუ ალუბლის მარცვლები როფში დიდხანს დუღს, დგება სასმელი, რომელსაც ალუბლის ნაყენს ეძახიან და ამ ამ სასმლით გაჟღენთილი ალუბლის მარცვლები მათრობელა ხდება. სწორედ ამიტომ უთხრა დედამ, ალუბალი სანარცხე ორმოში ჩაფალიო.

დრო გადიოდა. მზე ჩავიდა, მოსაღამოვდა, კატხულტის თავზე მთვარე ამოგორდა. ალფრედი კი ისევ კართანაზე იჯდა და ემილი ტომარასავით ჰყავდა მუხლებზე გადაწვენილი.

_ აბა, როგორ ხარ? _ ჰკითხა ალფრედმა, როცა ემილმა ოდნავ გაახილა თვალი.

_ ჯერჯერობით ცოცხალი ვარ, _ ძლვის ამოილუღლუღა ემილმა, სულ I მოიტქვა და დაუმატა: _ თუ მოვკვდი, ლუკასი შენი იყოს.

_ არ მოკვდები, _ დაამშვიდა ალფრედმა.

მართლაც გადარჩა ემილი, არც გოჭუნა მომკვდარა და არც მამალი.

ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ არც ქათმები დაიხოცა. იმ ორომტრიალში ემილის დედა უცბად შეფუცხუნდა, ღუმელი არ ჩამიქრესო და იდა შეშის მოსატანად გაგზავნა. იდა ცრემლების ყლაპვით შევიდა ფარდულში და კუნძზე უსულო კოჭლი ლოტა რომ დაინახა, აღრიალდა.

_ საწყალი ლოტა, _ თქვა იდამ სლუკუნით, ხელი ნელ-ნელა გაიწოდა და ლოტას გადაუსვა.

და შენ წარმოიდგინე, ლოტა ხელის მიკარებისაგან გაცოცხლდა, თვალი გაახილა, ბრაზიანად აკრიახდა, ფრთები ააფათქუნა, კუნძიდან ჩამოფრინდა და კოჭლობ-კოჭლობით მიეფარა კარს. იდა სახტად დარჩა. არ იცოდა, რა ეფიქრა: იქნებ ჯადოქარი ვარ და, როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე, საკმარისია მკვდარს ხელი შევახო, რომ გაცოცხლდება.

ემილმა ისე დააფეთა ყველა, რომ ბალახში მიყრილ-მოყრილი ქათმებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. იდა მივიდა, თითო-თითოდ მოუთათუნა ხელი და მის თვალწინ რიგრიგობით გაცოცხლდა ყველა. ჰო, ჰო, ქათმები აფართხალდნენ და ფრთები მოიქნიეს, იმიტომ, რომ მართლა მკვდრები კი არ იყვნენ, უბრალოდ, გოჭუნა რომ გამოეკიდათ, შიშისაგან დაიზაფრნენ. ხანდახან ემართებათ ხოლმე ასე ქათმებს. იდამ ამაყი სახით შეირბინა სამზარეულოში.

_ დედა, დედა, ქათმები გავაცოცხლე! _ ზღურბლიდანვე მიაძახა ატირებულ დედას. გოჭუნაც, მამალიც და ემილიც მეორე დილას საღ-სალამათები ადგნენ. თუმცა მამალი კიდევ სამი დღე ვერ ყიოდა რიგიანად. ცდილობდა, ძალიან ცდილობდა ხმამაღლა ეყივლა «ყიყლიყო», მაგრამ ყოველ ცდაზე ისეთი საცოდავი ხავილი აღმოხდებოდა ხოლმე, რომ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, თან დედლებიც ვერ უყურებდნენ კარგი თვალით და ისიც დამორცხვებული ბუჩქებში გარბოდა.

გოჭუნას არაფრისა რცხვენოდა. სამაგიეროდ, ემილმა აღარ იცოდა სირცხვილს სად გაქცეოდა, თანაც ლინა აბრაზებდა წარამარა:

_ შენ მარტო ღორივით კი არ გამოტვერი, ღორთან ერთადაც გაგორდი. რაღა გვიჭირს! ხუტორში ორი ლოთი გვყავს, შენ და გოჭუნა! ახლა ყველა ლოთს დაგიძახებს!

_ გაჩუმდი! _ დაუტია ალფრედმა და ისეთი თვალით შეხედა, რომ წამში ხმა ჩააწყვეტინა.

მაგრამ ეს ამბავი ამით არ დასრულებულა. ნასადილევს კატხულტის ალაყაფთან შავად მოსილი სამი მოღუშული კაცი მოადგა. ისინი ლიონებერგის არამსმელი საზოგადოების წევრები აღმოჩნდნენ. შენ, ალბათ, არც იცი, რას ნიშნავს ეს საზოგადოება. უნდა გითხრა, რომ ძველ დროში ასეთი საზოგადოებები მარტო ლიონებერგაში კი არა, მთელ სმოლანდში იყო. მათ მოვალეობას წარმოადგენდა ბრძოლა ლოთობასთან, იმიტომ, რომ ლოთობა საშინელი ბოროტებაა, რომელიც წინათაც ღუპავდა და ახლაც ღუპავს ბევრ ადამიანს.

კრიუსე-მაიამ იმდენი ელაქლაქა ყველას ემილის ლოთობაზე, რომ ხმამ არამსმელთა საზოგადოებამდე მიაღწია. და აი, სამი მთავარი პრიოვნება მოვიდა ხუტორში ემილის მშობლებთან მოსალაპარაკებლად. მათ განაცხადეს, რომ ემილი უნდა გამოცხადდეს საზოგადოების სხდომაზე, სადაც ყველას თვალწინ გამოასწორებენ და შეაჯავრებენ სმას. ეს რომ ემილის დედამ გაიგო, განრისხდა და მოსულებს აუხსნა, როგორ იყო საქმე. გაგიგონია! მათრობელა ალუბლის ამბავმა სრულაიდ არ დააშოშმინა მოღუშული კაცები. ისინი მხოლოდ თავებს იქნევდნენ მწუხარედ, ხოლო ერთმა მათგანმა ბრძანა:

_ ალუბალი ალუბალია, მაგრამ ემილს რომ კაი ფიქრები არ უტრიალებს თავში, ეს ნათელია. ერთი სიტყვით, გაჯორვა არ აწყენს.

ემილის მამას ჭკუაში დაუჯდა ნათქვამი, თუმცა არამსმელთა საზოგადოებაში მისვლა არ ეპიტნავებოდა: რა სასიამოვნოა, დადგე და უსმინო, როგორ ლანძღავენ შენს შვილს. ვის უნდა ხალხის წინაშე შერცხვენა. მაგრამ იმასაც ფიქრობდა, იქნებ ჩემმა შვილმა ჭკუა ისწავლოს და ღვინო თავის სიცოცხლეში აღარ დალიოსო.

_ კეთილი, მე თვითონ მოვიყვან, _ თქვა შუბლშეკრულმა.

_ არა, შენ კი არა, მე წავიყვან, _ მტკიცედ თქვა დედამ. _ მე დავდგი დასადუღებლად ის ოხერი ალუბალი და სხვა რაზე უნდა გაიტანჯოს! თუ ჩვენს ოჯახში ვინმემ უნდა მოისმინოს ქადაგება ლოთობის მავნებლობაზე, მხოლოდ მე. მაგრამ, რადგან თვლით, ემილის წაყვანაც აუცილებელიაო, იმასაც წამოვიყვან.

როცა მოსაღამოვდა, ემილს საკვირაო კოსტიუმი ჩააცვეს. თვითონ კიდევ კეპუკა ჩამოიფხატა თავზე და გზას გაუდგა. არ იყო წინააღმდეგი გამოესწორებინათ; აიტნერესებდა უცხო ხალხში თუნდაც ერთი საათით ყოფნა.

ასე ფიქრობდა გოჭუნაც და, რომ დაინახა ემილი და დედამისი წავიდნენო, უკან აედევნა. ემილი შემობრუნდა და «დაწექიო», დასჭყივლა. გოჭუნაც გაწვა შუა გზაზე და გაიტრუნა, თუმცა თვალებით დიდხანს მიაცილებდა მიმავალ ემილს.

დამიჯერე, იმ საღამოს საზოგადოების დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ლიონებერგელებს ძალიან უნდოდათ ემილის საბოლოო მოქცევის ნახვა. საზოგადოების გუნდი წინასწარ გამოვიდა სცენაზე და ემილის კარებში გამოჩენისთანავე ვიღაცამ დაიწყო და გუნდიც აყვა:

«ყამწვილო, ხელთ რომ გეჭირა ჭიქა,
შხამიან სითხით პირამდე სავსეა...»

არავითარი ჭიქა არ სჭერია, _ გაცხარდა დედა, მაგრამ მისი ნათქვამი ემილის გარდა არავის გაუგონია.

როცა სიმღერა მოათავეს, სცენაზე შავტანსაცმლიანი კაცი ავიდა და ემილს სერიოზული სახით დიდხანს ესაუბრებოდა რაღაცაზე, ბოლოს კი ჰკითხა, მზად ხარ თუ არა, დადო აღთქმა, რომ შენს სიცოცხლეში სპირტიან სასმელს პირს არ დააკარებო.

_ ეგ შემიძლია, _ თქვა ემილმა.

ამ დროს კარს უკან ჭყვიტინი გაისმა და დარბაზში გოჭუნა შემოვარდა. თურმე ჩუმ-ჩუმად მოსდევდა თავის პატრონს და ახლა, რამპასთან მდგარი რომ დაინახა, გახარებული მისკენ გაკუნტრუშდა. დარბაზში წარმოუდგენელი ამბავი ატყდა. არამსმელთან საზოგადოებას ღორი მანამდე არაოდეს სწვევია და საზოგადოების წევრებს ეს ამბავი არ მოეწონათ. ალბათ, მათი აზრით, იქ ღორს არაფერი ესამებოდა. მაგრამ, მისმინე, რა თქვა ემილმა.

_ გოჭუნამაც უნდა დადოს აღთქმა, სპირტიან სასმელს პირში არ ჩავიკარბო. ამან ხომ ჩემზე მეტი მათრობელა ალუბალი შეჭამა.

გოჭუნა გაფიცხდა და დამდუღრულივით დარბოდა დარბაზში. მაგრამ ემილმა უბრძანა «გოჭუნა, დაჯექი!» და ისიც ძაღლივით ჩაყუნცდა. მართალი გითხრათ, ასე ჩაცუცქული ძალიან საყვარელი და გულმისავალი იყო. ემილმა ჯიბიდან ერთი მუჭა ალუბლიკს კერკი ამოიღო და გოჭუნას აჭამა. დარბაზში მყოფმა ხალხმა თვალებს არ დაუჯერა, როცა დაინახა, როგორ ასწია გოჭმა ფეხი და მადლობა გადაუხადა ემილს სასუსნავისათვის.

ერთი სიტყვით, გოჭუნამ ყველა ისე დააინტერესა, კინაღამ დაავიწყდატ, ემილს რომ აღთქმა უნდა დაედო.

_ მითხარით, რა ვქნა, მოგცეთ პირობა, რომ ღვინოს არ დავლევ? _ თავისი მოსვლის მიზეზი გაახსენა ემილმა შეკრებილებს. _ მე მზადა ვარ.

და ემილმა თავმჯდომარის კვალდაკვალ სიტყვასიტყვით გაიმეორა ფიცი: «მე არასოდეს დავაკარებ პირს მაგარ სასმელებს და ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ჩემს გარშემო მყოფი ადამიანებიც ასე მოიქცნენ». ეს კი ნიშნავდა, რომ ემილს თავის სიცოცხლეში წვეთი ღვინო არ უნდა დაელია და ყურადღება მიექცია, სხვებიც ასევე მოქცეულიყვნენ.

_ გოჭუნა, ხომ იცი, რომ ფიცი შენც დადე, _ უთხრა ემილმა გოჭს.

მერე ლიონებერგელები ამბობდნენ, არც არასოდეს გვინახავს და არც არასოდეს გაგვიგია, ვინმეს ღორთან ერთად დაედოს ფიციო.

_ ეს კატხულტელი ბიჭი ყოველთვის რაღაცას მოიგონებს ხოლმე!

როცა ემილი ფეხდაფეხ ადევნებულ გოჭუნასთან ერთად შინ დაბრუნდა, მაშინვე სამზარეულოში წავიდა, სადაც მამა დახვდა. მამა მაგიდასთან იჯდა და ნავთის ლამპის შუქზე ბიჭმა მის თვალებზე ცრემლი შეამჩნია. ემილმა თავის სიცოცხლეში პირველად ნახა თვალცრემლიანი მამა და ეს არ მოეწონა. მაგრამ რაც მამამ უთხრა, ის კი ძალიან ეამა.

_ მისმინე, ემილ, _ დაიწყო მამამ, მკლავში ხელი წაავლო შვილს და თვალებში ყურადღებით ჩახედა. _ რადგან ფიცი დადე, შენს სიცოცხლეში სპირტიანი სასმელი არ დაიო, ამ გოჭს გაჩუქებ... თანაც შეუძლებელია, ამდენი ხტუნვისა და სმის მერე მისგან გემრიელი მწვადი გამოვიდეს.

ემილს ისე გაუხარდა, ლამის ჭერს აარტყა თავი და ისევ დადო ფიცი, მთელი სიცოცხლე არამსმელი ყოფილიყო. ეს ფიცი არ გაუტეხია. ემილისთანა არამსმელი სოფლის გამგეობის თავმჯდომარე ლიონებერგაში კი არა, მთელ სმოლანდშიც არსად ყოფილა. ასე რომ, იქნებ არც ისე ცუდია ზაფხულის იმ დღეს, პატარა ბიჭობაში, მათრობელა ალუბლით რომ გაიტტიკნა.

მეორე დილას ემილმა გვიან გაიღვიძა და გაიგონა ალფრედისა და ლინას ლაპარაკი, ისინი უკვე ყავას სვამდნენ სამზარეულოში. ის მაშინვე წამოხტა ლოგინიდან _ ვერ ითმენდა, ისე უნდოდა გაეგებინებინა ალფრედისათვის, მამამ გოჭუნა მაჩუქაო.

_ მესაქონლე ემილ სვენსო, _ უთხრა ალფრედმა და გაიცინა.

ლინას მოუნდა დაეცინა ემილისთვის, მაგრამ უცებ ვერაფერი მოიფიქრა, დრო კი აღარ იყო: ის და ალფრედი ემილის მამასთან და კრიუსე-მაიასთან ერთად ჭვავის ასაღებად მიდიოდნენ ყანაში.

შინ, ბავშვებთან, მხოლოდ ემილის დედა დარჩა. უაროდა იდეც, იმ დღეს ფრუ პეტრელი უნდა მისულიყო თავისი ალუბლის ნაყენის წასაღებად და დედას ერჩია, მამა შინ არ ყოფილიყო.

«რა კარგია, ამ ბოთლებს რომ მომაცილებს», _ ფიქრობდა ემილის დედა და სამზარეულოში ფუსფუსებდა. ფრუ პეტრელი წუთი წუთზე უნდა გამოჩენლიყო. მართლაც დედამ მოახლოებული ეტლის ხმაური გაიგონა. მაგრამ ამ დროს მოესმა სხვა, უცნაური ხმაც, რომელიც სარდაფიდან მოდიოდა. ისეთი ხმა იყო, გეგონებოდა, ვინმე მინის ჭურჭელს ამსხვრევსო.

დედა მაშინვე სარდაფში გაიქცა და იქ ემილი დაინახა. ემილი იჯდა, ხელში ცეცხლის საჩხრეკი ეჭირა და ერთიმეორის მიყოლებით ამსხვრევდა და ამსხვრევდა ალუბლის ნაყენიტ სავსე ბოთლებს. მინა წკრიალებდა, სასმელი იატაკზე მოთქრიალებდა.

_ ღმერთო ჩემო! რას შვრები, ემილ? _ აყვირდა დედა.

ემილმა წამით შეაჩერა ბოთლების მსხვრევა და დედამ გაიგონა მისი ნათქვამი:

_ მე ჩემს ფიცს ვასრულებ _ ვიბრძვი, რომ ღვინო არავინ დალიოს და გადავწყვიტე ეს ფრუ პეტრელისაგან დავიწყო.

იშვიათი დღეები ემილის ცხოვრებაში, როცა ის არა მარტო ცელქობდა, არამედ კეთილ საქმეებსაც სჩაიოდა

ალუბლის ნაყენის ნაღვლიანი ისტორია ერთი იმათგანია, დიდხანს რომ ვერ დაივიწყეს ლიონებერგელებმა. სრულიად ვერავინ დაივიწყა, ემილის დედის გარდა, რომელიც სურდა, რაც შეიძლება მალე ამოეგდო თავიდან იმ ბედუკუღმართ დღეს, 10 აგვისტოს, სიტყვაც არ ჩაუწერია თავის ლურჯ რვეულში. ყველაფერი იმდენად საშინელი იყო, რომ ქაღალდსაც ვერ ანდობდა. მაგრამ 11 აგვისტოს მაინც ჩაწერა ორიოდე სიტყვა. მისი წამკითხველი, თუ ალუბლის ნაყენის ამბავი არ გაეგონა, უსათუოდ შეძრწუნდებოდა.

«ღმერთო ჩემო, გამაზრდევინე ეს ბიჭი! დღეს ფხიზელი მაინც იყო». დიახ, ზუსტად ასე ეწერა, არც მეტი, არც ნაკლები. რას იფიქრებ, ასეთ ჩანაწერს რომ წაიკითხავ? ემილი

იშვიათადაა ფხიზელიო? უფრო საფიქრებელია, რომ ემილის დედას უნდოდა ყველაფერი, რაც იყო, ისე ემბნა, მაგრამ, წეღან გითხარი, ვერ ბედავდა ამას.

15 აგვისტოსაცაა პატარა ჩანაწერი:

«ღამით ემილი და ალფრედი კიბორჩხალების საჭერად წავიდნენ და 60 ცალი მოიტანეს. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა მოხდა მერე...»

სამოცი ცალი! ოდესმე გაგიგონია, ერთად ამდენი კიბორჩხალა დაეჭიროთ? სამოცი ცალი ხომ ძალიან ბევრია! დათვალე სამოცამდე და დარწმუნდები. ემილი ბედნიერი იყო! თუ ოდესმე აგვისტოს ბნელ ღამეს პატარა ტბაზე კიბორჩხალები გიჭერია, გემახსოვრება, როგორი გატაცება იცის, რა მშვენიერი გეჩვენება ირგვლივ ყველაფერი. ტყე გაკრავს ყოველი მხრიდან, ისეთი წყვდიადია, თვალთან თითს ვერ მიიტან. ჩამოწოლილ სიჩუმეს მხოლოდ წყლის ჩქაფუნი არღვევს, როცა შენ მთლად გალუმპული, ფეხშიშველა ნაპირ-ნაპირ მიტყაპუნობ. მაგრამ თუ ჩირაღდანი გიჭირავს, ემილს და ალფრედს რომ აქვს, ისეთი, მაშინ მის შუქზე დაინახავ დიდ, შავ კიბორჩხალებს; ტბის ფსკერზე ქვებს შუა რომ დაბობღავენ. შენც გაიწოდე ხელი, ჩაყავი წყალში, ჩაავლე ზურგში და ყარე და ყარე ტომარაში.

ემილი და ალფრედი გამთენიისას შინ რომ ბრუნდებოდნენ, იმდენი კიბორჩხალა ჰყავდათ დაჭერილი, ტომარას ძლივს მიათრევდნენ. ემილი მაინც ხალისიანად მიაბიჯებდა _ ხან სტვენა-სტვენით და ხანაც ღიღთინ-ღიღინით.

«როგორ გაუკვირდება მამას», _ ფიქრობდა გულში.

ძალიან უნდოდა მამის თვალში საქმიანი და ყოჩაღი გამოჩენილიყო, მაგრამ ამას იშვიათად ახერხებდა. ამიტომ გადაწყვიტა, კიბორჩხლების ეს გროვა მამას გამოღვიძებისთანავე დაენახა. ჰოდა, სახლში მივიდა თუ არა, ტომარა მოაპირქვავა სპილენძის დიდ როფში, რომელშიც შაბათ საღამოს მას და იას აბანავებდნენ ხოლმე. მერე აიღო როფი და საწოლ ოთახში მამის საწოლთან დადგა.

«როგორ გაუხარდება, თვალს რომ გაახელს და ამდენ კიბორჩხალას ერთად დაინახვსო», _ გაიფიქრა, გახარებული ჩაგორდა ლოგინში და მაშინვე ჩაეძინა.

ოთახში ჩამოწოლილ სიჩუმეს დროდადრო მხოლოდ ემილის მამის ხვრინვა და როფში აღოღებული კიბორჩხალების ფხაჭაფხუჭი არღვევდა.

ემილის მამა ყოველთვის ადრიანად დგებოდა. არც იმ დილას უღალატა ჩვეულებას. კედლის საათმა ხუთჯერ რომ ჩამოკრა, ლოგინში წამოჯდა და საწოლიდან ფეხები დაბლა ჩამოუშვა. ერთი წუთი ასე იჯდა, რომ საბოლოოდ გამოფხიზლებულიყო. მერე გაიზმორა,

დაამთქნარა, კეფა მოიქექა და ფეხის თითები აამოძრავა. ერთხელ, ალბათ გახსოვს, მარცხენა ფეხის ცრა თითი ემილის დადგმულ სათაგურში მოუყვა. იმის მერე სულ უბუჟდებოდა, ამიტომ დილ-დილაობით აუცილებლად უნდა აემოძრავებინა. ჰოდა, ასე, მამა იჯდა საწოლზე და მშვიდად ამოძრავებდა თითს. უცებ ისე აღრიალდა, რომ ემილის დედა და დაიკო იდა წამში გამოაღვიძა. იფიქრეს, მამას ნამდვილად ვიღაც კლავსო. მამა კი თურმე იმიტომ აღრიალდა, რომ კიბორჩხალა სწორედ სათაგურში მოყოლილ ცერა თითზე წაეტანა. თუ კიბორჩხალა ოდესმე მტკივან თითზე ჩაგჭიდებია, გეცოდინება, რომ სათაგურში თითის მოყოლაზე ნაკლები არაა. ჰოდა, აღრიალდები, აბა რა იქნება! კიბორჩხალები დიდი ეშმაკები არიან, მტერს, ისე ჩაგიჭერენ, და თავიანთი მარწუხებით სულს ამოგაძრობენ. რაღა გასაკვირია, ემილის მამის ღრიალი. ემილის დედა და დაიკო იდაც აღრიალდნენ, იმიტომ, რომ ტვალის დახელისთანავე დაინახეს კიბორჩხალები, იატაკზე მოფუთფუთე კიბორჩხალების მთელი ლაშქარი! გადაირეოდნენ, მაშ, რა მოუვიდოდათ!

_ ემილ! _ რაღაც არაბუნებრივად იყვირა მამა. თუმცა მარტო გაბრაზების გამო არ უყვირია, გაზი სჭირდებოდა კიბორჩხალის მოსაცილებლად.

მაგრამ ემილს ის-ის იყო ჩაეძინა და მისი გაღვიძება იოლი არ იყო. ემილის მამას თვითონ მოუხდა ცალ ფეხზე სამზარეულოს კარადაში შედგმული ინსტრუმენტების ყუთთან მიკინკილება და იქიდან გაზის ამოღება. იდამ რომ დაინახა, მამა ცალ ფეხზე დახტის, თან მეორე ფეხი ცრა თითზე კიბორჩხალა ჰყავს ჩამოპორწიალებულიო, აკისკისდა, იფიქრა, რაღაც ახალი თამაშია და, ცოტა არ იყო, შეეცოდა ემილი, გუდურასავით სძინავს, აქ კი ასეთი მხიარულებააო.

_ გაიღვიძე, ემილ, გაიღვიძე! _ აყვირდა მაშინვე, _ შეხედე, რა სასაცილოა, შეხედე!

მაგრამ მამამ ისე დაუბღვირა, რომ იმავ წამს გაჩუმდა. მიხვდა, მამას ეს ამბავი სასაცილო არ ეჩვენებაო.

ემილის დედა კი დაფორთხავდა იატაკზე და იჭერდა კიბორჩხალებს. მთელი ორი საათი მოუნდა. ხოლო როცა ემილმა გაიღვიძა. ეს იყო ზუსტად სადილობის წინ, სამზარეულოდან მოხარშული კიბორჩხალების ღვთაებრივი სურნელი ეცა. გაამაყებული წამოხტა ლოგინიდან და ახლად გამოღვიძებული კარგა ხანს ვერ მიხვდა, რატომ მიათრევდა დედა ფარდულში.

დრო გადიოდა, ემილი კი თითქოს არ იცვლებოდა. იგი ძველებურად ლამის ყოველდღე იჯდა ფარდულში, ძველებურად არ იცილებდა გვერდიდან თავის საყვარელ

ნივთებს. აი, თუნდაც თოფუკას. ფრუ პეტრელს უნდოდა ეყიდა მისგან ხის თოფი და ნაცნობი ბიჭუნასათვის ეჩუქებინა. არაფერი გამოუვიდა. თუმცა ემილს თავი უკვე დიდად მიაჩნდა და ფიქრობდა, თოფუკათი თამაში აღარ შემფერისო, მისი გაყიდვა მაინც არ ინდომა, ფარდულში კედელზე ჩამოკიდა და ზედ წითელი ფანქრით წააწერა; «სახსოვრად ალფრედისაგან». ალფრედმა რომ ნახა, გაეცინა, მაგრამ ეტყობოდა, გული მაინც აუჩუყდა.

ემილი არც კეპუკას იშორებდა, სახლიდან უიმისოდ არ გამოვიდოდა. პირველად რომ სკოლაში წავიდა, იმ დღესაც თავზე ჩამოიფხატა. დიახ, ემილის მოწაფეობის დრო დადგა. მთელი ლიონებერგა ინტერესით ელოდა ამ დღეს.

_ სკოლას რომ ყირაზე დააყენებს და მასწავლებელს ცეცხლს წაუკიდებს, ნახავთ თქვენი თვალით, _ ამბობდა ლინა.

ემილის დედა მკაცრად შეხედავდა ხოლმე და ეუბნებოდა:

_ ემილი ძალიან კარგი ბიჭია. მართალია, პასტორის ცოლს ქუდზე დამაგრებულ ფრთაზე კინაღამ ცეცხლი წაუკიდა, რაც მოხდა, ვერ უარვყოფ, მაგრამ ამისთის საკადრისად დაისაჯა და წარამარა ნუღა კბენ.

17 აგვისტოს ემილი ფარდულში პასტორის ცოლის გამო იჯდა. იგი იმ დღეს ესტუმრა ხუტორს, რომ ემილის დედისათვის ნაქარგის ნაყში გამოერთმია. დედამ იასამნის ფანჩატურში შესთავაზა ყავის დალევა და დაპირებული ნაყშიც იქ აჩვენა. პასტორის ცოლი ბეცი იიიყო და ნახატი რომ კარგად დაენახა, ჩანთიდან ლუპა ამოიღო. ემილს ლუპა არასოდეს ენახა და ძალიან დაინტერესდა.

«აიღე, გენაცვალე და ცოტა ითამაშე», _ თავაზიანად შესთავაზა სტუმარმა. არ ვიცი, არ იცოდა, არ ვიცი, დაავიწყდა, ვისთან ჰქონდა საქმე.

ასე იყო თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ემილისათვის ლუპის მიცემა სიგიჟე იყო და მეტი არაფერი. ემილი მალე მიხვდა, რომ ამ ლუპით, თუ ისე დაიჭერდა, რომ ზედ მზის სხივები დასცემოდა, ცეცხლის გაჩენა შეიძლებოდა.

ეს რომ აღმოაჩინა, მიიხედ-მოიხედა, ცეცხლი ადვილად ნეტა რას წაეკიდებაო. პასტორის ცოლი ყავას სვამდა და დედას შეუსვენებლად ექაქანებოდა, მაგრამ თვი, რომელზეც სირაქლემის ფრთებიანი ქუდი ეხურა, ამაყად და შეურხევლად ეჭირა. ემილმა შეხედა ფრთებს და, ნამდვილად გამომადგებაო, იფიქრა. იფიქრა და ვარაუდის შემოწმებაც მაშინვე სცადა. დარმწუნებული კი არ იყო, რომ ქუდს ცეცხლი წაეკიდებოდა, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო და მაინც მოსინჯა. სხვაგვარად ცოდნა როგორ უნდა შეიძინოს ადამიანმა.

აი, როგორ აისახა ლურჯ რვეულში მისი ცნობისმოყვარეობის შედეგი:

«ჰო, მართალია, ფრთებს ბოლი ავარდა და გვერდებიც შემოეწვა. ოღონდ ცეცხლი არ წაკიდებია. რაც არ ყოფილა, ტყუილად რატომ უნდა ვთქვა. მე კი როგორი იმედი მქონდა, არამსმელთან საზოგადოებაში დადებული ფიცის მერე ემილი გამოკეთდება-მეთქი. გაგიგონია! ჩვენს ვაჟკაცს დღის ბოლომდე ფარდულში მოუწია ჯდომამ».

25 აგვისტოს ემილი სკოლაში წავიდა. ლიონებერგელები, რა თქმა უნდა, ფიქრობდნენ, იქ თავს შეირცხვენსო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. მასწავლებელი უმალ მიხვდა, ფანჯარასთან მიდგმულ მერხზე სოფლის გამგეობის მომავალი თავმჯდომარე ზისო, იმიტომ, რომ მოდი და ნუ გაოცდები, ემილი კლასში პირველი მოწაფე აღმოჩნდა! კითხვა უკვე იცოდა, ცოტ-ცოტას წერასაც ახერხებდა და ანგარიშიც ყველაზე სწრაფად ისწავლა. რასაკვირველია, არც ცელქობას იკლებდა, მაგრამ მასწავლებელი არ უჩიოდა. ერთხელ მასწავლებელს აკოცა კიდეც და ამაზე დიდხან ლაპარაკობდნენ ლიონებერგელები.

აი, ეს როგორ მოხდა: ემილი დაფასთან იდგა და ძალიან ძნელ მაგალითს იყვანდა. როცა ამოხსნ, მასწავლებელმა შეაქო:

_ ყოჩაღ, ემილ! წადი, დაჯექი!

ემილიც ასე მოიქცა, მაგრამ მანამდე მივიდა კათედრასთან მჯდარ მასწავლებელთან და აკოცა. მასწავლებელს კლასში ასეთი რამ არასოდეს შემთხვევია, ამიტომ გაწითლდა და ენის ბორძიკით ჰკითხა:

_ რატომ... რატომ ჰქენი ეს, ემილ?

_ თავაზიანობის გამო, _ უპასუხა ემილმა და ამის მერე ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდნენ ლიონებერგაში.

«თავაზიანობის გამო, იმ კატხულტელი ბიჭისა არ იყოს, მასწავლებელს რომ აკოცა», ამბობდნენ ხოლმე ლიონებერგელები და რამდენადაც ვიცი, ახლაც ამბობენ.

სხვათა შორის, თავაზიანობის გამო ემილი სხვა რამეებსაც აკეთებდა. მაგალითად, დიდ შესვენებაზე მოხუცთა და დავრდომილთა თავშესაფარში დადიოდა და «სმოლანდის გაზეთს» ხმამაღლა უკითხავდა სტულე იოკესა და დანარჩენ მოხუცებს. ასე რომ, არ იფიქრო, ემილს კეთილი საქმეების ჩადენა არ შეეძლოო.

თავშესაფარში მოუთმენლად ელოდნენ ემილს. სტულე იოკესათვის, იოჰან ეტისათვის, კალე სპადერისა და, ასერთოდ, ყველასათვის, მათი სახელები აღარ მახსოვს, ეს იყო დღის საუკეთესო წუთები. შეიძლება სტულე იოკე ემილის წაკითხულიდან ბევრს

ვერაფერს იგებდა, მაგრამ როცა ესმოდა, მაგალითად, ასეთი რამ, უახლოეს ორშაბათს ექსოში ქალაქის სასტუმროში დიდი მეჯლისი ჩატარდებაო, მრავალმნიშვნელოვნად იფშვნეტდა ხელებს და ამბობდა: «ჰო, ჰო, ჰო, ზუსტად ასე იქნებაო».

მთავარი მაინც ის იყო, რომ სტულე იოკესა და თავშესაფრის დანარჩენ ბინადართ უყვარდათ ემილთან ჯდომა და მისი სმენა. მხოლოდ ერთადერთი ბერიქალი ვერ იტანდა. ემილის მისვლა და მისი იქიდან გაქრობა ერთი იყო. რა თქმა უნდა, მიხვდი, ვინც იყო. ჰო, «უფროსი»! მას ვერაფრით დაევიწყებინა, ახალ წელს სამგლე ორმოში რომ ამოჰყო თავი.

იქნებ ფიქრობ, მოსწავლე ემილს აღარ ექნება ეშმაკობის დროო. შემიძლია დაგამშვიდო! წინათ, ემილის ბიჭობაში, ასე იყო: სკოლაში დღეგამოშვებით დადიოდნენ, რა ბედი ჰქონდა ხალხს, არა?

_ როგორ ატარებ ახლა დროს? _ ჰკითხა ერთხელ სტულე იოკემ ემილს, როცა ის თავშესაფარში მათთვის გაზეთის წასაკითხად მივიდა.

ემილი ჩაფიქრდა და პატიოსნად უპასუხა:

_ ერთ დღეს ვცელქობ, მეორე დღეს სკოლაში დავდივარ.

კვირა, 14 ნოემბერი,

როცა ხუტორ კატხულტში პასტორი ქადაგებას კითხულობდა,

ემილმა კი მამა დაამწყვდია

შემოდგომა იდგა, გვიანი შემოდგომა. ნაცრისფერდებოდა და ნაცრისფერდებოდა დღეები ხუტორ კატხულტში, და არა მარტო იქ, ლიონებერგაშიც და მთელ სმოლანდშიც.

_ ოი, როგორ მეზარება გარეთ გასვლა! _ წუწუნებდა ლინა, როცა ძროხების მოსაწყველად ხუთ საათზე ამდგარი დილაბნელში გარეთ უნდა გაწულიყო. მართალია, ფარანი ჰქონდა გზის გასანათებლად, მაგრამ ისე საცოდავად ბჟუტავდა, გინდა გქონოდა და გინდა არა.

ნაცრისფერი შემოდგომა ერთი გრძელზე-გრძელი უსხივო დღესავით იყო გაჭიმული და მხოლოდ რომელიმე დღესასწაული, ვთქვათ, ქადაგება ოჯახში, როგორც შუქურა უმთვარო ღამეს, გაჰკვეთდა ხოლმე ჩამოწოლილ დაუსრულებელ სიბნელეს.

ოჯახში ქადაგება შენ, ალბათ, არც იცი, რა არის. მაშ ასე, ძველად, დიდი ხნის წინათ, შვედეთში აუცილებელი იყო, ყოველ ადამიანს სცოდნოდა ბიბლია. ჰოდა, მათი ცოდნის

შესამოწმებლად პასტორი დროდადრო ეწვეოდა ხოლმე თავის სამწყსოს ამა თუ იმ ოჯახს და მრევლს საღვთო წერილზე ესაუბრებოდა. შენ წარმოიდგინე, მარტო ბავშვებს კი არ გამოჰკითხავდა ხოლმე, უფროსებსაც და მათაც უნდა ეპასუხნათ მიცემულ კითხვებზე. ასეთი გამოცდები რიგრიგობით ლიონებერგის ყველა ხუტორში ეწყობოდა. და თუ გამოკითხვა დიდად საისამოვნო არ იყო, მას რომ ლხინი მოჰყვებოდა, სამაგიეროდ ის უხაროდა ყველას. ასეთ ქადაგებაზე მთელ სამწყსოს პატიჯებდნენ, არც თავშესარის მოხუცებს გამოტოვებდნენ. ყველა, ვისაც სიარული შეეძლო, აუცილებლად ესწრებოდა ქადაგებას, იიტომ, რომ გამოკითხვის მერე ოჯახი პურ-მარილს შლიდა, რომელზეც საუბრითაც გულს მოიოხებდი და გემრიელ საჭმელ-სასმელსაც მიირთმევდი.

ნოემბერში ხუტორ კატხულტის რიგიც დადგა. ამ დღის მოლოდინში ყველანი შესამჩნევად გამოცოცხლდნენ, ყველაზე მეტად კი ლინა, რომელსაც ძალიან უყვარდა დღესასწაულები.

_ ისე მიხარია, ისე, რომ არ ვიცი, პირდაპირ, _ ამბობდა წარამარა. _ ოღონდ ის მაწუხებს, რომ კითხვები უნდა მოგვცენ, მე ხომ არასოდეს არ ვიცი, რა უნდა ვუპასუხო.

ლინას იმიტომ ეშინოდა, რომ ბიბლიის დიდი ცოდნით ვერ დაიკვეხნიდა, პასტორი კეთილი კაცი იყო, ცდილობდა მისთვის ძალიან იოლი კითხვები მიეცა. თავის ქადაგებაში იგი დიხანს და დაწვრილებით ყვებოდა ადამისა და ევას შესახებ, რომლებიც სამოთხის ბაღში ცხოვრობდნენ და პირველი ადამიანები იყვნენ დედამიწაზე, და ეგონა, ყველას ესმის ჩემი საუბარი, მათ შორის ლინასაცო. სწორედ ლინას პასუხის რიგიც მოვიდა და მან ალერსიანად ჰკითხა:

_ აბა, ლინა, გვითხარი, ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები?

_ გორი და ფრეა, _ არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა ლინამ.

სირცხვილისაგან დაიწვა ემილის დედა. ასეთი სულელური პასუხი რომ გაიგონა. გორი და ფრეა ხომ ძველი ღმერთები იყვნენ, რომლებსაც სმოლანდში ჯერ კიდევ წარმართობის ხანაში, ორი ათასი წლის უკან ეთაყვანებოდნენ, მაშინ, როდესაც ბიბლიაზე არავის არაფერი გაეგონა.

მაგრამ პასტორი შემწყნარებლურად მოიქცა და, ვითომც არაფერიაო, ისე გააგრძელა საუბარი.

_ ლინა, შენც ბუნების სასწაული ხარ, _ უხსნიდან პასტორი. მერე კი ჰკითხა, შეიცან თუ არა, რა საოცრებაა, ღმერთმა რომ შეგქმნაო.

ლინა ჯერ კინაღამ დაეთანხმა, მერე კი ჩაფიქრდა და უთხრა:

_ არა, მე რა სასწაული ვარ. საოცარი არაფერი გამაჩნია, თუ აი, ყურებთან რომ კულულები მაქვს, იმას არ ჩავთვლით...

ისევ გაწითლდა სირცხვილისაგან ემილის დედა. ეგონა, ლინა რომ ამ სისულელეებს ამბობს, მთელ ხუტორს ეჭრება თავიო. მაგრამ კიდევ უფრო მეტად მოუკვდა გული, როცა იმ კუთხიდან, სადაც ემილი იჯდა, მხიარული სიცილი გაისმა. ქადაგებაზე სიცილი სად გაგონილა! საწყალი ემილის დედა! იჯდა, სირცხვილისაგან იწვოდა და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, გამოკითხვა რომ დამთავრდა და სტუმრები სუფრასთან მიიპატიჟა.

ემილის დედამ ზუსტად იმდენნაირი კერძი მოამზადა, რამდენსაც საერთოდ ამზადებდა ხოლმე, როცა სტუმრებს პატიჟებდა. და თუმცა ემილის მამა ცდილობდა, ხელი ფართოდ არ გაეშალა, არაფერი გამოუვიდა.

_ აქ მთავარი ბიბლიაზე ლაპარაკია, შენ კი ხორცის ტეფტელს და ხაჭოიან ფუნთუშებს სჩრი პირში ხალხს.

_ ყველაფერს თავის დრო აქვს, ბიბლიაზე ლაპარაკსაც და ფუნთუშების ჭამასაც, _ არ დაუთმო დედამ.

და აი, დადგა ხაჭოიანი ფუნთუშების დრო. გემრიელად მიირთმევდა და აქებდა ყველა, ვინც ქადაგების მოსასმენად იყო მოსული. ემილმც დაიხვავა წინ, აწებდა მურაბაში და ჭამდა და ჭამდა. როცა მოათავა, დედამ სთხოვა:

_ ემილ, ნუ დაიზარებ და ქათმები დაამწყვდიე საქათმეში.

ქათმები მთელი დღე თავისუფლად დასეირნობდნენ ეზოში, საღამოს კი უნდა ჩაეკეტათ, რომ მელას არ მოეტაცა, სიბნელეში რომ დასუნსულებდა ხუტორში.

გარეთ ჩამობნელებულიყო, წვიმდა, მაგრამ ემილმა იფიქრა, ამ დახუთული ჰაერის, ბუღის, ფუნთუშებისა და დაუსრულებელი ლაპარაკი სმერე სასიამოვნოა სუფთა ჰაერის ჩაყლაპვაო. ქათმები, თითქმის ყველანი, ქანდარაზე იყვნენ შემოსკუპული, მარტო კჭლი ლოტა და მისი რამდენიმე თავნება მეგობარი არ ეპუებოდნენ ამინდს და ეზოში დასეირნობდნენ. ემილმა ისინიც მაშინვე შერეკა საქათმეში და კარს რაზა ჩაუგდო. მოვიდეს ახლა მელა, თუ ძალიან უნდა, ვეღარაფერს დაგვაკლებსო. საქათმის პირდაპირ საღორე იდგა. რადგან იქ იყო, ემილმა წუთით გოჭუნასთან შეიხედა და ვახშმის ნარჩენების მიტანას შეჰპირდა.

_ სტუმრებს ხარბი თვალი აქვთ, ამიტომ თეფშზე გადაღებული ბევრი რამ რჩება, _ აუხსნა ემილმა და გოჭუნაც მხიარულად აღრუტუნდა. მოგვიანებით შემოგირბენო, დაუბარა და საღორეც გადარაზა.

საღორის უკან ფეხისადგილი იყო. ასე ეძახდნენ ძველად იმას, რასაც ახლა ტუალეტი ჰქვია. ეს სახელწოდება ნამდვილად სასაცილო მოგეჩვენება. მაგრამ მოგესმინა, რას ეძახდა იმ ფიცრულს ალფრედი! თუმცა არა, სულ არ მინდა უხეში გამოთქმები გასწავლო...

რაი სიტყვამ მოიტანა, იმასაც გეტყვი, რომ ამ ადგილს კატხულტში დელიკატური სახელი ერქვა _ «ტრისეს ფიცრული». ტრისე ის დრუგალი იყო, რომელმაც ემილის პაპის მამის დაკვეთით ეს პატარა ფიცრული დადგა.

მაშ ასე, ემილმა ჯერ საქათმე ჩაკეტა, მერე _ საღორე, ბოლოს კი დაბნეულობისა თუ ზედმეტი გულმოდგინებისაგან ტრისეს ფიცრულიც გადარაზა. რა თქმა უნდა, ეს მექანიკურად გააკეთა, დაუფიქრებლად, თუმცა კი უნდა მიმხვდარიყო, ტრისეს ფიცრულის კარზე რაზა გადაწეულია, მაშასადამე, შიგ ვიღაცა არისო, მაგრამ ისევ ივმეორებ, ემილს ეს არ უფიქრია, ეზოში ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა, თან ხმამაღლა მღეროდა:

_ მე დავკეტე ყველაფერი, რაც იკეტება... _ ზუსტად ამ დროს ტირსეს ფიცრულში ემილის მამა იყო შესული. ემილის სიმღერის გაგონებისთანავე, კარს ხელი ჰკრა. კარი არ გაიღო. მამამ ხმამაღლა დაიძახა:

_ ემილ!

ემილს ძახილი არ გაუგონია _ ჯერ ერთი, უკვე შორს იყო წასული, მეორეც _ თვითონ ღრიალებდა მთეილ ხმით:

_ მე დავკეტე ყველაფერი, რაც იკეტებაა!

საწყალი, საცოდავი მამა, ისე გაბრაზდა, გულზე ცეცხლი მოეკდია. ემილის ოინებიდან ეს ყველაზე საშინელი იყო. მამამ კარზე გააფთრებული ბრახუნი ატეხა, მერე მხრითაც მიაწვა, მაგრამ კარს ძვრა ვერ უყო. სასოწარკვეთილმა ზურგი შეაბრუნა კარს და ახლა წიხლები დაუშინა. ამაოდ! კარს ვერაფერი დააკლო, ქუსლები კი ზედ მიამტვრია. იმ დურგალმა ტრისემ კარგად იცოდა თავისი საქმე! ეს კარი სქელი, გარანდული ფიცრებისაგან შეკრა და ისე მოარგო წირთხლს, რომ თუმცა მამამ ყოველი ღონე იხმარა, კარი არც შერხეულა.

ემილის მამას თანდათან ერეოდა ბრაზი და მზად იყო ნაფოტებად ექცია ეს დაწყევლილი ნაგებობა! გაშმაგებულმა ჯიბეები ამოიბრუნა, იქნებ ჯაყვა ვიპოვოო. იფიქრა, კარში ნახვრეტს ამოვჭრი და დანის პირით რაზას გავწევო, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ჯაყვა სამუშაო შარვალში ედო, დღეს კი საგარეო კოსტიუმი ჩაიცვა. ხსნა არ ჩანდა, ემილის

მამა, კარს უაზროდ მიშტერებული, ერთხანს გაუნძრევლად იდგა და ბოღმისაგან სისინებდა. განა იგინებოდა, ის უწმაწურ სიტყვებს საერთოდ ვერ იტანდა. არა, უბრალოდ იდგა, საკმაო ხანს გველივით სისინებდა და ერთთავად ემილზე და უკუღმართ დურგალ ტრისეზე ფიქრობდა, რომელმაც თავის დროზე ვერ მოიფიქრა ფიცრულისათვის ნორმალური ფანჯარა გაეკთებინა, ერთი კარს ზემოთ გამოჭრილი სამერცხული ამყოფინა. ემილის მამა გაცოფებული მიადჩერდა სამერცხულს. რა პატარაა! მერე, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, კარზე რამდენჯერმე დააბრახუნა და მთლად იმედგადაწურული იქვე ჩაჯდა. ლოდინის გარდა აღარაფერი დარჩენოდა. ტრისეს ფარდულში სამი საჯდომი ადგილი იყო და ერთ-ერთ მათგანზე დაჯდა ემილის მამა. იჯდა, კბილებს აკრაჭუნებდა და გაცოფებული ელოდა, ბოლოს და ბოლოს, მოვა ვინმეო.

«შეიძლება ვცოდავ, და მაინც, ვინც პირველი მოვა, მოვკლავ», _ ფიქრობდა გაგიჟებული. ასე ფიქრი, რა თქმა უნდა, ცუდი და უსამართლო იყო, მაგრამ გაბრაზებული ადამიანი ჭკუას კარგავს ხოლმე.

ტრისეს ფარდულში უკვე მაგრა ბნელოდა, ემილის მამა კი იჯდა და ელოდა, მაგრამ არავინ მოდიოდა. ესმოდა, როგორ კაკუნებდა წვიმა სახურავზე და ის ხმა უარესად უწუხებდა გულს. თანდათან უფრო და უფრო ცხარდებოდა. საწყანია, აბა რა, ზის აქ, სიბნელეში მარტოდმარტო, დანარჩენები კი გაჩახჩასებულ ოთახში მის ხარჯზე დროს ატარებენ! მეტს აღარ მოითმენს, აქედან ახლავე უნდა გავიდეს! რადაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა გავიდეს, თუნდაც სამერცხულიდან მოუხდეს გაძრომა.

_ ახლა ბოღმისაგან გავსკდები! _ თქვა ხმამაღლა და ფეხზე წამოხტა.

ტრისეს ფარდულში ძველი გაზეთებიანი ყუთი იდგა. ის ყუთი კართან მიაჩოჩა და ზედ შედგა. საბედნიეროდ, ყუთი დიდი გამოდგა და ემილს მამა სამერცხულს მისწვდა. იოლად გამოტეხა ჩარჩო, თავი სამერცხულში გაყო და მიშველეთო, იყვირა.

მის ყვირილს არავინ გამოეხმაურა, სამაგიეროდ, კოკისპირულმა წვიმამ დასცხო კეფაზე და ღვარ-ღვარად ჩაედინა კისერში. გამწარდა კაცი. ახლა ვეღარაფერი შეაჩერებდა, წვიმა კი არა, წარღვნა რომ იყოს, მაინც უნდა ვუშველოო თავს.

დიდი ვაი-ვაგლახით გაჰყო სამერცხულში ჯერ ხელები, მერე მხრები და ნელ-ნელა დაიწყო ზევით აძრომა. მაგრამ სამერცხულიდან სანახევროდ რომ ამოძვრა, უცებ გაიჭედა, ვიღარც ზევით ადიოდა, ვეღარც ქვევით ბრუნდებოდა. ცოფიანივით იქნევდა ხელ-ფეხს, გაგიგონია, გოჯითაც ვერ დაიძრა ადგილიდან.ამ გაწამაწიაში ყუთი, რომელზედაც იდგა გადააყირავა და საცოდავი დარჩა ასე ჰაერში გამოკიდებული.

შენ როგორ გგონია, რას შვრება ხუტორის მეპატრონე, თუ თავშიშველი კოკისპირულ წვიმაში ჰაერში კიდია. საშველად უხმობს ხალხს? არავითარ შემთხვევაში! იმიტომ, რომ იცნობს ლიონებერგელებს. მშვენივრად იცის, ვინმემ რომ ასეთ ყოფაში ნახოს, მორჩა! სიცოცხლის ბოლომდე მთელი ლიონებერგის და იქნებ მთელი სმოლანდის სასაცილო გახდება. არა, საშველად არავის მოუხმობს!

ემილი შინ ჩინებულ გუნებაზე შებრუნდა. ასე არის ხოლმე ადამიანი, როცა დავალებულ საქმეს პირნათლად შეასრულებს. ახლა ცდილობდა დაიკო იდა გაემხიარულებინა. მოსწყინდა ასე დიდხანს ჩუმად ჯდომაო, ფიქრობდა ემილი, ამიტომ შემოსასვლელში გაიყვანა და ორივენი სტუმრების კალოშების ზომვით გაერთვნენ. კალოშები კედლის გასწვრივ იყო ჩამწკრივებული, დიდებიც და პატარებიც. დაიკო იდა აღტაცებული ჭყლოპინებდა, ემილი რომ პასტორის კალოშებით მედიდურად დადიოდა წინ და უკან და «ამრიგად» და «გარდა ამისაო», გაიძახოდა, ზუსტად ისე, როგორც პასტორმა იცოდა. ბოლოს და ბოლოს, კალოშები მთელ შემოსასვლელში მოიფანტა. ემილს ძალიან უყვარდა წესრიგი და მათი ერთად დაწყობა გადაწყვიტა: შემოსასვლელის შუაგულში წამში კალოშების უზარმაზარი გორა გაჩნდა.

ამ დროს ემილს თავისი გოჭუნა გაახსენდა, რომელსაც სადღესაწაულო სუფრიდან ნარჩენების მირთმევას შეჰპირდა. ამიტომ მაშინვე სამზარეულოში გაიქცა, რაც ნახა, ყველაფერი ჯამში მოაქცია და ცალ ხელში ჯამითა და მეორეში _ ფარნით, ეზოში გამოვარდა. კვლავ კოკისპირულად წვიმდა, მაგრამ თავისი გოჭუნას გასახარებლად მაინც გაბედულად მიდიოდა სიბნელეში.

ამ დროს, ეს რომ მახსენდება, შიშით მაკანკალებს! _ მან მამა დაინახა! მამამაც დაინახა შვილი. რა საშინელება იყო!

_ ალფრედს დაუძახე! _ ბრაზიანად ჩაისისინა ემილის მამა. _ და უთხარი, თან ერთი კილო დინამიტიც მოაყოლოს. ტრისეს ფარდული მიწასთან უნდა გავასწორო!

ემილი ალფრედის მოსაყვანად გაიქცა. ალფრედმაც სწრაფად მოირბინა. ოღონდ, რა თქმა უნდა, დინამიტი არ მოუტანია, ემილის მამამ ასე გაბრაზებულ გულზე დააბარა. აი, ხერხი კი მოიტანა, რაც გადასახერხი იყო, უნდა გადაეხერხა, თორემ სხვაგვარად მამას ვერ დაიხსნიდა.

სანამ ალფრედი ხერხავდა, ემილი კიბეზე იდგა და გულგახეთქილს თავისი საწყალი მამის თავს ზემოთ ქოლგა ეჭირა, რომ როგორმე წვიმისაგან დაეფარა. შენ, რა თქმა უნდა, ხვდები, რა მძიმე წუთები გადაიტანა კიბეზე მდგარმა ემილმა, რომელსაც მამა

ერთსა და იმავეს უმეორებდა: ერთი აქედან გავთავისუფლდე და მერე, მე ვიცი, რა დღეს დაგაყრიო. მამა სულ არ იყო ემილის მადლიერი _ ქოლგით ხელში დგას და წვიმისაგან მიფარავსო. ალფრედი ისე გულმოდგინედ ხერხავდა, ნახერხი ფანტელებივით ცვიოდა აქეთ-იქით. არც ემილი იყო პირდაღებული. როგორც კი ალფრედმა ხერხვა დაამთავრა და ემილის მამამ ძირს ბრაგვანი მოადინა, მოისწროლა ქოლგა და ფარდულისაკენ მოკურცხლა, რაღაც წამით შეასწრო მამას და კარს ურდული გაუყარა. მამას რაღა დარჩენოდა, ისევ დაკეტილი კარების მტვრევა დაიწყო, მაგრამ მალე შეეშვა, სტუმრებს ცოტა ხანს მაინც ხომ უნდა სჩვენებოდა! ამიტომაც უღალატა ჩვეულებას, ემილს ერთი-ორი მაგარი სიტყვა მიაძახა და იქაურობას გაეცალა! ოღონდ ერთი გასაჭირი კიდევ ჰქონდა, სანამ სტუმრებთან გავიდოდა, საწოლ ოთახში შეუმჩნევლად უნდა შეპარულიყო და მშრალი ტანისამოსი გადაეცვა.

_ სად დაიკარგე ამდენ ხანს? _ უკმაყოფილოდ ჰკითხა ემილის დედამ თავი სმეუღლეს, როცა ის ბოლოს და ბოლოს სტუმრებთან დაბრუნდა.

_ ამაზე მერე ვილაპარაკოთ. _ უპასუხა მამამ პირქუშად.

საღამო მიიწურა კატხულტში. პასტორმა ფსალმუნის გალობა წამოიწყო. ყველა აჰყვა, ყველა თავისებურად.

«მოვა დრო და საათი...», _ მღეროდნენ სტუმრები.

ამასობაში შინ წასვლის დროც დადგა. სტუმრები შემოსასვლელში გამოვიდნენ და პირველი, რაც დაინახეს, ნავთის ლამპის სუსტი შუქით განათებული კალოშების გროვა იყო.

_ ემილის ნამოქმედარია, ამას თქმა არ უნდა, _ ერთხმად დაასკვნა ყველამ.

მერე კი ყოველი მათგანი, პასტორისა და მისი მეუღლის ჩათვლით, რიგრიგობით ჯდებოდა სკამზე და დიდხანს ეძებდა, არჩევდა და იზომებდა კალოშებს. ამ ვაი-ვაგლახში მთელი ორი საათი გავიდა. დაღლილი სტუმრები ცივად გამოემშვიდობნენ მასპინძლებს და წვიმასა და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

ემილს ვერც ერთი ვერ გამოემშვიდობა, იმიტომ, რომ ის ფარდულში იჯდა და დიდი გულმოდგინებით თლიდა თავის ასოთხმოცდამეოთხე კაცუნას.

შაბათი, 18 დეკემბერი,

როცა ემილმა ისეთი რამ ჩაიდინა, რომმთელი ლიონებერგა აღაფრთოვანა, რის მერეც ყველა ცელქობა შეუდნეს, უფრო სწორად დაივიწყეს

ახალი წელი ახლოვდებოდა. ჩამობნელდებოდა თუ არა, კატხულტის მცხოვრებლები სამზარეულოში სხდებოდნენ და თავ-თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. იმ საღამოს ემილის დედა ჯარაზე მატყლს ართავდა, მამა ფეხსაცმელებს აკერებდა, ლინა მატყლს ჩეჩავდა, ალფრედი და ემილი საფოცხე ტარებს რანდავდნენ, იდა კი ლინას მუშაობას არ აცლიდა და ცილობდა თამაშში აეყოლიებინა.

_ გესმის, ლინა, ეს თამაში მარტო იმასთან გამოვა, ვისაც ღიტინისა ეშინია, _ უხსნიდა იდა, მაშასადამე, თამაში მარტო ლინასთან შეიძლებოდა. იდა თავის პატარა თითს ლინას ქვედატანს უცაცუნებდა და ტიტინებდა:

ფქვილი და მარილი
მომეცი ახლა
და ამ გოჭუნას
ერთ წუთში დავკლავ...

როცა იდა სიტყვა «დაკვლამდე» მივიდოდა, სალოკ თითს ატაკებდა ხოლმე ლინას და ისიც, მისდა გასახარად, წიოდა და ხარხარებდა.

ეტყობა, გოჭზე ამ გულუბრყვილო ბავშვურმა სიმღერამ სხვა რამე მოაგონა ემილის მამას, იმიტომ, რომ უცებ რაღაც საშინელება თქვა:

_ მართლა, ემილ, ახალი წელი კარზეა, დროა შენი გოჭი დავკლათ.

ემილს დანა გაუვარდა ხელიდან და გაოგნებული მიაჩერდა მამას.

_ გოწუნა დავკლა? ეგ არ მოხდება! _ თქვა მტკიცედ. _ გოჭი ხომ ჩემია, შენ არ მაჩუქე, არამსმელთა საზოგადოებაში აღთქმა რომ დავდე? დაგავიწყდა?!

არა, მამას არაფერი დავიწყებია. მაგრამ სმოლანდში ისეთი შერეკილი არავის უნახავს, გოჭი გასართობად გაეზარდოს. მისი აზრით, ემილი უკვე გლეხი იყო. მაშასადამე, ისიც ესმოდა, რომ გოჭებს დასაკლავად ზრდიან.

_ ნუთუ არ იცი? _ ჰკითხა გაკვირვებულმა.

ემილმა ეს, რასაკვირველია, იცოდა და თავდაპირველად პასუხიც ვერ მოანხა. მერე კი მოიფიქრა სათქმელი:

_ სწორს ამბობ, მამა, მე უკვე გლეხი ვარ და ვიცი, რომ ზოგიერთ გოჭს საჯიშედ ზრდიან, ამიტომაც გადავყევი გოჭუნას.

შენ, ალბათ, არც იცი, რას ნიშნავს «საჯიშედ გაზრდა». ემილმა კი იცოდა: ეს ნიშნავს, გოჭი იმისათვის გაზარდა, რომ მერე პატარა გოჭუნების მამა გახდეს. ემილი გრძნობდა, გოჭუნას თუ უშველის, ეს უშველისო.

_ მარტო ერთი გოჭის ყიდვა დაგვჭირდება, მეტი არაფერი, _ თავისი გეგმა გაანდო მამას. _ როცა ორივენი გაიზრდებიან, გოჭები ეყოლებათ, მშვენიერი, ვარდისფერი გოჭები.

_ კეთილი და პატიოსანი, _ დაეთანხმა მამა, _ მაგრამ მაშინ ახალი წლის სუფრა სამარხვო გამოგვივა, არც ლორი გვექნება, არც ძეხვი და არც ხორცი.

და ამ გოჭუნას

ერთ წუთში დავკლავ...

_ იმეორებდა და იმეორებდა იდა, მაგრამ ემილმა დაუცაცხანა:

_ მოეშვი მაგ სულელურ სიმღერას!

არა, გოჭუნას სისხლი არ დაიღვრება, ამას თქმა არ უნდა, სანამ ემილი ცოცხალია, ეს არ მოხდება!

სამზარეულოში დიდხანს მეფობდა სიჩუმე, პირქუში სიჩუმე, უცებ ალფრედმა შეიგინა. რანდვაში შემთხვევით თითი გაიჭრა და სისხლმა გადმოსჩქეფა.

_ მაგ გინებამ შენ არაფერი გიშველა, მე კი არ მსურს ჩემს ოჯახში ასეთი სიტყვების გაგონება! _ მკაცრად უთხრა მამამ.

ემილის დედამ მაგიდის უჯრიდან ტილოს სუფთა ნაჭერი ამოიღო და ალფრედს ხელი შეუხვია. ალფრედი ისევ საქმეს მიუბრუნდა.

ასე ატარებდნენ ზამთრის გრძელ საღამოებს, ყვეალ ფოცხს სინჯავდნენ და, თუ საჭირო იყო, მომტვრეულ კბილებს უცვლიდნენ, თადარიგს იჭერდნენ გაზაფხულისთვის.

_ მაშ ასე, გადაწყდა... ახალ წელს სამარხვო სუფრა გვექნება, _ ჩაიდუდუნა ემილის მამამ და მოღუშული მიაშტერდა ერთ წერტილს.

იმ საღამოს ემილს დიდხანს არ დაეძინა, დილით კი გატეხა თავისი გოჭი-ყულაბა, გადათვალა ოცდათხუთმეტი კრონი, შეაბა ლუკასი ძველ ორთვალაში და გაემგზავრა ბასტეფალში, სადაც მეღორეობას მისდევდნენ და გოჭებს ყიდდნენ ხოლმე. შინ რომ

დაბრუნდა, თან მშვენიერი გოჭი მოიყვანა და მაშინვე გოჭუნასთან შეაგდო საღორეში. მერე კი მამასთან წავიდა.

_ ახლა საღორეში ორი გოჭია, _ უთხრა მამას. _ ერთი შეგიძლია დაკლა საახალწლოდ, მაგრამ გირჩევ, არ აგერიოს!

ემილი გაცოფებული ყო. ასეტი რამ არასოდეს მოსვლია. ისე მიაყარა მამას ეს სიტყვები, თითქოს არც ახსოვდა, ვის ელაპარაკებოდა. განა არა ხვდებოდა, გოჭუნა რომ გადვარჩინე, ამით სხვას მოვუსწრაფე სიცოცხლეო. ის გოჭიც ძალიან ეცოდებოდა და საზიზღარი ეჩვენებოდა ყველაფერი, მაგრამ რა ექნა, გამოსავალი არ ჩანდა, იცოდა, სხვაგვარად მამა არ მოასვენებდა.

ორი დღე ფეხი არ შეუდგამს ემილს საღორეში, ლინას სთხოვა, გოჭებს შენ აჭამეო. მესამე დღეს გათენებული არ იყო, გოჭის ჭყვირილმა რომ გამოაღვიძა. მერე ჭყვირილი უცებ მიჩუმდა.

ემილი მანამ აორთქლებდა მოყინულ ფანჯარას, სანამ ყინვის ნახატები არ წაიშალა და ეზოში გაიხედა. საღორის კართან ფარანი ეკიდა და მის შუქზე მოფუსფუსელანდები მოჩანდა. გოჭი დაკლეს. ეს იცოდა. ახლა მამა და ალფრედი გაფუფქავენ და ჯაგარს მოაცლიან, მერე კი მოვა კრიუსე-მაია და ისა და ლინა საძეხვე ნაწლავებს გარეცხავენ. ასე დაასრულა თავისი დღეები ემილის ნაყიდმა ბასტეფალურმა გოჭმა.

_ ერთ წუთში დავკლავ! _ ჩაიბუტბუტა ემილმა, ისევ შეძვრა ლოგინში და კარგა ხანს ტიროდა.

მაგრამ ადამიანის ბუნება ისეთია, ავიწყდება ხოლმე დარდები. არც ემილი იყო გამონაკლისი. ნასადილევს მან საღორეში შეიხედა. გოჭუნას გვერდები მოუქექა და ფიქრიანად თქვა:

_ შენ ცოცხალი ხარ, გოჭუნა! რა ვუყოთ, ყველას თავისი ბედი აქვს. შენ გადარჩი!

ემილს უნდოდა, რაც შეიძლება მალე დავიწყებოდა ბასტეფალში ნაყიდი გოჭი. ჰოდა, მეორე დღეს, როცა კრიუსე-მაია და ლინა სამზარეულოში ისხდნენ და ხორცს წვრილ-წვრილად კუწავდნენ, ემილის დდა კი საძეხვე ფარშს ამზადებდა და ღორის ბარკალიც მოჭრა მარილწყალში ჩასადებად, ლინა რომ მღეროდა «ზღვიდან უბერავს ცივი ქრებიო», ხოლო კრიუსე-მაიამ დაიწყო ამბის მოყოლა პასტორის სახლის სხვენზე მცხოვრებ უთავო მოჩვენებაზე, ემილს გაეცინა. ის უკვე ბასტეფალურ გოჭზე კი აღარ ფიქრობდა, არამედ მოახლოებულ ახალ წელზე და ხარობდა, რომ როგორც იქნა, მოთოვა.

_ თოვლმა დაფარა მთელი ქვეყანა, _ გაჰკიოდა დაიკო იდა. ასე ამბობენ ხოლმე სმოლანდში, როცა ბევრ თოვლს ჩამოყრის.

თოვლმა მართლაც დაფარა ყველაფერი. დღის ბოლოს მოუმატა თივას და ისეტი ქარბუქი ამოვარდა, შინიდან ბაკსაც ვეღარ დალანდავდი.

_ როგორ ბარდნის, გზას სულ დანამქრავს და შინ როგორ უნდა წავიდე? _ აწუწუნდა კრიუსე-მაია.

_ დარჩი ამაღამ! _ შესთავაზა ემილის დედამ. _ ლინასთან ერთად დაწექი დივანზე.

_ ოღონდ, თუ ღმერთი გწამს, წყნარად იწექი, თორემ, ხომ იცი, ღიტინის მეშინია, _ გააფრთხილა ლინამ.

ნავახშმევს ალფრედმა დაიჩივლა, თითი მტკივა, ისე მწიწკნის მეტის მოთმენა აღარ შემიძლიაო. ემილის დედამ გაუხსნა სახვევი, ვნახოთ, როგორაა საქმეო, მაგრამ კარგი არფერი დაუნახავს: თითი გასიებულიყო და ანთების სიწითლე მაღლა-მაღლა წასულიყო.

კრიუსე-მაიას თვალები აენთო:

_ ვაიმე, სისხლი ეწამლება! საშიში ამბავია!

ემილის დედამ კარადიდან სულემისხსნაირანი ბოთლი გამოიღო და ალფრედს ხელზე საფენი დაადო.

_ დილამდე თუ უკეთესობა არ დაეტყო, მარიანელუნდში ექიმთან მოგიწევს წასვლა, _ უთხრა დედამ.

მთელი ღამე გადაუღებლად თოვდა _ სმოლანდში ისეთი ქარბუქი მძვინვარებდა, რომლის მსგავსიც არავის ახსოვს. დილას ხუტორი კატხულტი ლამის თოვლში იყო ჩამარხული. ქარბუქი კი არა ცხრებოდა, გამეტებით ბარდნიდა და ისეთი ცივი ქარი ქროდა, გარეთ ცხვირს ვერ გამოყოფდი. ქარი გულსაკლავად ზუზუნებდა. ასეთი ქარბუქი ას წელიწადში ერთხელ თუა ხოლმე.

_ ალფრედ მთელი დღე თოვლის ხვეტა მოუწევს, _ თქვა დილით ლინამ. _ მაგრამ ისე თოვს, ალბათ, არც ღირს ხელის მოკიდება.

მაგრამ ალფრედს იმ დღეს თოვლი არ უხვეტია. როცა ყველანი სასაუზმოდ დასხდნენ, ალფრედის ადიგლი ცარიელი დარჩა. თურმე დილითაც არავის დაუნახავს. ემილი შეშფოთდა. ადგა, თავზე კეპუკა ჩამოიფხატა, შინნაქსოვი მაუდის თბილი ქურთუკი ჩაიცვა და სამზარეულოდან გამოვიდა. კარს უკან დადებული ნიჩაბი აიღო და გზის გაკვალვა დაიწყო ფარდულის მინაშენისაკენ, სადაც ალფრედი ცხოვრობდა.

ლინამ სამზარეულოს ფანჯრიდან დაინახა ემილი და კმაყოფილმა დაიქნია თავი.

_ დიდი ჭკვიანია ეს ემილი, იცის, რომ პირველად ფარდულისაკენ უნდა გაკვალოს გზა. მერე შეუძლია რამდენიც უნდა, იმდენი იცელქოს!

სულელი ლინა, ვერც მიხვდა, ემილი რომ ალფრედთან მიდიოდა.

ალფრედის ოთახში რომ შევიდა, ისე ციოდა, რომ ემილი გაოცდა. ალფრედს ღუმელი არ აუნთია. იწვა ტახტზე და წამოდგომის თავი არა ჰქონდა. ჭამითაც არაფრის ჭამა არ უნდოდა.

_ არ მშია, _ თქვა მოკლედ.

ემილი კიდევ უფრო შეშფოთდა. ალფრედს თუ ჭამა არ უნდოდა, მაშინ სერიოზულად არის ავადო.

ემილმა ღუმელი აანთო და დედასთან გაიქცა. მოირბინა ემილის დედამ, თან ემილის მამა, ლინა, კრიუსე-მაია და დაიკო იდაც მოჰყვნენ. ყველა ძალიან შეაშფოთა ალფრედის მდგომარეობამ.

საწყალი ალფრედი იწვა და თვლემდა. და თუმცა ღუმელივით ხურდა, მაინც კბილს კბილზე აცემინებდა. წითელი ლაქები მხრამდე ასულიყო, პირდაპირ შეგეშინდებოდა.

კრიუსე-მაიამ ფიქრიანად გაიქნია თავი.

_ თუ დამიჯერებთ, ასეთი ლაქები რომ კაცს გაუჩნდება, იმის დღეები დათვლილია _ ნამდვილად მოკვდება.

_ გაჩუმდი, _ გააწყვეტინა ემილის დედამ, მაგრამ არც ისე იოლი იყო კრიუსე-მაიას გაჩუმება.

_ მარტო ლიონებერგაში ნახევარი დუჟინი ადამიანი მაინც ვიცი, სისხლის მოწამვლისაგან მკვდარი, _ თქვა კრიუსე-მაიამ და ყველა ჩამოთვალა. _ ახლა ალფრედიც იღუპება, _ დაასრულა ვიშვიში.

მისი აზრით, ალფრედს მხოლოდ ერთი რამ უშველიდა: უნდა მოვჭრათ ერთი ბღუჯა თმა, მოეხიათ პატარა ნაკუწი მისი პერანგისათვის, შუაღამეზე სახლის ჩრდილოეთით მიწაში ჩაეფლათ და შეელოცათ. ერთი საიმედო, ბევრჯერ ნაცადი შელოცვა ვიციო, ამბობდა:

ჯვარი, ჯვარი, ჯვარსაო,
მშვიდობა ამ კარსაო!
ეშმაკს ჩვენთვის რაც უნდა,
თვით დაატყდეს თავსაო!

მაგრამ ემილის მამამ მარი არ აუბა. ალფრედმა ეშმაკს მაშინ შეულოცა, როცა თითი გაიჭრაო, უთხრა. ახლა კიდე, თუ საჭიროა, შუაღამისას სახლის ჩრდილოეთით მიწაში რაიმეს ჩაფლა, შენ თვითონ გააკეთეო. კრიუსე-მაიამ თავი გადააქნია.

_ ვაი, ვაი, ლააპრაკი არ უნდა, ეს საქმე ცუდად დამთავრდება.

ემილი გადაირია.

_ ნუ წუწუნებ და ნუ მოთქვამ! _ უთხრა ბრაზიანად. _ ალფრედი მალე მომჯობინდება, შენი თვალი ნახავ!

კრიუსე-მაია სხვანაირად ამღერდა:

_ კი, ჩემო ემილ, გამოჯანმრთელდება, მაშ, რა იქნება. _ მან მეტი დამაჯერებლობისათვის ხელიც შეახო უმოძრაოდ მწოლ ალფრედს და ხმამაღლა გაუმეორა:

_ მორჩები, ალფრედ, მაშ, ეჭვიც არ მეპარება, რომ მორჩები!

მერე თვალმოჭუტულმა გახედა ალფრედის ოთახის ვიწრო აკრს და ჩაიბუტბუტა:

_ ვერ წარმომიდგენია, როგორ გაატევენ ამ კარებში კუბოს.

ემილმა გაიგონა მისი ნათქვამი და ატირდა. მერე შეშინებულმა მოქაჩამამას ქურთუკი:

_ დედამ ხომ თქვა, ალფრედი მარიანელუნდში უნდა წავიყვანოთ ექიმთანო.

ემილის დედამ და მამამ რაღაც უცნაურდა გადახედეს ერთმანეთს. ამ გაუთავებელი თოვის გამო მარინელუნდში წასვლა შეუძლებელი იყო, ეს მათ კარგად ესმოდათ. გამოსავალი არ ჩანდა. მაგრამ როგორ გააგებინონ ემილს? ამიტომ იდგნენ ნაღვლიანად თავდახრილები. ემილის მამასაც და დედასაც ძალიან უნდოდათ ალფრედის გადარჩენა, მაგრამ ვერ მოეფიქრებინათ, რა ეღონათ. ამიტომ დუმდნენ ასე გამშრალები.

ემილის მამა ასევე უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან. ემილი არ მოეშვა, უკან დაედევნა, ტიროდა, ეხვეწებოდა, ყვიროდა, ემუქრებოდა, ილანძღებოდა კიდეც. რაზეც, წარმოიდგინე, მამა არც გაჯავრებია, მხოლოდ ჩუმად უმეორებდა:

_ ეს შეუძლებელია. თავადაც ხომ იცი, რომ ეს ახლა შეუძლებელია.

ლინა სამზარეულოში იჯდა და ბღაოდა: _ მე ვფიქრობდი, გაზაფხულზე დავქროწინდებით-მეთქი. თურმე ტყუილად მქონდა იმედი. ალფრედი მოკვდება, მე კი გაბრიყვებული დავრჩები, ოთხი ზეწრისა და ნახევარი დუჟინი პირსახოცების ამარა. ვაიმე, ჩემო თავო!

ბოლოს და ბოლოს, ემილი მიხვდა, როგორც იყო საქმე: დახმარებით ვერავინ დაეხმარებოდა. იგი დაბრუნდა ალფრედის ოთახში და მთელი დღე იქ გაატარა. ეს იყო ყველაზე გრძელი დღე მის ცხოვრებაში. ალფრედი უგონოდ იწვა. მხოლოდ ხანდახან ახელდა თვალებს და ერთსა და იმავეს კითხულობდა: ემილ, აქა ხარ?».

ემილი ფანჯრიდან ხედავდა, რომ ქარბუქი არა ცხრებოდა და მას ისე მთელი არსებით სძულდა ის თოვლი, რომ ეგონა, ჩემს გულში დატრიალებულ ცეცხლს მარტო ლიონებერგის კი არა, მთელი სმოლანდის ზვავების გადნობა შეუძლიაო, მაგრამ ისე ხვავრიელად თოვდა და თოვდა, ემილს გული უკანკალებდა, ეს თოვლი მთელ ქვეყანას დაფარავსო.

საერთოდ ზამთრის დღეები მოკლეა, იმისათვის კი, ვინც ემილივით ზის და რამეს ელოდება, აუტანლად გრძელი. კატხულტში ბინდი ჩამოწვა და საცაა ღამეც ესტუმრებოდა.

_ აქა ხარ, ემილ? _ ჰკითხა ალფრედმა, ოღონდ შეეტყო, რომ ამ სიტყვების თქმა კიდევ უფრო გაუჭირდა.

ემილის დედამ ბულიონი მოიტანა და ემილს ერთი ფინჯანი ძალისძალად შეასვა. შეეცადა კოვზით ალფრედისთვისაც დაელევინებინა, მაგრამ წვეითიც ვერ გადააყლაპა. დედამ ამოიოხრა და წავიდა.

გვიან საღამოს ლინა მივიდა და ემილი გააფრთხილა, შენი ძილის დროაო. არა, ტყუილად ჰქონდა იმედი, ემილი ალფრდს მიატოვებსო.

_ იატაკზე დავწვები ალფრედის გვერდით, _ უთხრა მილმა მტკიცედ. ასეც მოიქცა.

იპოვა ძველი ლეიბი და ჩულო, დასაწოლადაც მეტი არაფერი სჭირდებოდა. ოღონდ ვერ დაიძინა. იწვა თვალღია და უყურებდა ღუმელში გიზგიზა ნაკვერჩხლებს, უსმენდა მაღვიძარას ტიკტიკს, ალფრედის მძიმე სუნთქვას და დროდადრო კვნესასაც. ზოგჯერ ემილს ჩასთვლემდა, მაგრამ მაშინვე წამოხტებოდა ხოლმე. არ ასვენებდა დარდი, რომ საბედისწერო შეცდომას უშვებდნენ: მალე გვიან იქნებოდა _ უბედურება დატრიალდებოდა.

დილის ოთხ საათზე ემილი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რა უნდა ექნა: ალფრედი როგორმე მარიანელუნდში უნდა წაეყვანა ექიმთან, თუნდაც ორივენი გზაში დაღუპულიყვნენ.

«არ შეიძლება ასე ლოგინში წოლა და სიკვდილის მორჩილად ლოდინი. არა, ეს არ მოხდება!»

ემილს ხმამაღლა არაფერი უთქვამს, მხოლოდ გაიფიქრა, სამაგიეროდ, მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო და შეუდგა კიდეც მის განხორციელებას. გამგზავრება მანამდე უნდა მოესწროთ, სანამ ხუტორი გაიღვიძებდა, თორემ ხელს შეუშლიდნენ განზრახულის შესრულებაში. საამისოდ ერთი საათი ჰქონდა. ხუთზე ლინა ადგებოდა ძროხების მოსაწველად. ამ ერთ საათში უნდა მოეხერხებინა ყველაფერი: ფარდულიდან გამოეთრია მარხილი, თავლიდან გამოეყვანა ლუკასი, შეება შიგ და, რაც მთავარია, ლოგინიდან აეყენებინა და როგორმე მარხილამდე მიებობღებიან ალფრედი. ეს ყველაფერი ძნელი გამოდგა. საწყალი ფეხზე ძლვის იდგა და მთელი თავისი სიმძიმით აწვა ემილს. მარხილამდე ასე გაჭირვებით მილასლასდა და მოცელილივით დაეცა შიგ გაშლილ ტყაპუჭზე. აღარც განძრეულა, თითქოს მოკვდაო.

ემილმა დაახურა და ყოველი მხრიდან ასე გულმოდგინედ ამოუკეცა მეორე ტყაპუჭი, რომ ალფრედს ცხვირიღა მოუჩანდა. თვითონ კი კოფოზე აძვრა, სადავე მოქაჩა და ლუკასს შეუძახა.

მაგრამ ლუკასი ადგილიდან არ დაიძრა. მხოლოდ თავი მოაბრუნა და გაკვირვებით შეხედა ემილს. ნუთუ იგი სერიოზულად სთავაზობს ასეთ ქარბუქში ეზოდან გასვლას? არ ესმის, ახლა გამგზავრება რომ არ შეიძლება?

_ უფროსი მე ვიქნები. ყველაფერს დამიჯერებ. ჩვენ ამწუთასვე გავუდგებით გზას, _ მკაცრად თქვა ემილმა. _ შენ კი, ლუკას, გვატარე, როგორც შეძლებ!

ამ დროს სამზარეულოში სინათლე აინთო, მაშასადამე, ლინა ადგა. წუთის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა. როგორც იქნა, ემილმა მოახერხა ხუტორიდან შეუმჩნევლად გასვლა და, თუმცა თოვლი თვალებში ეყრებოდა, ლუკასი შარაგზისაკენ წაიყვანა.

ოჰ, რა რისხვით დაატყდა თავს ქარბუქი! ყურებში ქარი უზუზუნებდა, ისე თოვდა, ცა დაბლა ჩამოდიოდა, არაფერი ჩანდა და ემილს ეშინოდა, გზიდან არ გადავიდეთო. ხელთათმნით იფერთხავდა სახიდან თოვლს, მაგრამ გზას მაინც ვერ ხედავდა, თუმცა მარხილზე ორი ფარანი ეკიდა. გზა საერთოდ არც იყო _ იყო მხოლოდ თოვლის ზვინები.

ემილი იმედს არ კარგავდა, ლუკასი ხშირად დადიოდა მარიანელუნდში და იქნებ თავად გაიგნოს გზაო. შეუპოვარ და ამტან ლუკასს ასეთ ქარბუქში ვერავინ შეედრებოდა. ნელ-ნელა, ჯიუტად მიათრევდა მარხილს ნამქერებს შუა. ბიძგებისაგან ლამის ყოველ წუთს აყირავებულიყვნენ, მაგრამ მაინც წინ მიიწევდნენ. ემილი წარამარა ჩამოდიოდა მარხილიდან და ნიჩბით გზიდან თოვლს ხვეტავდა, პატარა მოზვერივით ღონე ერჩოდა. რაც ამ მგზავრობაში თოვლი გადახვეტა, იმას ვერაფერი დაავიწყებდა!

_ როცა საჭიროა, ღონეს მოიკრებ, _ ეუბნებოდა ლუკასს.

მართლაც, ემილი ღონიერი იყო. პირველ ვერსზე საქმე გვარიანად მიუდიოდათ. მერე კი გაუჭირდა, უზომოდ დაიღალა, ნიჩაბი ტყვიასავით დამძიმდა და მის სახმარად ღონე აღარ ყოფნიდა. თანაც გაითოშა, ფეხსაცმელები თოვლით აევსო, თვალებიდან ცრემლები სცვიოდა. სიცივისაგან თითები გაუშეშდა, ყურები მოეყინა, თუმცა კეპუკას ზემოთ შარფი ჰქონდა თავზე შემოხვეული. ეს ყველაფერი ერთად ნამდვილად აუტანელი იყო და ემილიც თანდათან კარგავდა მხნეობას. მამა მართალი იყო, როცა ეუბნეობდა: გამგზავრება შეუძლებელიაო.

ლუკასსაც ქანცი გაუწყდა. მარხილი ნამქერებს შორის ძლივს მიიკვლევდა გზას და ბოლოს და ბოლოს მოხდა ის, რისიც ემილს ასე ეშინოდა: მარხილი მკვეთრად გადაიხარა და გაჩერდა. ემილი მიხვდა, რომ ორმოში ჩაცვივდნენ.

საეჭვო აღარაფერი იყო: ისინი ორმოში ჩაცვივდნენ და შიგ ჩარჩნენ. ლუკასი ფლოქვებით აწვებოდა ორმოს გვერდებს და მარხილს ექაჩებოდა, ემილი უკნიდან უბიძგებდა და ისე დაიძაბა, ცხვირიდან სისხლიც კი წასკდა. ამაოდ _ მარხილი ადიგლიდანაც ვერ დაიძრა.

გაშმაგდა ემილი, ისე გამწარდა იმ თოვლზეც, მარხილზეც, ორმოზეც და საერთოდ, მთელ ქვეყანაზეც, რომ ლამის გონება დაუბნელდა. დაჰკივლა, მაგრამ რა დაჰკივლა, პირველყოფილი ადამიანის კივილი გეგონებოდა. ლუკასი შეშინდა, ალბათ, ალფრედიც შეკრთა, თუმცა სიცოცხლის ნიშან-წყალიც არ დასტობია. უცებ ემილს ისე შეეშინდა, რომ გონს მოეგო.

_ ისევ ცოცხალი ხარ, ალფრედ? _ ჰკითხა ხმააკანკალებულმა.

_ არა, უკვე მოვკვდი, _ უპასუხა ალფრედმა ჩახრინწული, რაღაც უცნაური, შემაშფოთებელი ხმით.

ემილს წამსვე გაუარა ბოღმამ და სიბრაზემ და ყოვლისმომცველი სასოწარკვეთა დაეუფლა. მარტო იყო ამ ქვეყანაზე, გვერდით არავინ ჰყავდა, რომ დახმარების ხელი გამოეწოდებინა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ყველაფერს პირდაპირ თოვლზე დაწოლა და დაძინება ერჩია.

გზის შორიახლო, ოდნავ განზე, ხუტორი მოჩანდა და ემილმა უცებ ბოსელში აციმციმებულ შუქს მოჰკრა თვალი. ისევ აუკიაფდა იმედი გულში.

_ წავალ, დახმარებას ვთხოვ, _ უთხრა ალფრედს.

ალფრედს არაფერი უპასუხია და ემილი გზას გაუდგა. ძლვის მიდიოდა, ნამქერები უღობავდა გზას. როცა ბოლოს და ბოლოს, ბოსლი კარებში გამოჩნდა, თოვლის ბაბუას უფრო ჰგავდა, ვიდრე ბიჭს.

ხუტორის პატრონი ბოსელში ფუსფუსებდა, კატხულტელი ემილი რომ დაიანხა, გაშეშდა, ბიჭი თოვლში ამოგანგლულიყო, ცხვირიდან სისხლი სდიოდა, თავს ვეღარ იკავებდა. იცოდა, არც ისე იოლი იყო ასეთ ქარბუქში ამ გაქირი და უჟმური გლეხის შინიდან გატყუება. მაგრამ გლეხი ამჯერად მიხვდა, რომ უნდა წასულიყო. ბურდღუნით გამოიყვანა თავისი ცხენი, თან თოკიც გამოაყოლა და მარხილი ორმოდან ამოათრია.

ამ გლეხს რომ სინდისის ნატამალი მაინც ჰქონოდა, ემილს მარიანელუნდამდე გააცილებდა, მაგრამ ის ასე არ მოიქცა. ემილსა და ლუკასს მარტო მოუხდათ ნამქერებში გზის გაგრძელება. თავს არც ერთი არ ზოგავდა, ორივენი წელში გაწყდნენ და მაინც მეტისმეტად ნელა მიბობღავდნენ. და აი, დადგა წუთი, როცა ემილმა ფარ-ხმალი დაყარა. მორჩა, ქარბუქთან ბრძოლა აღარ შეეძლო. ნიჩბის ხელში აღების ძალაც კი აღარ ჰქონდა.

_ მეტი აღარ შემიძლია, ალფრედ, _ ამოილუღლუღა ემილმა და ისევ ატირდა. მარიანელუნდამდე რამდენიმე კილომეტრი იყო დარჩენილი და იმის შეგნება, რომ მიზანთან ასე ახლოს იხევდა უკან, განსაკუთრებით მძიმე იყო მისთვის.

ალფრედი არც განძრეულა.

«ალბათ, მოკვდა», _ გაიფიქრა ემილმა. ლუკასი თავჩაქინდრული იდგა. ეტყობოდა, რცხვენოდა. აღარც მას შეეძლო ფეხის გადადგმა. ემილი კოფოზე დაჯდა და გაშეშდა. იგი ჩუმად ტიროდა, თოვლმა დაფარ, მაგრამ არც ინძრეოდა. დამთავრდა ყველაფერი! რამდენიც უნდა, იმდენი თოვოს, ახლა მისთვის სულ ერთია.

ემილს თვალები ეხუჭებოდა, ძილს ვეღარ ერეოდა. ალბათ, რა სასიამოვნოა, იჯდე ასე კოფოზე და თოვლში გეძინოსო, _ ფიქრობდა.

ჰოდა, უცებ შეამჩნია, რომ მის გარშემო თოვლი აღარ იდო და, საერთოდ, ზამთარი კი არა, ზაფხული იყო. ის და ალფრედი კატხულტის ტბაში ბანაობდნენ. ალფრედი ცდილობს როგორმე ცურვა ასწავლოს ემილს. სულელი ალფრედი! განა არ იცის, რომ ემილი უკვე ცურავს. რამდენიმე წლის წინ თვითონ არ ასწავლა? ნუთუ დაავიწყდა? ემილმა აჩვენა, რა კარგად ცურავდა და მათ ერთად გაცურეს, სულ უფრო და უფრო სცილდებოდნენ ნაპირს. უცებ ზანზალეკბის წკრიალი გაიგონა. რა საოცარია: როცა ცურავენ, ზანზალაკები არ წკრიალებს!

ემილი გამოფხიზლდა, ტანჯვით გაახილა თვალი და დაინახა თოვლსაწმენდი! წარმოგიდგენია, გამძვინვარებულ ქარბუქში ნელ-ნელა მოდიოდა თოვლსაწმენდი და გზას ასუფთავებდა მარიანელუნდისაკენ. მზიდავმა ემილი რომ დაინახა, თვალები ისე დააჭყიტა, თითქოს კატხულტელი ემილი კი არა, მოჩვენება დაენახოს.

_ მარიანელუნდამდე გზა გაწმენდილი? _ მედი ჩაეწურა გულში ემილს.

_ კი, _ უპასუხ მზიდავმა. _ ოღონდ აჩქარდი, თორემ ნახევარ საათში ისევ წანამქრავს.

მაგრამ ემილს ნახევარი საათიც ეყო.

როცა ექიმის მისაღებში შეირბინა, იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი. ექიმამ სწორედ იმ დროს გამოაღო კარი შემდეგი ავადმყოფის შესაყვანად. ემილმა დაინახა და ისე შეჰყვირა, ყველა შეაკრთო:

_ ალფრედი მარხილში წევს და კვდება!

ექიმი არ დაიბნა. რიგის მომლოდინე რამდენიმე მოხუცთან ერთად ეზოში გავარდა. ალფრედი შემოიყვანეს და საოპერაციო მაგიდაზე დააწვინეს. ალფრედს თვალი ეავლო თუ არა, ექიმმა თავის პაციენტებს გასძახა:

_ შინ წაბრძანდით ყველა! დღეს ვერც ერთს ვერ მიგიღებთ!

ემილი ფიქრობდა, ალფრედი ქიმთან თუ მივიყვანე, გადარჩებაო, ახლა კი, რომ დაინახა, ექიმი კრიუსე-მაიასავით იქნევს თავსო, შეშინდა, ვაითუ, უკვე გვიანაა, ვაითუ აღარაფერი ეშველოსო. ეს რომ გაიფიქრა, გული დაეწურა ტკივილისაგან და თვალცრემლიანი შეევედრა ექიმს:

_ ოღონდ ალფრედი გადაარჩინეთ და ჩემს ცხენს მოგცემთ! გოჭსაც მოგცემთ, ექიმო, ოღონდ უშველეთ! მითხარით, ხომ უშველით, მითხარით!

ექიმმა ყურადღებით შეხედა ემილს და უპასუხა:

_ ძალ-ღონეს არ დავიშურებ, მაგრამ წინასწარ ვერაფერს დაგპირდები.

ალფრედი ჩუმად იწვა, სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. უცებ თვალი გაახილა და გაკვირვებულმა შეხედა ემილს:

_ ემილ, შენ აქა ხარ?

_ ჰო, აქაა, _ უპასუხა ექიმმა. _ მაგრამ ჯობს გავიდეს, შენ უნდა მოგხედო, ჩირქგროვა უნდა გაგიჭრა.

ალფრედს თვალებზე შეეტყო, რომ შეეშინდა, არ იყო ექიმებს მიჩვეული.

_ მე მგონი, ეშინია, _ თქვა ემილმა. _ იქნებ უკეთესია, მის გვერდით დავდგე?

ექიმამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ემილი ორივე ხელით ჩააფრინდა ალფრედის გაყინულ ხელს და იდგა ასე, სანამ ექიმმა მეორე ხელზე ჩირქგროვა არ გაუკვეთა. ალფრედს ხმა არ გაუღია, არც ყვიროდა და არც ტიროდა, სამაგიეროდ ემილს სდიოდა ცრემლი, თუმცა ამას თვითონაც ვერ ამჩნევდა.

ემილი და ალფრედი შინ რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდნე. მისი სიყოჩაღის ამბავი მთელმა ლიონებერგამ გაიგო, ყველა აქებდა და ადიდებდა.

«კატხულტელი ემილი ყოველთვის გვიყვარდა, _ ამბობდნენ ახლა. _ გასაოცარია, რაზე ლანძღავენ ან რას უჩივიან? მართალია, ცელქია, მაგრამ ბიჭი ისე სად გაზრდილა, რომ არ ეცელქოს!»

ემილმა დედას და მამას ექიმის წერილი ჩაუტანა და იქ, სხვა ამბებთან ერთად, ეწერ: «ისეთი ბიჭი გყავთ, შეგიძლიათ იამაყოთ». ემილის დედამ ამის მერე ლურჯ რვეულში აი, რა ჩაწერა: «როგორ გამიხარა გული! თორემ ხშირად სასოწარკვეთა მეუფლებოდა ხოლმე ემილის გამო. იქნებ ვიცოცხლო იმ დღემდე, ლიონებერგელები ჩემს ბიჭს რომ დააფასებენ!».

მანამდე კი რა ძნელი დღეები გადაიტანეს ხუტორში! იმ ბედუკუღმართ დღეს, ემილი და ალფრედი რომ გაიპარნენ, ემილის მამა ისე განერვიულდა, მუცლის გვრემა აუტყდა და ლოგინში ჩაწვა. ფიქრობდა, მორჩა, ემილს ვეღარ ვნახავო. მერე, მართალია, მარიანელუნდიდან მოუვიდათ ამბავი და დამშვიდდა, მაგრამ მუცელი მაინც ტკიოდა, სანამ ემილი არ დაბრუნდა და საწოლ ოთახში არ შევარდა მამის გასახარებლად, საღ-სალამათი დაგიბრუნდიო.

მამამ შეხედა ემილს და თვალები აუწყლიანდა.

_ კარგი ბიწი ხარ, ემილ, _ უთხრა შვილს და ემილი ისე ბედნიერი ყო, გული საგულეში აღარ ეტეოდა. ეს ერთ-ერთი ისეთი დღე იყო, როცა თავისი მამა უყვარდა.

ემილის დედამ ეს რომ გაიგონა, სიამაყისაგან თვალები გაუბრწყინდა.

_ ჰო, ყოჩაღია ჩვენი ემილი, _ თქვა და აბურძგნილ თავზე ხელი გადაუსვა.

ემილის მამა, როგორც გითხარით, უკვე იწვა და საBთბურის მაგივრად მუცელზე ქვაბის ხუფი ედო. ხუფი უკვე გაცივდა და ისევ გაცხელება იყო საჭირო.

_ მოდით, მე წავალ, _ ფიცხლად წამოიძახა ემილმა, _ მე ახლა ავადმყოფების მოვლის ოსტატი ვარ.

მამამ, აშკარად კმაყოფილმა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და დედას მიუბრუნდა:

_ ჩენ კი ერთი ჭიქა წვენი დამისხი.

მამას ახლა რაღა უჭრიდა, იწვა ლოგინში და ყველა თავს დასტრიალებდა!

ემილის დედას სამზარეულოში ჰქონდა კიდევ საქმე და ცოტაოდენი დრო გავიდა, სანამ მამას წვენს დაუსხამდა. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ყველაფერი მზად ჰქონდა, საზარელი ღრიალი გაიგონა. ეს ემილის მამა ყვიროდა. დედა მაშინვე საწოლი ოთახისაკენ გაქანდა. მისი ოთახში შევარდნა და კარისკენ ქვაბის ხუფის გამოფრენა ერთი იყო.

საბედნიეროდ, დედამ გვერდზე გახტომა მოაწრო, მაგრამ შეშინებულმა მთელი წვენი სახურავზე დაღვარა. გაისმა საშინელი შიში და ხუფმა ორთქლი აუშვა.

_ შე საცოდავო, ეგრე რატომ გაახურე ხუფი? _ ჰკითხა დედამ ემილს, რომელიც დაბნეული იდგა.

_ მეგონა, ისე უნდა გამევარვარებინა, როგორც რკინა სამჭედლოში, _ ჩაიბუტბუტა შეწუხებულმა.

ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ სანამ ემილი ხუფს აცხელებდა, მამამ ჩათვლიმა. როცა ემილი საწოლ ოთახში დაბრუნდა და ტკბილად ჩაძინებული მამა დაინახა, იფიქრა, აღარ გავაღვიძებო, ჩუმად გადახადა საბანი და ქვაბის ხუფი ფრთხილად დაადო მამას მუცელზე.

ემილის დედა, რაც შეეძლო ამშვიდებდა და აიმედებდა მამას.

_ მოიცა, მოიცა, ამ წუთას მალამოს წაგისვამ და ასეთი წვა აღარ გექნება.

მაგრამ ემილის მამა ლოგინში აღარ გაჩერდა.

_ როცა ემილი სახლშია, წოლა როგორ შეიძლება, _ თქვა ხვნეში, თანაც ალფრედის ნახვასაც ეშურებოდა.

ჯერ კიდევ ფერდაკარგული ალფრედი სამზარეულოში იჯდა და, თუმცა ხელი დოლბანდით ჰქონდა ჩამოკიდებული, ძალიან მხიარული და ბედნიერი იყო. ლინა გახარებული ფუსფუსებდა მის გარშემო. ალფრედი რომ ჩამოვდა, ის და კრიუსე-მაია სპილენძის ჭურჭელს წმენდდნენ. ყველა ქვაბს, ტაფასა და ჩაიდანს საახალწლო დღესასწაულისათვის ხომ ოქროსავით უნდა ებრწყინა-ელაპლაპა! ლინა კი საქმე სგულს ვეღარ უდებდა, ალფრედს არ შორდებოდა, ხან წვენს მიართმევდა, ხან _ ნამცხვარს. ალფრედს არც დაიკო იდა აცილებდა თვალს, მოჯადოებულივით უყურებდა, თითქოს თვალს არ უჯერებს, რომ ნამდვილად ალფრედიაო.

კრიუსე-მაია თავისი გაწმენდილი სპილენძის თასივით ბრწყინავდა, გახარებული ენას ვეღარ აჩერებდა და სისხლის მოწამვლაზე იმდენი იქაქანა, რომ ბოლოს და ბოლოს ასლუკუნდა:

_ შენ ისე გაგიმართლა, როგორც არავის, იმიტომ, რომ ყველაფერმა ისე ჩაიარა, არავისთვის რომ არ ჩაუვლია. ისე ჩაგიარა, როგორც უნდა ჩაევლო ადამიანისთვის, რომელსაც შენსავით გაუმართლა. მაგრამ გინდა დაიჯერე, გინდა არა, მე უკვე ზუსტად ვიცი, რომ სისხლის მოწამვლა, ესე იგი, მისხლის შეწამვლა, არა, ესე იგი სისხლის მოწამვლა, ისეთ ავადმყოფობის საშინელებაა, ესე იგი, ისეტი საშინელი ავადმყოფობაა, რომ ადამიანი როცა მორჩება, მაშინაც ავადაა, არც ავადაა, მაგრამ არც კარგად, არც კარგადაა, არც ავადაა, არც კარგადაა, კარგადაა, არც ავადაა, შავადაა, ხარადაა, ფუი, მომძვრა ენა!

რა მშვენივრად გაატარეს ის საღამო! ემილის დედამ ვახშამზე საახალწლოდ გამზადებული შინაური ძეხვი მოიტანა და დაიწყო ქეიფი. ყველანი _ ემილიც, დედაც, მამაც, დაიკო იდაც, ალფრედიც, ლინაც და კრიუსე-მაიაც ისხდნენ სადღესასწაულოდ დალაგებულ, სპილენძის ქვავებით ალაპლაპებულ სამზარეულოში, სანთლებით აციმციმებული სუფრის გარშემო და გულით მხიარულობდნენ. ძეხვი დიდებული გამოვიდა _ ვარდისფერი, კანკრაწუნა, ისეთი, რომ თითებს ჩაიკვნეტდი! ძეხვს ცოცალ, ყინვადაკრულ წითელ მოცვს ატანდნენ. ალფრედი გამგელებული სანსლავდა, თუმცა ცალი ხელით ჭამა უჭირდა.

ლინა წარამარა ნაზად გადახედავდა ხოლმე, მერე I უცებ ჰკითხა:

_ გამიგონე, ალფრედ, რადგან ეგ სისხლის მოწამვლა არ აღმოჩნდა, რაღა შეგვიშლის ხელს, რომ გაზაფხულზე დავქორწინდეთ, ჰა?

ალფრედს ელდისაგნ ლუკამ ყელზე დაადგა და მთელი მუჭა წითელი მოცვი დაეყარა მუხლებზე.

_ გაზაფხულამდე დიდი დროა! _ ჩაიბუზღუნა ცხვირჩამოშვებულმა. _ გაითვალისწინე, რომ იქამდე შეიძლება მეორე თითი დამიჩირქდეს და, კაცმა არ იცის, საქმე როგორ დამთავრდება. შეიძლება ისევ სისხლის მოწამვლა დამემართოს!

_ ოღონდ მხედველობაში იქონიე, რომ მაშინ აქ, კატხულტში დაიმარხები, _ აჰყვა ემილი. _ მეორედ არაფრით არ წაგიყვა მარიანელუნდში.

აი, ასე ისხდნენ ყველანი, სანთლის ციმციმა შუქით განათებულნი, უდარდელები და მხიარულები. უეცრად ემილის დედამ გამოსწია მაგიდის უჯრა, ამოიღო ექიმის წერილი და ისევ დაიწყო ხმამაღლა კითხვა:

_ «ერთხელ კიდევ მოუსმინონ», _ გადაწყვიტა გულში.

სუფრასთან მსხდომთ თავი გაანებეს ჭამას და სმენად იქცნენ. მაგიდაზე სიჩუმე ჩამოწვა, იმიტომ, რომ ექიმმა შესანიშნავი წერილი მოიწერა.

_ ეს ყველაფერი შენზე წერია, ემილ!

ემილი იჯდა უხერხულობისაგან სახეაყაყაჩოებული და აღარ იცოდა, სად წასულიყო. ყველა სიყვარულით სავსე თვალებით უცქეროდა, ის კი ვერ იტანდა, როცა ასე უყურებდნენ. ამიტომ ნაღვლიანად შეტრიალდა ფანჯრისაკენ. დამამშვიდებელი არც ფანჯრის მიღმა ჩანდა რამე. ისევ წამოყარა თოვლი. ჰოდა, ვინ-ვინ, მაგრამ ემილმა კარგად იცოდა, ვის მოუწევდა მისი გადახვეტა.

ბოლოს და ბოლოს, მან ერთი ნაჭერი ძეხვი კიდევ აიღო და ლოღნა დაუწყო. იჯდა თავჩაქინდრული, მხოლოდ დროდადრო აიხედავდა და ისევ დახრიდა თავს. შინაურები ისევ გაცისკროვნებული თვალებით ელოლიავებოდნენ. დედა ისევ ბედნიერი ღიმილით მისჩერებოდა, ძალიან სიამოვნებდა თავისი საყვარელი ბიჭის ყურება. სიტყვა მოიტანა და, მართლაც კარგი სანახავი იყო: გინდა აღგიწერო? ცისფერთვალა, პირმრგვალი, ლოყებდაბრაწული, ოქროსქოჩრიანი _ ერთი სიტყვით, ნამდვილი ანგელოზი იყო, ნამდვილი! თანაც ექიმი ხომ წერდათ, უნდა იამაყოთ თქვენი შვილითო, და დედაც ამაყობდა.

_ უცნაურია, მაგრამ ყოველთვის, როცა ეილს ვუცქერი, ჩემს თავს ვეკითხები: ნუთუ მისგან დიდი ადამიანი არ გამოვა-მეთქი, _ თქვა დედამ მოულოდნელად.

_ რას ნიშნავს დიდი ადამიანი? _ მოიღუშა ემილი. _ ვინ არიან ის დიდი ადამიანები?

_ როგორ გითხრა... _ ჩაფიქრდა დედა. _ მაგალითად, სოფლის გამგეობის თავმჯდომარე ან რამე ასეთი...

ლინას სიცილი წასკდა:

_ წარმომიდგენია, სოფლის გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც ონავრობის გარდა არაფერზე ფიქრობს.

დედამ მკაცრად შეხედა ლინას, მაგრამ ხმა არ ამოუღია, ჯესტით ანიშნა ყველას, კიდევ აიღეთ თითონ ნაჭერი ძეხვიო.

ემილმა ხელი გაიწოდა ძეხვისაკენ, აიღო ერთი ნაჭერი და ზედ წითელი მოცვი მოაყარა. ფიქრით კი დედის სიყტვებზე ფიქრობდა. იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა, ცუდი არ იქნება, ოდესმე სოფლის გამგეობის თავმჯდომარე გავხდეო. იქნებ ასეც იყოს.

მერე ლინას სიტყვებზე ჩაფიქრდა, ემილი სოფლის გამგეობის ონავარი თავმჯდომარე იქნებაო... საინტერესოა, რანაირ ოინებს მოიგონებს მაშინ.

ემილმა ჭიქაში რძე ჩაასხა და წრუპვა დაიწყო, თან ფიქრით იტეხდა თავს, მაინც რა შეიძლება აიოინბაზოს სოფლსი გამგეობის თავმჯდომარემო. მაგრამ ერთ წუთში ამას როგორ მოიფიქრებ! მან ისევ მიიტანა ჭიქა ტუჩებთან და უცებ ისეთი სასაცილო რაღაც მოიგონა, რომ ხმამაღლა ჩაიფრუტუნა. რძე შადრევანივით გაეშხეფა აქეთ-იქით და მამა თავიდან ფეხებამდე გაწუწა. მამამ ერთი კი დააპირა გაჯავრება, ამგრამ გადაიფიქრა, უხერხულია, გაუჯავრდე ბიწს, რომელსაც ექიმი ასე აქებს, მით უმეტეს, რომ ამ ბიჭმა მართლაც კეთილშობილური საქციელი ჩაიდინაო. რას იზამდა! აწმინდა შარვლიდან რძის შხეფები და შუბლშეკრულმა ჩაიბუტბუტა:

_ დაგვეტყო, ემილ, შენი დაბრუნება!..

_ ნუ ამბობ ასე, _ უსაყვედურა დედამ.

მამასაც აღარ გაუგრძელებია ტუქსვა, პირიქით, შვილის მომავალზე გააგრძელა სიტყვა.

_ სიმართლე გითხრათ, არა მგონია, ემილი ოდესმე სოფლის გამგეობის თავმჯდომარე გახდეს... მაგრამ ბიჭური ბიჭია და, თუ მშვიდობა იქნა, მისგან კაცი დადგება, ამას თქმა არ უნდა!

დედამ თავი დაუქნია.

_ გინდათ გითხრათ, როგორ იქნება ყველაფერი? _ იკითხა უცებ დაიკო იდამ. _ როგორც ემილს მოუნდება, ისე იქნება!

ემილს გაეღიმა.

_ ვნახოთ! _ თქვა მოკლედ.

დაღამდა. ყველანი დაწვნენ და ძილს მისცეს თავი. წყნარად ეძინა ხუტორ კატხულტს. ეძინა ლიონებერგას, ეძინა მთელ სმოლანდს. შენც მშვიდად იძინე. ნუ გეშინია, ექიმმა ალფრედის გადარჩენისათვის ეიმლს არც ლუკასი მოსთხოვა და არც ეშმაკი გოჭუნა.